

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

National Academy of Sciences of Georgia

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

State Language Department

თსუ მუზეუმი

TSU Museum

**აკადემიკოს მზექალა შანიძისადმი მიძღვნილი  
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

**International Scientific Conference  
Dedicated to Academician Mzekala Shanidze**



**მზექალა შანიძე - 100 - Mzekala Shanidze**

**თეზისები / Abstracts**

იანვარი 16-17 January

თბილისი 2026 Tbilisi



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

National Academy of Sciences of Georgia

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

State Language Department

თსუ მუზეუმი

TSU Museum

## **აკადემიკოს მზექალა შანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**

**International Scientific Conference  
Dedicated to Academician Mzekala Shanidze**

**მზექალა შანიძე - 100 - Mzekala Shanidze**

**თეზისები /ABSTRACTS**

იანვარი 16-17 January

თბილისი 2026 Tbilisi

### **საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე  
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი ნათა ფუტკარაძე  
ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი ივანე მჭედელაძე

### **Organizing Committee:**

Professor Darejan Tvaltvadze  
Associate Professor Ekaterine Navrozashvili  
Doctor of Philology Natia Putkaradze  
Doctor of Philology Nino Popiashvili  
Doctor of Philology Ivane Mtchedeladze

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2026  
© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2025

ISBN 978-9941-36-462-4

ლელა ალექსიძე

Lela Alexidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

(საქართველო, Georgia)

ხედვის თეორია იოანე პეტრიწის კომენტარში  
პროკლეს თეოდოგიის საფუძვლებზე

**The Theory of Vision in Ioane Petritsi's Commentary  
on Proclus' *Elements of Theology***

საკვანძო სიტყვები: პეტრიწი, ხედვა, განგება, დაბუნება, სური

**Keywords:** Petritsi, vision, providence, reversion, soul

გვიანანტიკური და შუა საუკუნეების პლატონიზმის ერთ-ერთი ძირითადი თემა არის ხედვა/ჭვრეტა და მასთან დაკავშირებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური და გონისმიერი ქმედებები. თვალით ხედვის ადამიანური უნარი სულისა და გონების ‘თვალით’ ჭვრეტის წინაპირობაა. ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს ადამიანს, დაინახოს ის, რაც საუკეთესოა მასში და თვითკონცენტრაციის მეშვეობით უმაღლეს საწყისსაც ‘დაუახლოვდეს’.

ნაშრომის მიზანია ხედვის/ჭვრეტის ცნებების ანალიზი იოანე პეტრინის კომენტარში პროკლეს თეოდოგიის საფუძველებზე. ‘ხედვა’ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცნებაა პეტრინისთვის. იგი ამ სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში ხმარობს. ჩვენი ამოცანაა, დავაკვირდეთ ‘ხედვის’ ორ ტიპს: ‘ხედვას ზემოდან’ ვუწოდებთ ‘მზერას’, რომელიც მიმართულია უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი არსებისკენ (მას პეტრინი ღვთაებრივ განვებად მიიჩნევს), ხოლო ‘ქვემოდან ხედვა’ არის შედეგის ბუნებრივი და ფსიქოლოგიური სწრაფვა საკუთარი მიზეზისკენ. ამ უკანასკნელს პეტრინი განმარტავს, როგორც ერთგვარ სიყვარულს, რომელიც დაბრუნებას უზრუნველყოფს (‘უკუტრფობა’); ესაა არსის დაბრუნება საკუთარ თავთან და თავის მიზეზთან. პეტრინის კომენტარში ‘ხედვის’ ეს ორი ტიპი (განვებითი ‘ხედვა ზემოდან’ და შედეგების სწრაფვა საკუთარი მიზეზბისკენ, როგორც ‘ხედვა ქვემოდან’) ურთიერთქმედებს: უმაღლესი საწყისის განვებითი მოქმედება განაპირობებს შედეგების უნარს, ‘დაინახონ’ თავიანთი ნამდვილი ‘მე’ და საკუთარი მიზეზები. ცნებებს ‘ხედვა’ და ‘აზროვნება’ პეტრინი ზოგჯერ სინონიმურადაც ხმარობს. მეტიც, პეტრინთან ზოგჯერ ‘ხედვა’ და ‘სიყვარულიც’ თითქმის სინონიმებია, თუმცა ის არ უწოდებს ერთის განვებით მოქმედებას ‘სიყვარულს’. პეტრინს მიაჩნია, რომ უზენაეს ერთს/სიკეთეს არაფერი უყვარს, რადგან ის ყველაფრის მიღმაა და არაფერია, რაც მას შეიძლება უყვარდეს, თუმცა ის თავად არის ყველაფრისთვის სიყვარულისა და უკადაბრუნების (‘უკუტრფობის’) ობიექტი, რამდენადაც შედეგებში მათი ჭვრეტის დაკმაყოფილების სურვილს იწვევს.

One of the central concerns of Late Antique and Medieval Platonism is vision or contemplation, together with the physical, psychological, and intellectual activities associated with it. Human visual perception through the bodily eye is regarded as a prerequisite for attaining contemplation through the ‘eye’ of the soul and the intellect. Such contemplation enables a human being to ‘see’ what is best within oneself and, through this inward concentration, to draw closer to the supreme universal principle.

This paper aims to analyze the concepts of seeing/vision in the commentary of Ioane Petritsi on Proclus’ *Elements of Theology*. ‘Seeing’ is a very important con-

cept for Petritsi. He uses the Georgian word ხედვა in various contexts. Our purpose is to concentrate on two kinds of 'seeing': here we call 'seeing from above' the mode of seeing directed toward lower levels of beings, which is interpreted by Petritsi as the divine providence, while what we call 'seeing from below' is a natural and psychological striving of an effect back to its cause, understood by Petritsi as a kind of love which provides *epistrophē* (ეკუტრფობა): the return of a being to its true self and the cause. In Petritsi's commentary, these two kinds of 'seeing' - providential 'seeing from above' and 'seeing from below' as the striving of effects to their causes interact: the providential activity of the supreme principle causes the ability of effects to 'see' their true self and their causes. Petritsi uses the concepts of 'seeing' and 'thinking' in certain cases as synonyms. Moreover, in some cases, 'seeing' and 'love' are also nearly synonymous in his commentary. However, Petritsi does not call the providential activity of the One 'love', claiming that the supreme One/Goodness does not love anything because it transcends everything and there is nothing it could love, though it is the object of love and reversion for everything, causing in the effects the desire to satisfy their contemplation.

**გიორგი ალიბეგაშვილი, იასუჰირო კოჯიმა, მამუკა ჭანტურაია**  
**Giorgi Alibegashvili, Yasuhiro Kojima, Mamuka Chanturaia**

საქართველოს საპატიოარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ქართულ-იაპონური ლიტერატურული პარალელი**  
**A Georgian-Japanese Literary Parallel**

**საკვანძო სიტყვები:** ვაჟა-ფშაველა, ჩიუნოსკე აკუტაგავა,  
აღუდა ქეთეგაუჲი, ჰოსო სანემონი

**Keywords:** Vazha-Pshavela, Ryūnosuke Akutagawa, Aluda Ketelauri,  
Hosoi Sanemon

ვაჟა-ფშაველას და რიუნოსკე აკუტაგავას ნაწარმოებებში ხშირად დგას ადამიანის ღირსებისა და რაინდობის საკითხი. მიუხედავად სხვადასხვა პირობითობისა, ორივე მწერალი ძირითად აქცენტს პიროვნების თავისუფლებისა და სიმართლის ძიებისკენ სწრაფვაზე აკეთებს.

განსახილველი თემის ლაიტმოტივი ასეთია: დიდი მანძილით სიშორისა და, ასევე, კულტურათა და ტრადიციების ძირეული განსხვავებულობის მიუხედავად, საქართველოსა და იაპონიის მეომრული სულისკვეთების კანონები, კოდექსები, მოთხოვნები და წესები, ღირსების საერთო მსოფლმხედველობრივი და ფილოსოფიური წარმოდგენები და ზოგადადამიანური ბუნება ჭეშმარიტი რაინდის შინაგან თვისებებსა და სულიერ სამყაროს ერთნაირად წარმოაჩენს.

საინტერესოა ის მსგავსება-განსხვავებანი, რომლებიც ასახულია, ერთი მხრივ, ქართული რაინდული, კაიყმობის ქცევის ნორმებსა და, მეორე მხრივ, სამურაის კოდექს ბუშიდოში. სწორედ აქ იკვეთება ორი დიდი მწერლის პერსონაჟების – ალუდა ქეთელაურისა და ჰოსო სანემონის – ხასიათი. ამ კუთხით უმთავრესი კითხვაა: არიან თუ არა დამნაშავეები ალუდა ქეთელაური და ჰოსო სანემონი? პასუხი თრი პროტაგონისტის გასამართლებისას იძებნება.

საინტერესოა ის სხვაობა, რომელიც იკვეთება ხევსურთა ბატონს, ხატსა და იაპონელების ბატონს, თავადს შორის: პირველის ბატონი არის ზეციური ხატი, ჯვარი, საკრალური გმირი, ღვთისშვილი, მისტიკური მფარველი თავისი საყმოსი, ხოლო იაპონელების თავადი არის რეალური პირი, ცხოვრებაში მოქმედი, რომელიც განაგებს თავის ვასალებს, ქეშიკებს, სამურაებს (ყმებს).

The works of Vazha-Pshavela and Ryūnosuke Akutagawa frequently foreground the problematics of human dignity and chivalric ethics. Despite the differences in cultural frameworks and literary conventions, both authors place primary emphasis on the individual's aspiration toward freedom and the pursuit of truth.

The central leitmotif of the present study may be formulated as follows: notwithstanding the considerable geographical distance separating Georgia and Japan, as well as the profound divergences in their cultural traditions, the laws, codes, demands, and normative principles of the warrior ethos –when considered alongside shared philosophical and worldview-based conceptions of dignity and universal human nature – ultimately converge in the inner moral qualities and spiritual world of the true knight.

The study examines the similarities and differences manifested, on the one hand, in the behavioral norms of Georgian chivalric and vassal traditions, and, on the other, in the samurai ethical code of Bushidō. Within this comparative framework, the characters created by the two authors – Aluda Ketelauri and Hosoi Sanemon – are brought into conceptual alignment. From this perspective, a fun-

damental interpretive question is posed: to what extent may Aluda Ketelauri and Hosoi Sanemon be considered culpable? The answer is sought through a critical moral evaluation of the two protagonists.

Particular attention is devoted to the contrast between the Khevsur conception of lordship, embodied in the icon (*khati*), and the Japanese model of lordship, represented by the prince. In the former case, the lord is a celestial icon – a cross, a sacred heroic figure, the son of God, and a mystical protector of the community. In the latter, the Japanese lord is a historical and tangible individual who exercises direct authority over his vassals, retainers, and samurai.

**მარინა ანდრაზაშვილი**  
**Marina Andrazashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ნინადადების მოდუსი, იმპლიციტური უარყოფა და  
ტექსტი**  
**Sentence Mode, Implicit Negation and the Text**

**საკვანძო სიტყვები:** წინადაღების მოღუსი, კონტექსტი, იმპლიციტური უარყოფა,  
ნეგიუიტის ექსპლიკაცია

**Keywords:** *sentence mode, context, implicit negation, explication of the negation*

უარყოფის ლინგვისტური კატეგორია განეკუთვნება ენობრივ უნივერსალიათა რიცხვს, თუმცა მას იმავდროულად ისეთი დისციპლინებიც იკვლევს, როგორებიცაა: ლოგიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია; მართალია, ლინგვისტური კვლევისგან ბევრად განსხვავებული რაკურსით, მაგრამ, რაც მთავარია, როგორც ობიექტური რეალობის არსს, რომელიც ენობრივი ფორმით არეკლავს განვითარების პროცესს ბუნებაში, საზოგადოებასა და აზროვნებაში. ყოველივე ეს კი ეფუძნება ნეგაციის უშუალოდ იმ ენობრივ თავისებურებას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ წინადადების მოდუსის შეცვლა არ იყოს დამოკიდებული მაინცდამანც უარყოფის ფორმალური საშუალების (Negationsträger) გამოყენებაზე და ის ერთნაირად მოიცავდეს ენის როგორც ექსპლიციტურ, ისე იმპლიციტურ პლასტებს. ამასთან კავშირში მხედველობაშია მისაღები გერმანულის ინდივიდუალობა, უარყოფის ექსპლიციტურ საშუალებათა დახმარებით გადმოსცეს სხვადასხვა მოცულობის უარყოფა, კერძოდ: ერთი მხრივ, გლობალური, როცა პრევერბალური მარკერით (präverbale Negation) უარიყოფა წინადადებაში ასახული ვითარება/ხდომილება (globale / totale / Satznegation); მეორე მხრივ კი, პარციალური, როცა უარიყოფა წინადადების მხოლოდ ერთი სეგმენტი (სინტაგმა, წინადადების ნევრი, სიტყვა) (Teilnegation / Satzgliednegation / partielle Negation) პრენომინალური, პრეადი-ექტიური და პრეადვერბიალური მარკერებით.

წინამდებარე გამოკვლევაში ძირითადი აქცენტი გადატანილია იმპლიციტურ უარყოფაზე (implizite Negierung), რომელიც, მართალია, ექსპლიციტური უარყოფის (explizite Negation) ანალოგიურ სპეციალურ ლექსიკურ საშუალებებს არ ფლობს, რათა შეძლოს ნეგაციის ზემოჩამოთვლილი ტიპების ზედმინევნითი დიფერენციაცია, მაგრამ მათ ამოცნობადს ხდის კონტექსტის დახმარებით. ეს მეორე ტიპის უარყოფა ნაშრომში იწოდება ნეგირებად, რათა ის, ჰერ ერთი, კატეგორიზირების დონეზე განსხვავდებოდეს ნეგაციისგან, მეორეც, იმავდროულად ახდენდეს პროცესუალობის სემის აქტუალიზებას.

წიშანდობლივია, რომ ნეგირება უშუალოდ არის დაკავშირებული საკომუნიკაციო პროცესთან, შეპირობებულია პრაგმატული ფაქტორებით, ხშირად ატარებს მძაფრ სოციოლექტურ შეფერილობას, ასახავს მთხრობელის/ მოქმედი პირის ინტენციას და რეალიზდება ტექსტში ერთი ან რამდენიმე აფირმატიული წინადადების სახით, რომლებიც ლინეარულ ნარატივს ქმნიან; ტექსტს შეიძლება ჰქონდეს როგორც მონოლოგური, ისე დიალოგური ფორმა.

ზემოაღნერილი ფენომენი გამოკვლევაში გაანალიზებულია თანამედროვე გერმანულენოვანი ბელეტრისტიკიდან შერჩეულ წიმუშებზე დაყრდნობით, ნეგირებული შინაარსები ექსპლიცირებულია კონტექსტის სტილური წიუანსების, საპირისპირ ვითარების ასახვის, ასევე ირონიის, ხუმრობის, დაცინვის, გაკილვის (გვხვდება მალედიქტოლოგის ნიმუშებიც) ან პირიქით, დაყვავების, ნუგეშის, იმედის მიცემის და ა.შ. გამამძაფრებელ ლექსიკურ ერთე-

ულთა გამოყენებით. ცალკე უნდა გამოიყოს უარმყოფელი იმპლიციტური სინტაქსური კონსტრუქციები, როგორებიცაა: zu + Adjektiv, um...zu / Nominalphrase + sein + alles andere als Nominalphrase / Nomen + und + Adjektiv/Nomen, რომელიც ქართულისთვის ატიპურია და საგანგებო მიღების ითხოვს თარგმანში.

The linguistic category of negation belongs to the class of linguistic universals; at the same time, it is also studied by disciplines such as logic, philosophy, and psychology. These disciplines study negation from quite different perspectives. Most importantly, however, negation is viewed as the essence of objective reality that, in linguistic form, reflects the process of development in nature, society, and thought. All this is based on a particular linguistic property of negation, namely that changing the modus of a sentence does not necessarily depend on the use of a formal means of negation (Negationsträger). It equally encompasses both the explicit and implicit layers of a language. In this connection, one must also take into account the individuality of German, which, by means of explicit markers of negation, can express negation of a different scope: on the one hand, global negation, where the situation/event represented in the sentence is negated by a preverbal marker (präverbale Negation) (global/total/sentence negation); on the other hand, partial negation of only one segment of the sentence (a syntagm, a sentence constituent, or a word), that is, partial negation (Teilnegation / Satzgliednegation / partielle Negation), realized by prenominal, preadjectival, and preadverbial markers.

In the present study, the main emphasis is placed on implicit negation (implizite Negierung), which, although it does not possess special lexical means analogous to those of explicit negation (explizite Negation) to make a precise differentiation of the above-mentioned types of negation, it still makes them identifiable with the help of context. This second type of negation is referred to in the paper as negatable, first, in order to express, at the level of categorization, a distinction from negation proper, and second, to foreground the presence of a processual semantic component. Negating is characterized by the fact that it is directly connected with the communicative process, conditioned by pragmatic factors. It often carries a strong sociolectal coloring, reflects the intention of the narrator/acting subject, and is realized in the text in the form of one or several affirmative sentences that create a linear narrative; the text may be presented either as a monologue or a dialogue.

The phenomenon described above is analyzed on the basis of examples selected from contemporary German-language fiction. Negated contents are explicated through the stylistic nuances of the context, the representation of an opposing situation, as well as through the use of intensifying lexical units expressing irony,

humor, mockery, ridicule, derision (including instances of maledictology), or, conversely, endearment, consolation, encouragement, hope-giving, and the like. Particular attention should be given to implicit negative syntactic constructions such as zu + Adjective, um ... zu, Nominal phrase + sein + alles andere als + Nominal phrase, Noun + und + Adjective/Noun, which are alien for Georgian and therefore require a special approach in translation.

**ფატმან ანთაძე-მალაშხია**  
**Patman Antadze-Malashkhia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ფერის ცნებისათვის სპარსულში**  
**On the Concept of Colour in Persian**

**საკვანძო სიტყვები:** ფერის ცნება, სინონიმია, პოლისემია  
**Keywords:** the concept of colour, synonymy, polysemy

ფერის ზოგადი ცნების აღმნიშვნელი სპარსული სახელწოდებები 6 ერთეულისგან (რნგ) [rang], ლუნ [loun] გუნ/გუნე/გუნა [gun/gune/guna], ცენტ/ცენტ/ცენტ [sebq/sebqat/sebqe], დიზ [čarde/čerde/čorde], გუნ [diz]) შემდგარ ლექსიკურ პარალელური ტერმინებით. ზემოხსენებული ლექსიკური პარალელური ტერმინების, სინონიმის, სტილისტური მახასიათებლებისა და ასევე სახელთნარმოებითი და ზმნათნარმოებითი უნარის თვალსაზრისით. სემანტიკური შინაარსის განხილვისას მოხმობილია ქართული, არაბული, რუსული და ინგლისური პარალელებიც.

ზოგადად ფერის აღმნიშვნელი ძირითადი და ძალზე მაღალი სიხშირით გამოყენებული სპარსული სახელწოდებაა რნგ [rang]. მას მოეპოვება სინონიმები სადღეისოდ მოძველებული და ნაკლებად ხმარებული გუნ/გუნე/გუნა [gun/gune/guna]-ისა და ასევე ორი არაბიზმის ლუნ [loun]-ისა და ცენტ/ცენტ/ცენტ [sebq/sebqat/sebqe] სახით.

სპარსულში ფერის აღმნიშვნელ ორ სახელწოდებად ასევე გვევლინება ცენტ [čarde/čerde/čorde] და დიზ [diz].

რნგ [čarde/čerde/čorde]-ს სემანტიკური მოცულობა დავინროებულია და მოიცავს არა ზოგადად ფერის, არამედ ადამიანის პირისახის ან ცხენის შეფერილობის მნიშვნელობას.

დიზ [diz] თემატურ პოლისემანტად გვევლინება, რამდენადაც მოიცავს როგორც ფერის ზოგადი ცნების, ასევე ფერის კონკრეტული სახეობის, კერძოდ, რუხის მნიშვნელობას.

პოლისემანტი რნგ [rang] 13 მნიშვნელობას მოიცავს. ეს სიტყვა ანარმოებს სუფიქსურ დერივატებს, კოპულატურ და დეტერმინანტულ კომპოზიტებს, კომპოზიტორებს, ანუ ნახევრადაფიქსურ სიტყვებსა და ორ- და მეტკომპონენტიან ზმნებს. განსახილველ ლექსემათაგან მხოლოდ რნგ [rang] ავლენს ზმნათა ნარმოების პოტენციალს.

გუნ/გუნე/გუნა [gun/gune/guna], ლუნ [loun] და ცენტ/ცენტ/ცენტ [sebq/sebqat/sebqe] და დიზ [diz]/ცენტ [dize] მარკირებულია, როგორც მოძველებული ლექსიკური ერთეულები. მათი პოლისემიური არე რნგ [rang]-ზე ბევრად მცირეა. ასევე შედარებით მცირეა მათი სიტყვათნარმოებითი პოტენციალი გუნ/გუნე [gun/gune]-ს გამოკლებით.

ცენტ/ცენტ/ცენტ [sebq/sebqat/sebqe] და დიზ [diz] ლექსემები არ წარმოქმნიან არანაირ ახალ სიტყვებს.

ფერისა და რაგვარობა-თვისობრიობის მნიშვნელობის მომცველი გუნ [gun] ქართულში ნასესხობადაა შემოსული აბსტრაქტულობის -ება სუფიქსით გაფორმებული დერივატის სახით (გუნება) და რაგვარობა-თვისებრიობასთან ასოცირებული მნიშვნელობით („სულიერი განწყობილება, ხასიათი, განწყობა“).

ფერის აღმნიშვნელი ოთხი სპარსული სახელწოდების (رنگ [rang], گون/گونه/گونا [gun/gune/guna], لون [loun] და صبغ/صبغه [sebq/sebqat/sebqe]) შემთხვევაში მეტონიმით მოტივირებული ერთ-ერთი სიტყვათმნიშვნელობა ასახავს ფერის მიმართებას ზოგადად ნიშან-თვისებასთან, რაგვარობა-თვისებრიობასთან.

ფერისა და რაგვარობა-თვისებრიობის მიმართება ასევე ჩანს განსახილველ სპარსულ ლექსემათა ქართულ, არაბულ, რუსულ და ინგლისურ შესატყვისთა და ამ ლექსემებით მოტივირებულ კომპოზიტთა მაგალითზე, რაც მიგვითითებს სხვა ენებშიც ანალოგიურ მიმართებათა მოძიების საჭიროებაზე ტიპოლოგიურ ერთობათა გამოვლენის მიზნით.

The Persian terms used to denote colour comprise a lexical group consisting of 6 units of the Persian terms used to denote colour comprise a lexical group consisting of 6 units گون/گونه/گونا [gun/gune/guna], لون [loun] და صبغ/صبغه [sebq/sebqat/sebqe], چرده [čarde/čerde/čorde], دیز [diz]. Three members of this group گون/گونه/گونا [gun/gune/guna], چرده [čarde/čerde/čorde] და صبغ/صبغه [sebq/sebqat/sebqe] are represented in parallel forms. The above-mentioned lexical group is analyzed in the paper from the viewpoint of polysemy, synonymy, stylistic peculiarities and also the capacity of forming nominal parts of speech as well as verbs.

In the process of semantic analysis, Georgian, Arabic, Russian and English parallels are also discussed.

The most frequently used Persian term for colour is رنگ [rang]. It has outdaded and less frequently used synonyms گون/گونه/گون [gun/gune/guna], and two Arabic loanwords لون [loun] and صبغ/صبغه [sebq/sebqat/sebqe].

There are two other Persian words denoting colour. These are چرده [čarde/čerde/čorde] and دیز [diz].

The semantic volume of چرده [čarde/čerde/čorde] is restricted and embraces not the semantics of colour in general but the colour of a human face or the colour of a horse.

دیز [diz] is thematically polysemantic because it embraces both the semantics of colour in general and the meaning of a concrete, gray colour.

The polysemantic word رنگ [rang] has 13 meanings. This stem forms suffixal derivatives, copulas and determinant composites, composoids i.e. semi-suffixal words as well as verbs with two or more components. Out of the analysed lexemes, only رنگ [rang] has the potential of verb formation.

صبغ/صبغه [sebq/sebqat/sebqe] گون/گونه/گونا [gun/gune/guna], لون [loun], და صبغ/صبغه [sebq/sebqat/sebqe] and دیزه [dize] are marked as archaic lexical units. Their polysemantic area is much less than that of رنگ [rang]. Their word-forming potential is also comparatively small, the only exception being گون/گونه [gun/gune].

صبغ/صبغت/صبغه [sebq/sebqat/sebqe] and دیز [diz] lexemes do not form any new words.

The Persian lexeme گون [gun] embracing the meaning of colour and quality has been borrowed by Georgian in the form of an affixal word with an abstract suffix -ება [-eba]: გუნ-ება [gun-eba]. This lexeme is associated with quality and has the following meanings: “spiritual state, character, mood”.

The relation between colour and quality is also found in case of the Georgian, Arabic, Russian and English correlates of the Persian lexemes under analysis and the compounds formed from these lexemes. This points to the necessity of identifying such relations in other languages with the aim of revealing typological unity.

**რუსუდან ასათიანი**

**Rusudan Asatiani**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

(საქართველო, Georgia)

## **მორფემათა „ფუნქციური კლასტერი“ ქართულში “Functional Clusters” of Morphemes in Georgian**

**საკვანძო სიტყვები:** ფუნქციური გხამაგიკა, პარამონიური კომპლექსები, მოჩვემური კრასტერები, ზმუშები კრასტერები

**Keywords:** functional grammar, harmonic complexes, morphemic clusters, verb clusters

ენობრივი ნიშნის გამოხატულებისა და შინაარსის პლანებს შორის არსებული მიმართებების ამოცნობა-აღწერა და მათ შორის ცალსახა კავშირების დამყარება არის სტრუქტურული ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა.

ამ მიმართებების შესწავლა ეფექტურია, თუ ნიშნის სამივე ასპექტი – როგორც სინტაქტიკური, ისე სემანტიკური და პრაგმატიკული – იქნება გათვალისწინებული.

პრაგმატიკული ასპექტის წინ წამოწევა გულისხმობს ნიშნის მნიშვნელობიდან მის ფუნქციებზე ყურადღების გადატანას: ფუნქციონალური მიდგომით ნიშანს არა მხოლოდ მისი მნიშვნელობისა და ფორმის, არამედ ენობრივ სისტემაში მისი ფუნქციების მიხედვით აანალიზებენ.

ფუნქციონალური მიდგომით ნათელი ხდება, რომ აღსანიშნსა (resp. მნიშვნელობა) და აღმნიშვნელს (resp. ფორმა) შორის ცალსახა მიმართების დამყარება ყოველთვის ვერ ხერხდება, რამდენადაც შესაძლებელია:

ერთი ენობრივი ნიშნის ფორმა ერთდროულად, ერთსა და იმავე კონტექსტში, რამდენიმე მნიშვნელობას გამოხატავდეს; და, პირიქით,

რამდენიმე ენობრივი ნიშნის განსხვავებული ფორმები კომპლექსურად ერთი დანიშნულებით გამოიყენებოდეს, ანუ ერთ ფუნქციაზე მიგვანიშნებდეს და ენობრივ სისტემაში ფუნქციონირებდეს, როგორც ერთი ერთეული.

ამგვარ შემთხვევათა ნიმუშები გავრცელებულია ე.ნ. ფლექსიურ (resp. ფუზიურ) ენებში, სადაც ერთი და იგივე აფიქსური მორფემა რამდენიმე მნიშვნელობას ერთდროულად გამოხატავს; მაგალითად, ქართულში მესამე სუბიექტური პირის მორფემის აღმნიშვნელი -ს ერთდროულად აღნიშნავს მნიშვნელობათა კომპლექსს: ან {სუბიექტური მესამე პირი, აქტიური ზმნა, აწყოო}, ან {სუბიექტური მესამე პირი, კავშირებითი კილო}. ფუზიის ამგვარი შემთხვევები (ეხთი ფორმა  $\leftrightarrow$  ხამდენიმე მნიშვნელობა) საკმაოდ გავრცელებულია ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში და სათანადოდ არის კიდეც გაანალიზებული. თუმცა, ფუზიის მეორე შემთხვევა: ეხთი მნიშვნელობა/ფუნქცია  $\leftrightarrow$  ხამდენიმე ფორმა, რომლის კლასიკურ ნიმუშად ასახელებენ ლათინურ ენას, ნაკლებად არის გამოვლენილი და შესწავლილი ქართულში. ფონოლოგიის დონეზე ამგვარი, ე.ნ. კლასტერული, შემთხვევების ნიმუშს წარმოადგენს გ. ახვლედიანის მიერ გამოკვლეული ჰარმონიული კომპლექსები. ასეთი „კლასტერები“ შეიძლება ფუნქციონირებდეს ენობრივი სისტემის ნებისმიერ, როგორც მორფოლოგიურ, ისე სინტაქსურ დონეებზე.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება ქართული ენის გრამატიკული სისტემის მორფოლოგიურ დონეზე მორფემათა ფუნქციური გაერთიანების სწორედ ასეთი კლასტერული შემთხვევები.

The main task of structural linguistics is to identify and describe the relationship between the “signifier” and the “signified” of the “sign”. The study of these

relations is effective if all three aspects of the sign – syntactic, semantic, and pragmatic – are taken into account.

Foregrounding of the pragmatic aspect implies a shift in emphasis from the meaning of the sign to its functions: in the functional approach, the sign is analysed not only from the point of view of its meaning and form but also from the point of view of its functions in the language system.

From a functional point of view, it becomes clear that sometimes a one-to-one correspondence between the signifier (res. value) and the signified (res. form) cannot be established, since it may be that:

1. the form of one linguistic sign expresses several meanings at the same time; and, vice versa,
2. different forms of various linguistic signs refer to one function, and these signs function as one unit in the language system.

Patterns of such morphemes are common in so-called fusional languages, where one morpheme expresses several meanings at the same time; for example, in the Georgian language, a morpheme denoting III-Person of a Subject simultaneously expresses a set of meanings: either {S, III, Active Verb, Present}, or {S, III, Subjunctive Mood}. Such cases of fusion (one form  $\leftrightarrow$  several meanings) are quite common in the grammatical system of the Georgian language and are even properly analysed. However, the second case: {one meaning/function  $\leftrightarrow$  several forms} – is less identified and studied in Georgian. At the level of phonology, the so-called Harmonic Complexes identified and studied by Akhvlediani are an example of such clusters.

The article reveals and analyses examples of such “Functional Clusters” in Georgian at the level of morphology.

**ნარგიზ ახვლედიანი**  
**Nargiz Akhvlediani**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი  
Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University  
(საქართველო, Georgia)

**მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმების  
ერთი რიგის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი**  
**Structural-Semantic Analysis of a Set of Toponyms Derived  
from Plant Names**

**საკვანძო სიტყვები:** ტოპონიმები, ფიტოტოპონიმები, საღეზოვაციო აფიქსები  
**Keywords:** *toponyms, phytotoponyms, derivational affixes*

ნებისმიერი ქვეყნის ტოპონიმია ასახავს იმ რეგიონისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშან-თვისებას, ნიადაგის, წყლის, მცენარის, ცხოველის, ფრინველისა და ნებისმიერი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების, ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წიაღისეულისა თუ სხვათა, ამ ტერიტორიაზე ადრე, ოდესმე მოსახლე თუ ახლა მცხოვრებ ადამიანთა ნაკვალევს. პერიოდულად შეიძლება ბევრი რამ გაქრეს, შეიცვალოს რელიეფი, ლანდშაფტი, გადაშენდეს ცხოველთა, ფრინველთა, მცენარეთა თუ აქ მოსახლე ადამიანთა გვარ-ტომები, მაგრამ ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებს ადრინდელი სამყაროს შესახებ შეუძლია ბევრი რამ მოვითხოოს.

როგორც ცნობილია, მცენარეთა სახელწოდებებით ტერიტორიების აღნიშვნა უძველესი დროიდან მოდის და ამიტომ ამ ტიპის ტოპონიმები დასტურდება ყველა ენაში. მცენარეთა სახელები ძირეულ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება და ისეთი საკითხის კვლევისას, როგორიცაა ეთნოსთა პირველსაცხოვრისის განსაზღვრა ენობრივი მონაცემების მიხედვით, მას ერთ-ერთი ძირითადი როლი ენიჭება. ამ კუთხით, ასევე მნიშნელოვანი ჩანს ფიტონიმთა საფუძველზე სახელდებული გეოგრაფიული სახელებიც (ფიტოტოპონიმები). ფიტოტოპონიმივა, როგორც ტოპონიმივის ერთ-ერთი მიმართულება, ასახავს ადამიანთა მიერ მცენარეთა სამყაროს შემეცნების, გარემოს აღქმის, შეფასებისა და სახელდების საყურადღებო პროცესს, რაც ენაში შესაბამისი კონცეპტებითაა გადმოცემული. ფიტოტოპონიმები ახლა უკვე ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქოლინგვისტიკის, ეთნობოტანიკის, ეთნოლინგვისტიკის, კულტუროლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის შესწავლის ობიექტი გახდა. ადამიანი დასაბამიდანვე მცენარეთა სამყაროსთან განუწყვეტელ კავშირში იყო და არის: მათ იყენებს საკვებად, სამკურნალოდ, საყოფაცხოვრებო და ესთეტიკური დანიშნულებისამებრ. ყველა ენასა და კულტურაში ფიტონიმური ლექსიკა მჭიდრო კავშირშია ადამიანის ცხოვრებასთან.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით, გამოვავლინოთ მცენარეთა სახელთაგან მომდინარე სხვადასხვა სადერივაციო აფიქსებით გაფორმებული ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებანი, რაც შესაბამისად განთავსდება ლინგვისტურ ატლასზე, სადაც წარმოვადგენთ ფიტოტოპონიმთა არა მარტო გავრცელების არეალს, არამედ მათი გამოყენების სიხშირესაც.

სპეციალურ ლიტერატურაში, ინტერნეტ-წყაროებში, სხვადასხვა ლექსიკონსა და გამოკვლევებში დადასტურებული ფიტოტოპოპონიმების მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის თავმოყრა საუკეთესო ბაზა იქნება სამომავლოდ მისი მრავალმხრივი შესწავლისათვის (სისტემატიზაცია, სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, სადერივაციო აფიქსები, სახელდების მოტივაცია...), რაც საბოლოო სახით აისახება ქართველურ ფიტოტოპონიმთა ლინგვისტურ ატლასში.

The toponymy of any country reflects the specific characteristic features typical of a given region: soil, water, plants, animals, birds, any living and non-living nature, organic or inorganic natural resources, as well as the traces of people who once lived or still live in this territory. Over time, many things may disappear; the relief and landscape may change; animals, birds, plants, or the family and tribal lineages of the people inhabiting the area may become extinct. However, geographical place names are capable of telling us much about the former world.

As is known, the designation of territories by plant names dates back to ancient times; therefore, this type of toponyms is attested in all languages. Plant names belong to the core lexical stock, and in the study of such an issue as the determination of the original homeland of ethnic groups on the basis of linguistic data, they are assigned one of the main roles. From this point of view, geographical names derived from plant names (phytotoponyms) are also considered significant.

Phytotponomy, as one of the branches of toponymy, reflects the noteworthy process of human cognition of the plant world, perception, evaluation, and naming of the environment, which is expressed in language through corresponding concepts. Phytotoponyms have now become an object of study in linguistics, linguoculturology, psycholinguistics, ethnobotany, ethnolinguistics, cultural studies, and literary studies.

From the very beginning, humans have been and continue to be in constant contact with the plant world: they use plants for food, medicinal purposes, household needs, and aesthetic purposes. In every language and culture, phytonymic vocabulary is closely connected with human life.

The aim of our research is, based on data from the Kartvelian languages, to identify geographical place names derived from plant names and formed with various derivational affixes. These will accordingly be plotted on a linguistic atlas, where we will present not only the areas of distribution of phytotoponyms, but also the frequency of their usage.

The compilation of rich and diverse material on phytotoponyms attested in specialized literature, internet sources, various dictionaries, and research studies will constitute an excellent basis for their future multidimensional study (systematization, structural-semantic analysis, word-formative affixes, naming motivation, etc.), which will ultimately be reflected in the linguistic atlas of Kartvelian phytotoponyms.

**ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი  
Tsiuri Akhvlediani, Maria Burchak-Abramovich**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**სანარმოთქმო ნორმის ევოლუცია თანამედროვე  
ფრანგული ენის ვოკალურ სისტემაში**

**The Evolution of the Pronunciation Standard in the Vocal  
System of Contemporary French**

**საკვანძო სიტყვები:** საწარმოთქმო ნორმის ევოლუცია, ნორმა და ტენდენციები,  
სასაუბრო მეტყველება და დიქტონთა მეტყველება

**Keywords:** evolution of pronunciation norms, standards and trends, oral speech,  
speech of announcers

ენა მუდმივად იცვლება. ენობრივ ცვლილებათა უწყვეტლობა ნიშნავს, რომ ენაში ჩნდება რაღაც ახალი, რომელიც წინააღმდეგობაშია თანანამედროვე კოდიფიცირებულ ნორმასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუდამ არსებობს წინააღმდეგობრიობა საერთო აუცილებელი ხმარებით დამკვიდრებულ ნორმასა და იმ ტენდენციას შორის, რომელიც იწყებს გაჩენასა და გავრცელებას. ამიტომაც, აუცილებელია, პერიოდული ფიქსაცია, ანალიზი და კლასიფიკაცია იმ ინოვაციათა, რომლებიც წარმოიქმნებიან ფონეტიკურ დონეზე და განსაზღვრავენ საწარმოთქმი ნორმის ახალ მდგომარეობას.

წარმოთქმის ნიმუშის საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ფრანგული ენისათვის, რადგან თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ცვლილებები მის ფონოლოგიურ სისტემაში. დიქტორთა მეტყველების მოდელად მიჩნევას ფრანგი ფონეტიკოსები ასე ხსნიან: მოცემულ ენაზე მოლაპარაკეთა ცნობიერებაში დაფიქსირებულია წარმოთქმის განსაზღვრული მოდელი, თავისებური „სტანდარტული“ წარმოთქმა, რომელიც ეფუძნება ორთოეპის წესებს და ფლობს მრავალ კონკრეტულ რეალიზაციას; სწორედ „სტანდარტული“ წარმოთქმის საშუალო დონე შეესაბამება, ძირითადად, დიქტორთა წარმოთქმას.

ფრანგ ფონეტიკოსთა კვლევების ანალიზი ადასტურებს, რომ ხმოვანთა სისტემამ განიცადა და კვლავ აგრძელებს მნიშვნელოვან ცვლილებებს. ეს ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, აისახა სასაუბრო მეტყველებაში. დიქტორთა მეტყველებაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ფონეტიკურ ოპოზიციებში რეალიზაციათა მერყეობა შეიმჩნევა რადიო- და ტელესედვის დიქტორთა მეტყველებაშიც, რომელიც ითვლება ნორმატიული წარმოთქმის ნიმუშად. შეიძლება აღინიშნოს, რომ ფრანგული ენის თანამედროვე საწარმოთქმო ნორმა შეიცვალა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, რითიც დასტურდება ხალხური სასაუბრო ენის რიგ ტენდენციათა შეღწევის ფაქტი დიქტორთა მეტყველებაში.

Language is in a process of constant transformation. Continuous linguistic change leads to the emergence of new elements that contradict the codified norms of the time. In other words, there is a constant tension between the norms established by obligatory general usage and the emerging and spreading trend. This is why it is important to record, analyze, and classify innovations that arise at the phonetic level and define new normative provisions.

Pronunciation is particularly important for the French language, as its phonological system is undergoing transformation. French phoneticians explain the use of announcers' speech as a model in the following way: in the minds of speakers of this language, there exists a pronunciation model – a kind of "standard" pronunciation

tion based on orthoepy rules and with multiple realizations. This is the average level of standard pronunciation, corresponding to the pronunciation of announcers.

Research conducted by French phoneticians confirms that the vowel system is undergoing significant transformations. These changes are particularly noticeable in colloquial speech. Observation of announcers' speech has shown that variation in the realization of phonetic oppositions is reflected in the speech of TV and radio announcers, who are considered models of standard pronunciation. It is worth noting that the modern pronunciation norm has undergone changes in recent decades, which confirms the incorporation of popular language trends into announcers' speech.

**ლევან ბებურიშვილი**  
**Levan Beburishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**კიტა აბაშიძე – ქართული რომანტიზმის თეორეტიკოსი**  
**Kita Abashidze as a Theorist of Georgian Romanticism**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული დიგენერაცია, ქართული ხომანგიზმი,  
კიტა აბაშიძე

**Keywords:** *Georgian literature, Georgian Romanticism, Kita Abashidze*

რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, თეორიული გააზრება მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში, ფაქტობრივად, 80-90-იანი წლებიდან იწყება. მართალია, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ კრიტიკოსები 50-იანი წლებიდანვე მსჯელობენ, მაგრამ მათ მიმართ თითქმის არ იყენებენ ტერმინს „რომანტიკოსი“. ეს ცნება რამდენიმეგზის გვხვდება 60-იანი წლების ქართულ პრესაში (ანტონ ფურცელაძე, ილია ჭავჭავაძე), თუმცა კრიტიკოსები მას ევროპული და რუსული მწერლობის საკითხებზე მსჯელობისას იყენებენ. არის შემთხვევები, როდესაც გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე მსჯელობისას ავტორები პარალელებს ავლებენ ცნობილი რომანტიკოსი პოეტების – ვასილ შუკოვსკის, მიხაილ ლერმონტოვის და ფორქ გორდონ ბაირონის შემოქმედებასთან, მაგრამ არსად ახსენებენ ცნება რომანტიზმს. პირველი კრიტიკოსი, რომელიც საგანგებოდ მიმართავს რომანტიზმის დეფინიციას და იწყებს საუბარს ქართულ რომანტიზმზე, როგორც ლიტერატურულ პროცესზე, არის ვიტა აბაშიძე. იგი გამოყოფს რომანიზმის ევოლუციის ეტაპებს ქართულ ლიტერატურაში და ევროპელ რონატიკოსთა შემოქმედების პრობლემატიკასთან მიმართებით განიხილავს ქართველ პოეტთა ლიტერატურულ მემკვიდრეობას. მოხსენებაში ნარმოჩენილია კიტა აბაშიძის შეხედულებათა ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა ქართული რომანტიზმის შესწავლის პროცესში, რის გათვალისწინებითაც კრიტიკოსი მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული კანონის მთავარ თეორეტიკოსად გვევლინება.

The theoretical conceptualization of Romanticism as a literary movement in nineteenth-century Georgian criticism effectively begins in the 1880s and 1890s. Although critics had been discussing the works of Alexander Chavchavadze, Grigol Orbeliani, and Nikoloz Baratashvili since the 1850s, they rarely employed the term “Romantic” in reference to these authors. The concept appears sporadically in Georgian periodicals of the 1860s (notably in the writings of Anton Purtseladze and Ilia Chavchavadze); however, it is primarily used in discussions of European and Russian literature.

In some instances, critics draw parallels between the works of Grigol Orbeliani and Nikoloz Baratashvili and those of well-known Romantic poets – such as Vasily Zhukovsky, Mikhail Lermontov, and George Gordon Byron – yet the term Romanticism itself remains unarticulated. The first critic to explicitly employ a definition of Romanticism and to address Georgian Romanticism as a coherent literary process was Kita Abashidze. He delineates the stages of its evolution in Georgian literature and examines the literary legacy of Georgian poets in relation to the thematic and aesthetic concerns of European Romanticism.

This paper highlights the historical and literary significance of Kita Abashidze’s views in the study of Georgian Romanticism, positioning him as a principal theorist of the nineteenth-century Georgian literary canon.

**მარინა ბერიძე**  
**Marina Beridze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

(საქართველო, Georgia)

**ზმნური ფორმანარმოების თავისებურებისათვის  
ინგილოურში (აქვს ზმნა და მისი რეფლექსები)**  
**For the Peculiarities of Verb Formation in Ingilo Georgian  
(Verb “akvs” (she/he/it has) and its Reflexes)**

**საკვანძო სიტყვები:** ზმნური ფორმანარმოება, ქახთუღი ენა,  
ინგილოური დიალექტი

**Keywords:** verb formation, Georgian language, Ingilo Georgian

**აქვს** ზმნა სტატიკურ ზმნათა ე.წ. ინვერსიულ ჰაგუფს მიეკუთვნება. ზმნის ფუძე ძველ ქართულში რამდენიმე ვარიანტით არის ნარმოდგენილი: -აქუ-, აქუნ-, ქონ-.

არნ. ჩიქობავამ, მე-10 საუკუნის ხელნაწერზე დაყრდნობით, გამოავლინა ამ ზმნის მანამდე უცნობი ფუძეები: აქუა და აქუან. მკვლევარმა ამ ზმნის და-დასტურებული 18 ფორმანარმოებითი შემთხვევის საფუძველზე აღადგინა პარადიგმა, რომელიც განსხვავდება „კლასიკური“ ძველი ქართულის პარა-დიგმისა და, რა თქმა უნდა, თანამედროვე ქართულისა და მისი დიალექტების მონაცემებისაგან.

ინგილოურში **აქვს** ზმნა რამდენიმე თავისებურებით გამოირჩევა. განსა-კუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ის მთლიანად იმეორებს არნ. ჩიქობავას მიერ მე-10 საუკუნისთვის აღდგენილ პარადიგმას. განსხვავებულია მხოლოდ უა(//ვა)ო პორცესი, რომელიც დიალექტში განუცდია ფორმას ფუძისეული წყვილბაგისმიერი თანხმოვნისა და სუფიქსისეული ხმოვნის შეხვედრისას და, აგრეთვე, დაკარგულია მესამე პირის ნიშანი და მრავლობითის მორფო-ლოგიურ ობიექტს ყევყევ ნაწილაკი დართვის.

უძველესი ქართული: მ-აქუ-ან-ნ, გ-აქუ-ან-ნ, აქუ-ან-ნ; გუ-აქუ-ან-ან, გ-ა-ქუ-ან-ან, აქუ-ან-ან...

ინგილოური: მ-აქონ (<მაქუ-ან), გ-აქონ, აქონ; გოქონ, გაქონ(ყ); აქონ(ყ).

ცნობილია, რომ აქვს ზმნაზე ზმნისწინის დართვისას მიიღება დინამი-კური ფორმები, რომლებიც აგრეთვე ინვერსიულებია.

ინგილოური აქაც გამოირჩევა ქართული ენის ყველა სხვა ქვესისტემის-გან და ზმნისწინიან ფორმებს სუბიექტური წყობისას ანარმოებს: მივაქომ // მივაქონ // მივაქ მე მას.

ამის მიზეზად ინვერსიული პარადიგმის „გასწორებას“ ასახელებენ.

მოხსენებაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ შესაძლოა აქვს ზმნას, მისი წყვეტილში მონაცვლე ღ-ებ // ხუ-ამ ფუძიან ზმნათა მსგავსად, ჰქონოდა პირ-დაპირი (სუბიექტური) წყობის ფორმებიც (შდრ.: აღ-ვ-ი-ქუ-ამ) ან „გაესწორე-ბინა“ პარადიგმა წყვეტილში გამოყენებული ზმნის კონსტრუქციის მიხედვით: ვიღებ მე მას (აწმყო) - ავიღე მე ის (უწყვ.) შდრ.: ინგ. ამაქ მე იმას - ოიღ მე ის.

ვფიქრობთ, ინგილოურის აღწერილი თავისებურების განხილვისას პარა-დიგმის „გასწორების“ ეს მიმართულება არ უნდა გამოვრიცხოთ, სახელდობრ, ვარაუდი იმისა, რომ ინვერსიულ ზმნათაგან ზმნისწინის დართვით მიღებული დინამიკური ფორმა სუბიექტურ წყობაზე გადასულიყო და, რაც მთავარია, სინტაქსური კონსტრუქციაც „გაენყო“ უწყვეტლის ჰაგუფის პარადიგმულ მო-დელტე.

მოხსენება ეყრდნობა ქართული დიალექტების, ძველი და ახალი ქართუ-ლის მონაცემებს, აგრეთვე, კრიტიკულად მიმოიხილავს სამეცნიერო ლიტე-რატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ თვალსაზრისებს.

The verb *akvs* ‘to have’ belongs to the so-called *inversive* group of stative verbs. In Old Georgian, the verbal stem is attested in several variants: -ak’u-, ak’un-, k’on-.

Based on a 10th-century manuscript, Arnold Chikobava identified previously unknown stems of this verb: ak’ua and ak’uan. On the basis of 18 attested formative instances of this verb, the scholar reconstructed a paradigm that differs from the “classical” Old Georgian paradigm and, naturally, from the data of Modern Georgian and its dialects.

In Ingilo Georgian, the verb *akvs* displays several distinctive features. Of particular importance is the fact that it fully reproduces the paradigm reconstructed by Arnold Chikobava for the 10th century. The only differences are the process ua (// va) > o, which the form has undergone in the dialect at the junction of a stem-final labio-velar consonant and a suffixal vowel, as well as the loss of the third-person marker and the attachment of the particle -q’e > -q’ to the morphological object of the plural.

Old Georgian:

m-ak’u-an-n, g-ak’u-an-n, ak’u-an-n;  
gu-ak’u-an-an, g-ak’u-an-an, ak’u-an-an ...

Ingilo Georgian:

m-akon (< *m-ak’u-an*), g-akon, akon;  
gokon, gakon(q’); akon(q’).

It is well known that when verbal prefixes are added to the verb *akvs*, dynamic forms are obtained, which are likewise *inversive*. Here again, Ingilo Georgian differs from all other subsystems of the Georgian language, producing prefixed forms in the subjective alignment:

mivak’om // mivak’on // mivak’ me mas ‘I bring it to him/her’.

This phenomenon is explained as a “levelling” of the *inversive* paradigm.

The paper advances the hypothesis that the verb *akvs*, like verbs with alternating stems y-eb // xu-am in the aorist, may once have possessed direct (subjective) alignment forms as well (cf. ay-v-i-k’u-am), or that it may have “levelled” its paradigm according to the verbal construction used in the aorist:

vigheb me mas ‘I take it’ (present) – avighe me is ‘I took it’ (aorist); cf. Ingilo amaq me imas – oiy me is.

We believe that, when considering the described feature of Ingilo Georgian, this direction of paradigm levelling should not be excluded – namely, the assumption that the dynamic form derived from *inversive* verbs by prefixation shifted to subjective alignment and, most importantly, that its syntactic construction was adjusted to the paradigmatic model of the non-*inversive* (continuous) group.

The paper is based on data from Georgian dialects, Old and Modern Georgian, and also offers a critical review of viewpoints expressed in the scholarly literature on this issue.

**თინათინ ბოლქვაძე**  
**Tinatin Bolkvadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**აკაკი შანიძის ენათმეცნიერული სკოლა და  
მზექალა შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა**  
**The Linguistic School of Akaki Shanidze and  
the Scientific Legacy of Mzekala Shanidze**

**საკვანძო სიტყვები:** აკაკი შანიძე, მზექალა შანიძე, ენათმეცნიერები, სკოლა,  
ენათმეცნიერების ისტორია

**Keywords:** Akaki Shanidze, Mzekala Shanidze, linguistic school, history of linguistics

პროექტი – „ენათმეცნიერული სკოლები მეოცე საუკუნის საქართველოში“ – მიზნად ისახავს სხვადასხვა ეპოქაში ენათმეცნიერების ისტორიის პვლევის მანძილზე გამოვლენილი მახასიათებლების მიხედვით საქართველოში ენათმეცნიერული სკოლების კლასიფიკაციას მათი კვლევის საგნის, მეთოდებისა და შედეგების მიხედვით.

მოხსენებაში წარმოდგენილია პროექტის ერთი ნაწილი, რომელიც ეხება აკად. აკავი შანიძის როლსა და მნიშვნელობას მეოცე საუკუნის საქართველოს ენათმეცნიერების ისტორიაში, კერძოდ, მის წვლილს ფართომასშტაბიანი ქართველოლოგიური კვლევების ორგანიზებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ქართული ენის თეორიული და პრაქტიკული გრამატიკის შექმნაში, ქართველური ენების შესწავლის, საქართველოსა და უცხოეთში გაფანტული ძველი ქართული წარწერებისა და ხელნაწერების შეგროვებისა და მათი კვლევის მიზნით სპეციალური ფილოლოგიური აპარატის შემუშავებაში ტექსტების ვარიანტების მიმართების დაგდენისა და სიმფონია-ლექსიკონების გამოცემისათვის.

მოხსენების მეორე ნაწილი ეხება აკად. მზექალა შანიძის ადგილსა და როლს აკავი შანიძის საენათმეცნიერო სკოლაში, მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის მნიშვნელობას ძველი ქართული ხელნაწერების, კერძოდ, ბიბლიური და ქართული ორიგინალური ისტორიული ტექსტების გამოცემასა და პვლევაში, ქართული ლინგვისტური აზრის ისტორიის შესწავლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

The project “Linguistic Schools in Twentieth-Century Georgia” aims to classify Georgian linguistic schools according to the topics, methods, and results of their research based on characteristics of different kinds of linguistic schools identified in the global history of linguistics in different periods.

This paper presents part of the project devoted to the role and significance of Academician Akaki Shanidze in the history of twentieth-century Georgian linguistics, in particular his contribution to the organization of large-scale Kartvelian studies at Tbilisi State University and the Georgian Academy of Sciences, the creation of a theoretical and practical grammar of the Georgian language, the study of Kartvelian languages, the collection and development of special philological tools for researching old Georgian inscriptions and manuscripts found in Georgia and abroad, the establishment of links between text variants, and the publication of symphonic dictionaries.

The second part of the report is devoted to the place and role of Academician Mzekala Shanidze in the linguistic school of Akaki Shanidze, the importance of her scientific heritage in the research and publication of old Georgian manuscripts, in particular biblical and original Georgian historical texts, as well as her role in the study of the history of Georgian linguistic thought at Tbilisi State University and the National Centre of Manuscripts.

**ალექსანდრე ბოშიშვილი**  
**Aleksandre Boshishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ლუარსაბ I (1527-1556), ბაგრატ III (1510-1565) და  
ლევანი (1518-1574) – საქართველოს საერთო  
ინტერესებისთვის მებრძოლი სამი მეფე  
Luarsab I (1527-1556), Bagrat III (1510-1565),  
and Levan (1518-1574) – Three Kings in a Struggle  
for Georgia's Common Interests**

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ღუახსაბ I, ბაგრატ III, ღევანი  
**Keywords:** Georgia, Luarsab I, Bagrat III, Levan

მოხსენებაში განხილული იქნება ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის, იმე-რეთის მეფე ბაგრატ III-ისა და კახეთის მეფე ლევანის ერთმანეთისგან გან-სხვავებული დამოკიდებულება საგარეო საფრთხეებთან მიმართებით. მათი მეფობის ძირითადი პერიოდი სპარსეთისა და ოსმალეთის 1514-1555 წლების ომს ემთხვევა. ძირითადი მოვლენები ვითარდება, როდესაც სპარსეთში შაპი იყო თამაზ I (1524-1576), ხოლო ოსმალეთს მართავდა სულთანი სულეიმან I კანუნი (1520-1566).

ორი იმპერიის დაპირისპირების პირობებში საქართველოს ტერიტორია ხშირად ხდებოდა ბრძოლის ასპარეზი. ჩვენი ქვეყნის ადამიანური და მატე-რიალური რესურსების გამოყენებას ორივე მხარე დიდი მონდომებით ცდი-ლობდა. ორივეს საქართველოს დაპყრობა სურდა. ასეთ ვითარებაში მოუწიათ მათ მეფობა.

ლუარსაბ I-მა თავისი მეფობის დიდი ნაწილი სპარსეთთან და ოსმალეთ-თან ბრძოლებში გაატარა. მეფის არჩევანი ასეთი იყო, რომ ან მსხვერპლის როლში აღმოჩნდებოდა, ან უნდა ებრძოლა და დაეცვა თავისი სამეფო და თავისი ბრძოლით სხვა ქართული სამეფო სამთავროებიც გადაერჩინა. რო-დესაც საგარეო ძალები უტევდნენ, ლუარსაბი მუდამ მზად იყო, ქართული სა-მეფო-სამთავროების ლაშქართან ერთად თავისი მხედრობით მათ გვერდით დამდგარიყო. ბაგრატ III ოსმალეთს უპირისპირდებოდა, მაგრამ სპარსეთთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა, რადგან ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძო-ლაში მოკავშირედ ესახებოდა. ლევანი ირივესთან ცდილობდა მშვიდობიანი პოლიტიკა ჰქონოდა. ოსმალეთი მას ვერ შეანუხებდა, მაგრამ მოახერხა და სპარსეთთან მიაღწია მშვიდობიან დამოკიდებულებას. ამით მან შეძლო კა-ხეთის სამეფოს ეკონომიკის მნიშვნელოვნად დაწინაურება და განვითარება.

ქართველი მეფეების ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება ორ და-მპყრობელ იმპერიასთან გვაფიქრებინებს, რომ ისინი ერთმანეთთან დაპი-რისპირებულიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ქართველ მეფეებს შორის და-პირისპირების დამადასტურებელი ფაქტები არ იძებნება. მოვლენების თან-მიმდევრობა იმას მიუთითებს, რომ სამივე მათგანს საერთო ინტერესი ამოძ-რავებდა. სავარაუდოდ, მათ შორის გარკვეული შეთანხმებაც არსებობდა. მეფეები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ისე ზარმართავდნენ თავიანთ პოლიტიკას, ეს კი, საბოლოო ჭამში, საერთო ინტერესს, ქართველი ხალხის გადარჩენასა და განვითარებას ემსახურებოდა.

The report will discuss the different attitudes of Luarsab I (King of Kartli), Bagrat III (King of Imereti) and Levan (King of Kakheti) towards external threats. The main period of their reign coincides with the war between Safavid Persia and the Ottoman Empire in 1514-1555. The main events take place when Tahmasp I (1524-

1576) was the Shah in Persia, and Suleiman the Lawgiver (1520-1566) was the Sultan in the Ottoman Empire.

In the conditions of the confrontation between the two empires, the territory of Georgia often became an arena of confrontation. Both sides tried with great determination to use the human and material resources of Georgia and wanted to conquer it. Hence, three Georgian kings had to reign in such circumstances.

Luarsab I spent a large part of his reign in war with Persia and the Ottoman Empire. The king's choice was to either find himself in the role of a victim, or to fight and defend his kingdom and save other Georgian principalities with his efforts. When foreign forces attacked, Luarsab was always ready to stand against them with his army together with other Georgian kingdoms and principalities. Bagrat III opposed the Ottomans, but maintained good relations with Persia, because he saw himself as an ally in the fight against the Ottomans. Levan tried to have a peaceful policy with both Empires. The Ottomans could not bother him, but he managed to achieve peaceful relations with Persia. In this way, he was able to significantly promote and develop the economy of the Kingdom of Kakheti.

Such a different attitude of the Georgian kings towards the two dominant empires give rise to the perception that they were at odds with each other. However, there is no evidence of any confrontation between these Georgian kings. The sequence of events suggests that all three of them were driven by a common interest. It can be assumed that a certain agreement was reached between them. Consequently, they acted and conducted a policy according to the agreement, which ultimately served the common interest, the survival and development of the Georgian people.

**იამზე გაგუა, ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე**  
**Iamze Gagua, Lela Chotalishvili, Nino Jorbenadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

(საქართველო, Georgia)

**მასალა: ჰომეროსის კადოსნური მცენარე და მისი  
შესაძლო ქართველური პარალელები**

**მასალა: Homer's Magical Plant and Its Possible Kartvelian  
Parallels**

**საკვანძო სიტყვები:** მასალა, მოღი, კიჩე, წინაბერებული სუბსტრატი, ქართველური ენები  
**Keywords:** მასალა, *moli*, *Circe*, pre-Greek substrate, Kartvelian languages

ჭადოსნური მცენარე მაღალი, რომელიც პომეროსის „ოდისეაშია“ მოხსენიებული, ბერძნულ ლიტერატურაში ჰაპაქსს წარმოადგენს. მოხსენებაში განხილულია მაღალ-ს კულტურულ-მითოლოგიური კონტექსტი და მისი შესაძლო კავშირი ქართველურ ლექსიკურ ერთეულებთან (მოღი, მოღოქი, ბოღოკი, ბაღბა), გაანალიზებულია მკვლევართა მიერ შემოთავაზებული წინაპერძნული სუბსტრატის ჰიპოთეზა.

როდესაც პომეროსი ე.ნ. „ღმერთების ენის“ რომელიმე ლექსემას ახსენებს, როგორც წესი, მის ეკვივალენტს გვთავაზობს „ადამიანურ ენაზე“ (ბერძნებისთვის ცნობილ სიტყვას), თუმცა მას ამგვარი განმარტების გარეშე გვხვდება. თანამედროვე ეტიმოლოგიური კვლევები მაღალ-სა და მასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებს (მაღალა - ნიოჩის სახეობა, მალახი / მილახი / მილახი - ბაღბა) მიაკუთვნებს წინაპერძნულ ლექსიკურ ფენას, რომელიც ბერძნულ ეტიმოლოგიას არ ექვემდებარება და მედიტერანული სუბსტრატის არსებობაზე მიუთითებს. რ. ბერეკესი აღადგენს სავარაუდო წინაპერძნულ არქეტიპს \*malwak\*.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა მოსაზრება მაღალ-სა და ქართული „მოლ“-ის შესაძლო კავშირის შესახებ. მკვლევართა ნაწილი სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ ჰიპოთეზის მიმართ, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ქართველურ ენებში აღნიშნული ფუძე პირველადი ერთიანობის დონეზე არ აღდგებოდა, თუმცა, სვანური შესატყვისის (მუედ / მეღუ) გამოვლენის შემდეგ, ჰ. ფენრიხმა საერთოქართველური არქეტიპი მოღ-შემოგვთავაზა. როგორც ჩანს, ლექსემა „მოლი“ უძველესი წარმომავლობისაა, რაც დასტურდება მისი ფართო გავრცელებით ქართულ ტოპონიმიკაში (მოღითი, სამოღეთი და სხვ.).

ამავე ლექსიკურ ჰავეს, სავარაუდოდ, მიეკუთვნება ძველ ბერძნულში დამოწმებული წინაპერძნული მალახი / მილახი / მილახი, რომლის ქართული შესატყვისი მოღოქი / მაღბი, შესაძლოა „ბოლოკის“ (*Raphanus spp.*) ფონეტიკური ვარიანტს წარმოადგენდეს. თავის მხრივ, „ბოლოკს“ საერთოკავკასიური წარმომავლობა აქვს, რასაც ადასტურებს შემდეგი ენობრივი პარალელები: ჩეჩნური ბოდაგ, ყარაჩაულ-ბალგარული ბეჭ, სური ბუღა / ბოღა, ყაბარდოული ბეღიგე, მეგრულ-ლაზური ბუღეკი, ჭანური ბუღუკი / ბუღეჭი და სვანური ბოღეკი.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მაღალ-სთან დაკავშირებული თითქმის ყველა ლექსიკური ერთეული აღნიშნავს სამკურნალო თვისების მქონე მცენარეს (ნივრის სახეობა - *Allium nigrum*, მოლოქი-ბალბა - *Malva rotundifolia*, ბოლოკი - *Raphanus spp.*), რომლებიც ფართოდაა გავრცელებული შავიზღვისპირეთში და გამოირჩევა მკვეთრი არომატითა თუ თერაპიულ-ჭადოსნური თვისებებით. აღნიშნული მახასიათებლები სრულად შეესაბამება მაღალ-ს, როგორც კირკეს ჭადოსნური წამლის (ფარმაკა) ანტიდოტის, ფუნქციას პომეროსის ეპოსში.

ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ სემანტიკური მსგავსება ერთობლიობაში მიუთითებს მასალა-ს შესაძლო კავშირზე კავკასიური ენების ლექსიკურ მასალასთან. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს კულტურულ-მითოლოგიური კონტექსტიც – კირკეს მითის გეოგრაფიული ლოკალიზაციის ორმაგი ტრადიცია, მისი გენეალოგიური კავშირი კოლხ აიეტთან და მედეასთან, რაც ბერძნულ-კოლხურ კულტურულ კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს.

The magical plant *μῶλυ*, mentioned in Homer's *Odyssey*, represents a *hapax legomenon* in Greek literature. This paper discusses the cultural and mythological context of *μῶλυ* and its possible connection with Kartvelian lexical units (*moli*, *moloki*, *boloķi*, *balba*). Furthermore, the paper analyzes the hypothesis of a pre-Greek substrate, as proposed by researchers.

When Homer mentions a word from the so-called 'language of the gods', he typically provides its equivalent in 'human language' (a lexical item known to the Greeks), whereas *μῶλυ* appears without such explanation. Contemporary etymological research attributes *μῶλυ* and related lexical items (*μωλύζα* – a species of garlic, *μαλάχη* / *μολόχη* / *μολάχη* – mallow) to a pre-Greek lexical stratum that does not yield to Greek etymology and points to the existence of a Mediterranean substrate. R. Beekes reconstructs a hypothetical pre-Greek archetype *\*mal<sup>w</sup>aḱ*

In Georgian scholarly literature, the possibility of a connection between *μῶλυ* and the Georgian word *moli* has been raised repeatedly. Some researchers approached this hypothesis with skepticism, arguing that this root could not be reconstructed at the level of primary unity across the Kartvelian languages. However, following the identification of the Svan equivalent (*muel* / *melu*), H. Fähnrich proposed a Common Kartvelian archetype *\*mol-*. It appears that *moli* is quite archaic, a fact confirmed by its wide distribution in toponymy (e.g., *Moliti*, *Samoleti*, etc.).

The same lexical group probably includes the pre-Greek *μαλάχη* / *μολόχη* / *μολάχη* attested in Ancient Greek, whose Georgian equivalent *moloki* / *maloqi* may be a phonetic variant of *boloķi* (*Raphanus* spp.). *Boloķi*, in turn, has a Common Caucasian origin, as evidenced by the following linguistic parallels: Chechen *bolag*, Karachay-Balkar *bəlž*, Ossetic *bulq* / *bolga*, Kabardian *belige*, Megrelian-Laz *buleķi*, Chan *buluķi* / *buleči*, and Svan *boleķi*.

Notably, almost all lexical items associated with *μῶλυ* denote plants with medicinal properties (a species of garlic – *Allium nigrum*, mallow – *Malva rotundifolia*, radish – *Raphanus* spp.) that are widespread in the Black Sea region and are characterized by strong aroma and therapeutic-magical properties. These characteristics fully correspond to the function of *μῶλυ* as an antidote to Circe's magical drug (*φάρμακα*) in Homer's epic.

The phonetic, morphological, and semantic similarities collectively suggest a possible connection between  $\mu\tilde{\omega}\lambda u$  and lexical material from Caucasian languages. This hypothesis is reinforced by the cultural-mythological context – the dual tradition of geographical localization of the Circe myth, her genealogical connection with the Colchian Aeëtes and Medea, which points to Greek-Colchian cultural contacts.

**ქეთევან გიგაშვილი  
Ketevan Gigashvili**

ინტერდისციპლინური პუმანიტარიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
Teaching-Research Institute for Interdisciplinary Humanities  
(საქართველო, Georgia)

**ლექსიკური ტრანსფორმაციები და მათი ფუნქცია  
ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ  
ტექსტებში („ევსტათის ცხოვრება და წამება“,  
„ბასილი კესარიელის ცხოვრება“)**

**Lexical Transformations and their Function in the  
Hagiographical Translations by Euthymius the Athonite  
("The Life and Martyrdom of Eustathius",  
"The Life of Basil the Great of Caesarea")**

**საკვანძო სიტყვები:** დექსიკური ტრანსფორმაცია, ნათარგმნი ჰაგიოგრაფია,  
ექვთიმე ათონელი, კულტურული იდენტობა

**Keywords:** Euthymius the Athonite, translated hagiography, lexical transformation,  
cultural identity

ექვთიმე ათონელის თარგმნის სტრატეგიების შესახებ არაერთი კვლევა არსებობს. შეფასებულია მისი როლი ქართული სასულიერო მწერლობისა და კულტურის განვითარების ისტორიაში, თუმცა ინტერესი მისი შემოქმედების მიმართ არ განელებულა. წინამდებარე მოხსენება ეძღვნება მისი თარგმნის ერთ კონკრეტულ ხერხს, ლექსიკურ ტრანსფორმაციებს – ისეთ სემანტიკურ გარდაქმნებს, რომლის შედეგადაც სათარგმნი ლექსიკური ერთეული იცვლის მნიშვნელობას მიმღები ენის ლექსიკურ თუ კულტურულ ნორმებთან შესაბა- მისობის უზრუნველსაყოფად.

კვლევის მიზანია ლექსიკური ტრანსფორმაციების ტიპოლოგიისა და ფუნქციის განსაზღვრა ორი პაგიოგრაფიული ძეგლის („ევსტათის ცხოვრება და ნამება“ და „ბასილი კესარიელის ცხოვრება“) მაგალითზე და იმ ენობრივი სტრატეგიების იდენტიფიცირება, რომლებსაც ექვთიმე მიმართავს ბერძნული მასალის თარგმნისას. ნაშრომის თეორიული ჩარჩო ეფუძნება თარგმა- ნობის გაზიარებულ მიდგომებს (Bassnett & Lefevere, 1998; Bassnett, 2002; Hung, 2005; Cronin, 2006; Gentzler, 2008, და სხვ.), რომლებიც თარგმანს გა- ნიხილავენ არა მნიშვნელობის მექანიკურ გადატანას ერთი ენიდან მეორეში, არამედ გააზრებულ კულტურულ მოქმედებას, რომლის დროსაც ტექსტი გა- დის დეკოდირებისა და ხელახალი კოდირების ეტაპებს სემანტიკურ და პრაგ- მატულ დონეებზე. კვლევაში გამოყენებულია პარალელური ტექსტოლოგიური ანალიზის მეთოდი: ბერძნული ორიგინალის, თხზულებათა ძირითადი ხელნა- წერებისა და მათი ნუსხების ურთიერთშედარება.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ექვთიმე ათონელი, კლება-მატების ხერხის გარდა, ფართოდ იყენებს ლექსიკური ტრანსფორმაციის სხვადასხვა ტიპს, როგორებიცაა: მნიშვნელობის კონკრეტიზაცია (მაგალითად, განსაცდე- ლისაა (πειρασμόν) > სატანკველისა); გაფართოება (მუხლი (γόνασι) > ფერწი), კონოტაციური თუ კონცეპტუალური მოდულაციები (მსახურად (ύπερεσίαν) > მახლობელად; სინანულისა (μετανοίας) > ნათლისა; მცველსა (φύλακα) > მლო- ცველსა); ლექსიკური ჩანაცვლება (ქრისტეს ბეჭედი (Χριστοῦ σφραγίδα) > ჰუ- არი) და სხვა. ნაშრომში გარკვეულია, თუ როგორ ცვლის ეს ტრანსფორმაცი- ები ტექსტის კონცეპტუალურ თუ კულტურულ-ეთიკურ აქცენტებს.

აღნიშნული სტრატეგიებით ექვთიმე ათონელი წარმოჩნდება, როგორც კულტურული შეამავალი ორ ქვეყანას შორის მე-10 საუკუნის ბოლოსა და მე-11 საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველო ინტენსიურად უერთდებოდა ბიზანტიურ კულტურულ-ინტელექტუალურ სივრცეს. ქართული ლიტერატურის ევროპეიზაციის საწყის საფეხურზე ის სამწიგნობრო ტრადიციაში ქმნის თა- რგმნის სრულიად ახალ ეტაპს, გზას უხსნის მოწინავე ბიზანტიურ ლიტერატუ- რულ და კულტურულ ნაკადებს და ფრთხილი ინტეგრაციის საფუძველზე ხელს უწყობს ქართული ლიტერატურული და კულტურული იდენტობის მოდელის ფორმირებას.

Numerous studies have examined the translation strategies employed by Euthymius the Athonite, and his contribution to the development of Georgian ecclesiastical literature and cultural history has been widely acknowledged. Nevertheless, scholarly interest in his work has remained strong. This paper examines a specific dimension of his translation practice – lexical transformations, understood as semantic shifts in which a translated lexical unit is modified in order to align with the lexical and cultural norms of the target language.

The aim of the study is to identify the typology and function of lexical transformations, and determine the language strategies employed by Euthymius in rendering the Greek material based on two hagiographical texts – “*The Life and Martyrdom of Eustathius*” and “*The Life of Basil the Great of Caesarea*”.

The theoretical framework draws upon widely accepted approaches in Translation Studies (Bassnett & Lefevere, 1998; Bassnett, 2002; Hung, 2005; Cronin, 2006; Gentzler, 2008), which view translation not as a mechanical transfer of meaning from one language to another but as a deliberate cultural act involving decoding and recoding processes on semantic and pragmatic levels. Methodologically, the study relies on parallel textual scholarship analysis – comparison of the Greek originals with the principal Georgian manuscripts and their textual witnesses.

The study demonstrates that, in addition to standard reduction and addition techniques, Euthymius employs a range of lexical transformations, including: specification (e.g., *განსაცდელისა* *gansacdelesai* ‘trial, temptation’ (πειρασμὸν) > *სატანჯველისა* *satanjvelisa* ‘suffering’); generalization (e.g., *მუხლი* *mukhli* ‘knee’ (γόνατι) > *ფერხი* *perkhi* ‘leg’), connotative or conceptual modulation (e.g., *მსახურად* *msakhurad* ‘as a servant’ (ὑπηρεσίᾳ) > *მახლობელად* *makhlobelad* ‘as a companion’; *სინანულისა* *sinanulisa* ‘of repentance’ (μετανοίας) > *ნათლისა* *nat-lisa* ‘of light’; *მცველისა* *mtsvelsa* ‘guardian’ (φύλακα) > *მლოცველისა* *mlotsvelsa* ‘prayer’), lexical substitution (e.g., *ქრისტეს* *ბეჭედი* *k'rist'es bechedi* ‘seal of Christ’ (Χριστοῦ σφραγίδα) > *ჯვარი* *jvari* ‘cross’). The work makes it clear how these transformations change the conceptual or cultural-ethical emphases of the text.

Using these strategies, Euthymius the Athonite appears as a cultural mediator between two countries at the turn of the 10th and 11th centuries, a period in which Georgia was increasingly integrating into the Byzantine intellectual and literary sphere. At the initial stage of the Europeanization of Georgian literature, he creates a completely new stage of translation in the literary tradition, paves the way for advanced Byzantine literary and cultural flows, and, based on careful integration, contributes to the formation of a model of Georgian literary and cultural identity.

**იოსტ გიპერტი  
Jost Gippert**

ხელნაწერთა კულტურების შემსწავლელი ცენტრი, ჰამბურგის უნივერსიტეტი  
Centre for the Study of Manuscript Cultures (CSMC), University of Hamburg  
(გერმანია, Germany)

**დაუთარიღებელი ხელნაწერების დათარიღება:  
პირველი ათასწლეულის ქართული კოდექსები**  
**Dating Undated Manuscripts: Georgian Codices  
of the First Millennium**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ხელნაწერები, ხანმეტი-ჰაემეტი,  
ჩარიოვანებონური გათარიღება

**Keywords:** *Georgian manuscripts, Khanmeti-Haemeti, radiocarbon dating*

ქართული მწიგნობრობის განვითარების ადრეული საუკუნეებიდან, კერძოდ კი, ე.წ. ხანმეტი და ჰაემეტი პერიოდებიდან, ხელნაწერები ძირითადად პალიმფსესტის სახითაა შემონახული და არცერთი მათგანი არ არის დათარიღებული, რის შედეგადაც წყაროებში ხანმეტი და ჰაემეტი ფორმების არსებობა დღემდე შესაძლო დათარიღების ერთადერთ საშუალებად რჩება. DeLiCaTe პროექტის (მწიგნობრობის განვითარება კავკასიის ტერიტორიებზე, ჰამბურგის უნივერსიტეტი) ფარგლებში და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ციურისის ფედერალური ტექნილოგიური ინსტიტუტთან (ETH) თანამშრომლობით, პირველად იქნა გამოყენებული რადიონახშირბადული ანალიზის მეთოდი ქართულ ხელნაწერთა უფრო მეტი სიზუსტით დასათარიღებლად. ამ მეთოდმა გასაოცარი შედეგები მოგვცა, რაც გვაიძულებს, ხელახლა გადავიაზროთ ქართული წიგნიერების განვითარების ცენტრალური საკითხი: უარი უნდა ვთქვათ იმ ვარაუდზე, რომ ჰაემეტი ფორმები ხანმეტურზე გვიანდელია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ცნობილი სინას ლექციონარი (MS 2058/1), ხანმეტი და ჰაემეტი ფორმების ნაზავით, რადიონახშირბადული მეთოდით 433-იდან 574 წლამდე უნდა შექმნილიყო და წინ უსწრებს წმინდა ხანმეტურ პალიმფსესტებს, როგორებიცაა თბილისის კოდექსები A-89 და A-844, რომლებიც 605-774 წლებში უნდა იყოს გადაწერილი. საანალიზო წარმოდგენილი ნიმუშებიდან, რომლებიც მოიცავდა თითქმის უცველა პალიმფსესტს ხელნაწერთა ცენტრიდან, ხანმეტი და/ან ჰაემეტი ფორმებით, უძველესი აღმოჩნდა H-999 პალიმფსესტის სახარების ნაწილი. იგი 411-538 წლებს შორის უნდა გადაწერილიყო. ჩემს პრეზენტაციაში შევაჯამებ რადიონახშირბადული ანალიზის შედეგებს და მოკლედ განვიხილავ მათ გავლენას ქართული მწიგნობრობის განვითარების ისტორიაზე.

From the first centuries of Georgian literacy, especially the so-called *khanmeti* and *haemeti* periods, manuscripts have mostly been preserved as palimpsests, and none of them is dated, thus leaving the very existence of *khanmeti* and *haemeti* forms as the only indication of possible datings. In the course of the DeLiCaTe project (*The Development of Literacy in the Caucasian Territories*, University of Hamburg) and in cooperation with the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, the University Library of Graz and the ETH Zurich, a first attempt has been undertaken to overcome the uncertainties of such datings by applying the method of radiocarbon analysis to undated Georgian manuscripts of the first millennium. The results are astonishing and force us to reconsider the development of Georgian literacy in a central point: the assumption that *haemeti* features indicate later dates than *khanmeti* features must be abandoned, given that the famous Sinai

Lectionary of Graz University Library (MS 2058/1) with its mixture of *khanmeti* and *haemeti* forms has now been dated between 433 and 574 CE, thus antedating purely *khanmeti* palimpsests like the Tbilisi codices A-89 and A-844, the radiocarbon dating of which is between 605 and 774. The oldest manuscript of the sample, which included nearly all palimpsests with *khanmeti* and/or *haemeti* features from the collection of the Kekelidze Centre, is the Gospels part of MS H-999, which ranges between 411 and 538. In my presentation, I will summarize the results together with a short discussion of their impact on the history of Georgian literacy.

**ქეთევან გოჩიტაშვილი, თამარ გითოლენდია**  
**Ketevan Gochitashvili, Tamar Gitolendia**

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი  
Business and Technology University  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Sokhumi State University  
(საქართველო, Georgia)

**მმართველის კულტის ფორმირების ენობრივი  
განზომილება ქართულში**  
**The Linguistic Dimension of the Formation  
of the Cult of the Ruler in Georgian**

**საკვანძო სიტყვები:** მმართველის კუდტი, ენა და იდეოდოგია, ენობრივი სტრატეგია  
**Keywords:** *cult of the ruler, language and ideology, linguistic strategy*

ენა მმართველის კულტის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს – აყალიბებს იდენტობას, ღირებულებებს, ხელს უწყობს იდეოლოგიისადმი ერთგულების განმტკიცებას, ხალხის შემგუებლობას მმართველის კულტთან და ზოგჯერ – ცრუშეფასებებსა და ცრულირებულებებსაც, რაც ერთიანი პოლიტიკის კონტექსტში იძენს მნიშვნელობას.

კვლევის აქტუალობა განისაზღვრება იმით, რომ იგი ენას წარმოაჩინს ენის სპეციფიკური გამოყენების გზით საზოგადოების იდენტობის განმამტკიცებელ, ადამიანის ემოციურ-კოგნიტურ მხარეზე გავლენის მომხდენ საშუალებად/ინსტრუმენტად; ხაზს უსვამს იდეოლოგიის გავრცელებაში ენობრივი განზომილების როლის ძირითადობას და გამოვეთს მოდელს ანალიზის, შეფასებისა და შემდგომი საჭიროებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნების კულტის საკითხთან, რაც დროთა განმავლობაში განაპირობებს ერის დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას მმართველისა და, ზოგადად, მმართველი კლასის მიმართ.

მოხსენების მიზანია ქართულ ენაში უმაღლესი საერო მმართველის კულტის ფორმირების ენობრივ-სტილისტური საშუალებების დადგენა და მონარქიიდან მოყოლებული საბჭოთა და დემოკრატიული სახელმწიფოს ლიდერების ჩათვლით, მმართველის კულტის ენობრივი განზომილებისა და იდეოლოგიური პროცესების ფორმაციების გამოვეთა.

საკითხის შესასწავლად გამოყენებულია კორპუსული კვლევისა და ანალიზის მეთოდები, კერძოდ, ქართული ენის ეროვნულ კორპუსსა და სხვა წყაროებში (როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართულიდან) შეგროვდა დასაკვირვებელი ცნებები და გაანალიზდა სტრუქტურული, სემანტიკური და სტილისტიკური თვალსაზრისებით.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ

- მმართველის პიროვნების კულტის შესაქმნელად, ერთგულების განსამტკიცებლად ან საპირისპირო შეფასების გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება სპეციფიკური ენა, ეპითეტები (ღმრთისმსახური მეფე...), მეტაფორები (თეთრი მელა...), ნეოლოგიზმები (ლენინიზმი, ზვიადისტი...), უარგონი, ტერმინოლოგია, სიმბოლოები, ალეგორიები, და ფრაზეოლოგიზმები;

- აქტიურად გამოიყენება ისეთ ცნებებზე აპელირება და მათი ხშირი გამეორება, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა საზოგადოებისათვის (გამარჯვება, ბედნიერი მომავალი...) და დაკავშირებულია მმართველის სახელთან;

- დამახასიათებელია კუთვნილებითი ნაცვალსახელების „ჩემი“/„ჩვენი“ გამოყენება მმართველისა და ადამიანის/საზოგადოების ერთიანობისა და ცრუერთიანობის საჩვენებლად;

- ასევე, საგანგებოდ არის შესწავლილი მმართველთა საკუთარი სახელებით (მათ შორის არაოფიციალური სახელით) მოხსენიება (განსაკუთრე-

ბით ბოლო წლების პოლიტიკურ დისკურსში) მმართველების მიმღებლობის, ერთიანობისა და მიმხრობის ხაზგასასმელად ან საპირისპირო მნიშვნელობით - უპატივცემულობის გამოსახატავად.

მოხსენებაში წარმოჩენილია ლინგვისტური განზომილების მნიშვნელოვანი როლი მმართველის კულტის ფორმირებაში და, თუ რა ზეგავლენას ახდენს ის ერის კოლექტიური ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

Language plays a crucial role in the formation of the cult of the ruler: it shapes identity and values, facilitates the consolidation of loyalty to ideology, promotes public accommodation to the ruler's cult, and at times fosters false judgments and distorted values – phenomena that gain particular significance within the context of a unified political agenda.

The relevance of this research lies in its approach to language as a means through which, via its specific patterns of use, social identity is reinforced and influence is exerted on the emotional and cognitive dimensions of individuals. It underscores the centrality of the linguistic dimension in the dissemination of ideology and outlines an analytical and evaluative framework for addressing issues related to the cult of personality. Over time, such processes contribute to the formation of societal attitudes toward the ruler and, more broadly, toward the ruling class as a whole.

The aim of the paper is to identify the linguistic and stylistic means through which the cult of the supreme secular ruler is formed in the Georgian language, and to trace the linguistic dimension of the ruler's cult and its ideological formations from the monarchy through Soviet leadership to leaders of the democratic state.

To investigate this issue, the study employs corpus-based research and analytical methods. Specifically, relevant concepts were collected from the Georgian National Corpus and other sources, encompassing both old and contemporary Georgian, and were analyzed from structural, semantic, and stylistic perspectives.

The findings of the study are as follows:

- To construct a ruler's cult of personality, to reinforce loyalty, or to convey an oppositional evaluation, specific linguistic resources are frequently employed, including epithets (e.g. *"the God-serving king"*), metaphors (e.g. *"the white fox"*), neologisms (e.g. *Leninism*, *Zviadist*), as well as jargon, terminology, symbols, allegories, and phraseological units;
- Frequent use or repetition of, concepts that hold particular significance for society (e.g. *victory*, *a happy future*), which are systematically associated with the name of the ruler;
- The use of possessive pronouns such as *"my"* and *"our"* is characteristic, serving to construct an image of unity – or pseudo-unity – between the ruler and the individual or society as a whole;

- Special attention is also given to references to rulers by their personal names, including informal or unofficial forms (especially in recent political discourse), either to emphasize accessibility, solidarity, and affiliation with the ruler, or, conversely, to convey disrespect or negative evaluation.

The paper highlights the significant role of the linguistic dimension in the formation of the ruler's cult and examines the influence it exerts on the shaping of a nation's collective character.

**ნინო გურჩიანი**  
**Nino Gurchiani**

საქართველოს საპატიოარქოს წმინდა ანდრია პირველნოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia  
(საქართველო, Georgia)

**რელიგიური პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში  
(XX საუკუნის 20-40-იანი ნლები)**  
**Religious Policy in Soviet Georgia (1920s-1940s)**

**საკვანძო სიტყვები:** საბჭოთა საქართველო, ქახთუღი მახთმაღილებელი ეკლესია,  
ათეიზმი, ეხმანუღი-ჩედიგიუჲი იდენტობა

**Keywords:** Soviet Georgia, Georgian Orthodox Church, atheism, national-religious identity

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოში მრავალი საკითხი დადგა ეჭვებეშ. ბოლშევიკთა ლიდერები, რომელთა პოლიტიკური მოწამსი და მოქმედების თავისებურებანი მკვეთრად ემიჭნებოდა აქამდე არსებულ ყველა პოლიტიკურ ძალებს, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იძულებით შესულ ყველა სახელმწიფო ერთეულს განსხვავებულ პირობებში აყენებდნენ. რუსეთის კომუნისტური მთავრობის კურსი ერთიანი, ძლიერი, მთლიანი სახელმწიფოს მშენებლობის გზას დაადგა. ამავე დროს, კომუნისტებმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს ყველა ძველ სტერეოტიპს, ახალ გაერთიანებაში შესულ ერებს მრავალ ღირებულებებზე მოუწევდათ უარის თქმა, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნულ-რელიგიური მრნამსი იყო. აღნიშნული პირობა ხომ კომუნისტური და ბოლშევიკური რუსეთის ძირითადი და განუხრელი მიმართულება გახლდათ.

საბჭოთა ხელისუფლება, ათეოიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, აშკარად უპირისპირდებოდა ეკლესიას, სახელმწიფო რელიგიას ადგილს არ უტოვებდა და ცდილობდა ყოველმხრივ მის შევიწროვებას. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა რელიგიის როლის შემცირებას ანტირელიგიური კანონების გამოცემით. უარყვეს რა რელიგია და რწმენა, კომუნისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თვით კომუნიზმია არა მხოლოდ იდეოლოგია, არამედ რწმენის ახალი, რეალური სახეობა. მათივე თქმით, იყო კომუნისტი, ნიშნავს გრამდეს ახალი მიმდინარეობის, რომელიც ახალ საზოგადოებას გარკვეული რწმენის საფუძველზე აყალიბებს. სახელმწიფოში მიმდინარე პროცესები პირდაპირ აისახებოდა საეკლესიო ცხოვრებაზეც.

რუსული კოლონიური მმართველობის დროს დაკარგული ავტოკეფალიის აღდგენისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგიების ნაწილობრივ დაბრუნების შემდეგ, სწორედაც რომ სოციალისტური იდეებით ნაკვებმა ქართველმა მენშევიკებმა ვერ განსაზღვრეს ქრისტიანობის როლი ერის სინამდვილეში და ხისტი პოლიტიკით უდიდესი ზიანი მიაყენეს მას. რაოდენ გასაკვირი უნდა იყოს, ბოლშევიკური პერიოდის საქართველოში ხელისუფლების მხრიდან წარმოებული ანტირელიგიური კამპანიისას ქართული სამღვდელოება, რომელიც მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მრევლში, დამოუკიდებლობის იდეების გარდა, ქრისტიანული ფასეულობებიდან გამომდინარე, მაღალზნეობრივი მოწოდებებით გამოდიოდა, მენშევიკური მთავრობის ლიდერთათვის მაინც მოწინააღმდეგე მხარეს აღმოჩნდა.

With the establishment of Soviet authority in Georgia, numerous issues immediately came under question. The Bolshevik leaders, whose political ideology and methods of action sharply diverged from all previously existing political forces, placed every state entity forcibly incorporated into the Soviet Union under distinct conditions. The course of the Russian Communist government was aimed at build-

ing a unified, strong, and indivisible state. At the same time, the Communists openly challenged all old stereotypes, and the nations incorporated into the new union were compelled to renounce many of their values, the most significant of which was their national-religious faith. This condition represented the fundamental and unwavering policy of Communist and Bolshevik Russia.

Based on the principles of atheism, the Soviet authorities explicitly opposed the Church, left no place for a state religion, and sought to suppress it in every possible way. The regime attempted to diminish the role of religion through the enactment of anti-religious laws. Having rejected religion and faith, the Communists concluded that Communism itself was not merely an ideology but a new, tangible form of belief. According to their doctrine, being a Communist meant believing in a new movement that would shape society based on a specific form of faith. These processes within the state directly impacted ecclesiastical life.

After the restoration of autocephaly, lost during Russian colonial rule, and the partial reinstatement of privileges to the Georgian Orthodox Church, it was the Georgian Mensheviks – imbued with socialist ideals – who failed to define the role of Christianity within national life and inflicted significant harm through their harsh policies. Paradoxically, during the Bolshevik period in Georgia, the anti-religious campaign undertaken by the authorities rendered the Georgian clergy – who throughout their existence had promoted not only national independence but also high moral values derived from Christian teachings – as adversaries in the eyes of the Menshevik government's leaders.

**ირინე დემეტრაძე  
Irine Demetradze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენების  
რამდენიმე საინტერესო შემთხვევა ინგლისური და  
ქართული ენების მაგალითზე**

**Several Interesting Cases of the Use of Possessive  
Pronouns in English and Georgian**

**საკვანძო სიტყვები:** კუთვნილებითი ნაცვალსახელი, სამეტყველო ეტიკეტი,  
შორისებური

**Keywords:** possessive pronoun, speech etiquette, interjection

საყოველთაოდ ცნობილი განმარტების მიხედვით, კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოხატავს კუთვნილებას. იგი დგას არსებითი სახელის წინ და პასუხობს კითხვებზე: „ვისი?“ ან „რისი?“. მოხსენების მიზანია შეისწავლოს კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენების რამდენიმე საინტერესო შემთხვევა ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე საკვლევ ენაში კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენება მრავალფუნქციურია. ისინი მხოლოდ კუთვნილებას არ გამოხატავენ და ხშირად ასრულებენ პრაგმატულ, ეტიკეტურ და სტილისტურ ფუნქციებსაც.

სამეტყველო ეტიკეტში კუთვნილებითი ნაცვალსახელების მნიშვნელოვანი როლი, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მიმართვის ფორმებში.

მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელის შემცველი ფორმულები – Your Honour; Your Majesty და სხვა – არის არა პირდაპირი კუთვნილების გამომხატველი ფრაზები, არამედ ოფიციალური ეტიკეტური მიმართვის ფორმებია.

მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ეტიკეტური გამოყენების კიდევ ერთი შემთხვევაა წერილების დაბოლოება სიტყვებით "Yours sincerely" (გულწრფელად თქვენი), "Yours truly" (ჭეშმარიტად თქვენი) და "Yours faithfully" (ერთგულად თქვენი). ეს ფრაზები ინგლისური მიმოწერის ეტიკეტში მეთვრამეტე საუკუნიდან დამკვიდრდა და ხაზს უსვამს გულწრფელ, ნამდვილ პატივისცემას, ემსახურება კეთილგანწყობას და ურთიერთნდობას.

რაც შეეხება არაოფიციალურ მიმართვის ფორმებს, აქ უხვად გამოიყენება პირველი პირის ნაცვალსახელი, რაც მოსაუბრის მიერ ადრესატის მიმართ სითბოსა და სიახლოვის გამოხატვას ემსახურება. მაგ., ინგლისური "My dear", "My darling", "My beloved", "My only one". პირველი პირის ნაცვალსახელი წოდებით ბრუნვაში – „ჩემო“ – გაცილებით უხვადაა ნარმოდგენილი ქართული მიმართვის ფორმებში: „ჩემო ბატონო“, „ჩემო ძვირფასო“, „ჩემო კარგო“, „ჩემო ოქრო“, „ჩემო ლამაზო“ და უამრავი სხვა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კუთვნილებითი ნაცვალსახელების ემოციურ-ექსპრესიული გამოყენება. ორივე საკვლევ ენაში პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ხშირად გვევლინება შორისდებულის ფუნქციით.

კვლევამ აჩვენა, რომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები ორივე საკვლევ ენაში ხაზს უსვამს სიციალურ სიახლოვეს ან დისტანციას, ქმნიან ემოციურ ტონს, გამოხატავენ სითბოს ან აგრესიას, ასრულებენ თავაზიანობისა და ურთიერთობის მართვის ფუნქციებს.

According to the generally accepted definition, a possessive pronoun expresses possession. It precedes a noun and answers the question “whose?” The aim of the paper is to examine several interesting cases of the use of possessive pronouns on the examples from English and Georgian.

It should be noted that in both languages under study the use of possessive pronouns is multifunctional. They do not express possession alone and often perform pragmatic, etiquette-related and stylistic functions as well.

In speech etiquette, the important role of possessive pronouns is manifested in the forms of address.

Formulas containing the second-person possessive pronoun, such as *Your Honour*, *Your Majesty* and others, are not phrases expressing direct possession, but rather forms of formal, etiquette-based address.

Another case of the etiquette use of the second-person possessive pronoun is found in the closing formulas of letters: *Yours sincerely*, *Yours truly*, *Yours faithfully*. These phrases became established in English correspondence etiquette in the eighteenth century. They emphasize sincere, genuine respect, good will and mutual trust.

As for informal forms of address, the first-person possessive pronoun is widely used here, serving to express warmth and closeness toward the addressee. For example, English: *My dear*, *My darling*, *My beloved*, *My only one*. The first-person possessive pronoun in the vocative case – ჩემ /chemo/ (“my”) – is widely represented in Georgian forms of address: ჩემ ბატონ /chemo batono/ (*Mister*), ჩემ ძვირფას /chemo dzvirpaso/ (“my dear”), ჩემ კარგ /chemo kargo/ (“my good one”), ჩემ ოქრო /chemo okro/ (“my gold”), ჩემ ლამაზ /chemo lamazo/ (“my beautiful one”) etc.

The emotional and expressive use of possessive pronouns deserves special mention. In both languages under analysis, first- and second-person possessive pronouns often function as interjections.

Research has proved that possessive pronouns emphasize social closeness or distance, create an emotional tone, express warmth or aggression and perform functions of politeness in interaction.

თამარ დოლიძე

Tamar Dolidze

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

Georgian National Academy of Sciences

(საქართველო, Georgia)

უძველეს კულტურათა პარალელები ქრისტიანული და  
არქეტიპული პლასტების მიხედვით

**Parallels of Ancient Cultures According to Christian and  
Archetypal Layers**

**საკვანძო სიტყვები:** გეოპოლიტიკური მდებარეობა, ავთენტური კულტურები,  
პოლიტიკური მდებარეობა, რელიგიური მდებარეობა

**Keywords:** geopolitical location, authentic cultures, polytheism, rituals

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მოყოლებული მრავალმა რელიგიამ იჩინა თავი, რაც განაპირობა ქვეყნის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ.

კულტურული მეხსიერებიდან ბევრი რამ საყურადღებო და, შეიძლება ითქვას, ახლად აღმოსაჩენიცაა. ვფიქრობთ, გენეტიკური კავშირის ძიება კავკასიის ტერიტორიაზე (და არამარტო) მაცხოვრებელთა ტრადიციული, ავთენტური კულტურების წიაღშიც საინტერესოა. ალბათ, არსებობდა გარკვეული მსგავსი წინასახეები, რომელმაც განაპირობეს რიტუალების კონკრეტული ბუნება, რომელთაც დღეს ბევრი ქვეყნისთვის ეროვნული ფასეულობა გააჩნიათ.

ქართველი ხალხის კულტურის მიმართ დიდი ინტერესი ჰერ კიდევ ქართული წარმართობისდროინდელი ხანითაა განპირობებული. ხშირად ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებსა თუ წეს-ჩვეულებებს ბერძნულ-რომაული და ქანაანურ-მესოპოტამიური პოლითეიზმი და რიტუალები ერთვოდა თან. პრეისტორიული ხანის საქართველოში მცხოვრები ადამიანი იყო *Homo religious* (ადამიანი რელიგიური მსოფლმხედველობით). ამ პერიოდისაა არქეოლოგიური მასალებით დადასტურებული მიცვალებულთა დაკრძალვისა და მათვის ნივთების ჩატანების ფაქტები (გავიხსენოთ ძალისის მე-3 საუკუნის მოზაიკა, რომელზეც გამოსახულია დიონისე და არიადნე).

Since ancient times, many religions have appeared on the territory of Georgia, which was determined by its geopolitical location.

Much of the cultural memory is noteworthy and, one might say, newly discovered. We think that the search for genetic connections in the traditional, authentic cultures of the inhabitants of the Caucasus (and not only) is also interesting. Perhaps there were certain similar prototypes that determined the specific nature of the rituals, which today have national value for many countries.

The great interest in the culture of the Georgian people is still due to the era of Georgian paganism. Often, local beliefs, ideas or customs were combined with Greco-Roman and Canaanite-Mesopotamian polytheism and rituals. The prehistoric man living in Georgia was *Homo religious* (a man with a religious worldview). It is from this period that archaeological materials confirm the facts of burial of the dead and the bringing of objects for them (let us recall the 3rd century mosaic of Dzalis, which depicts Dionysus and Ariadne).

**ნათია დუნდუა**

**Natia Dundua**

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

(საქართველო, Georgia)

**ქართული ხელნაწერების ინტეგრირება გოტინგენის  
ბერძნული ფსალმუნნის კრიტიკულ გამოცემაში**  
**Integration of the Georgian Manuscripts in the Göttingen  
Editio Critica Maior of the Greek Psalter**

**საკვანძო სიტყვები:** ფსალმუნნი, ხელნაწერები, გოტინგენის კრიტიკული გამოცემა,  
ერექტინგული გამოცემა

**Keywords:** *psalter, manuscripts, Göttingen Editio Critica Maior, electronic edition*

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ამბავი იმისა, თუ ქართული ფსალმუნი, „ეს უძველესი მოწმე ქართული ენის ისტორიისა“, როგორ უწყობს ფეხს მსოფლიოს თანამედროვე გამოწვევებს და გადაინაცვლებს ხელნაწერებიდან დიგიტალურ სამყაროში.

გოტინგენის *Editio Critica Maior* (ECM) არის ფუნდამენტური სამეცნიერო პროექტი, რომლის ფარგლებშიც მზადდება სეპტუაგინტას კრიტიკული გამოცემები ყველა შემორჩენილი ტექსტუალური წყაროს – ბერძნული, კოპტური, სირიული, სომხური, ქართული და სხვა – საფუძველზე.

გოტინგენის ფსალმუნთა წიგნის ახალი პროექტი მიზნად ისახავს ბერძნული ფსალმუნთას ტექსტის ისტორიის შესწავლას და სეპტუაგინტას ფსალმუნთა და გალობათა ახალი კრიტიკული გამოცემის მომზადებას, რომელიც ჩაანაცვლებს ალფრედ რალფის 1931 წლის უკვე მოძველებულ გამოცემას. საბოლოო ფამში, კრიტიკულად რეკონსტრუირებული ტექსტი გამოქვეყნდება ჰიბრიდული გამოცემის სახით – როგორც ბეჭდური, ასევე ონლაინვერსიით.

ფსალმუნების *Editio Critica Maior*-ისთვის გოტინგენის გუნდი იყენებს სპეციალურ ციფრულ პლატფორმას, რომელიც შექმნილია ხელნაწერების ფოტოების კოდიკოლოგიური აღწერილობისა და პალეოგრაფიული დოკუმენტაციისთვის. ონლაინტრანსკრიფციის რედაქტორი (OTE), რომელიც შემუშავებულია კოლაბორაციული სამუშაო სივრცის რედაქტირების პროექტის ფარგლებში, ემსახურება მთავარ სამუშაო გარემოს და არის ღიად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ამჟამად აღნიშნულ პლატფორმაზე მუშავდება ქართული ფსალმუნების ხელნაწერები – A-38, Sin. 22 და Jer. 161, ასევე შატბერდის კრებულის (S-1141) ნაწილი, რომელშიც დაცულია თეოდორიტე კვირელის ფსალმუნთა კომენტარები. მათი ციფრული ფოტოები, ტრანსკრიფციები და მეტამონაცემები მაღელიდან იქნება ხელმისაწვდომი გოტინგენის ვებსაიტზე, რაც ქართულ ბიბლიურ მემკვიდრეობას სეპტუაგინტას კვლევის გლობალურ სფეროში მოაქცევს.

The presentation examines how the Georgian Psalms – “this ancient witness to the history of the Georgian language” – are responding to contemporary challenges and shifting from manuscript tradition to the digital age.

The Göttingen *Editio Critica Maior* (ECM) is a monumental scholarly enterprise dedicated to producing critical editions of all the books of the Septuagint, drawing on every surviving textual witness – Greek, Coptic, Syriac, Armenian, Georgian, and others. The new Psalter project in Göttingen aims to investigate the tradition and textual history of the Greek Psalter and to prepare a new critical edition of the Septuagint Psalms and Odes for the Göttingen series, replacing Alfred Rahlfs's now-outdated 1931 edition. Ultimately, the critically reconstructed text will be published as a hybrid edition, both in print and online.

For the *Editio Critica Maior* of the Psalms, the Göttingen team employs a specialized digital platform designed for codicological description, palaeographic documentation, and collation. The Online Transcription Editor (OTE), developed as part of the collaborative Workspace for Collaborative Editing project, serves as the main working environment and is available as open-source software.

A selection of Georgian Psalms manuscripts – among them A-38, Sinai 22, and Jerusalem 161, as well as a portion of the Shatberdi Codex (S-1141) preserving Theodoret of Cyrrhus's *Commentary on the Psalms* – is currently being processed on this platform. Their digital images, transcriptions, and metadata will soon be openly accessible on the Göttingen website, bringing the Georgian biblical heritage into the global sphere of Septuagint scholarship.

**ეკა დუღაშვილი  
Eka Dughashvili**

საქართველოს საპატიოარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia  
კორწელი კაპელინის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts  
(საქართველო, Georgia)

**ქართული-ბერძნული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის  
კოლექციიდან: ტექსტოლოგიური და კოდიკოლოგიური  
ანალიზი: ქართული და ბერძნული ტექსტების  
მნიშვნელობა**

**The Georgian-Greek Manuscript from the Saint Petersburg  
Collection: Textological and Codicological Analysis and the  
Significance of the Georgian and Greek Texts**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ხელნაწერები, ბერძნული ტექსტები, გიატესახონი,  
კოდიკოლოგია, პიმნოგაფია

**Keywords:** *Georgian manuscripts, Greek texts, Diatessaron, codicology, hymnography*

წარმოდგენილი კვლევა ეხება XV საუკუნის ქართულ-ბერძნული ხელნაწერის №0.1.58 კომპლექსურ ტექსტოლოგიურ, კოდიკოლოგიურ და ლინგვისტურ შესწავლას. ეს ხელნაწერი წარმოაჩენს ქართულ და ბერძნულ ტექსტთა მრავალფეროვან და მაღალი კულტურული სინთეზის მქონე ერთიანობას. კრებული მოიცავს სახარების საკითხთავებს, ჰიმნოგრაფიულ და ლოცვით ტექსტებს, აპოკრიფულ მასალას, მენოლოგიონის ტექსტებს, აგრეთვე, მრავალ ბერძნულ ეპიგრამას. ტექსტებს ახლავს დაახლოებით 700 მინიატიურა, რომელთა მხატვრული მრავალფეროვნება ასახავს როგორც ათონის წმინდა მთის სკოლების, ასევე სამცხე-საათაბაგოს სკრიპტორიუმის სტილურ გავლენებს.

ხელნაწერის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს სახარების საკითხთავების დიატესარონის ტიპის ქართული ვერსიის გამოვლენა, რომელიც აქამდე უცნობი იყო ქართულ ტექსტოლოგიაში. მისი სტრუქტურული პარალელები განსაკუთრებით შეესაბამება არაბულ დიატესარონს, რაც შესაძლებელს ხდის, ვივარაუდოთ აღმოსავლურ-ქრისტიანულ გარემოსთან ინტელექტუალური კავშირები.

ბერძნული ტექსტები – მათ შორის, ლოცვები, ტროპარები, ეპიგრამები და ნიკოლოზ კალიკლეს პოეტური ჩანაწერები – წარმოადგენს პოსტბიზანტიური ბერძნული ენისა და ლიტერატურის საინტერესო მასალას. მათი ენობრივი და სტილისტური ანალიზი მიუთითებს გვიანი ბიზანტიური და ადრეპოსტბიზანტიური პერიოდის გარდამავალ ფორმებზე, რაც მნიშვნელოვანი წყაროა ბერძნულ-ქართულ სამწიგნობრო ურთიერთობათა შესასწავლად.

კალიგრაფიული ანალიზი, ორი ქართველი გადამწერის – ამბროსესა და აკაკის – ხელნაწერა, მიუთითებს ერთიან, მაღალი დონის სამცხეურ სკრიპტორიუმზე. კოდიკოლოგიური მონაცემები და XVII საუკუნის რესტავრაციის კვალი აყალიბებს ხელნაწერის მრავალსაფეხურიან ისტორიას.

№0.1.58 ხელნაწერი წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს, რომელიც ავსებს ქართულ ტექსტოლოგიურ მემკვიდრეობას და ავლენს ქართული და ბერძნული ტრადიციების უნიკალურ სინთეზს.

The present study undertakes a comprehensive textological, codicological, and linguistic analysis of the 15th-century Georgian-Greek manuscript №0.1.58. This manuscript represents a sophisticated synthesis of Georgian and Greek textual traditions, reflecting a high level of cultural and intellectual integration. The codex comprises Gospel lectionaries, hymnographic and liturgical texts, apocryphal materials, menologion entries, and a considerable number of Greek epigrams. Approximately 700 accompanying miniatures exhibit significant artistic diversity, re-

vealing stylistic influences both from the monastic schools of Mount Athos and the Samtskhe-Saatabago scriptorium.

A particularly noteworthy feature of the manuscript is the identification of a Georgian version of the Gospel lectionaries of the diatessaron type, previously unattested in Georgian textual studies. Its structural parallels with the Arabic Diatessaron suggest possible intellectual interactions with the broader Eastern Christian context.

The Greek textual components – including prayers, troparia, epigrams, and poetic entries by Nicholas Calicles – constitute an invaluable corpus for the study of post-Byzantine Greek language and literature. Linguistic and stylistic analyses reveal transitional features between the late Byzantine and early post-Byzantine periods, offering a crucial resource for investigating Greek-Georgian literary and cultural interrelations.

Paleographic examination, focusing on the hands of the two Georgian scribes, Ambrose and Akaki, attests to a unified, high-level Samtskhe scriptorium. Codicological data, alongside evidence of 17th-century restoration, underscore the manuscript's complex, multi-layered history.

Manuscript №01.58 thus emerges as a critical primary source that significantly enriches the Georgian textual tradition and exemplifies a unique synthesis of Georgian and Greek literary and cultural forms. Its study contributes not only to Georgian philology and codicology but also to the broader understanding of post-Byzantine textual transmission and intercultural intellectual networks.

**ლალი ეზუგბაია, მანანა ბუკია**

**Lali Ezugbaia, Manana Bukia**

თავისუფალი უნივერსიტეტი

Free University of Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

(საქართველო, Georgia)

**ლაზები და ლაზური აფხაზეთში**

**(ენობრივი ინტერფერენცია და თვითგამიჯვნა  
მეგრულთან მიმართებით )**

**Laz People and the Laz Language in Abkhazia**

**(Linguistic Interference and Self-Distinction in Relation to  
the Megrelian language)**

**საკვანძო სიტყვები:** დაზები, დაზური, მეგრული, აფხაზეთი

**Keywords:** Laz people, Laz language, Megrelian language, Abkhazia, interference

ლაზები აფხაზეთის ტერიტორიაზე ძირითადად მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩანან. მათი უმრავლესობა თურქეთის ლაზისტანიდან იყო მიგრირებული და უმეტესად ვაჭრობას, ზღვაოსნობას, მეთუთუნეობას მისდევდნენ. ისინი კომპაქტურად იყვნენ დასახლებული აბჟუის სოფლებში, ასევე გუმისთის, ეშერა-ცხარა-შუბარის ხეობაშიც. თედო სახოვია აღწერს დაბა ოჩამჩირის განაშენიანების პროცესს და მიუთითებს, რომ მე-19 ს-ის 90-იანი წლებისთვის ოჩამჩირეში ორივე სქესის 608 სული იყო, მათ შორის: 26 კომლი ლაზი, 3 - ბერძენი, 1 - სომეხი, 1 - პოლონელი, დანამჩენი - მეგრელები. ოჩამჩირელი ლაზების საქმიანობის გარდა მნერალი ყურადღებას ამახვილებს ოჩამჩირეში არსებულ ენობრივ ვითარებაზე: „სალაპარაკო ენა მეგრულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის. მეგრელებში (მეტადრე ვაჭრებში) ბევრია ბერძნული და თურქული ენების ზედმინევნით მცოდნენიცა“. შეიძლება ითქვას, რომ თურქეთიდან მიგრირებული ლაზების შემთხვევა უნიკალური მოვლენაა: თურქულ-ლაზური ბილინგვალი ოჩამჩირეში აღმოჩნდა, ერთი მხრივ, ქართველურ ენობრივ სივრცეში და, შეიძლება ითქვას, თანდათან იძენდა ლაზურ-მეგრული თუ ლაზურ-ქართული დიგლოსის ნიშნებს; მეორე მხრივ, გაჩნდა აფხაზურენოვან სივრცესთანაც შემხებლობა. შედეგად, ლაზურენოვანი კუნძულები აფხაზეთში წარმოადგენდა კომპლექსურ ენობრივ და კულტურულ ნაზავს, რომელშიც გამოიყოფოდა რამდენიმე ენობრივი და კულტურული პლასტი: თურქული (T), ლაზური (L), მეგრული (M), ქართული (K), აფხაზური (A). როგორც ოჩამჩირეში ირინე ასათიანის მიერ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ჩაწერილი მასალიდან ჩანს, ლაზები აკვირდებოდნენ ამ ვითარებას და ცდილობდნენ თვითიდენტიფიკაციას, თვითგამიჯვნას რამდენიმე მიმართულებით: ლაზურის კილოვავური განსხვავების მონიშვნით, მეგრულთან და ქართულთან განსხვავებულის მონიშვნით, თურქულთან სხვაობის მონიშვნით.

ცხადია, დაისმის საკითხი: ამგვარი ენობრივი პლასტები თუ ახასიათებდა მეგრულს, რადგან ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა მეგრულენოვანი იყო და როგორც ზემოთ დავიმონმეთ, ძირითადი საკომუნიკაციო საშუალება მაინც მეგრული ყოფილა. როგორც ირკვევა, ლაზების აბჟუაში ცხოვრებამ თავისი კვალი დაატყო ადგილობრივი მეგრელების მეტყველებას. ენობრივი ინტერფერენცია კარგად ჩანს ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ (2010). ლექსიკონი ძირითადად ეფუძნება აფხაზეთში (შუასოფელსა და სამურზაყანოში) მოძიებულ საველე მასალებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსიკონში დადასტურებული ლაზური სიტყვები, რომლებიც სოლი-დური რაოდენობითაა წარმოდგენილი.

მოხსენებაში შევეცდებით, ყურადღება გავამახვილოთ ლაზურ-მეგრულის ორმხრივი ენობრივი ინტერფერენციისა და თვითგამიჯვნის პროცესზე როგორც ი. ასათიანის ლაზური ტექსტების, ასევე ა. ქობალიას მეგრული ლექსიკონის საფუძველზე, რადგან აფხაზეთის ლაზების მეტყველების ბოლო დოკუმენტირება სწორედ მათ სახელს უკავშირდება.

Laz people began appearing on the territory of Abkhazia primarily from the 1870s. Most of them migrated from Lazistan, Turkey, and were mainly engaged in trade, seafaring, and tobacco farming. They settled compactly in the villages of Abzhua, as well as in the Gumista and Eshera-Tskhara-Shubara valleys.

While describing the development of the town of Ochamchire, Tedo Sakhokia notes that by the 1890s, there were 608 individuals of both sexes in Ochamchire, including: 26 Laz households, 3 Greek, 1 Armenian, 1 Polish, and the rest were Megrelians. Beyond the professional activities of the Laz people in Ochamchire, the author highlights the linguistic situation in the town: "The spoken language is Megrelian, though everyone also knows Georgian. Among the Megrelians (especially merchants), there are many people who have a thorough knowledge of the Greek and Turkish languages."

We might say that the case of the Laz population who migrated from Turkey is a unique phenomenon: Laz-Turkish bilinguals found themselves within a Kartvelian linguistic space in Ochamchire and, one could say, gradually acquired signs of Laz-Megrelian or Laz-Georgian diglossia. On the other hand, contact with the Abkhazian-speaking community also emerged. Consequently, the Laz-speaking "islands" in Abkhazia represented a complex linguistic and cultural blend, in which several linguistic and cultural layers could be identified: Turkish (T), Laz (L), Megrelian (M), Georgian (K), and Abkhazian (A). As evidenced by materials recorded in Ochamchire by Irine Asatiani in the 1960s, the Laz people observed this situation and attempted self-identification and self-distinction in several directions: by marking dialectal differences in the Laz language, and by marking differences from Megrelian, Georgian, and Turkish languages.

Evidently, the question arises as to whether such linguistic layers also characterized Megrelian, given that the majority of the local population was Megrelian-speaking and, as previously cited, Megrelian remained the primary medium of communication. The presence of the Laz population in Abzhua appears to have influenced the speech of the local Megrelian community. Linguistic interference is clearly visible in A. Kobalia's *The Megrelian Dictionary* (2010). The dictionary is primarily based on field materials gathered in Abkhazia (Shuasopeli and Samurzakano). Particular attention is drawn to the Laz words documented in the dictionary, which are present in significant numbers.

In this paper, we aim to focus on the process of mutual linguistic interference and self-distinction between Laz and Megrelian languages, based on both I. Asatiani's *Laz Texts* and A. Kobalia's *The Megrelian Dictionary*, as the final documentation of the speech of the Laz in Abkhazia is associated specifically with these works.

**ეკა ვარდოშვილი  
Eka Vardoshvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ლიტერატურული პარადიგმები  
ვაჟა-ფშაველას პოეზიაში  
Literary Paradigms in the Poetry of Vazha-Pshavela**

**საკვანძო სიტყვები:** XIX საუკუნე, პახადიგმები, მსოფლიო პოეზია  
**Keywords:** 19th century, paradigms, world poetry

ევროპული ლიტერატურული და სააზროვნო ტრადიციები არაერთგზის აისახა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. „ფარისის“ ლიტერატურულ პარადიგმას ვხვდებით ასევე ქართველი რეალისტი მწერლის ვაჟა-ფშაველას ლექსში „ლურჯა“. პოეტი მიმართავს თავის მერანს, რომ მასაც ადამიანივით პქონია გრძნობა. ნიავს ჰგავს მისი ქროლა, როდესაც ბარიდან მთებისაკენ მიქრის. კლდეებზეც მიქრის პოეტის რაში, უგზო გზას ჰკვალავს. პოეტს გულიდან დარდსა და ვარამს აშორებს. არწივის ფრთებს ასხამს პოეტის ფიქრებს მისი ქროლა. უდაბურ ადგილს აყვარებს პოეტს. შეუცნობ მხარეში მიაქროლებს მერანი თავის მხედარს, უმთვარო და უმზეო სივრცისაკენ.

„პლდეზედაც კარგა მიპფრინავ,  
უგზო გზასა ჰქმნი გზიანსა.  
გულით მაშორებ ვარამსა,  
ვარამსა ათასფრიანსა,  
არწივის ფრთეებს შეასხამ  
ჩემს ფიქრსა მრავალ-ფრთიანსა.  
მაყვარებ უდაბურს ადგილს...  
ადგილს უმთვაროს, უმზეოს,  
ჩვენ რომ ვეძახით მზიანსა“ (ვაჟა-ფშაველა, 1960: 56).

აქ სამყაროს შეცნობის ფასტური პარადიგმაც იკვეთება, რომ ადამიანის გონიერას არ შეუძლია ბოლომდე ჩასწდეს ბუნების კანონზომიერებებს. თავის ნაწარმოებებში ვაჟა-ფშაველამ მოახდინა ადრე არსებული ბუნების გაგების სინთეზი და ამავე დროს დაამკვიდრა ახალი იდეალები. ლექსი, რა თქმა უნდა, ეხმიანება ბარათაშვილის „მერანსაც“, დაწერილია 1890 წელს და მასში სიკეთისა და უსაზღვროებისკენ სწრაფვის იდეაა წარმოდგენილი, რომ გორც „ფარისის“ ციკლის სხვა ლექსებში.

ამდენად, საერთო ტენდენციები შეიძლება ახასიათებდეს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ პროცესებს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ან გავლენით, რომლებსაც საერთო ფასეულობები აქვთ და ამასთანავე, ერთი პოეტური სახე შეიძლება იქცეს ლიტერატურულ პარადიგმად.

The European literary and intellectual traditions were repeatedly depicted in Georgian literature of the 19th century. We also find the literary paradigm of “Faris” in the poem “Blue Horse” by the Georgian realist writer Vazha-Pshavela. The poet addresses his horse, attributing to it feelings akin to those of a human being. Its dash is like a breeze blowing from the lowlands towards the mountains. The poet’s horse rushes even over rocks, paving a new, untrodden road. It drives sorrow and grief from the poet’s heart. Its dash gives the poet’s thoughts eagle’s wings and

makes him fall in love with a deserted place. The horse carries its rider toward an unknown place, into a space without moon and sun.

In the poem Vazha-Pshavela writes:

“You fly well on the rocks too,  
You have an untrodden road.  
You keep me the grief away with your heart,  
Grief with thousand wings,  
You give the eagle’s wings  
To my thoughts, with many wings.  
You make me love a deserted place...  
A sunless and moonless place,  
That we call it the sunny” (Vazha-Pshavela).

Here the Faustian paradigm of understanding the world is revealed – the human mind cannot fully comprehend the laws of nature. In his works Vazha-Pshavela made synthesis of pre-existing understanding of the nature and, at the same time, he introduced new ideals. The poem, of course, also echoes “Merani” by Baratashvili. Written in 1890, it presents the idea of an aspiration toward goodness and infinity, much like the other poems of the “Faris” Cycle.

Thus, it can be said that common tendencies may be reflected in the literary processes of different peoples either independently of one another or under mutual influence; they may share common values and, at the same time, a single poetic image may become a literary paradigm.

**რუსუდან ზექალაშვილი  
Rusudan Zekalashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**მზექალა შანიძის ნაშრომი  
ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ  
Mzekala Shanidze's Study on the Language  
of Vazha-Pshavela**

**საკვანძო სიტყვები:** აკად. მზექალა შანიძე, მწერლის ენა, ვაჟა-ფშაველას ენის  
სპეციფიკა, ფშაველი კიღო, ძველი ქართულის ფორმები.

**Keywords:** Academician Mzekala Shanidze, authorial language, specificity of Vazha-Pshavela's language, Pshavian dialect, forms of Old Georgian

აკად. მზექალა შანიძის სამეცნიერო მოღვაწეობა მრავლისმომცველია. გარდა ძველი ქართული ხელნაწერების ტექსტოლოგიურ-ენობრივი კვლევებისა, საინტერესოა მისი ნაშრომები მწერლის ენისა და ახალი ქართულის ლექსიკის შესახებ. ყველა ეს გამოკვლევა გამოირჩევა ენათმეცნიერული პრობლემებისადმი ნოვატორული მიდგომითა და ხედვით, ანალიზის სიღრმითა და დამაკერებელი არგუმენტაციით.

ერთ-ერთი გამორჩეული ნაშრომია 2008 წელს ვიურცბურგში გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული წერილი „ვაჟა-ფშაველა და ქართული სალიტერატურო ენა“ (ხელახლა დაიბეჭდა 2021 წელს კრებულში), რომელშიც მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ვაჟას ენის გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებებზე, ფშაური დიალექტისა და ძველი ქართული ენის მიმართებაზე დიდი მნერლის ენაში.

გამოსაკვეთია რამდენიმე ასპექტი, რომელთა შესახებაც არის მსჯელობა დასახელებულ სტატიაში: ვაჟას ნაწარმოებებში გამოყენებული არქაიზმები (დაქმედა – დამშევა, როკვა – ცეკვა, კელობა – კოჭლობა, ყოტი – ბაყაყი...), ფშაური დიალექტური ლექსიკა (ბოჟირობს – ღელავს, ხმიანობს, დაიხულუნებს - ფრთებს შემოიკეცავს...), ფლორის, (დეკა, ღვია), ფაუნის, საბრძოლო ინვენტარის სახელები და სხვ.

ყურადღება გამახვილებულია მრავლობითი რიცხვის ნარიან ფორმათა სიქარბეზე (მათ შორის პირდაპირი იბიექტის აღმნიშვნელად), რასაც საინტერესო კოლორიტი შეაქვს ვაჟას პოეტურ ნაწარმოებებში; გამოყოფილია ხოლმეობითის ფორმები (პკრეფიდიან – კრეფდნენ ხოლმე), ორმაგი ბრუნების მაგალითები (დედისად – დედისთვის), მეშვეობმნიანი ნარმოება მეორე თურმეობითში (დასდევნებიყო – დასდევნებოდა), ა-ნაწილაკის გამოყენება კითხვით წინადადებაში, ე. წ. ლოკალური ბრუნვები (მინდორშით, სახლშით...), აწმყოსა და პირველი თურმეობითის -ავ თემისნიშნიანი ნარმოება (სცვავ – აცვია, გაგიზრდავ – გაგიზრდია).

მეცნიერს გამოყოფილი აქვს ვაჟასეული ოკაზიური ზმნები და ფრაზეოლოგიზმები: [სიცოცხლე] მეშავეთება (მეზარება, შავეთად მეჩვენება), დაისახლკარა (დაიდო ბინა), გამოვუთეთრე... ხელისგული მოუპოხა, ეშმაკის ცხენზე ჯდება, ეკლის ლოგინი დავიგე და სხვ.

მზ. შანიძე ხაზს უსვამს ვაჟას გამორჩეულ ადგილს ქართულ ლიტერატურში, მის თვითმყოფადობასა და მრავალმხრიობას, სტილის ბუნებრიობას. მოპყავს ვაჟასეული ციტატა 1912 წელს გამოქვეყნებული წერილიდან: „ენა ხალხის სულიერი ძალაა; როცა ენის ფესვი მიწაშია, მისი ტოტებიც ნაყოფს გამოიღებს“. ეს სიტყვები ასახავს ვაჟას მართებულ ენობრივ პოზიციას.

მზ. შანიძის დასახელებული წერილი კიდევ ერთხელ მოწმობს დიდი ლინგვისტის მრავალმხრივ ინტერესებზე, საინტერესო დასკვნებსა და მათს მნიშვნელობაზე ქართული ფილოლოგის წინაშე.

Academician Mzekala Shanidze's scholarly activity is remarkably wide-ranging. Alongside her textological and linguistic studies of Old Georgian manuscripts, her works on the language of individual writers and on the vocabulary of Modern Georgian are of particular interest. All of these studies are distinguished by an innovative approach to linguistic problems, depth of analysis, and well-founded argumentation.

One of her most notable works is the article “*Vazha-Pshavela and the Georgian Literary Language*” (“*Važa-Pšavela und die georgische Literatursprache*”), published in German in Würzburg in 2008 (reprinted in a collection in 2021). In this study, the author focuses on the grammatical and lexical features of Vazha-Pshavela's language, as well as on the relationship between the Pshavian dialect and the Old Georgian language in the linguistic practice of the great writer.

Several key aspects discussed in the article merit special attention: archaisms used in Vazha-Pshavela's works (e. g. *dakmeda* 'became weary', *rokva* 'dance', *ke-loba* 'lameness', *qoti* 'frog'), Pshavian dialectal vocabulary (e. g. *bozhirobs* 'worries, becomes agitated', *daikhuluznebs* 'folds its wings'), as well as terms related to flora and fauna, names of weapons and military equipment.

Particular emphasis is placed on the frequent use of plural forms with the suffix *-n* (including forms expressing the direct object), which add a distinctive coloring to poetic texts. The study also highlights iterative verbal forms (e. g. *hkrepdian* 'used to gather'), examples of double case forms, auxiliary verb constructions in the Present Indicative and Pluperfect (Second Resultative), the use of the particle *a-* in interrogative sentences, so-called local cases (*mindorshiit* 'in and from the field', *sakhshiit* 'in and from the house'), as well as present and first perfect forms marked by the *-av* thematic suffix.

The scholar identifies Vazha-Pshavela's occasional verbs and phraseological units, such as [*sitsotskhle*] *meshaveteba* ('to feel reluctance, it seems to me like the other world'), *daisakhlikara* ('to settle down'), and expressive idiomatic phrases characteristic of the writer's language.

Mzekala Shanidze emphasizes Vazha-Pshavela's exceptional place in Georgian literature, his originality, versatility, and the naturalness of his style. She cites Vazha-Pshavela's statement from an article published in 1912: “Language is the spiritual power of the people; when the root of a language is in the soil, its branches will also bear fruit.” These words aptly reflect the writer's sound linguistic stance.

Overall, this article by Mzekala Shanidze once again attests to the breadth of the great scholar's interests, the significance of her conclusions, and their importance for Georgian philology.

**ლერი თავაძე**

**Leri Tavadze**

ივანე თავაძიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

(საქართველო, Georgia)

**სამი ჰეგემონი და საქართველო: ბიზანტიის იმპერია,  
სასანური ირანი და დასავლეთ თურქთა ხაკანატი  
სამხრეთ კავკასიაში**

**Three Hegemons and Georgia: The Byzantine Empire,  
Sasanian Iran and the Western Türk Khaganate  
in the South Caucasus**

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ბიზანტია, ირანი, თურქთა ხაკანატი

**Keywords:** Georgia, Byzantium, Iran, Türk Khaganate

საქართველო ტრადიციულად ორი დიდი იმპერიის დაპირისპირების ობიექტი გახლდათ, ესენია: რომი და სპარსეთი. VI საუკუნის სამხრეთ კავკა-სიაში ეს ორი ცივილიზაცია ორი ძლიერი ქვეყნით არის წარმოდგენილი: 1. აღმოსავლეთ რომის იმპერია (ბიზანტია); 2. სასანური ირანი. VI-VII საუკუნეთა მიწნაზე მათ ემატება კიდევ ერთი ჰეგემონი, ევრაზიული სტეპის იმპერია.

შეუა აზიასა და ევროპის სტეპის სივრცეში წარმოქმნილი პირველი დიდი იმპერია, რომელსაც ინტერესი ჰქონდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, იყო თურქთა ხაკანატი. თურქთა ხაკანატის პირველი გამოჩენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში VI საუკუნის ბოლო მესამედში ხდება. თურქთა ხაკანატი მაღლე შევიდა კონკურენციაში ამიერკავკასიაში დამკვიდრებულ ზესახელმწიფოებთან.

თურქთა ხაკანატი ცენტრალური აზიასა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფლობაში სასანურ ირანს, ხოლო ბიზანტიას აღმოსავლეთ შავიზღვის-პირეთის კონტროლში ეცილებოდა. ეს დაპირისპირებები ერთდროულად არ მომხდარა. თურქთა ხაკანატი ჰქონ სასანური ირანის მოკავშირედ გამოდიოდა ჰეფთალიტთა სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ – ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. მოვიანებით, როდესაც თურქთა და ირანელთა შორის დიდი ომი გაჩადდა, ხაკანატი უკვე ბიზანტიის მხარეს გამოდის სპარსეთის დამარცხების მიზნით.

ირანის იმპერიამ თურქებს სერიოზული მარცხი აგემა, როდესაც თურქთა ჰარი გაანადგურა, რასაც მათი ხაკანის სიცოცხლეც კი შეენირა. ამ მარცხს იმდენად დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ თურქთა ეს სამხედრო წარუმატებლობა ქართულ წყაროებშიც აისახა. ჭუანშერის ცნობით, თურქთა მეფე საბა სპარსეთის გამოჩენილი სარდლის ბაჰრამ ჩუბინის წინააღმდეგ მიმდინარე სამხედრო კამპანიას შეენირა.

VII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიის ხელისუფლების სათავეში მოვიდა ენერგიული და წინადახედული სახელმწიფო მოღვაწე, იმპერატორი ჰერაკლე (610-641), რომელსაც ქართული და სომხური წყაროები ჰერაკლეს კეისრის სახელით იცნობენ. ჰერაკლე კეისარი ხვდებოდა, რომ სასანური ირანის დამარცხება მხოლოდ ბიზანტიისა და სამხრეთ კავკასიის ქრისტიანული ძალების გაერთიანებით გაუჭირდებოდა. ამდენად, ჰერაკლემ გადაწყვიტა დახმარებისთვის დასავლეთ თურქებისთვის მიემართა. ბიზანტიელთა, დასავლეთ თურქთა და ამიერკავკასიის ქრისტიანთა კავშირი, სადაც ქართლის, ეგრისისა და აფხაზეთის ჰარიც იყო წარმოდგენილი, წარმატებული აღმოჩნდა – სასანური ირანი დამარცხდა და ის სამუდამოდ ჩამოშორდა საქართველოს პოლიტიკურ სარბიელს. დამარცხებული სასანიანთა დინასტიის მმართველობა სპარსეთში მაღლე ისლამური სახელმწიფოს სათავეში მყოფმა ხალიფამ ჩაანაცვლა. შესაბამისად, საქართველოში ირანის ნაცვლად მესამე ჰეგემონის რანგში არაბთა ხალიფატი ჩნდება.

Georgia was traditionally a contested territory between two major empires: Rome and Persia. In the sixth century, these two civilizations were represented in the South Caucasus by two formidable powers: The Eastern Roman Empire (Byzantium) and Sasanian Iran. At the turn of the sixth and seventh centuries, another major power emerged: the Eurasian Steppe Empire.

The first great empire that came out in Central Asia and the Eurasian Steppe, the one that had a vested interest in the South Caucasus, was the Türk Khaganate. The first appearance of the Türk Khaganate in the South Caucasus region occurred in the last third of the sixth century. The Türk Khaganate soon entered into competition with the superpowers established in Transcaucasia.

The Türk Khaganate competed with Sasanian Iran for control of Central Asia and Eastern Transcaucasia, and with Byzantium for control of the eastern Black Sea coast. These confrontations did not occur simultaneously. The Türk Khaganate initially served as an ally of the Sasanian Empire against the Hephthalites, and subsequently against the Byzantine Empire. Later, when a major war erupted between the Turks and the Iranians, the Khaganate sided with Byzantium in order to defeat Persia.

The Iranian Empire inflicted a serious defeat on the Turks, resulting in the collapse of their military forces and the death of their Khagan. The profound impact of this defeat resonated extensively, even finding expression in Georgian sources. According to Juansher, the Türk king Saba was killed in a military campaign against the prominent Persian commander Bahrām Čōbīn.

At the beginning of the seventh century, the Byzantine government was led by an energetic and prudent statesman, Emperor Heraclius (610-641), whom Georgian and Armenian sources recognize as Heraclius Caesar. Heraclius realized that he would not be able to defeat Sasanians only by uniting the Christian forces of Byzantium and the South Caucasus. Therefore, Heraclius decided to turn to the Western Turks for help. The alliance of the Byzantines, Western Turks, and Transcaucasian Christians – including the armies of Kartli, Egrisi, and Abkhazia – met with success, resulting in the defeat of Sasanian Iran. Sasanians were forever removed from the Georgian political arena. The rule of the defeated Sasanian dynasty in Persia was soon replaced by the Caliphate, an Islamic state. Accordingly, the Arab Caliphate emerged in Georgia as the third hegemon instead of Sasanian Iran.

**მანანა თანდაშვილი, მარიამ გობიანიძე**  
**Manana Tandashvili, Mariam Gobianidze**

ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი  
Goethe University Frankfurt  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(გერმანია, Germany; საქართველო, Georgia)

**აფორიზმების შეფასების მრავალდონიანი მოდელი  
დიგიტალურ რუსთველოლოგიაში**

**A Multilevel Model for the Evaluation of Aphorisms in Digital  
Rustvelology**

**საკვანძო სიტყვები:** რუსთველოლოგია, თარგმანმცოდნეობა, „ვეფხისტყაოსნის“  
თარგმანები, ინგლისური თარგმანები, გერმანული თარგმანები, აფორიზმები

**Keywords:** *Rustvelology, translation studies, translations of “The Knight in the Panther’s Skin”, English translations, German translations, aphorisms*

XXI საუკუნე ტექნოლოგიური ევოლუციის ეპოქაა. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია კვლევის თითქმის ყველა სფეროში უკვე არა მხოლოდ შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობაა. ჰუმანიტარულმა მეცნიერებებმაც მნიშვნელოვანი გარდატეხა განიცადა: ტრადიციული ტექსტოლოგიური, ფილოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომები ეტაპობრივად გადავიდა მონაცემთა ანალიზზე, კორპუსებს და დიგიტალური მეთოდებით კვლევებზე. ლიტერატურული ტექსტების, ავტორთა ენის, თარგმანების თუ ხელნაწერთა კვლევა სრულიად ახალ პერსპექტივას იძენს, რაც დიდ მონაცემთა დამუშავებით, სტრუქტურირებული ანოტაციებითა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით ხდება შესაძლებელი.

XXI საუკუნის ეროვნული მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონვევად მიიჩნევა დიგიტალური რუსთველოლოგის ჩამოყალიბება, რომელიც, ერთი მხრივ, მოითხოვს პოემის ხელნაწერებისა და თარგმანების მრავალენოვანი პარალელური კორპუსის შექმნას, მეორე მხრივ კი, რუსთველოლოგიაში ახალი მიმართულების განვითარებას, რომელიც ციფრულ ტექნოლოგიებში ტრადიციული მეთოდების ადაპტაციის შესაძლებლობას იძლევა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების ეკვივალენტობის კვლევის საკითხს, რადგან აფორისტული გამონათქვამები ტექსტის სემანტიკურ, კონცეპტუალურ და კულტუროლოგიურ ღერძს ქმნის.

„ვეფხისტყაოსნი“ აფორიზმების სიმრავლით გამორჩეული პოეტური ნაწარმოებია. ზ. გამსახურდია მიუთითებს: „რუსთაველი თავის ყოველ სტრიქონში აფორისტია და არა მხოლოდ პოემის იმ გამოთქმებში, რომელიც „აფორიზმების“ სახელით არიან ცნობილნი“ (გამსახურდია 1972:43). შესაბამისად, თარგმანების შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აფორისტული სტილის გადმომცემი ფორმულების ეკვივალენტობის საკითხს.

ანალიზისთვის შერჩეული ერთი აფორიზმის მაგალითზე (ზოგჯერ თქმა სჭობს ახა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების) მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება შერჩეული აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხი ინგლისური (მარკორი უორდროპი — 1912; ვენერა ურუშაძე — 1968; ლინ კოფინი — 2015)) და გერმანული (ჰუგო ჰუპერტი — 1955, ჰერმან ბუდენზიგი — 1976, მარი პრიტვიცი — 2011) თარგმანების მიხედვით.

კვლევის მეთოდოლოგიად აღებულია ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში შემუშავებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც აფორიზმების სტრუქტურულ, ლინგვისტურ და ლიგიკურ-პრაგმატულ ანალიზს ეყრდნობა.

წარმოდგენილი მასალის ანალიზმა აჩვენა ის განსხვავებები, რომელებიც დასტურდება საანალიზოდ შერჩეული აფორიზმის ინგლისურ და გერმანულ თარგმანებში. ეკვივალენტობის ინტერდისციპლინური ანალიზის ბაზაზე

დადგინდა ეკვივალენტობის ხარისხის გრადაციული სკალა, რომელიც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები წყარო ტექსტსა და თარგმანებში თვლადი ინდიკატორებისა და ლოგიკური ფორმულების გამოყენებით. აფორიზმების კვლევის ჩვენ მიერ წარმოდგენილი თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ანდაზების, გამოცანებისა და სხვა მყარი გამონათქვამების საანალიზოდ მრავალენოვან კორპუსებში.

The 21st century is the era of technological evolution. The integration of digital technologies into almost every field of research is no longer just an opportunity but a necessity. The humanities have also undergone a significant transformation: traditional textological, philological, and literary critical approaches have gradually changed towards data analysis, corpus-based, and digital research methods. The study of literary texts, authors' language, translations, and manuscripts acquires an entirely new perspective, which is made possible through big data processing, structured annotations, and the use of statistical methods.

One of the significant challenges for the 21st century national science is considered to be the establishment of Digital Rustvelology. This undertaking, on the one hand, requires the creation of a multilingual parallel corpus of the epic's manuscripts and translations and, on the other hand, the development of a new direction within Rustvelology which allows for the adaptation of traditional methods using digital technologies. From this perspective, the issue of researching the equivalence of the aphorisms in *The Knight in the Panther's Skin* holds a particularly important place, as the aphoristic expressions form the semantic, conceptual, and cultural centre of the text.

*The Knight in the Panther's Skin* is a poetic work distinguished by the abundance of its aphorisms. Z. Gamsakhurdia notes: "Rustaveli is an aphorist in every line and not only in those expressions of the epic that are known by the name 'aphorisms'" (Gamsakhurdia 1972:43). Consequently, the issue of the equivalence of the formulas conveying the aphoristic style is of great importance for the evaluation of the translations.

Based on the example of a single aphorism selected for analysis (zogžer tkma sžobs ara-tkmasa, zogžer tkmitac dašavdebis 'Sometimes speech is better than silence, sometimes even by speaking, one is hurt'), the research will address the issue of the equivalence of the selected aphorism in English (Marjory Wardrop – 1912; Venera Urushadze – 1968; Lyn Coffin – 2015) and German (Hugo Huppert – 1955; Hermann Buddensieg – 1976, Marie Prittowitz – 2011) translations.

The theoretical and methodological framework developed at the Institute for Empirical Linguistics, University of Frankfurt, which is based on the structural, lin-

guistic, and logical-pragmatic analysis of aphorisms, has been adopted as the research methodology.

The analysis of the presented material revealed the differences confirmed in the English and German translations of the selected aphorism. Based on the multi-layered analysis of equivalence, a graduated scale of equivalence degree was established, which allows for the objective evaluation of the aphorisms of *The Knight in the Panther's Skin* in the source text and its translations using logical formulas and countable indicators. The theoretical and methodological framework presented for the study of aphorisms can be successfully applied to the analysis of proverbs, riddles, and other fixed expressions in multilingual corpora.

**დარეჯან თვალთვაძე**  
**Darejan Tvaltvadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**„საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის  
ეფრემ მცირისეული რედაქციის ისტორიისათვის**  
**Towards the History of Ephrem the Minor's  
Redaction of the Old Georgian Translation of  
“The Acts of the Apostles”**

**საკვანძო სიტყვები:** ახადი აღთქმა, ახადი აღთქმის წიგნთა ძველი ქართული

თახმანები, „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თახმანი, ეფრემ მცირე

**Keywords:** *The New Testament, the old Georgian translations of the books of the New Testament, the old Georgian translation of “The Acts of the Apostles”, Ephrem the Minor*

„საქმე მოციქულთა“ ქართულ ენაზე ადრევე, სახარება-ოთხთავის თარგმნის ახლო ხანებში უნდა იყოს თარგმნილი. თუმცა ქართველი მწიგნობრები, ახალი აღთქმის სხვა წიგნების მსგავსად, მის ტექსტსაც თარგმანის სრულყოფისა და დედანთან დაახლოების მიზნით შემდგომშიც არაერთხელ მიბრუნებიან. თარგმანი წინაათონურ პერიოდში ძელი თარგმანების პარალელურად, უკვე არსებობდა „სახარება-ოთხთავისა“ და „სამოციქულოს“ გადამუშავებული ვერსიები. მე-11 საუკუნის შუანლებიდან, როცა გიორგი მთაწმიდელმა „განახლა და თარგმა“ ახალი აღთქმის წიგნები, ეკლესიის მიერ აღიარებულმა მისმა რედაქციამ ფართო გავრცელება მოიპოვა და ვულგატად იქცა (ათონური/გიორგისეული რედაქცია). მოგვიანებით ახალი აღთქმის წიგნების „ბერძულისადა მიყვანებას“ შეეცადნენ ელინოფილი მთარგმნელებიც, თუმცა მათი მიზანი ამ ბიბლიური წიგნების ახალი ვერსიების შექმნა არ ყოფილა. ისინი ეგზეგეტიკური თხზულებების ქართულად გადმოღებისას მათ კიმენურ ტექსტსაც ან ხელახლა თარგმნიდნენ, ან გიორგისეულ თარგმანს ასწორებდნენ. თუ თეოფილაქტე ბულგარელის სახარებათა თარგმანებების ქართველი მთარგმნელის მიერ განსამარტავად მოყვანილი სახარების ტექსტის ახალი თარგმანი მხოლოდ „გამომეძიებელ მკითხველთა“ ინტერესის სფეროში დარჩა და ფართო გავრცელება არ ჰქონია, ამას ვერ ვიტყვით ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ „სამოციქულოს თარგმანებაზე“, რომელშიც ქართველმა მწიგნობრებმა, გადამწერ-რედაქტორებმა, მთარგმნელის მიერ შესწორებულ-რედაქტირებული ბიბლიური ტექსტი უფრო ზუსტ თარგმანად მიიჩნიეს, ცალკე ამონერეს და ამით ამ წიგნების ახალი რეცენზია შექმნეს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ეფრემ მცირის რედაქციის სახელით არის ცნობილი (გამოცემებში აღინიშნება D ლიტერით).

ეფრემ მცირეს ამ ბიბლიური წიგნის თარგმნა არ ჰქონია მიზნად. მეტიც, მას არ სურდა ვინმეს მისი შრომა „სამოციქულოს“ ახალ თარგმანად ჩაეთვალა („ჩათა ახა მეოქედ თახმინიდა შეიხაცხოს წიგნი სამოციქულო“; Jer.Geo.16); ეფრემი თარგმნიდა ეგზეგეტიკურ თხზულებას - „სამოციქულოს თარგმანებას“, რომლის კიმენური ტექსტის გადმოტანისას, ის გიორგისეულ თარგმანს იყენებდა. „საქმე მოციქულთას“ უკლებლივ ყველა მუხლი („მოციქულისაც“), რომელიც ეფრემის მიერ თარგმნილ ამ ეგზეგეტიკურ თხზულებაში განსამარტავად არის მოყვანილი, გიორგისეულია. ამის შესახებ ის ხაზგასმით აღნიშნავს წიგნის შესავალში: „სამოციქულო სიტყუად ვითა მათ ეთახმნა, ეგეთ დამიწეხია“ (Jer.Geo.16). მაგრამ თარგმნის პროცესში განსამარტავ ტექსტსა და მის კომენტარს შორის აღაგ-აღაგ შემჩნეული შეუსაბამობა ეფრემს აიძულებს გაასწოროს ბიბლიური ტექსტის გიორგისეული თარგმანი და კონტექსტისთვის უფრო შესაფერისი, „უსაკუთრესი“ თარგმანი მოგვცეს, რაც საგანგებო ნიშნებით არის მონიშნული ტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ მთარგმნელი დაბეჭითებით ითხოვდა გადამწერთაგან, მისი კორექტირებული მუხლები „სამოციქულოსაც“

ახა ვინ ჩაჰეთოთო” (*Jer.Geo.16*), გადამწერ-რედაქტორებმა ისინი ჰერ განმარტებიდან კიმენურ ტექსტში გადაიტანეს, შემდეგ კი კიმენური ტექსტი ცალკე ამოწერეს და მას ბიბლიური წიგნის სახე მისცეს.

ეგზეგეტიკური თხზულების ამგვარი ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბებული და ეფრემ მცირის რედაქციის სახელით ცნობილი „საქმე მოციქულთას“ D რედაქციის ტექსტი ოთხი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული: H = A-677 (XII ს), (ff. 1r-66v); I = K-4 [K 12; G 117] (XIII ს) (ff. 14r -81 v) (ე.წ. პეტერბურგის ხელნაწერი); G = A-137 (XIV ს) (ff. 19r -97v) და P = A-482 (XVI ს) (ff. 15v-60r). ოთხივე ნუსხას უძლვის ევთალესეული დანართები „თავინი“ და „უწყებანი“, რომელიც გიორგის რედაქციისაა, ისინი ეფრემს არც უთარგმნია ხელახლა, რადგან, მისი აზრით, „ახლახა უკმდა უნაკვდებოდ თაჩგმნიდა დიდისა მის მოძღუჩისა გორჩი მთაწმიდებისასა მეოქედ თაჩგმნავ“ (Q-1158, 103v). ხელნაწერებს ახლავს ე.წ. ლიტურგიკული აპარატიც, რაც მიგვანიშნებს, რომ ისინი ღვთისმსახურების დროს გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი.

ამ ხელნაწერების შესწავლამ და ეფრემისეული ტექსტის გიორგისეულთან შედარებამ აჩვენა, რომ მათში წარმოდგენილი „საქმე მოციქულთას“ ტექსტი, უმეტესწილად გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა; ეფრემის მიერ „უსაკუთრესად“ მიჩნეული და ამის გამო შესწორებული მუხლების რაოდენობა, „სამოციქულოს“ სხვა წიგნებთან შედარებით, მცირეა. „საქმე მოციქულთას“ გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანის ტექსტში ეფრემს სულ 38 მუხლის შესწორება დასტირვებია. ზოგიერთ მუხლში მხოლოდ ერთი ცვლილებაა, ზოგან - მეტი. სულ ეფრემის მიერ კორექტირებული, ანუ „თაჩგმანთაგან ცვალებუდ უსაკუთხეს სიგვათა“ რაოდენობა 70-მდეა. ცვლილების ძირითადი მიზეზი არის განსამარტავი მუხლის კომენტართან შეუსაბამობისა და გიორგისეულ თარგმანში ძველი, წინაათონური რედაქციებიდან გადმოყოლილ უზუსტობათა გასწორების სურვილი.

ტექსტოლოგიური კვლევისას გამოიკვეთა, რომ ეფრემის მიერ „უსაკუთრესად თარგმნილი“ ყველა მუხლი ერთნაირად არ ასახულა ჩვენამდე შემორჩენილ ყველა ხელნაწერში; GP ნუსხებში ეფრემის შესწორებათა მხოლოდ ნაწილია ასახული, HI ხელნაწერები კი მეტად იზიარებენ ეფრემისეულ წაკითხვებს, მეტად არიან დამოკიდებული ეგზეგეტიკურ თხზულებაზე. გარდა იმისა, რომ მათში ასახულია თითქმის ყველა შესწორება (70-მდე), რომელიც ეფრემმა „უსაკუთრესითა“ და „იოტაათი“ მონიშნა, ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებულია ეგზეგეტიკურ თხზულებაში მთარგმნელის მიერ აშიებზე მიწერილი გლოსები და „შეისწავებაში“ მოცემული განმარტებებიც. თარგმანებიდან კიმენის ამგვარი გამოკრებით HI ხელნაწერებში დაცული ტექსტის რედაქტორი, ნამდვილად ქმნის ე.წ. ეფრემის რეცენზიას და წარმოგვიდგენს ეფრემის თარგმანებიდან გამოკრებილ „საქმე მოციქულთას“ ტექსტს (D). ამ ტექსტის გიორგისეული რედაქციის ტექსტთან (C) ხელახლი შეკერებისა და მის მიხედვით გასწორების შედეგად ჩანს მიღებული G და P ნუსხებში დაცული ტექსტი, რომელშიც

ეფრემისეული შესწორებების მხოლოდ ნაწილი (30-მდე შესწორება) არის ასახული. ეს არის გარკვეულწილად ნარევი ტექსტი (CD), რომელშიც ეფრემისეული (D) რედაქციის ტექსტი გიორგისეული (C) რედაქციის მიხედვითა შესწორებული.

“The Acts of the Apostles” must have been translated into Georgian very early, around the time of the translation of the Gospels. However, the Georgian scribes repeatedly revisited its text (similarly to other books of the New Testament) for perfecting the translation and approximating it to the original. Even in the pre-Athonite period, in parallel with the old translations, there existed the revised versions of “The Gospels” and “Praxapostolos”. From the middle of the 11th century, when George the Hagiorite “renewed and translated” the books of the New Testament, his redaction, which was recognized by the church, gained wide distribution and became the Vulgate (Athonite/George’s redaction). Later the Hellenophile translators attempted to “approximate the New Testament to Greek”. However, their goal was not the creation of new versions of these biblical books.

While translating exegetical compositions into Georgian, they either retranslated their original text (keimenon – the biblical text that should be explained) or corrected George’s translation. The Georgian translator’s new translation of the text of the Gospel provided for the interpretation of Theophylactus of Ochrid’s (Bulgarian) commentaries on the Gospels remained only in the sphere of the interest of “Inquiring readers” and was not widely distributed. However, we cannot say the same about “*The Commentaries on the Praxapostolos*”, which was translated by Ephrem the Minor/Mtsire. The Georgian scribes, copyists-editors, considered the biblical text corrected and edited by Ephrem as a more accurate translation, wrote it out separately and created the new recension of these books. In the scientific literature it is known as Ephrem the Minor’s redaction (in the editions it is indicated by the letter D).

Ephrem the Minor did not intend to render this biblical book. Moreover, he did not want anyone to consider his work as a new translation of “Praxapostolos” (“so that the book of *Praxapostolos* would not be considered as the second translation”; *Jer.Geo.16,2r*). Ephrem translated the exegetical composition “*The Commentary on the Praxapostolos*” and used George’s translation while rendering its original text. All the verses of “The Acts of the Apostles”, which are cited for the explanation in Ephrem’s translation of this exegetical composition („მოციქულისაა“/“Motsikulisi”), belonged to George. He emphasized this in the introduction to the book: “*I wrote the words of Praxapostolos, as they were translated by them*” (*Jer.Geo.16*). However, during the process of rendering, the discrepancy between the original text and its commentary forced Ephrem to correct George the Hagiorite’s translation of

the biblical text and to present a more accurate, „յԱՀՅՈԹՐԵՍԻ/“usakutresi” translation that was marked in the text with the special signs. Although the translator persistently asked the scribes “*not to insert the corrected verses into Praxapostolos*” (*Jer.Geo.16*), the scribe-editors transferred them from the commentaries to the original text, wrote it out and formed it as the biblical book.

The text of the redaction D of “The Acts of the Apostles”, created as a result of such a transformation of the exegetical composition and known as Ephrem the Minor’s redaction, has come down to us in the form of four manuscripts: H = A-677 (the 12th century), (ff. 1r-66v); I = K-4 [K 12; G 117] (the 13th century) (ff. 14r -81 v) (the so-called Petersburg manuscript); G = A-137 (the 14th century) (ff. 19r -97v) and P = A-482 (the 16th century) (ff. 15v-60r). All four manuscripts are preceded by Eu-thalian appendices – “Heads” and “Messages” – of George’s redaction. Ephrem did not render them. In his opinion, “*it was not appropriate to retranslate the flawlessly rendered great work of George the Hagiorite*” (Q-1158, 103v). The manuscripts are accompanied by the so-called liturgical apparatus. This indicates that they were intended for use during church services.

The study of the manuscripts and the comparison of Ephrem’s and George’s texts revealed that the text of “The Acts of the Apostles” presented in them is mostly of George the Hagiorite’s redaction. The number of verses corrected by Ephrem is smaller than in other books of “Praxapostolos”. Ephrem had to correct only 38 verses in the text of George the Hagiorite’s translation of “The Acts of the Apostles”. In some verses there is only one change, in others – more. In total, the number of verses corrected by Ephrem is about 70. The main reason for the correction was the inconsistency between the verse and the commentary, as well as the desire to correct inaccuracies inherited from the old, pre-Athonite redactions.

The textological research revealed that not all the verses corrected by Ephrem were similarly reflected in the surviving manuscripts. The manuscripts GP reflect only a part of Ephrem’s corrections, while the manuscripts HI share Ephrem’s readings and are more dependent on the exegetical composition. In addition to reflecting almost all the corrections (up to 70), which Ephrem marked in the text with the special signs, in some cases the glosses and commentaries written by the translator on the margins of the exegetical composition are also taken into account. By selecting the original text from the translation, the editor of the text of the manuscripts HI created the so-called Ephrem’s recension and presented the text of “The Acts of the Apostles” (D) selected from Ephrem’s translations. As a result of reconciling this text with the text of George’s redaction (C) and correcting it according to the same redaction, one can see the text which is preserved in the manuscripts G and P. It reflects only a part of Ephrem’s corrections (up to 30). Moreover, this is the mixed text (CD) in which the text of Ephrem’s redaction (D) is corrected in accordance with George’s redaction (C).

**მარინე ივანიშვილი  
Marine Ivanishvili**

ივანე ქავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**მეფსალმუნე ქართული ენისა  
Psalmist of the Georgian Language**

საკვანძო სიტყვები: ფსაღმუნი, მცენახეთა სახელები, ეგიმოდოგია  
*Keywords: psalms, plant names, etymology*

„სადა ფსაღმუნებად არს, მუნ არს ღმერთი...“ მ.ს.წ. 209,1  
ფსაღმუნთ-შემასხმედი – ფსალმუნის მგალობელი: „რომელნი იყვნეს ...  
ფსაღმუნთ-შემასხმედთად და მეკაჩეთად“ 0, II ეტრა, 7,24  
მეკაჩე, მეკჩე – კარის მცველი: „მეკაჩესა ამცნოს“ მრ. 13,34

მზექალა შანიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ფსაღმუნის, ქა-  
რთული ენის ამ უძველესი და უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლის,  
შესწავლის საქმეში (ფსაღმუნის ძველი ქახთური ჩეგაქციები X-XIII საუკუნეთა  
ხედნაწერების მიხედვით, გამოსცა მზექალა შანიძემ, I, თბილისი 1960; ქახთური  
ფსაღმუნის სიმფონია, „ნეკერი“, თბილისი, 2010).

უკომპრომისო, ღრმა, ნატიფი, უბრალო და მშვენიერი ბიბლიური ტექს-  
ტები ახლოს არ მიუშვებს, არ მიიკარებს მკვლევარს, თუ ის თავად არ არის  
ასეთი.

ბიბლიური მცენარეთა სამყარო არ გამოირჩევა ფერადოვნებით, თუმცა  
ყოველი მცენარის სახელთან, რაც საზოგადოდ ნიშანდობლივა ბიბლიის  
ტექსტებისთვის, უაღრესად საინტერესო, ზუსტად განსაზღვრული ფორმალურ-  
სემანტიკური მოდელია დაკავშირებული.

საერთოდ, სიმბოლურ-საკრალური სახის განმარტებები ბიბლიური  
ტექსტების იგავური მეტყველების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ მხრივ, ქა-  
რთული თარგმანის რედაქციებში დადასტურებული მცენარეთა ლექსიკა გან-  
საკუთრებულ ელფერს მატებს ტექსტს.

ფსალმუნის მცენარეთა სამყარო ოთხთავის ტექსტებთან შედარებით კი-  
დევ უფრო მნირია: 25 ფუძე – სახარებაში, 13 – ფსაღმუნში. მცენარეთა სახე-  
ლებიდან მხოლოდ ორი ფუძეა ისეთი, რომელიც დასტურდება ფსაღმუნში და  
არ არის წარმოდგენილი ოთხთავში, კერძოდ:

1. *ძეძვ* (*Paliurus spina-christi* Mill L.) „თანა ეყოს ეკალი მათი ძეძვ“ 57,10v;  
„თანა-იყოს ეკალთა თქეენთა ძეძვ“ იქვე 6; „ძეძუმან რისხვით ცხოველნი შე-  
წუნეს“ იქვე; გარდა ფსაღმუნისა, აღნიშნული ფუძე გვხვდება ძეგლი ქართუ-  
ლის სხვა ძეგლებშიც: „ადგილდადგილდ ქუე ძეძვ დაეფინა და თვთ ფერწნი  
დაიდგნის ძეძუსა მას ზედა... და ჭორცნი წულილ-წულილად დაებრძარნეს ძე-  
ძუსა მას“ შუშ. VIII 17-19; „ძეძუმან ლიბანით მოუვლინა ფიქუსა ლიბანისასა და  
პრქეა“ 0, IV მფ. 14,9; „ძეძვსა მის წილ აღმოგიცენდეს შენ საროვ“ I, ეს. 55,13.

2. *ძეწნ*- ტირიფი (*Salix babylonica* L.) „ძეწნთა ზედა შორის მისსა დავპკი-  
დეთ საგალობელი ჩუენი“ C ფს. 136,2; ძველი ქართულის სხვა ძეგლებში: „ვი-  
თარცა ძეწნი თანაწარსადინელსა წყალთაგასა“ I, ეს. 44,4. „მოიღოთ ... ძეწნი და  
გიჩიფისგან რტოები ჭევთაგან“ M, ლევიტ. 23,40; „ძეწნი და სხუანი ხენი, მსგა-  
ვსნი მათნი, რომელთა არა აქუს ნაყოფი“, ექუს. დღეთ. 70,8-9 და სხვ.

ზემოთ დასახელებული ფუძეები იქნება გაანალიზებული წარმოდგენილ  
მოხსენებაში.

“Where there is a *psalm*, there is God ...” *Teachings of the Fathers* 209,1  
*Psalmist*: “Who were ... the *psalmists* and the *gatekeepers*” O, 2 *Esdras* 7:24  
*mek're* – Gatekeeper: “Let the *gatekeeper* be on watch” (Mark 13:34)

Mzekala Shanidze has made a significant contribution to the study of the Psalms, this ancient and highly important written monument of the Georgian language (*Old Georgian Redactions of the Psalms According to Manuscripts of the 10th-13th Centuries*, vol. I, published by Mzekala Shanidze, Tbilisi 1960; *Georgian Psalm Symphony*, Nekeri, Tbilisi 2010).

Uncompromising, profound, subtle, simple, and beautiful biblical texts will not open themselves to a researcher unless the researcher, too, is shaped by these qualities.

Although the biblical plant world is not particularly colorful or diverse, each plant name – characteristic of biblical texts as a whole – is linked to a highly interesting and precisely defined formal-semantic structure.

Symbolic-sacred interpretation forms the very foundation of the parabolic discourse of biblical texts. In this regard, the plant vocabulary preserved in the Georgian translation traditions imparts a unique tonal quality to the text.

The plant world of the Psalms is even more sparse compared to the texts of the Gospels: 25 roots appear in the Gospels, whereas only 13 occur in the Psalms. Of these plant names, only two roots are attested in the Psalms that do not appear in the Gospels, namely:

1. ȝeȝû ‘thorn’ (*Paliurus spina-christi* Mill. L.) “May your *thorns* be with them” Ps 57:10v; “May your *thorns* be with them” ibid. G; “With the *thorns* of your fathers they devoured the animals” ibid. In addition to the Psalms, this root is also found in other ancient Georgian texts:

“He dragged the blessed one on the ground, through *thorns* and stumbling blocks, stones and *bushes*” The Martyrdom of the Holy Queen Shushanik VIII 17-19; “A *thistle* in Lebanon sent a message to a cedar in Lebanon” IV Kings 14:9; “Instead of the *thornbush* will grow the *juniper*” Isaiah 55:13.

2. ȝec'n- ‘branch’ (*Salix babylonica* L.) “Among the *branches* we hung our singing-trees” C Ps. 136:2; in other ancient Georgian texts: “Like a *branch* of a tree that is like a river” I, Is. 44:4; “Take ... a *branch* and *branches* of *willow* from the *branches*” M, Lev. 23:40; “A *branch* and other trees similar to them whose fruit is not here” Ex. 70:8-9, and others.

The above-mentioned roots will be analyzed in the presentation.

## დალი კანდელაკი Dali Kandelaki

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

### ქეთევან დედოფლის მონამეობა ევროპულ პრესაში: 1731 წლის გერმანული ჟურნალის ნარატივი<sup>1</sup> **The Martyrdom of Queen Ketevan in the European Press: The Narrative in a 1731 German Journal**

**საკვანძო სიტყვები:** ქეთევან დედოფლი, საქართველო, ქიოსტიანობა, ევროპული  
პერიოდი, გერმანული ჟურნალი

**Keywords:** Queen Ketevan, Georgia, Christianity, European press, German journal

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი: GSDP - 25-294] / This work was supported by  
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number GSDP - 25-294].

1731 წლის გერმანულ უურნალში „Neu-eröffnetes Welt-und Staats-Theater“ დეტალურადაა აღწერილი ქეთევან დედოფლის წამებისა და სიკვდილის ისტორია, რომელიც 1624 წელს შაპ-აბასის კარზე მოხდა. 1725 წელს ერფურტში გამოცემული უურნალი პოლიტიკურ-ისტორიულ პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა, რომელიც მკითხველს აცნობდა ევროპასა და მსოფლიოში მიმდინარე სახელმწიფოებრივ, სამხედრო და დიპლომატიურ ამბებს. გამოცემა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა იმ რეგიონებს, სადაც იკვეთებოდა დიდი იმპერიების ინტერესები, ხოლო კავკასია ამ თვალსაზრისით უნიკალურ სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა. დღეს ეს უურნალი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს XVIII საუკუნის ევროპული საზოგადოებრივი აზრისა და პოლიტიკური შეხედულებების შესწავლისათვის.

ქართველი დედოფლის წამების ისტორია უურნალში განსაკუთრებული სიმრვავით არის აღწერილი. ტექსტი მკითხველს აწვდის არა მხოლოდ ფაქტობრივ ინფორმაციას, არამედ ემოციურ-დრამატულ სურათსაც. ისტორიას თან ახლავს ირანის ძალადობის მკვეთრი კრიტიკა და ქრისტიანული სამყაროსადმი სიმპათიის გაღვივება. წამების დეტალები აღწერილია განსაკუთრებული ბუნებრივობით. წარკვევში ხაზგასმულია სასკელის განსაკუთრებული სისასტიკე, რომელიც დამახასიათებელი იყო შაპ-აბასის მმართველობისათვის. დედოფალი წარმოჩენილია, როგორც ქრისტიანული რწმენის ურყევი სიმტკიცის მაგალითი ძალადობის წინაშე. ხანგრძლივი ტყვეობისა და მრავალგზის ტანკვის მიუხედავად, ქეთევანმა მტკიცედ განაცხადა უარი სარწმუნოების შეცვლაზე. მიუხედავად შუამდგომლობებისა, მათ შორის მოსკოვის ელჩის თხოვნისა, შაპმა გასცა ბრძანება მისი სასტიკი წამებით სიკვდილით დასჯის შესახებ. დედოფალი აწამეს და სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს; საბოლოოდ, მისი სხეული ცეცხლში ჩააგდეს. თხრობაში ეს მოვლენა წარმოჩენილია არა მხოლოდ როგორც ტრაგედია, არამედ როგორც სულიერი გამარჯვება - ქეთევან დედოფალი ქრისტიანული რწმენისადმი ერთგულებისა და თავდადების სიმბოლოდ იქცა მისი თანამედროვეებისა და შემდგომი თაობებისთვის.

ქეთევან დედოფლის წამებისა და სიკვდილის ისტორია, როგორც ის წარმოჩენილია გერმანულ უურნალში, ადგილობრივი ტრაგედიის საერთაშორისო მნიშვნელობის ნარატივად გადაქცევის იშვიათი მაგალითია. ამ პუბლიკაციაში მისი სახე არა მხოლოდ მტანკველი ისტორიის მსხვერპლად, არამედ რწმენისა და სულიერი სიმტკიცის სიმბოლოდ იქნა აღქმული. ევროპული პრესის მიერ ქეთევანის ამბის გავრცელებამ ხელი შეუწყო საქართველოს წარმოჩენას ქრისტიანული აღმოსავლეთის საყრდენად, ხოლო თავად დედოფალი მკითხველთა წინაშე წარდგა როგორც ქრისტიანული გმირობის მაგალითი. სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციით ქეთევანის მოწამეობა გასცდა ეროვნული ისტორიის საზღვრებს და ევროპული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ რელიგიურ-სიმბოლურ ხატად იქცა.

The history of Queen Ketevan's torture and death, which took place at the court of Shah Abbas in 1624, is described in detail in the 1731 German journal "Neu-eröffnetes Welt- und Staats-Theatrum". First published in Erfurt in 1725, this journal represented a politico-historical periodical that informed its readers about state, military, and diplomatic events occurring in Europe and throughout the world. The publication accorded particular emphasis to regions where the interests of major empires converged, with the Caucasus constituting a uniquely strategic region in this respect. Today, this journal constitutes an important source for the study of eighteenth-century European public opinion and political thought.

The story of the Georgian queen's martyrdom is recounted in the journal with exceptional poignancy. The text provides the reader not only with factual information but also with an emotionally dramatic picture. The account is accompanied by a sharp critique of Iranian violence and an appeal to sympathy with the Christian world. The details of the torture are rendered with remarkable vividness. The narrative emphasizes the particular cruelty of the punishment characteristic of the rule of Shah Abbas. The queen is portrayed as an exemplar of unwavering Christian faith in the face of violence. Despite long captivity and repeated suffering, Ketevan firmly refused to change her religion. Despite intercessions, including the plea of the Muscovite envoy, the shah ordered her cruel execution by torture. The queen was tortured and inflicted with mortal wounds. In the end, her body was thrown into the fire. In the account, this event is presented not only as a tragedy but also as a spiritual victory – Queen Ketevan became a symbol of loyalty and devotion to the Christian faith for her contemporaries and for subsequent generations.

The history of Queen Ketevan's torture and death, as it is presented in the German journal, is a rare example of how a local tragedy was transformed into a narrative of international significance. In this publication, she was perceived not only as a victim of a harrowing history but also as a symbol of faith and spiritual steadfastness. The dissemination of Ketevan's story by the European press contributed to presenting Georgia as a stronghold of the Christian East, while the queen herself appeared before readers as an example of Christian heroism. Through such an interpretation, Ketevan's martyrdom transcended the boundaries of national history and became one of the religious-symbolic icons of European public opinion.

**ნათია კენჭიაშვილი  
Natia Kentchiashvili**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
Caucasus International University  
(საქართველო, Georgia)

**ქართულ რიტორიკაში ქალ ორატორთა საჭარო  
გამოსვლების ლექსიკური და სინტაქსური  
მახასიათებლების კორპუსლინგვისტური ანალიზი  
A Corpus Linguistic Analysis of the Lexical and Syntactic  
Features of Public Speeches by Women Orators in Georgian  
Rhetoric**

**საკვანძო სიტყვები:** ქად ორატორთა საჭარო გამოსვლები, საჭარო გამოსვლების კონტენტის განაწილები

**Keywords:** *public speeches by women orators, corpus-linguistic analysis of public speeches, lexical and syntactic features*

წინამდებარე კვლევის საგანია ქალ ორატორთა საჭარო გამოსვლების ლექსიკური და სინტაქსური მახასიათებლების ანალიზი ქართულ რიტორიკაში. აღნიშნული საკითხის შესწავლა სიახლეს წარმოადგენს; განსაკუთრებით გა-სათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქართული ორატორული ხელოვნების ტრადიციაში ქალ ორატორთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია მამაკაც ორა-ტორთა რაოდენობაზე, რის გამოც, პირველი ჯგუფის ავტორობით ჩვენ მოგვე-პოვება შედარებით მცირერიცხოვანი ორატორული ნიმუშები, ვიდრე ეს გვაქვს მეორე ჯგუფის ავტორთა შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკის თემაზე არსებობს გარკვეული კვლე-ვები, მათი უმრავლესობა მიმართულია სწორედ მამაკაც ორატორთა საჭარო გამოსვლების შესწავლისკენ, ხოლო უშუალოდ ქალ ორატორთა სიტყვიერ შე-მოქმედებას თითქმის არ ექცევა ყურადღება, მით უფრო მათი საჭარო გამოს-ვლების ლექსიკური და სინტაქსური მახასიათებლები ამ დრომდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. აღნიშნული ლინგვისტური ანალიზი საშუალე-ბას გვაძლევს გამოვლინდეს ორატორულ ნიმუშთა სტილისტიკური თავისებუ-რებები, რაც მნიშვნელოვნად შეავსებს კვლევებს ქართველი ქალი ავტორების ორატორული ნიმუშების შესწავლის მიმართულებით.

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს, როგორ იყენებენ ქალები ლექსიკურ და სინტაქსურ რესურსებს, რათა მიაღწიონ კომუნიკაციურ ეფექტს. ამ ნაშრო-მის ძირითადი ამოცანებია: დაკომპლექტდეს რიტორიკული კორპუსი XIX-XXI საუკუნეების ქალ ორატორთა ორიგინალური საჭარო გამოსვლების ნიმუშებით; განისაზღვროს ლექსიკური და სინტაქსური მახასიათებლები და მათი სტი-ლისტიკური თავისებურებები და შევადაროთ სხვადასხვა ორატორის საჭარო გამოსვლების სტილი, დროის, ფორმატისა და სხვა საკლასიფიკაციო ნიშნების, მათ შორის, დარგობრივი და უანრობრივი კლასიფიკაციების თვალსაზრისით.

კვლევა ეფუძნება კორპუსლინგვისტურ მეთოდებს, რაც გულისხმობს ქალ ორატორთა საჭარო გამოსვლების კორპუსის საფუძველზე მონაცემთა დაგუ-ფებას, სტატისტიკურ ანალიზს, თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას. ეს მეთოდი თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ყველაზე სა-ნდო ინსტრუმენტია, რომელიც აერთიანებს კვანტიტატიურ და კვალიტატიურ ანალიზს, რაც შესაძლებლობას იძლევა, მონაცემთა დიდი მოცულობიდან გა-მოვალინოთ როგორც ტიპური სტრუქტურები, ისე უნიკალური ლინგვისტიკური მახასიათებლები. კვლევაში დამატებით გამოიყენება კომპარატივისტული ანალიზი რიტორიკის სხვადასხვა დარგისა და უანრის ორატორულ ნიმუშთა შე-სასწავლად. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომა საშუალებას იძლევა დე-ტალურად იქნას შესწავლილი როგორც ლექსიკური, ისე სინტაქსური თავისებუ-რებები, რომლებიც ახასიათებს ქალ ორატორთა საჭარო გამოსვლებს ქართულ რიტორიკაში.

კვლევამ გამოვლინა, რომ ქართულ რიტორიკაში ქალები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან ლექსიკურ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს გამო-

სვლების სტილისტიკურ გამორჩეულობას, ემოციურ ტონალობასა და კომუნიკაციურ ეფექტს, ხოლო სინტაქსური ანალიზი აჩვენებს სხვადასხვა ტიპის წინადადებათა კომბინირებულ გამოყენებას, რაც ტექსტს დინამიკურობას ანიჭებს და აუდიტორიასთან ეფექტურ კავშირს უზრუნველყოფს.

The subject of the present study is the analysis of lexical and syntactic features of women orators' public speeches in Georgian rhetoric. This topic represents a novel area of research, particularly considering the fact that, within the tradition of Georgian oratory, the number of women orators has historically been significantly lower than that of male orators. Consequently, the corpus of oratorical texts authored by women is comparatively limited when contrasted with that of male speakers.

Although a number of studies have addressed issues related to rhetoric, the majority of this research is focused primarily on the public speeches of male orators. By contrast, the verbal creativity of women orators has received little scholarly attention, and the lexical and syntactic characteristics of their public speeches have not previously been the subject of systematic investigation. The present linguistic analysis makes it possible to identify the stylistic features of oratorical texts, thereby making a significant contribution to research on the oratorical heritage of Georgian women authors.

The aim of this study is to examine how women employ lexical and syntactic resources to achieve communicative effect. The main objectives of the research are: to compile a rhetorical corpus consisting of original public speeches by women orators from the nineteenth to the twenty-first centuries; to identify lexical and syntactic features and their stylistic characteristics; and to compare the styles of different speakers' public speeches from the perspectives of time, format, and other classificatory criteria, including disciplinary and genre-based classifications.

The study is based on corpus-linguistic methods, which involve the compilation of a corpus of women orators' public speeches, the organization and statistical analysis of data, and the use of modern software tools. This method is one of the most reliable instruments in contemporary linguistics, as it integrates quantitative and qualitative analysis, enabling the identification of both typical structures and unique linguistic features within large datasets. In addition, comparative analysis is employed to examine oratorical texts from different rhetorical fields and genres. This methodological approach allows for a detailed investigation of both the lexical and syntactic characteristics that define women orators' public speeches in Georgian rhetoric.

The findings of the study reveal that, in Georgian rhetoric, women actively employ diverse lexical resources, which ensure stylistic distinctiveness, emotional tonality, and communicative effectiveness in their speeches. The syntactic analysis further demonstrates the combined use of various sentence types, which lends dynamism to the text and facilitates effective engagement with the audience.

**მანანა კვაჭაძე**  
**Manana Kvachadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**„შაჰნამეს“ ქართული ვერსიებისა და  
თარგმანების შესახებ**  
**The Georgian Versions and Translations  
of “Shah-Nameh“**

**საკვანძო სიტყვები: ფიხონესი, შაჰნამე, ქახთური ვეჰსიები, თახმანები**  
**Keywords:** *Ferdowsi, Shah-Nameh, Georgian versions, translations*

„შაპნამე“ თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია.

ფირდოსისიმ (X-XI სს.) შემოქმედებითად აითვისა ისტორიული წყაროები, ლიტერატურული გადამუშავებანი, ფოლკლორული ვარიანტები და მოგვცა ვრცელი ნაწარმოები, რომელშიც მაღალმხატვრულად მოგვითხრო მემკვიდრეობით მიღებულ მასალაში გადმოცემული ამბები — დასაბამიდან ირანში არაბთა შექრამდე (VII ს.).

ფირდოსის „შაპნამე“ ძალზე ვრცელი პოემაა. მასში 50 ამბავია მოთხრობილი. იგი სამეფო დინასტიების მიხედვით არის დაყოფილი და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ენაცვლება ერთი მეფე მეორეს. პოემა გაფერებულია ლირიკული წიაღსვლებით, ავტორის ფილოსოფიურ შეხედულებათა გამომხა-ცველი სენტენცია-აფორიზმებით.

დიდია „შაპნამეს“ როლი აღმოსავლური მწერლობის განვითარებაში, მისი გავლენით შეიქმნა მრავალი მიბაძვა-გაგრძელება; მოგვიანებით შეიქმნა პოემის პროზაული ვერსიებიც... ბუნდარის მიერ XIII საუკუნეში არის არა-ბულ ენაზე შესრულებული თავისუფალი პროზაული თარგმანი. XIV საუკუნეში ითარგმნა იგი თურქულად. XVI-XVII საუკუნეებში ჩნდება „შაპნამეს“ ქართული ვერსიები, გვაქვს როგორც პოეტური („როსტომიანი“, „ზაქიანი“, „უთრუთიან-საამიანი“), ისე პროზაული („ფრიდონიანი“, „უთრუთიან-საამიანი“, „წიგნი საამ ფალავნისა“) ვერსიები. ცნობილია ზოგი მათგანის ავტორ-მთარგმნელიც: სე-რაპიონ საბაშვილი, ხოსრო თურმანიძე, მამუკა თავაქარაშვილი, ბარძიმ ვა-ჩნაძე...

„შაპნამეს“ ქართული ვერსიების საკითხებს იკვლევდნენ ნიკო მარი, იუსტინე აბულაძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი შანიძე, დავით კობიძე... „შაპნამეს“ ქართული ვერსიები გამოცემულია: ტ. I –1916; ტ. II –1934; ტ. III – 1974.

„შაპნამეს“ ცალკეული ეპიზოდების თარგმანები თანამედროვე ქართულ ენაზე XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იბეჭდება სხვადასხვა კრებულსა და პერიოდულ გამოცემაში. ისინი შესრულებულია სხვადასხვა მთარგმნელის (ამბაკო ჭელიძე, დავით კობიძე, მაგალი თოდეა, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსანდრე ელერდაშვილი) მიერ. მათში გამოყენებულია 14- ან 16-მარცვლოვანი ორტაეპიანი ლექსი, ან ვერლიბრი (ინგა კალაძე), გვაქვს შემოკლე-ბული პროზაული თარგმანიც (მაგალი თოდეა).

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა „შაპნამეს“ წიგნების ბელა შალვაშვილისეული თარგმანები. მთელი პოემის საფუძვლიანად დამუშავებული თარგმანი ცხრა ტომად დაისტამბა გა-მომცემლობა „მერიდიანის“ მიერ 2022–2023 წლებში.

მთარგმნელი ეყრდნობა ე. ბერლტელისის რედაქციით გამოცემულ კრი-ტიკულ ტექსტს. თარგმანი შესრულებულია 14-მარცვლოვანი (5-4-5) ორტაეპი-ანი ლექსით, რაც სავსებით მართებული სტილისტური შესატყვისია დედნისე-

ული შემოკლებული მოთეყარების რიტმისა და ინტონაციის გადმოსაცემად. თარგმანში დაცულია ამ უზარმაზარი პოემის თხრობის სტრუქტურა, შენარჩუნებულია დედნის ფორმისა და შინაარსის მთლიანობა. ამ გამოცემით ჩვენ ხელთა გვაქვს „შაჰნამეს“, ერთი მთარგმნელის მიერ შესრულებული, სრული ქართული თარგმანი.

“Shah-Nameh” is an outstanding and important literary monument.

With his creative attitude to historical sources, reworked literature, and folk versions, Ferdowsi (10th-11th centuries) created an ample literary monument in which he told the stories obtained from the inherited material in a highly artistic way. The stories refer to events from the beginning until the Arab invasion of Iran in the 7th century.

Ferdowsi’s “Shah-Nameh” is a vast poem embracing 50 stories. The poem is divided on the basis of the royal dynasties, and the stories of the kings are given in chronological order. It is full of lyrical effusions and sentence-aphorisms expressing the philosophical opinions of the author.

“Shah-Nameh” has played a crucial role in the development of oriental literature. It has numerous imitations and continuations. Later, prosaic versions of the poem appeared... In the 13th century, Bundari made a free prosaic translation into Arabic. In the 14th century, the poem was translated into Turkish. In the 16th-17th centuries, Georgian versions of “Shah-Nameh” appeared, both poetic (“Rostomiani,” “Zaakiani,” “Utrutian-Saamiani”) and prosaic versions (“Pridoniani,” “Utrutian-Saamiani,” “The Book of Knight Saam”). The names of some of the known author-translators are: Serapion Sabashvili, Khosro Turmanidze, Mamuka Tavakarashvili, Bardzim Vachnadze...

The Georgian versions of “Shah-Nameh” were researched by Nikolai Marr, Iustine Abuladze, Korneli Kekelidze, Aleksandre Baramidze, Akaki Shanidze, Davit Kobidze and others. The Georgian versions of “Shah-Nameh” were published in: v. I – 1916; v. II – 1934; v. III – 1974.

Translations of certain episodes of “Shah-Nameh” in contemporary Georgian have been published in various collections and periodicals since the 30s of the 20th century. The translations were made by different translators (Ambako Chelidze, Davit Kobidze, Magali Todua, Vakhshuti Kotetishvili, Aleksandre Elerdashvili). They applied either a verse of two feet consisting of 14 or 16 syllables or vers libre (Inga Kaladze). There is also an abridged prosaic translation made by Magali Todua.

From the 1970s, at different times, Bela Shalvashvili’s translations of the books of “Shah-Nameh” were published. A complete translation of the entire poem was published in nine volumes by “Meridiani” press in 2022-2023.

The translator relies on the critical text edited by E. Bertels. She applies a verse of two feet containing 14 syllables (5-4-5). This is a completely exact stylistic analogue of the contracted Motaqareb rhythm and intonation of the original text. The translation preserves the structure of narration and the integrity of form and content of the original poem. In this publication, we have a complete Georgian translation of “Shah-Nameh” created by a single translator.

ეკა კვირკველია

**Eka Kvirkvelia**

ხელნაწერთა კულტურების შემსწავლელი ცენტრი, ჰამბურგის უნივერსიტეტი

Centre for the Study of Manuscript Cultures (CSMC), University of Hamburg

(გერმანია, Germany)

**ჰაემეტი ლექციონარი და მისი ადგილი იერუსალიმური  
ლექციონარის ქართულ ტრადიციაში**

**The Haemeti Lectionary within the Georgian Tradition  
of the Jerusalem Rite**

**საკვანძო სიტყვები:** ჰაემეტი ღექციონარი, ქართული პარიმფსესტები, იერუსალიმური  
ღექციონარი

**Keywords:** *Haemeti Lectionary, Georgian palimpsests, Jerusalem Rite Lectionary*

ჰაემეტი ლექციონარი (ხეც Q-333 და ხეც H-1329), რომელიც ჩვენამდე პალიმფსესტის სახითაა შემონახული, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა იერუსალიმური ლექციონარის შესასწავლად ქართულ ტრადიციაში. 1923 წელს აკაკი შანიძემ მისი მხოლოდ 35% გამოაქვეყნა, თუმცა კი სრულად გამოქვეყნებასაც ისახავდა მიზნად. ნოებრის განვების გარდა, აღნიშნულ გამოცემაში სახარების საკითხავები მოხთავის წიგნების თანმიმდევრობით არის დალაგებული, რაც ლექციონარის კომპოზიციას ბუნდოვანს ხდის.

ჰაემბურგის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კულტურების შემსწავლელი ცენტრის (გერმანია) (ხელმძღვანელი: პროფ. იოსტ გიპერტი) მიმდინარე პროექტის „მწიგნობრობის განვითარება კავკასიის ტერიტორიებზე (DeLiCaTe)“ ფარგლებში, ფერადი ფოტოების საფუძველზე, სრულად შევძელით საკითხავების იდენტიფიცირება და ჰაემეტი ლექციონარის შედგენილობის გარკვევა. მოხსენებაში განვიხილავთ მის კომპოზიციას საეკლესიო წლის მიხედვით სხვა ქართულ წყაროებთან ურთიერთშედარების საფუძველზე.

გარდა ამისა, ჰაემეტი ლექციონარი მნიშვნელოვანი ძეგლია ენობრივი თვალსაზრისითაც მასში დაცული ჰაემეტი ფორმების გამო. ახლად შესწავლილი მასალის საფუძველზე ჰამში გამოვლინდა 6 ხანმეტი, 198 ჰაემეტი ფორმა. მოხსენებაში ძეგლს ასევე განვიხილავთ ლინგვისტური და ფილოლოგიური პერსპექტივიდან.

The Haemeti Lectionary (NCM Q-333 and NCM H-1329), preserved to the present day as a palimpsest, is one of the most important sources for the study of the Jerusalem rite Lectionary in the Georgian tradition. In 1923, Akaki Shanidze published only about 35% of the Lectionary, although he intended to publish it in its entirety. In his edition, apart from the November ordinance, the Gospel lections are arranged according to the sequence of the four Gospels, which obscures the overall composition of the Lectionary.

Within the framework of the ongoing project *The Development of Literacy in the Caucasian Territories (DeLiCaTe)* at the Centre for the Study of Manuscript Cultures (CSMC), University of Hamburg (Germany), led by Professor Jost Gippert, I was able, based on color photographs, to fully identify the lections and clarify the composition of the Haemeti Lectionary. In my presentation, I will discuss its arrangement according to the ecclesiastical year, based on a comparison with other Georgian sources.

Moreover, the Haemeti Lectionary is a significant linguistic witness due to the haemeti forms preserved in it. Based on the newly studied material, a total of 6 khanmeti and 198 haemeti forms have been identified. In my presentation, I will also examine the Haemeti Lectionary from both linguistic and philological perspectives.

**ეკატერინე კობახიძე**  
**Ekaterine Kobakhidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**„ფრთხათოს“, „ფრთხათოსელნი“: „ქართლის  
ცხოვრების“ ერთი პასაჟის განმარტებისათვის  
“Phrotathos”, “Phrotathosians”: On the Interpretation  
of a Passage from The Georgian Chronicles**

**საკვანძო სიტყვები:** ანტიკურობა, ქართლის ცხოვრება, აზონი, ფრთხათოს,  
ფრთხათოსელნი

**Keywords:** Classical Antiquity, Life of Kartli, Leonti Mroveli, Azon, Phrotathos,  
Phrotathosians

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი თხზულებაში „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომელიც VIII-IX საუკუნეების მოღვაწეს, ლეონტი მროველს მიენერება, ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ შემდეგ ინფორმაციას ვეცნობით:

„დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი [...] და დაუტევა [ალექსანდრე მაკედონელმა] მათ ზედა პატრიკად სახელად აზონ ძე იერედოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მაკედონით და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანით ჰრომით, რომელსა ჰრევან ფროტათოს. ეს ფროტათოსელნი იყვნეს კაცნი ძლიერნი და მწნენი, და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა“.

ჩემი მოხსენების მიზანს არ წარმოადგენს ლეონტი მროველის ნაწარმოების მესამე თავში გადმოცემული ამ წარატივის შედარება „მოქცევაი ქართლისაში“ მოთხოვობილ ამბავთან არიან-ქართლიდან გადმოსახლებული აზოსა და მისი სახლეულის შესახებ, რაზეც არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა; არც ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ამ ცნობის სანდოობას და ისტორიულ რეალობასთან მიმართებას ვეხები, რაც ასევე მრავალგზის იყო განხილული. ამ შემთხვევაში ჩემი მიზანია მივყვე მწერლის ლოგიკას, რათა მისი სათქმელი ისტორიულ რეალობასთან მეტ-ნაკლებ თანხმობაში მოვიყვანო და რაც მთავარია, გავარკვიო, რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში „ფროტათოს“ და „ფროტათოსელნი“. მართალია, ამ ტერმინთა განმარტების მცდელობას სხვადასხვა დროს ავტორიტეტულ მეცნიერთა რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა (გ.მელიქიშვილი, ი.გაგოშიძე, გ.ქავთარაძე, გ.ლორთქიფანიძე და სხვ.), მაგრამ საკითხი დღესდღეობით კვლავ ბუნდოვანია, რაც ტექსტის ამ მონაკვეთის სრულყოფილად აღქმას აფერხებს.

ჩემი აზრით, მოცემული ეპიზოდი ლეონტი მროველის თხზულებიდან „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ აზონისა და ფროთატოსელი ჰარისკაცების მოხსენიებით ასე შეიძლება გავიგოთ: ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის მმართველად დაინიშნა თესალიელ (ფთიოტისელ) ცხენოსანთა რაზმის ხელმძღვანელი და დიდი ალბათობით, თესალიის წარჩინებულთა დინასტიის წარმომადგენელი, სახელად იასონი / იაზონი. ჩემი ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ტექსტის კონკრეტული მონაკვეთის ჰერმენევტიკულ და ისტორიულ-კომპარატივისტული მეთოდების გამოყენების საფუძველზე მოხმობილია რამდენიმე კონკრეტული და ჩემი აზრით, დამაკარებელი არგუმენტი.

ვფიქრობ, ტერმინების „ფროტათოს“, „ფროთატოსელი“-ს ეს ინტერპრეტაცია „ქართლის ცხოვრების“ ამ ბუნდოვანი პასაუის განმარტების ახალ შესაძლებლობას გვთავაზობს და ხელს უწყობს არა მხოლოდ ტექსტის შინაარსის, არამედ კონტექსტის სრულყოფილად გაგებას.

In one of the works comprising *The Life of Kartli*, namely *The Life of the Kings of the Georgians and of Their Ancestors and Kinsfolk*, which is attributed to the 8th-9th-century author Leonti Mroveli, we encounter the following information about Alexander the Great's campaign in Kartli:

"Alexander conquered all of Kartli [...] and left over them as patrikios a certain Azon, son of Iaredosis, his kinsman from the land of Macedonia, and he gave him one hundred thousand men from the land of Hrome, who were called *Phrotathos*. These *Phrotathosians* were strong and brave men, and they dwelt in the land of Rome."

The aim of my paper is not to compare this narrative in chapter three of Leonti Mroveli's work with the account found in *The Conversion of Kartli* concerning Azon and his household, who were said to have come from Arian-Kartli – a topic on which numerous scholarly studies have been written; nor do I address here the reliability of this notice preserved in Leonti Mroveli's work or its relation to historical reality, which likewise has been discussed many times. In this case, my purpose is to follow the author's logic in order to bring his statement into closer (if approximate) alignment with historical reality, and, above all, to clarify what the author means by the terms "*Phrotathos*" and "*Phrotathosians*".

It is true that several authoritative scholars (G. Melikishvili, I. Gagoshidze, G. Kavtaradze, G. Lortkipanidze, among others) have attempted at various times to interpret these terms, yet the issue remains obscure to this day, which hinders a full understanding of this passage in the text.

In my opinion, the given episode from Leonti Mroveli's *The Life of the Kings of the Georgians and of Their Ancestors and Kinsfolk*, with its mention of Azon and the *Phrotathosian* soldiers, may be understood as follows: Alexander the Great appointed as ruler of Kartli the commander of a cavalry from Thessaly (Phthiotis), Pthiocian, very likely a representative of the noble dynasty of Thessaly, by the name of Jason/Iason. To substantiate this view, I cite several specific and, in my opinion, convincing arguments, based on a hermeneutical and historical-comparative analysis of a particular passage of the text.

I believe that this interpretation of the terms "*Phrotathos*" and "*Phrotathosians*" offers a new possibility for explaining this obscure passage in *The Life of Kartli* and contributes to a fuller understanding not only of the content of the text but also of its historical context.

**ჩია-ვეი ლინ, დიეგო ლუინეტტი**  
**Chia-Wei Lin, Diego Luinetti**

ლომბანის უნივერსიტეტი

University of Lausanne

გულიელმო მარკონის სასწავლო უნივერსიტეტი

Guglielmo Marconi University

(შვეიცარია, Switzerland; იტალია, Italy)

**ქართული ოშკის ბიბლია:**  
**ეზրა როგორც სომხურიდან თარგმანი**  
**Georgian Oshki Bible Ezra as a Translation from Armenian**

**საკვანძო სიტყვები:**ქახთუღი ბიბლიის თახმანი, ღიაგნოსგიკუჲი მოხფოსინგაქსუჲი  
თავისებუჲებები, სომხუ-ქახთუღი თახმანი, წყარო ენის იდენტიფიკაცია

**Keywords:** *Georgian Bible translation, diagnostic morphosyntactic features, Armenian-Georgian translation, source language identification*

ქართული ბიბლიის თარგმნის ისტორია რთულია. ოშკის ბიბლიაში, რომელიც წარმოადგენს 978 წლის ხელნაწერს და შეიცავს დაახლოებით V–VI საუკუნეების თარგმანებს, ძველი აღთქმის ნიგნების უმეტესი ნაწილი, როგორც ჩანს, ბერძნულიდან არის გადმოთარგმნილი, ზოგი – სირიულიდან, ხოლო ეზრას წიგნი, სავარაუდოდ, სომხურიდან არის თარგმნილი (ალექსიძე). ამ ნაშრომში შედარებულია ეზრას სომხური, ბერძნული და ქართული ვერსიები და წარმოდგენილია დიაგნოსტიკური ნიშნების სია, რომლებიც აჩვენებს, რომ ეზრას წყარო მართლაც სომხურია, ამასთან ვლინდება, რომ ეს ნიშან-თვისებები არ გვხვდება სხვა წიგნებში, რომლებიც ბერძნულიდან ან სირიულიდან ითარგმნა.

პირველ რიგში განიხილება საკუთარი სახელები და ირანული ნასესხები სიტყვები. ქართულ და სომხურ ვერსიებს საერთო აქვთ თანმდგარი ირანული ნასესხები სიტყვები, მაგ. სომხ. *tačar* ‘ტაძარი’ (სადაც. სპარს. *tacara* ‘სამეფო სასახლე’ (შმიტი) გადმოცემულია ქარ. ‘ტაძარი’ [II ეზრა 1:2], ასევე ქართულ ვერსიაში გვხვდება სომხური ნასესხები სიტყვები, მაგ. სომხ. *zatik* ‘მსხვერპლი’ გადმოცემული ქარ. ‘ზატიკი’ [I ეზრა 1:1]. საკუთარი სახელებიც ასახავს სომხური შუალედობის კვალს, მაგ., სომხ. *Hreastan* და ქარ. ჰურიასთან ბერძნ. *Ioúda* ‘იუდეა’-ს წინააღმდეგ.

შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მორფოსინტაქსურ თავისებურებებს, რომლებიც რამდენიმე ინდოევროპულ ენაში გვხვდება, მაგრამ აშკარად განასხვავებს ბერძნულს სომხურისგან: (ა) რთული ზმნების უპირატესობა, რომლებიც კარგადაა დამორჩებული სომხურსა და ინდოარისუულ ენებში, მაგრამ თითქმის არ გვხვდება ბერძნულში, სადაც პრეფერენცია მარტივ ზმნებს ენიჭება (მაგ. ქარ. ‘ლოცვა-ყველ’ გადმოსცემს სომხ. *arasc’en atōt’s* ‘იგივე’ ბერძნ. *proseúkhontai* ‘ლოცვულობენ’ [II ეზრა 6:10]) (მაიერი, იტზესი); (ბ) სახელობითი კომპოზიტების გადამუშავება, რომლებიც ბერძნულში მეტად პროდუქტულია, მაგრამ სომხურში ხშირად ანალიტიკურად გადმოიცემა (მაგ. ქარ. ‘სახლსა მატიანთასა სამეუფოთასა’ გადმოსცემს სომხ. *i town matenagrac* ‘იგივე’ ბერძნ. *en tois basilikoiς biblio phulakiois* ‘საწყობში’ [I ეზრა6:22]) (სკალა); (გ) პერიფრაზული კონსტრუქციების არსებობა ქირითმუებასთან ერთად, როგორც ბიბლიური ბერძნულის სპეციფიკური ნიშანი. ამათი შენარჩუნება ქართულ თარგმანში შეიძლება აღმეული იყოს როგორც წყაროს ენის „საკრალური შტამპის“ შედეგი, როგორც ამტკიცებს დრინკა (2011).

ეს ნაშრომი მიზნად ისახავს ისეთი ენობრივი თავისებურებების იდენტიფიცირებას ქართულ ბიბლიურ თარგმანებში, რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდეს წყაროს ენის – ბერძნულის, სომხურის თუ სირიულის – დიაგნოსტიკურ ნიშნებად. მათი გამოყენებით განისაზღვროს ის წიგნები, რომლებიც ვარაუდით ბერძნულიდანაა თარგმნილი, მაგრამ სომხური ვერსიის საფუძველზე იქნა გადახედილი (რეიფილდი), რითაც უფრო ნათელი ხდება ქართული ბიბ-

ლილის თარგმნის გადმოცემის ისტორია და ის ენობრივი კონტაქტები, რომლებიც არსებობდა ქართულსა და მის მეზობელ ინდოევროპულ ენებს შორის.

The history of Georgian Bible translation is complex. In the Oshki Bible, a manuscript dating to 978 CE containing translations from ca. 5th-6th centuries, most of the Old Testament books are probably translated from Greek, some from Syriac, and the Book of Ezra was probably translated from Armenian (Aleksidze). The paper compares the Armenian, Greek and Georgian versions of Ezra and proposes a list of diagnostic features that reveal that the source language of Ezra is indeed Armenian; at the same time, it shows that these features are absent in other books translated from Greek or Syriac.

First, proper names and the presence of Iranian loanwords will be analyzed. The Georgian and Armenian versions not only share cognate Iranian loanwords, e.g. Arm. *tačar* 'temple' (cf. OPers. *tacara* 'palace' [Schmitt ]) rendered by Georg. ტაძარი 'temple' [II Ezra 1:2], but the Georgian version also has Armenian loanwords, e.g. Arm. *zatik* 'sacrifice' rendered by Georg. ՑԱԹՈՅՆ 'sacrifice' [I Ezra 1:1]. Proper names likewise reveal traces of Armenian mediation, e.g. Arm. *Hreastan* and Georg. ՀՅՈՒՆԱՏՅԱՆ 'Judah' against Gk. *Ioúda* 'Judah'.

Then, particular attention will be paid to some morphosyntactic features that occur in several Indo-European languages but clearly differentiate Greek from Armenian: (a) the preference for light verb constructions, that are well attested in Armenian and in Indo-Aryan languages, but almost absent in Greek, where simplex verbs are preferred (e.g., Georg. ღომილა-ყველ (lit.) 'they do prayers' translates Arm. *arasc'en ałot's* 'id.' for Gk. *proseúkhontai* 'they pray' [II Ezra 6:10]) (Meyer, Itzés); (b) the treatment of nominal compounds, highly productive in Greek but often rendered analytically in Armenian (e.g., Georg. სახლსა მატიანტასა სამეცნოთასა 'in the house of the books' translates Arm. *i town matenagrac* 'id.' for Gk. *en toῖς basilikoῖς bibliophulakίois* 'in the archive' [I Ezra 6:22]) (Scala); (c) the presence of periphrastic constructions involving a participle, as a specific feature of biblical Greek. The preservation of these features in the Georgian translation can be seen as an effect of the 'sacral stamp' of the source language, as argued by Drinka (2011).

This paper aims to identify linguistic features in Georgian Bible translations that can serve as diagnostic markers of the source text – whether Greek, Armenian, or Syriac – and to apply these to Biblical books suspected to be of Greek origin but revised on the basis of the Armenian version (Rayfield), thereby clarifying the transmission history of Georgian Bible translations and shedding light on the language contact between Georgian and its neighboring languages.

**თამარ ლომთაძე, გიორგი გოგოლაშვილი**  
**Tamar Lomtadze, Giorgi Gogolashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

(საქართველო, Georgia)

**ებრაელთა ქართული, როგორც ეთნოდიალექტი და  
მისი ტერიტორიული ქვედიალექტები**

**Judeo-Georgian as an Ethnodialect and its Territorial  
Subdialects**

**საკვანძო სიტყვები:** ებრაელთა ქართული, ქართველი ებრაელები, ეთნოდიალექტი,  
ქვედიალექტი

**Keywords:** *Judeo-Georgian, Georgian Jews, ethnolect, subdialect*

ქართულ ენობრივ სივრცეში ქართველ ებრაელთა მეტყველების ადგილისა და სტატუსის საკითხი გასული საუკუნის ბოლომდე არ დასმულა. ამ საკითხის აქტუალურობა წინ წამოსწია მსოფლიოში ებრაელთა ენების ბოლო დროს გააქტიურებულმა კვლევებმა; დროული გახადა ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება ქართველ ებრაელთა მეტყველების მიმართ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულად მოსაუბრე ებრაელთა მეტყველებას ებრაელთა ქართულს უწოდებენ. ებრაელთა ქართულის, როგორც დამოუკიდებელი ნაირსახეობის, გამოყოფას ეთნიკური საფუძველი აქვს და ამ ტერმინის ქვეშ გაერთიანებულია საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე განფენილი ებრაელების მეტყველებრივი ნაირსახეობა. ეთნოდიალექტის, ებრაელთა ქართულის, გამოყოფის საფუძველს ქმნის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მაცხოვრებელ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი საერთო თავისებურებანი: ფონეტიკური (წარმოთქმა), გრამატიკული (მიგრაციული დიალექტიზმები, არქაული წარმოებები..) და ლექსიკური (ებრაულ/არამეული ლექსიკა) მოვლენები, მაგრამ ეთნოდიალექტი ებრაელთა ქართული არ არის ერთფეროვანი. იმ განსხვავებების საფუძველზე, რაც ახასიათებს სხვადასხვა კუთხის ებრაელთა ქართულ მეტყველებას, ეს ნაირსახეობანი ებრაელთა ქართულისა შეიძლება მივიჩნიოთ ქვედიალეტებად და ტერიტორიული თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს რამდენიმე ქვესახეობად: ებრაელთა ქართლური, ებრაელთა კახური, ებრაელთა მესხური, ებრაელთა იმერული, ებრაელთა ლეჩხუმური, ებრაელთა რაჭული, ებრაელთა აჭარული (ეთნოდიალექტის კილოკავები)...

არის შესაძლებელი თითოეული ქვედიალექტის კიდევ უფრო დიფერენცირება, მაგრამ ეს დროის საქმეა; გამოწვლილვით უნდა მოხდეს შესწავლა შიდადიალექტური განსხვავებებისა (მაგალითად ქართლურისათვის, იმერულისათვის...).

Within the Georgian linguistic space, the question of the place and status of the speech of Georgian Jews was not raised until the end of the last century. The relevance of this issue was brought to the forefront by recently intensified global research on Jewish languages; it has made timely the search for ways to address this problem in relation to the speech of Georgian Jews.

In Georgian scholarly literature, the speech of Georgian-speaking Jews is referred to as *Judeo-Georgian*. The classification of Judeo-Georgian as an independent variety is based on ethnic grounds, and this term encompasses the speech varieties of Jews dispersed across almost the entire territory of Georgia. The basis for distinguishing the ethn dialect – Judeo-Georgian – is the set of common features characteristic of the speech of Jews living in various regions of Georgia: phonet-

ic (pronunciation), grammatical (displaced dialectisms, archaic forms), and lexical (Hebrew/Aramaic vocabulary) phenomena.

However, the Judeo-Georgian ethn dialect is not uniform. Based on the differences that characterize the Georgian speech of Jews from different regions, these varieties of Judeo-Georgian may be considered subdialects; from a territorial perspective, they may be divided into several subvarieties: Judeo-Kartlian, Judeo-Kakhetian, Judeo-Meskhetian, Judeo-Imeretian, Judeo-Lechkhumi, Judeo-Rachian, Judeo-Adjarian.

It is also possible to further differentiate each subdialect, but this is a matter of time; a detailed study of inter-subdialectal differences (for example, those within Kartlian, within Imeretian, etc.) still needs to be carried out.

**მაია ლომია, რამაზ ქურდაძე  
ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე**  
**Maia Lomia, Ramaz Kurdadze**  
**Ketevan Margiani, Nino Tchumburidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics  
(საქართველო, Georgia)

**დასაწყისის მზა ფორმულები ქართველურ ხალხურ  
ზღაპრებში: ენობრივი და ფუნქციური ანალიზი<sup>1</sup>**  
**Ready-made Opening Formulas in Kartvelian Folk Tales:  
Linguistic and Functional Analysis**

**საკვანძო სიტყვები:** დასაწყისის მზა ფორმულები, ქართველური ენები,  
ხალხური ზღაპრები

**Keywords:** *ready-made opening formulas, Kartvelian languages, folk tales*

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) FR-24-1355 საგრანტო პროექტის ფარგლებში.

The research has been implemented within the grants project (SRNSFG) FR-24-1355 of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

ხალხური ზღაპარი სხვა ფოლკლორული ჟანრის ტექსტისგან განსხვავდება სტრუქტურით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელია დასაწყისის მზა ენობრივი ფორმულა. იგი რამდენიმე კომპონენტისგან შექმნილი მყარი შესიტყვებაა და ზღაპრის განუყოფელ ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. დასაწყის ფრაზას მყარ ინიციალურ გამონათქვამსაც უწოდებენ. იგი ძირითად ამბავთან და ფინალურ ფრაზასთან ერთად ქმნის ზღაპრის ჩარჩოს. მთხოვნელს მსმენელი ზღაპრულ სამყაროში სწორედ დასაწყისი ფრაზით შეჰყავს, რომელიც მრავალფეროვანი სემანტიკისაა. ინიციალური გამონათქვამის ფუნქციური დანიშნულებაც ეს არის: მეტი გამომსახველობა და დამაკერებლობა შესძინოს გამოგონილ ამბავზე დაფუძნებულ ზეპირ მოთხოვნის. საანალიზოდ გამოყენებულია ქართველურ ენებზე (ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური) შესრულებული ხალხური ზღაპრები. მოხსენების მიზანია იმის წარმოჩენა, ქართველურ ზღაპრებში დასაწყისის მზა ფორმულები რა ენობრივ მონაცემებს შეიცავს, როგორია მათი ურთიერთკავშირი, რა შინაარსს გადმოსცემს და რა ფუნქციურ დატვირთვას ატარებს; საინტერესოა აგრეთვე ამ თვალსაზრისით ქართველური ენების მონაცემთა შედარება-შეპირისპირება და მათ შორის მსგავსება-განსხვავების წარმოჩენა.

ქართველური ხალხური ზღაპრები ხასიათდება დასაწყისი ენობრივი ფორმულების სიუხვით, რომელთა მიზანდასახულებაა ხელი შეუწყოს დაუკერებელი ამბის დამაკერებლად გადმოცემას. დასაწყის ფრაზაში მოცემული ლექსიკური ერთეულები ხაზს უსვამს, რომ:

I. მოსაყოლი ამბავი ძველია, რაზეც მიუთითებს:

ა. „ყოფნა“ ან „ყოლა“ ზმნის წარსული დროის ფორმები:

ქართ: იყო; მეგრ: ორდუ, ლაზ: ტუ / ქორტუ „იყო“; მეგრ: ქოყოფენან, ლაზ: ქორტენან „ყოფილან“, სვან: ლასტუ „იყვნენ“, ლგმჩრ „ყოფილა“ და სხვ. თითოეული ზმნური ფორმა დასაწყისი ფრაზის მუდმივი ელემენტია.

ბ. დროის ზმნიზედები ან ზმნიზედური მნიშვნელობის შესიტყვებები:

ქართ: უხსოვარ დროს, დიდი ხნის წინათ; მეგრ: მითაჟამს, სვან: შომტულე „ოდესლაც“.

გ. ხნიერების გამომხატველი მსაზღვრელი ან გაარსებითებული სახელი:

ქართ: ... მოხუცი ცოლ-ქმარი, მეგრ: ... დედიბი დო ბადიდი, ლაზ: ...ხინი დო ბადი „დედაბერი და მოხუცი [კაცი]; სვან: მეჩი დადა ი ბაბა „მოხუცი ბებია და ბაბუა“.

დ. პერსონაჟის დაფარული ვინაობა (გადმოცემულია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით): ქართ: ერთი, მეგრ: ართი, ლაზ: არ, სვან: ეშხუ „ერთი“ (= ვიღაცა).

II. მოსაყოლი ამბავი მოგონილია (არ არის ნამდვილი), რაზეც მიუთითებს ზმნური ანტონიმური წყვილი: ქართ: იყო და ახა იყო ხა (—იყო და ახახა / „ახა-ფეხი“ იყო). ხალხის წიაღში შექმნილი მოგონილი ამბის შინაარსი ფართოა

– იგი სიძველესთან ერთად სიბრძნესაც შეიცავს. ქართულ ზღაპარში მოცე-მული რთული უარყოფითი ნაცვალსახელი (არარა) გახლეჩილია და მასში ტმესის წესით ჩასმულია გამეორებული „იყო“ ზმნა: ახა იყო ჩა. საპირისპირო სემანტიკის ამგვარად გამოხატვა ფრაზაში ლექსიკურ ერთეულთა მეტ სიმჭი-დროვესა და გადმოსაცემი აზრის მეტ ინტენსივობაზე მიუთითებს. ლაზურში აღნიშნული ენობრივი ფაქტი უნახაობის შინაარსის ზმნურ ფორმათა დაპი-რისპირებით არის გადმოცემული: ტექნ ღო ვახ ტექნ „ყოფილა და არ ყოფილა“; სარფის ლაზურში აღნიშნული ფრაზა შესაძლებელია ქართულის გავლენით იყოს დამკვიდრებული.

კვლევის შედეგები საინტერესო და საჭიროა ლინგვისტებისთვის, ფოლკლორისტებისთვის, ლიტერატურის თეორეტიკოსებისთვის; ასევე, ჰუმა-ნიტარული მიმართულების სხვა დარგის სპეციალისტებისთვისაც.

A folk tale differs from other folkloric genres by its structure, one of the main components of which is the ready-made linguistic formula used at the beginning. This is a fixed expression composed of several elements and forms an integral, organic part of the tale. The opening phrase is also called a fixed initial expression. Together with the main narrative and the final phrase, it creates the frame of the tale. It is precisely through the opening phrase that the storyteller leads the listener into the fairy-tale world, and this phrase is rich and diverse in its semantics. The functional purpose of the initial expression is to give greater expressiveness and credibility to the fictional, oral narrative based on an invented story. The analysis is based on folk tales recorded in the Kartvelian languages (Georgian, Megrelian, Laz and Svan). The aim of the paper is to show what linguistic features the ready-made opening formulas in Kartvelian folk tales contain, how they are interconnected, what meaning they convey and what functional load they carry. From this perspective, it is also interesting to compare and contrast the data of the Kartvelian languages and highlight their similarities and differences.

Kartvelian folk tales are diverse in linguistic formulae aimed at achieving the credibility of an incredible story. The lexical units given in the opening phrase underline the following:

The story told in the tale is ancient; this is achieved by the following factors:

a. The past forms of the verbs “to be” and “to have”:

Geo: *iqo*; Megr: *ordu*; Laz: *tu* / *korṭu* “was”; Megr: *ko’openan*, Laz: *korteenan* “must have been”; Svan: *läswx* “they were”, *ləmär* “were” etc. Each of these verb forms is an inalienable and permanent element of the initial phrase.

b. Adverbs or adverbial collocations expressing time:

Geo: *uxsovar dros* “in times immemorial”, *didi xnis çinat* “a long time ago”; Megr: *mitažams, šomūāle* “at some time”.

c. Adjectives or nouns expressing old age:

Geo: ...moxuci col-kmari “old-aged married couple”; Megr: ...dedibi do badidi, ...xčini do badi “the old man and his lady”; Svan: meči dada i baba “old grandma and grandpa”.

d. An unknown identity of the character (expressed by an indefinite pronoun):

Geo: erti; Megr: arti, Laz: ar; Svan: ešxu “one” (= some/someone/somebody).

II. The story is invented (unreal); this is expressed by the antonymous forms of the same verbs: Geo: *igo da ara igo ra* ( $\neg$  there was and there was not / there was “nothing”). The content of the story invented by people is diverse, ancient and wise at the same time. The compound negative pronoun (“nothing”) often found in Georgian fairy tales is split and the verb “was” is inserted in between: *ara igo ra* (“there was not” / “there was nothing”). This controversial semantics points to the density of lexical units in the phrase and the intensity of the idea expressed. In Laz, this linguistic fact consists in verb forms expressing unseen actions: *teen do varteen* “maybe there was and maybe there was not”. In the Laz speech of Sarpi, this phrase must have been established under the influence of Georgian.

The results of the research are interesting and necessary for linguists, folklorists, literary theorists, as well as specialists in other humanitarian fields.

**ქეთევან მამასახლისი**  
**Ketevan Mamasakhli**

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია  
Tbilisi Theological Academy and Seminary  
(საქართველო, Georgia)

**ღმრთისმსახურების ისტორია და ქტიტორული  
ტიპიკონები საქართველოს ეკლესია-მონასტრებში**  
**The History of Worship and the Founders' Typicon in the  
Churches and Monasteries of Georgia**

**საკვანძო სიტყვები:** ღმრთისმსახურების ისტორია, ქტიტორული ტიპიკონები.  
საქართველოს ეკლესია-მონასტრები

**Keywords:** the history of worship, founders' Typicon, churches and monasteries of Georgia

ქრისტიანული ღვთისმსახურების ისტორია სათავეს წმინდა წერილიდან იღებს. მან გარკვეულწილად შეინარჩუნა ღვთისმსახურების ძველაღთქმისეული ფორმები. ახალი აღთქმის ეკლესია დააარსა თავად განვაცებულმა უფალმა, რომელმაც გააუქმა სისხლიანი მსხვერპლშენირვა და სათავე დაუდო ქრისტიანულ ღვთისმსახურებას, რომლის ცენტრშიც დგას ევქარისტია.

უძველესი საღვთისმსახურო განგების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ისეთ უმნიშვნელოვანეს წყაროებში, როგორიცაა: „დიდაქე“, კირილე ალექსანდრიელის „სტრომატები“, კლიმენტი რომალის ეპისტოლე და სხვ. ასევე მოთხოვილია საკლესიო საიდუმლოებათა აღსრულების შესახებ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, სასულიერო პირთა დასტე.

სამოღვაწეო წესებს საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ თემებში, მოგვიანებით კი ჩამოყალიბდა პახომი დიდის, ბასილი კაბადოკიელის, კასიანე რომალის, საბა განწმედილისა თუ თეოდორე სტუდიელის სამონასტრო წეს-განგებები.

ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში ჩამოყალიბებული საღვთისმსახურო წეს-განგება გულისხმობს საკუთრივ ღვთისმსახურების ჩატარების წესს და დისციპლინურ საკითხებსაც.

შეა საუკუნეების ქართული საკლესიო ისტორია მჯიდროდაა დაკავშირებული ზემოაღნიშნულ მოვლენებთან. საკუთრივ ქართულ მიწა-წყალსა თუ საზღვარგარეთ არსებულ სულიერ კერძებში მოღვაწე ქართველი მწიგნობარი მამები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მიმდინარე პროცესებში. ისინი არა მარტო თვალს ადევნებდნენ ამ მოვლენებს, თარგმნიდნენ ყველა იმ მიღწევას, რომლებიც იმ პერიოდის ქრისტიანულმა სამონასტრო ცხოვრებამ წერილობითი სახით ჩამოყალიბა და სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტის სახე მისცა. მასში ჩამოყალიბებული სამართლებრივი ნორმებით ისინი ახალ წეს-განგებებს ამკვიდრებდნენ როგორც თავიანთ სამოღვაწეო არეალში, ასევე საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ არსებულ ეკლესია-მონასტრებში. ამ დიდ საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდნენ უმაღლესი საერო პირები, მეფეები და დიდებულები. აღნიშნული წესები კტიტორული ტიპიკონების სახით დამკვიდრდა ეკლესიის ისტორიაში. კტიტორულ ტიპიკონებში ვალდებულებანი მონასტრის წევრებსა და მის აღმშენებლებს შორის ორმხრივი იყო. მათ გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ერთმანეთის მიმართ. ასეთი ტიპის ტიპიკონებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, შიო მღვიმეს მონასტრის ტიპიკონი და ვაჰანის ქვაბთა განგება.

დასახელებულ ტიპიკონთაგან ჩვენს ყურადღებას პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი მრავალმხრივ იქცევს. ესაა ერთადერთი ტიპიკონი, რომელიც ბერძნულთან ერთად საკუთრივ ქართულ ენაზეც დაიწერა და შემოგვრჩა სრული სახით.

საკუთრივ ქართულენოვანი წეს-განგებების გარდა, სამოღვაწეო წესები ფრაგმენტებიდან შემოგვრჩა ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობის ნიმუშებში. აღნიშნული ფრაგმენტები

საინტერესო მასალას შეიცავენ არა მხოლოდ იმ პერიოდის სამონასტრო ტრადიციის, არამედ საქართველოს ეკლესიის ისტორიის დამოკიდებულების გასაცნობად აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანულ სინამდვილესთან.

The history of Christian worship originates from the Holy Scriptures. It has, to some extent, preserved the Old Testament forms of worship. The New Testament Church was established by the incarnate Lord Himself, who abolished blood sacrifices and laid the foundation for Christian worship, at the center of which stands the Eucharist.

Interesting information about the oldest liturgical practices is preserved in such significant sources as the “Didakhe”, Cyril of Alexandria’s “Stromata”, the epistles of Clement of Rome, and others. These sources also describe the performance of Church sacraments in the first centuries of Christianity and the community of clergy.

The basis of monastic rules was laid in Christian communities and later developed into the monastic regulations of Pachomius the Great, Basil of Caesarea, Cassian of Rome, Sabbas the Sanctified, and Theodore the Studite. The liturgical order that developed in the first centuries of the spread of Christianity involves not only the proper conduct of worship but also disciplinary matters. The history of the Church of Georgia in the Middle Ages is closely connected with these aforementioned events. Georgian scholarly fathers, whether active in Georgian lands or in spiritual centers abroad, participated actively in the ongoing processes. They not only observed these events but also translated all the achievements that the Christian monastic life of that period had formulated in writing and given the form of legal documents. With the legal norms established therein, they instituted new orders both in their own spheres of activity and in churches and monasteries both within Georgia and beyond its borders. In this great undertaking, the highest secular authorities, kings, and nobles played a crucial role. These rules were established in church history in the form of founders’ typicons.

In typicons, the obligations between the members of the monastery and its founders were mutual. They had certain responsibilities toward each other. Among such types of typicons, the typicon of the Petritsoni Monastery, the typicon of Shio-Mgvime Monastery, and the regulations of the Vahani caves should be particularly noted.

Among the mentioned typicons, our attention is especially drawn to the typicon of the Petritsoni Monastery. It is the only one written not only in Greek but also in the Georgian language and is preserved in its complete form.

In addition to the Georgian-language monastic regulations, monastic rules have survived fragmentarily in Georgian hagiographical writings. These fragments contain interesting material, not only for understanding the monastic tradition of that period but also for learning about the position of the Church of Georgia in the broader Eastern and Western Christian contexts.

**ხვთისო მამისიმედიშვილი**  
**Khvtiso Mamisimedishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**„ომის ციკლის“ ლექსები აკაკი შანიძის „ხევსურულ  
პოეზიაში“ და მათი თავისებურება**  
**Poems from the “War Cycle” in Akaki Shanidze’s “Khevsurian  
Poetry” and Their Peculiarities**

**საკვანძო სიტყვები:** პირველი მსოფლიო ომი, ფორგვები, ხევსურული პოეზია  
**Keywords:** The First World War, folklore, Khevsurian poetry

აკაკი შანიძის მიერ 1931 წელს გამოცემულ „ხევსურულ პოეზიაში“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ომის თემაზე შექმნილ ლექსებს, რომლებიც წიგნის ავტორმა ერთ ციკლად გააერთიანა, სახელწოდებით „სალდა-თობა და ომი“. იგი მოიცავს ორმოცამდე პოეტურ ტექსტს და ასახავს ხევსურე-ბის მონანილეობას რუსეთის მიერ წარმოებულ ომებში. ლექსების ძირითადი ნაწილი, რომლებიც ხევსურულ დიალექტზეა შექმნილი, უკავშირდება პირ-ველი მსოფლიო ომის თემას, თუმცა ერთი-ორი „სიმღერე“ რუსეთ-ოსმალე-თისა (1877-1878 წწ.) და რუსეთ-იაპონიის (1905-1906 წწ.) ომებსაც ეხმიანება.

როგორც პოეტურ ტექსტებზე დართული შენიშვნებიდან ირკვევა, ლექსების უმეტესობა აკაკი შანიძეს უშუალოდ ავტორ-მთქმელებისგან ჩაუ-წერია, ნაწილიც - სხვა შემსრულებლებისგან. კომენტარებიდან ვიგებთ, რომ მკვლევარს „სალდათობისა და ომის“ თემაზე შექმნილი ლექსები მთქმელე-ბისგან მოუპოვებია როგორც ზეპირი წათვამებით, ისე წერილობითი გზით, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ XX საუკუნის დასაწყისში ხალხური პოეზის ოსტა-ტები საკუთარი პოეტური სიტყვის გადმოსაცემად კალამსაც იყენებდნენ. ისინი ზეპირი გზის გარდა, უკვე წერილობითაც აფიქსირებდნენ თავიანთ „სიმღერებს“. აკაკი შანიძე ამ ციკლის ლექსებს იწერდა ყველგან: ხევსურეთში - ადგილობრივი მცხოვრებლებისგან, თბილისში - სტუმრად ჩამოსული მთი-ელი მთქმელებისგან და, ასევე, პირველ მსოფლიო ომში დაჭრილი ხევსური ჭარისკაცებისგან, რომელთა მოსანახულებლადაც ის ხშირად დაუზარებლად მიდიოდა პეტერბურგის სამხედრო პოსპიტალში. „ომის ციკლის“ ლექსებიდან ყველაზე მეტი პოეტური ტექსტი აკაკი შანიძეს ბესარიონ გაბურისა და ალექსი ოჩიაურისგან ჩაუწერია.

მიუხედავად იმისა, რომ „სალდათობისა და ომის“ ციკლის ზოგიერთი ლექსი წერილობით და არა ზეპირი გზით იქმნებოდა, ისინი, ყველა, უკლებ-ლივ, მაინც ხალხურ პოეზიას უნდა მივაკუთნოთ, რადგან, ფერ ერთი, რომ მათში დაცულია ადგილობრივი ფოლკლორული ტრადიციისათვის დამახასი-ათებელი მდიდარი პოეტური ფორმები, ხევსურული პოეზიისთვის ნიშანდო-ბლივი სტერეოტიპური მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და მე-ორეც, რომ ეს ლექსები ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა და ფოლკლორულ ვარიანტებს იძენდა.

აკაკი შანიძის „ხევსურულ პოეზიაში“ შესული „სალდათობისა და ომის“ ციკლის ლექსები ჟანრული თვალსაზრისით მიეკუთვნება ლირიკას, რადგან მათში ჭარბად არის გამოხატული ავტორ-მთქმელთა განცდები, კერძოდ, სა-მშობლოსა და ახლობლების მონაწრება, თანამებრძოლთა დაღუპვით მიღე-ბული სულიერი ტკივილი, უცხო ქვეყნის ომში მონაწილეობით გამოწვეული ერთგვარი პროტესტი. ცალკეულ ლექსებში აისახა ომისა და ბრძოლის სა-სტიკი ეპიზოდებიც. ისინი, ცხადია, ომის მონაწილე თვითმხილველი ხევსური ჭარისკაცების მიერ არის შექმნილი, რომელთა ასაკიც 20-დან 25 წლამდე მერ-

ყეობდა. ზოგიერთი ხევსური ბრძოლის ველზე დაიღუპა და სამუდამოდ დარჩა უცხო მიწაზე.

იმ ლექსებში, რომლებსაც წერილისა და მიმართვის ფორმა აქვთ, პირად განცდებთან ერთად, წარმოდგენილია ლალი, იუმორისტული სტილით შეზავებული ბიოგრაფიული ელემენტები და მოგონებებიც. „სალდათობისა და ომის“ ციკლის ლექსებისთვის დამახასიათებელია სამხედრო თემასთან დაკავშირებული ბარბარიზმების, რუსული სიტყვებისა და გამოთქმების ხშირი გამოყენება, რომლებიც სხვა მხატვრულ თავისებურებებთან ერთად ქმნის პოეტურ ეფექტს, რათა მთელი სიცხადით შეაგრძნობინოს მსმენელსა თუ მკითხველს კონკრეტული ეპოქა, უცხო მიწაზე, უცხო ომში განცდილი შთაბეჭდილებები.

In Akaki Shanidze's "Khevsurian Poetry" published in 1931, one of the most important places is occupied by poems on the theme of war, which the author of the book combined into one cycle, entitled "Soldiership and War". It includes about forty poetic texts and reflects the participation of the Khevsurian people in the wars waged by Russia. The main part of the poems, which are written in the Khevsurian dialect, is related to the theme of the First World War, although one or two "songs" also refer to the Russian-Ottoman (1877-1878) and Russian-Japanese (1905-1906) wars.

As is clear from the notes attached to the poetic texts, most of the poems were recorded by Akaki Shanidze directly from the author-speakers, and some of them – from other performers. From the comments we learn that the researcher obtained the poems created on the theme of "Soldiership and War" from the speakers both orally and in writing, which indicates that at the beginning of the 20th century, masters of folk poetry also used the pen to convey their poetic word. In addition to the oral method, they were already recording their "songs" in writing. Akaki Shanidze recorded the poems of this cycle in various settings: in Khevsureti, from local residents; in Tbilisi, from visiting highland speakers; and from Khevsurian soldiers wounded in the First World War, whom he frequently visited at the St. Petersburg military hospital. Shanidze recorded most of the poetic texts of the "War Cycle" from Besarion Gaburi and Alexi Ochiauri.

Although some of the poems in the "Soldiership and War" cycle were composed in writing and not orally, all of them, without exception, should nevertheless be attributed to folk poetry. Firstly, they preserve the rich poetic forms and stereotypical artistic and expressive means characteristic of the local folklore tradition, in particular, Khevsurian poetry. Secondly, these poems were disseminated orally among the people and acquired folkloric variants.

The poems of the cycle "Soldiership and War" included in Akaki Shanidze's "Khevsurian Poetry" belong to the lyric genre, because they abundantly express

the feelings of the author-speakers, in particular, the longing for their homeland and relatives, the spiritual pain caused by the death of comrades, and a kind of protest caused by participation in a foreign war. Some poems also reflect the cruel episodes of war and battle. They were obviously created by eyewitnesses of the war, Khevsurian soldiers, whose ages ranged from 20 to 25 years. Some Khevsurians died on the battlefield and forever remained in a foreign land.

In those poems that have the form of letters and addresses, along with personal feelings, biographical elements and memories are presented, mixed with a delightful, humorous style. The poems of the "Soldiership and War" cycle are characterized by the frequent use of barbarisms, Russian words and expressions related to military themes, which, together with other artistic features, create a poetic effect in order to make the listener or reader feel with all clarity a specific time, impressions experienced in a foreign land, in a foreign war.

**მარიამ მანჯალაძე**  
**Mariam Manjgaladze**

კავკასიის უნივერსიტეტი  
Caucasus University  
(საქართველო, Georgia)

**ენობრივი პოლიტიკის დისკურსი საქართველოს  
პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ  
გამოცემებში**

**The Discourse of Language Policy in the Periodical Press  
of the First Democratic Republic of Georgia**

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო ენა, ენობრივი პოლიტიკა, დისკურსული ანალიზი,  
ქართული ენა, პერიოდული გამოცემები, 1918-1921 წ.წ.

**Keywords:** *state language, language policy, discourse analysis, Georgian language,  
periodicals, 1918-1921*

ჩვენი კვლევის საგანია ენობრივი პოლიტიკის დისკურსი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) პერიოდულ გამოცემებში. კვლევის ემპირიულ მასალას წარმოადგენს გაზეთები „ერთობა“ და „საქართველო“, რომელთა ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს სახელმწიფო ენის სტატუსთან, მისი ფუნქციონირების სფეროებთან, უმცირესობათა და უცხო ენების საკითხებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისკურსი. გამოყენებული გვაქვს დისკურსული ანალიზის მეთოდი, რაც ენობრივი პოლიტიკის, როგორც ინსტიტუციური და იდეოლოგიური პრაქტიკის გააზრებას ემსახურება.

კვლევის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ენობრივი პოლიტიკა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში განიხილებოდა, როგორც სახელმწიფოებრივი მშენებლობის მნიშვნელოვანი კომპონენტი და მჭიდროდ იყო დაკავშირებული განათლების სისტემის ორგანიზებასთან. პერიოდული გამოცემების თემატურ სტატიებში კარგადაა გააზრებული ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის მნიშვნელობა, მისი ცოდნისა და გავრცელების გარკვეული პრობლემები ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო სივრცეში; საკმაოდ კრიტიკულია დამოკიდებულება ენობრივი პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარვეზების მიმართ. ენობრივ საკითხებზე დისკუსია ხშირად ასახავდა ფართო სოციალურ და პოლიტიკურ დაპირისპირებას, მათ შორის ეროვნული იდენტობის, დემოკრატიული პრინციპებისა და რეგიონული კონტექსტის ქრილში.

შენამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ 1918–1921 წლების პერიოდული პრესა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ენობრივი პოლიტიკის დისკურსის შესასწავლად, მასში ასახულია როგორც ინტელექტუალური, ისე საზოგადოებრივი ძალისხმევა, რომელიც ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციის განმტკიცებას ისახავდა მიზნად.

The subject of this study is the discourse of language policy in the periodical press of the First Democratic Republic of Georgia (1918–1921). The empirical material of the research consists of the newspapers „Ertoba“ and „Sakartvelo“, the analysis of which makes it possible to identify public and political discourses related to the status of the state language, its domains of functioning, as well as issues concerning minority and foreign languages. The study employs discourse analysis as its main methodological approach, aiming to conceptualize language policy as both an institutional and an ideological practice.

The findings demonstrate that, under the conditions of the First Democratic Republic of Georgia, language policy was regarded as a crucial component of state-building and was closely linked to the organization of the education system.

The thematic articles published in the periodical press reveal a well-articulated understanding of the significance of the state status of the Georgian language, along with the challenges related to its knowledge and dissemination in administrative and educational domains. The implementation of language policy is often approached critically, with particular attention paid to its shortcomings. Discussions of language-related issues frequently reflected broader social and political tensions, including debates over national identity, democratic principles, and regional contexts.

Based on the analysis, the study concludes that the periodical press of 1918–1921 constitutes an important source for examining the discourse of language policy, as it captures the intellectual and public efforts aimed at strengthening the state functions of the Georgian language.

**სოფიო მახაჭაშვილი  
Sopio Makhatchashvili**

რეზენტ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი  
Recep Tayyip Erdogan University  
(თურქეთი, Turkey)

**ოსმალელი ქართველების არქეტიპები გაზეთ  
„დროებაში“დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილების  
მიხედვით (1908-1910 წ.წ.)**

**Archetypes of Ottoman Georgians According to Journalistic Letters  
Printed in the Newspaper “Droeba” (1908-1910)**

**საკვანძო სიტყვები:** ოსმალელი ქართველები, ახელგიბები, „გროება“  
**Keywords:** Georgians from Istanbul, archetypes, “Droeba”

ცხოვრების ბრუნვისა თუ ბედის უკუღმართობის გამო, ოსმალეთის ტე-რიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში უამრავი ქართველი ცხოვრობდა და ცხოვრობს. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა 1877-78 წ. რუსეთ-თურქე-თის ომის შემდეგ. მძიმე სოციალურ პირობებში აღმოჩენდა ქართველობა. მათ ადგილობრივ პირობებთან შეგუება უჭირდა და ფიზიკური გადარჩე-ნისთვის უხდებოდა ბრძოლა. განსაკუთრებით გაუჭირდათ XX ს. დასაწყისში, აბდულ ჰამიდის სასტივი მმართელობისას, როდესაც საყოველთაო შიში იყო გამეფებული და ხმის ამოღებისაც კი ეშინოდათ; საკუთარი იდენტობის და-მალვა ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ გზად რჩებოდათ. 1908-09 წ. ახალგა-ზრდა თურქების რევოლუციის შემდეგ შეიცვალა იქ მცხოვრებ ქართველთა მდგომარეობაც.

ქართული პრესა XIX ს. 70-იანი წლებიდან მოყოლებული ყურადღებით ადევნებდა თვალს ოსმალეთში მიმდინარე მოვლენებს. ქართულ საზოგადო-ებას, ბუნებრივია, იქ მცხოვრებ ქართველთა ბედი აინტერესებდა უპირვე-ლესად. თუმცა, 1906 წ. გაზეთ „ივერიის“ დახურვის შემდეგ, ფაქტიურად აღარ დარჩა საინფორმაციო საშუალება რუსული პრესის გარდა, სადაც, რასაკვირ-ველია, ოსმალელ ქართველთა ცხოვრების ამსახველი ინფორმაციებისთვის ადგილი ვერ გამოინახებოდა. გაზეთ „დროების“ აღდგენა 1908 წ., მისი და-ხურვიდან 23 წლის შემდეგ (1866-1885 წწ), როგორც ყოველდღიური პოლიტი-კური და ლიტერატურული გაზეთისა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. გაზეთმა წელიწადნახევარი იარსება (18.11.1908 – 06.05.1910), თუმცა, ამ მოკლე ხნის მი-უხედავად, უამრავი მნიშვნელოვანი პუბლიცისტური ნააზრევი შემოგვინახა, მათ შორის ჩვენს სამიზნე თემაზე. მის ფურცლებზე იბეჭდებოდა ვრცელი კორესპონდენციები ოსმალეთში მიმდინარე მოვლენებისა და ოსმალელი ქართველების შესახებ. მათში მოთხრობილია იმ ადამიანებზე, რომელთაც „სრულიად არ გაჰქირდიათ ქართველობის ელემენტი“; „არ ჰქონდათ განყვე-ტილი მშობლიურ ჰანგათან დამაკავშირებელი გულის ძარღვი“.

ამ პუბლიკაციის ავტორთა უმეტესობა ფსევდონიმსაა ამოფარებული: უსახლ-კაროს (მ. წერეთელი) „მგზავრის შენიშვნები“, 1908 წ., N 3, 24, 30, 33; „ქა-რთველი დიდგაცობა სტამბოლში“, 1909 წ. N22, 23; გადახვეწილის „ოსმალეთი“, 1909, N 91; უნაღვლელის „წერილი სტამბოლიდან“, 1909 წ. N 83, 84; ემილ-ეფე-ნდის (ე. ნაკაშიძე) „ქართველი მაპმადიანები“, 1909წ, N 87; „ოსმალთა შორის“, 1909 წ., N 99; ფარსმან მაძევარის (ს. ფირცხალავა) „ოსმალელი ქართველები“ (1910 წ., N34,38,37,36, 39) და სხვ. მათში განსხვავებული სოციალური ფენისა თუ სტატუსის, რელიგიური კუთვნილებისა თუ ხასიათის ოსმალელი ქართველის არქეტიპს ეცნობა მკითხველი. მათ ერთი რამ აერთიანებთ -„გურჯობა“; დრო-ისა და პირობების ცვლილებასთან ერთად, თვალნათელია, როგორ იცვლება მათი „ეროვნული თვითცნობიერება“.

ჩვენი მიზანი ამ არქეტიპების გაცნობა და მათი მეტამორფოზის წარმო-ჩენაა.

Due to the twists and turns of life or the twists and turns of fate, many Georgians have lived and continue to live in the Ottoman territory for centuries. Their number especially increased after the Russo-Turkish War of 1877-78. Georgians found themselves in difficult social conditions. They had difficulty adapting to local conditions and had to fight for physical survival. They had a particularly difficult time at the beginning of the 20th century, during the brutal rule of Abdul Hamid, when universal fear reigned and they were afraid to even raise their voices; hiding their identity remained the only way to survive physically. After the Young Turk Revolution of 1908-09, the living conditions of the Georgians residing there also changed.

The Georgian press was closely following the events taking place in the Ottoman Empire from the end of the 19th century. Georgian society was naturally primarily interested in the fate of the Georgians living there. However, after the closure of the newspaper "Iveria" in 1906, there was virtually no other information medium left except the Russian press, where, of course, there was no place for information reflecting the life of Ottoman Georgians.

The restoration of the newspaper "Droeba" in 1908, 23 years after its closure (1866-1885), as a daily political and literary newspaper, was a significant event. The newspaper existed for a year and a half (18.11.1908 – 06.05.1910), however, despite this short period of time, it preserved for us a large number of important journalistic articles, including those on our target topic. Its pages are filled with extensive articles about the events taking place in the Ottoman Empire and the Georgians living there. They tell stories about people who "have not completely lost the element of Georgianness"; "The heartstrings that connected them to their native tunes were not severed". Most of the authors of these publications are hidden behind pseudonyms.

In these articles, the reader is introduced to the archetype of a Georgian of different social strata or status, religious affiliation, or character. They have one thing in common – they are "Georgians" ("Gurjs"); it is evident how their "national self-awareness" changes with the changing of times and conditions.

Our goal is to introduce these archetypes and show their metamorphosis.

**დამანა მელიქიშვილი, ნათია ფუტკარაძე**  
**Damana Melikishvili, Natia Putkaradze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ქართული ზმნის Nom-Erg-Dat-იური კონსტრუქციის  
კიდევ ერთი ქვეკავუფის გამოყოფისათვის**  
**For the Separation of Another Subgroup  
of the Nom-Erg-Dat Construction of the Georgian Verb**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ზმნა, ეჩგატიური კონსტრუქცია,  
ზმნის სტრუქტურა, დატიური კონსტრუქცია

**Keywords:** *Georgian verb, Ergative construction, verb structure,  
Dative Construction*

წინამდებარე კვლევის მიზანია, დაასაბუთოს ქართული ზმნა-შემასმენ-ლის ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი კონსტრუქციის შემადგენელ ქვეაგუფთა კიდევ ერთი ოპოზიციური ცალის გამოყოფის აუცილებლობა დიათებათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ფარგლებში, ქართული ზმნის შინაგანი ბუნების აღნერისა და კიდევ უფრო დაბუსტების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ პირველი კვლევითი ნაშრომი ქართული ზმნის დი-ათებათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის შესახებ, სამეცნიერო სტატიის სახით, 1978 წელს გამოქვეყნდა ურნალ გეორგიკის პირველ ნომერში; ავტორი – დ. მელიქიშვილი ანდიუს მწკრივის ფუძეზე დაყრდნობით გამოყოფს ქა-რთული ზმნის ორ ძირითად მოდელს – R-Ø (მაგ., წერს) და R-(ებ)ი (მაგ., ვი-წერები), ხოლო მყოფად-წყვეტილის ფორმათა წარმოების საფუძველზე კი – აღნიშნულ ძირითად მოდელთა ქვესტრუქტურებს (გეორგიკა, 1978, გვ.: 17-22). მოგვიანებით, 1983 წელს გამოცემულ ნაშრომში – ზმნის ხმოვანპეფიქსუდი წარმოება ქათურები, ბ. ტორბენაძე აღნიშნავდა: „ქათურები ორი ძირითადი ყა-ღიბი გვაქვს: ა) ზმნური ფუძე (ბაღ-ებ) და ბ) ზმნური ფუძე + ი: (ი-ბაღ-ებ-ი...); პი- ხობითად ამათ შეიძეგა ვუწოდოთ მოქმედებითისა და ვნებითის ყაღიბები (ჩა-თქმა უნდა, აქ ახავითახი მნიშვნელობა ახა აქვს საკუთხივ აქტიურობა-პასიუ-რობის სემანტიკას). ყველა სხვა ყაღიბი ზემოხსენებუდი ორის მოღიფიკაციას წა-რმოადგენს“ (გვ. 183).

აღნიშნული ორი ტიპის ზმნურ სტრუქტურათა სინტაქსური ქცევის აღნე-რის მიზნით, კონსტრუქციაში ჩართულ მოქმედების ჩამდენ და აღმქმელ-გა-ნმცდელ პირის ფორმათა ბრუნვაცვალებადობის საფუძველზე დ. მელიქიშვი-ლმა გამოყო სამი დიათეზა: I – ნომინატიურ-ერგატიულ-დატიური, II – ნომინა-ტიური და III – დატიური. წინამდებარე კვლევა მხოლოდ პირველი დიათეზის ქვესტრუქტურებით შემოიფარგლება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცე-მულია პირველი დიათეზის ორი ქვეაგუფი, რომლებიც ერთმანეთს უპირის-პირდება ბრუნვაცვალებადი (ე.ნ. პირაპირი დამატება-ობიექტის) ქონა-არქო-ნით; შესაბამისად, მარცხენა ქვეაგუფი, რომელიც სინქრონიულ დონეზე არ შეიცავს ბრუნვაცვალებად დამატება-ობიექტს (მაგ., თვეემს ის, ბრკენს ის მას), უსრული კონსტრუქციისაა, მარცხენა ქვეაგუფი კი, რომლის კონსტრუქციაშიც აუცილებლად დასტურდება ბრუნვაცვალებადი დამატება-ობიექტი – სრული კონსტრუქციისა (მაგ., ჩუქურის ის მას მას, იჯებს ის მას...).

I დიათეზა

ცხრილი №1

<p><b>სტატიკური</b> გვარი: ავტოაქტივი//რეფლექსივი სტრუქტურა ძირებული</p> <p><b>R+Ø,</b> ა-/-უ-R[გ/ი]-Ø, prev.-R(Ø) ა-ი-უ-R-th-Ø, კონსტრუქცია უსრული [ის - მან; ის მას - მან მას]</p>	<p><b>დინამიკური</b> გვარი: აქტივი სტრუქტურა ძირებული, წარმოქმნილი</p> <p><b>R-Ø,</b> ა-ი-უ-R-Ø, ა-ი-უ-R[გ/ი]-Ø, ა-ი-უ-R-th-Ø, კონსტრუქცია სრული [ის მას - მან ის; ის მას მას - მან მას</p>
--	---

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „I გიათების პირვერ, უს-  
ხუდ ქვეკაგუფში ეხთპიჩიანი და ოჩიჩიანი ზმნუჩი ფოჩმები ეხთიანდება. ეხთპი-  
ჩიანი (ეხთვადენტიანი) ზმნები „გვაჩის“ სემანტიკუჩი თვარსაზჩისით ჩეფლექ-  
სივებია, მათ ას შეეწყობა ბრუნვაცვადებადი (ე.წ. „პიჩაპიჩი“) ობიექტი, ისინი  
„გაჩაუცდებია“, ავტოაქტივებია, (კანკაღებს ის, წუხს ის, იძინებს ის, იძახის ის).  
ოჩიჩიანები – იჩიბაჩდამავადებია (შეხედა მან მას). II ქვეკაგუფის ზმნები კი,  
სემანტიკით (შინააჩსით) – აქტივებია. გაჩამავრობის მიხედვით ისინი პიჩა-  
პიჩაჩდამავადი ზმნებია“ (მელიქიშვილი, 2014,გვ. 85).

აუცილებლად გასავლელი და მნიშვნელოვანი ეტაპი იყო აწმყოს მწკრი-  
ვის ფუძეზე დაყრდნობით ქართული ზმნის ყველა შესაძლო სტრუქტურული  
მოდელის სინტაქსურ კონსტრუქციათა აღნერა და დიათეზათა მორფოსი-  
ნტაქსური კლასიფიკაციის ჩამოყალიბება. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშ-  
ნული სისტემა არ არის ჩაკეტილი და იძლევა როგორც თეორიის განვითარე-  
ბის, აგრეთვე ცვლილებების შეტანის საშუალებას, ვფიქრობთ შესაძლებელია  
კიდევ უფრო დაზუსტება და ორად გაყოფა ე.წ. უსხუდი ქვეკაგუფისა, რომელიც  
ბრუნვაცვალებადი ობიექტის არქონის საფუძველზეა სტრუქტურირებული. სა-  
ჭიროდ მიგვაჩინია აღნიშნულ ქვეკაგუფში შემავალ ერთპირიან სტატიკურ ფორ-  
მათა გამიჯვნა ოპირიანთაგან და I.1 და I.2 ქვეკაგუფის ჩმნათა კონსტრუქციაში, ახალ ქართულ  
ენაში არ დასტურდება ბრუნვაცვალებადი დამატება-ობიექტი, მუდმივად მი-  
ცემითში მდგარი სახელი (ე.წ. იჩიბა იბიექტი) ბრუნვაცვალებადი სუბიექტის  
მიერ ჩადენილი მოქმედების პაციენსი და უშუალო მიმღებია, მაგ., ბწვენს ის  
მას, კბენს ის მას, აღწევს ის მას... დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფი-  
კაციის ფარგლებში აღნიშნული ფორმები ირიბგარდამავალი მოქმედების  
გამომხატველია; საენათმეცნიერო კვლევით ნაშრომთა უმრავლესობაში აღ-  
ნიშნული ტიპის ზმნური ფორმები გარდაუვალ ზმნებად კვალიფიცირდება,  
მიუხედავად იმისა, რომ ზმნის კონსტრუქციაში არსებული მიცემითბრუნვი-  
ანი დამატება-ობიექტი მოქმედების უშუალო მიმღებია. ვფიქრობთ, საჭიროა  
აღნიშნული კონსტრუქციის მესამე, შუალედური ქვეკაგუფის გამოყოფა, რომე-  
ლიც აქტიური მოქმედების გამომხატველია იმ განსხვავებით, რომ აღნიშნულ  
კონსტრუქციაში, (სინქრონიულ დონეზე) ოდენ ბრუნვაუცვლელი დამატება-  
ობიექტი ფიგურირებს (მაგ., ჩქმეტს ის მას), ზმნა-შემასმენლით გამოხატული  
მოქმედება ისეთივე აქტიურია, როგორც ბრუნვაცვალებადობიექტიანი კონ-  
სტრუქციის შემთხვევაში. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გვა-  
რეობითი სტრუქტურის არსებითი ცვლილების გარეშე, პირველი დიათეზის  
ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

I დიათეზა		
I.1.	I.2.	I.3.
<p>სტატიკური გვარი: ავტოაქტივი// რეფლექსივი კონსტრუქცია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <math>S_{\text{Nom\_Erg\_Dat}} \ggg O_{\text{Dat\_Dat}}</math></li> </ul>	<p>დინამიკური გვარი: აქტივი კონსტრუქცია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <math>S_{\text{Nom\_Erg\_Dat}} \ggg O_{\text{Dat\_Nom\_Nom}}</math></li> <li>• <math>S_{\text{Nom\_Erg\_Dat}} \ggg O_{\text{Dat\_Nom\_Nom}} \ggg O_{\text{Dat\_Dat}}</math></li> </ul>	<p>დინამიკური გვარი: აქტივი კონსტრუქცია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <math>S_{\text{Nom\_Erg\_Dat}} \ggg O_{\text{Dat\_Nom\_Nom}}</math></li> <li>• <math>S_{\text{Nom\_Erg\_Dat}} \ggg O_{\text{Dat\_Nom\_Nom}} \ggg O_{\text{Dat\_Dat}}</math></li> </ul>

ამგვარად, მიცემითაბრუნვანი პაციენსის საფუძველზე კიდევ ერთი, გვარის თვალსაზრისით აქტიური მოქმედების გამომხატველი ქვეკავუფის გამოყოფა არ იწვევს დიათეზის ძირითადი მოდელის – R-∅ სტრუქტურისა და ნომინატიურ-ერგატიულ-დატიური კონსტრუქციის ძირეულ ცვლილებას, რომლის შემადგენელ აქტანტთა ქცევა ამგვარად განზოგადდება: აღნიშნული მოდელის ზმნურ კონსტრუქციაში ჩართული სუბიექტის ბრუნვებია: სახელობითი, მოთხოვითი და მიცემითი, ბრუნვაუცვლელი დამატება-ობიექტისა – ოდენ მიცემითი, ხოლო ბრუნვაცვალებადისა – მიცემითი და სახელობითი. გვარის მიხედვით კი გვექნება ერთი ავტოაქტიური/რეფლექსიური და ორი აქტიური ქვეკავუფი.

The aim of this paper is to substantiate the necessity of distinguishing another oppositional pair of subgroups within Georgian variable-subject constructions in order to describe and further specify the internal nature of the Georgian verb within the framework of the morphosyntactic classification of diatheses.

It is noteworthy that the first research paper on the morphosyntactic classification of Georgian verb diatheses was published in the form of a scientific article in 1978 in the first issue of the journal *Georgica*; the author – D. Melikishvili, based on the stem of the present tense, distinguished two main models of the Georgian verb – R-∅ (e.g., (cers [s/he writes]) and R-(eb)-i (e.g., vičerebi [I am writing]), and on the basis of the production of future and Aorist screeves, substructures of the aforementioned main models have been separated (*Georgika*, 1978, pp.: 17-22). Later, in the work published in 1983 – *Vowel-Prefix Formation of the Verb in Georgian*, B. Jorbenadze noted: “In Georgian we have two main forms: a) the verb stem (bad-eb [you give birth to him/her] and b) the verb stem + i: (i-bad-eb-I [you are born]...); conditionally we can call these the forms of the active and the passive (of course, the semantics of activity-passivity itself has no importance here). All other forms are modifications of the abovementioned two” (p. 183).

In order to describe the syntactic behavior of the two types of verb structures mentioned above, based on the declension of the action-doing and perceiving-experiencing nouns, involved in the verb construction, D. Melikishvili distinguished three diatheses: I – Nominative-Ergative-Dative (Nom\_Erg\_Dat), II – Nominative (Nom) and III – Dative (Dat). The present study is limited only to the substructures

of the first (Nom\_Erg\_Dat) diathesis. The table below shows two subgroups of the first diathesis, which are opposed to each other by the presence or absence of an object, which changes the case forms across the series (so-called *direct object*); accordingly, the left subgroup, which contains an object, which does not change the case forms across the series and is always formed by the Dative case marker (*tv-lems* [S/he/it dozes off], *bčkens* [S/he pinches him/her]), is an incomplete construction, while the right subgroup, in the construction of which the object which changes the cases (Dat >>Nom) is necessarily confirmed, is a complete construction (e.g., *čuknis* [S/he gifts it to smb.], *igebs* [S/he wins it]).

Table #1

I diathesis (Ergative)	
<p>Stative (partially, relative statics)</p> <p>Voice: Autoactive (Reflexive)</p> <p>Structure:</p> <p>R-Ø</p> <p>i-/u-R[e/i]-Ø</p> <p>prev.-R-a/i/u/-R-th.s.-Ø</p> <p>construction: incomplete</p> <p>is<sub>(nom)</sub> "he" - man<sub>(erg)</sub> "he"</p> <p>is<sub>(nom)</sub> mas<sub>(dat)</sub> - man<sub>(enr)</sub> mas<sub>(dat)</sub></p>	<p>Dynamic</p> <p>Voice: Active (Conveys process of action)</p> <p>Structure:</p> <p>R-Ø</p> <p>a/i-/u-R-Ø</p> <p>a-/i-/u-R[e/i]-Ø</p> <p>a-/i-/u/R-th.s.-Ø</p> <p>Construction: Complete</p> <p>is<sub>(nom)</sub> mas<sub>(dat)</sub> "he him" - man<sub>(erg)</sub> is<sub>(nom)</sub> "he him"</p> <p>is<sub>(nom)</sub> mas<sub>(dat)</sub> mas<sub>(dat)</sub> - man<sub>(enr)</sub> is<sub>(nom)</sub> mas<sub>(dat)</sub></p>

It is noted in the scientific literature that "in the first, incomplete subgroup of diathesis I, the mono-personal and bi-personal verb forms are united. Mono-personal (one valent) verbs are reflexive from the semantic point of view of "voice", they cannot take the object that changes the case (Dat>>Nom) forms (so-called "direct" object), they are "intransitive", autoactive verbs (kančalebs [s/he shivers], ižinebs [s/he falls asleep], ijaħis [s/he calls out]). Bi-personal verbs can be characterized as indirectly transitive verbs (šeħeda [S/he looked at him/her]). As for the verbs of subgroup II, they are active voice verbs according to the content and semantic points of view. According to transitivity, they can be considered as directly transitive verbs" (Melikishvili, 2014, p. 85).

A necessary and extremely important stage was the description of the syntactic constructions of detailed structural models of the Georgian verb and the formation of a morphosyntactic classification of diathesis. Since the mentioned system is not closed and allows both the development of the theory and the introduction of changes, we think it is possible to further specify and divide the so-called incomplete subgroup, which is structured on the basis of the absence of a so-called "direct" object that changes the case suffixes (Dat >>Nom), into two. We consider

it necessary to separate the mono-personal static forms included in this subgroup from the bi-personal ones and to form the substructures: I.1 and I.2; despite the fact that the verb construction of subgroup I.2 does not include an object, which changes the case markers (Dat>>Nom), the action done by the subject is reflected on the noun-object, which is permanently in the dative case (the so-called “indirect object”), and which is the patient and direct recipient of the action performed by the subject, e.g.: bçkens is mas [S/he pinches her/him], kbens is mas [S/he biter her/him], ağçevs is mas (çarmaçebas [S/he reaches it (e.g., success)]...).

Within the framework of the morphosyntactic classification of diathesis, the mentioned forms are considered as indirect transitives; in the majority of linguistic research works, verb forms of this type are qualified as intransitive verbs, despite the fact that the intransitive object present in the verb construction is the direct recipient of the action. We believe that it is necessary to separate the third, intermediate subgroup of the abovementioned construction, which expresses an active action, with the difference that in the mentioned construction, (at the synchronic level) as long as the so-called “indirect” object appears (e.g., çkmetç is mas [S/he pinches him/her]), the action expressed by the verb is as active as in the case of the so-called “direct” object. Taking into account all of the above, without any substantial changes in the fundamental structure, the table of the first diathesis will take the following form:

Table № 2

I Diathesis		
I.1.	I.2.	I.3.
<p>Stative Voice: Autoactive// Reflexive Construction:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <math>S_{Nom\_Erg\_Dat}</math></li> </ul>	<p>Dynamic Voice: Active Construction:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <math>S_{Nom\_Erg\_Dat} \gg O_{Dat\_Dat}</math></li> </ul>	<p>Dynamic Voice: Active Construction:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <math>S_{Nom\_Erg\_Dat} \gg O_{Dat\_Nom\_Nom}</math></li> <li>• <math>S_{Nom\_Erg\_Dat} \gg O_{Dat\_Nom\_Nom} \gg O_{Dat\_Dat}</math></li> </ul>

Thus, the separation of another subgroup, expressing active action from the point of view of the voice on the basis of the Dative object, does not lead to a fundamental change in the basic model of diathesis – the R-Ø structure and the Nominative-Ergative-Dative construction, the behavior of the constituent actants of which is generalized as follows: the cases of the subject according to the verbal series are: Nominative, Ergative and Dative, the invariable object case form is the dative agreed to all the forms and tenses of the verb; the so-called direct object is marked by the dative (in present tense) and nominative (in Aorist and Perfect tense groups) case forms. According to the voice, we will have one autoactive/reflexive and two active subgroups.

## ნათია მიროტაძე

**Natia Mirotadze**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი

TSU Centre for the Eastern Christian Studies

(საქართველო, Georgia)

### **სინოპტიკური გამოცემა – კარგად დავინიშებული ძველი (ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიების მაგალითზე)**

### **Synoptic Edition – A Proven Tool to Represent Complicated Textual Traditions (On the Example of the Old Georgian Versions of the Book of Esther)**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ბიბლია, ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსია,  
სინოპტიკური გამოცემა

**Keywords:** *Georgian Bible, Old Georgian version of The Book of Esther, synoptic edition*

სინოპტიკური გამოცემის უმთავრესი მიზანი, შეიძლება ითქვას ორიგენეს ჰექსაპლადან მოყოლებული, არის ტექსტის სხვადასხვა ფორმას შორის მიმართებები, როგორც მსგავსებები, ასევე განსხვავებები (კვალიტატურიც დაკვანტიტატურიც), ცხადად და თვალის ერთი შევლებით აჩვენოს. ეს მიზანი აქვს ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიების გამოცემასაც.

ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიებისათვის გამოცემის ამ ფორმის შერჩევა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა:

1. არსებობს ესთერის წიგნის ორი ძველი ქართული თარგმანი, ამათგან ერთი, Gel, ალფა ტექსტის თარგმანია, მეორე კი, Gell, ერთგვარ ტექსტუალურ კონგლომერატს წარმოადგენს და თავის თავში ესთერის წიგნის ჩვენთვის ცნობილ თუ უცნობ სხვადასხვა ფორმას აერთიანებს. სინოპტიკური გამოცემა თვალნათლივ აჩვენებს, რომ ეს ორი ვერსია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თარგმანებია და Gell-ის კონსტრუირება ქართულ ნიადაგზე არ მომხდარა.

2. ცხადად წარმოჩნდეს როგორც Gell-ის კომბინირებული ხასიათის გამო წარმოქმნილი დუბლირებული მონაკვეთები, ასევე ისიც, თუ ესთერის წიგნის რომელი ტექსტუალური ფორმიდან (OG, AT, La-GrIII) მომდინარეობს Gell-ის ესა თუ ის მონაკვეთი.

3. რათა ცალსახად გამოჩნდეს ტექსტის ისტორია და ის, თუ რა ადგილი უჭირავს ქართულ თარგმანს ამ ისტორიაში.

მოხსენებაში ვაჩვენებთ, თუ რა სირთულეები ახლდა სინოპტიკური გამოცემის მომზადებას და რა საშუალებებით მოხდა მათი დაძლევა დასახული მიზნების მისაღწევად.

The main goal of the synoptic edition, it could be said since Origen's Hexapla, is to clearly and swiftly, at a glance, show the relationships between the different text-forms, both qualitative and quantitative similarities and differences. This goal is also adopted by the edition of the Old Georgian versions of the Book of Esther.

Several reasons led to the choice of this form of edition for the old Georgian versions of the Book of Esther:

1. There are two old Georgian versions of the Book of Esther, one of which, Gel, is a translation of the alpha text, and the other, Gell, is a kind of textual conglomerate which combines various forms of the Book of Esther, presently known or unknown to us. The synoptic edition should show that these two versions are independent translations of each other and that Gell was not constructed in its Georgian form.

2. It should demonstrate that there are duplicated passages due to the combined nature of Gell, and from which textual form of the Book of Esther (OG, AT, La-GrIII), a particular passage of Gell derives.

3. Another goal of the synoptic edition is to show the text-history of the book and to demonstrate the place the Georgian translation takes in it.

In the paper, I will discuss the difficulties that accompanied the preparation of the synoptic edition and by what means they were overcome to achieve the set goals.

ივანე მჭედელაძე

Ivane Mtchedeladze

ივანე ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

(საქართველო, Georgia)

**შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პირველი  
ეტაპი საქართველოში: პოზიტივისტური ფაზა**

**The First Stage of Comparative Literary Criticism in Georgia:  
the Positivist Phase**

**საკვანძო სიტყვები:** ღიგეჩაგუები კომპარატივისტი, პოზიტივისტური ფაზა,  
ქართული ღიგეჩაგუებათმცოდნეობა

**Keywords:** comparative literary criticism, Georgian literary criticism, positivist phase

შედარებით ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც ლიტერატურის შესახებ სამეცნიერო დისციპლინა, მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბდა. ისტორიიდან ცნობილია, რომ ყოველ მეცნიერულ სკოლას აქვს საკუთარი თავისებურებანი და სპეციფიკა, თუმცა დარგი – ლიტერატურული კომპარატივისტიკა, ინტერნაციონალურია. მას აქვს საერთო/ზოგადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადიგმა, რის გამოც თითოეული ნაციონალური სკოლა განვითარების საერთო კანონზომიერებებს ექვემდებარება. თანამედროვე მკვლევრები მას „ინტერნაციონალური განვითარების ინიციატივის უწოდებენ“.

კომპარატივისტიკის ისტორიული გენეზისისათვის დამახასიათებელი პერიოდები და ფაზები ირეკლავს ლოგალური და საერთაშორისო გამოცდილების ელემენტებს. აქედან გამომდინარე, მოხსენების მიზანია ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის სტრუქტურული შესწავლა და მიმართება ლიტერატურული კომპარატივისტიკის განვითარების ზოგად თეორიულ პარადიგმასთან.

მოხსენებაში გამოკვეთილი იქნება საქართველოში შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ევოლუციური ეტაპები, მისი ძირითადი კანონზომიერებებისა და მეთოდეოლოგიური ელემენტების გამოვლენის შედეგად, შემოთავაზებული იქნება პერიოდიზაციის შექმნის მცდელობაც. ქართული გამოცდილების გათვალისწინებით პირველ ეტაპად (რომელსაც საერთაშორისო თვალსაზრისით, პოზიტივისტური ეტაპი ეწოდება), განსაზღვრულია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX ს-ის 30-იან წლებამდე პერიოდი.

კომპარატივისტიკის ქართული ისტორიის სპეციფიკის გასაანალიზებლად მოხსენებაში გამოვლინდება „ისტორიისა და კულტურული ნაციონალური კოგნიტიური მენტალობის თავისებურებანი“ (დ. ნალივაიკო).

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერებს აქვთ ცალკეული კვლევები და პუბლიკაციები, თუმცა მათ თავისი სპეციფიკა აქვს და ასახავს ან კონკრეტული დარგის მეთოდოლოგიურ ელემენტებს (ფოლკლორისტიკა, ქართული კრიტიკის ისტორია, ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორია და სხვ.), ან კონკრეტულ ავტორთა მეთოდოლოგიურ მიღვმებს. ეს ნაშრომები წინამდებარე კვლევის საყრდენია. საერთო პარადიგმა, რომელიც აჩვენებდა აღნიშნული პერიოდის ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიმართებას ლიტერატურული კომპარატივისტიკის ევოლუციის უნივერსალურ გამოცდილებასთან, ჰერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მოხსენება სწორედ ამ თვალსაზრისით შეიტანს სიახლეს ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორიაში, რომლის გენერალურ მიმართულებადაც შერჩეულია ქართულ-სლავური ურთიერთობების ვექტორი.

Comparative literary studies, as a scholarly discipline concerned with literature, took shape in the nineteenth century. It is well known from the history of scholarship that every academic school has its own distinctive features and specific characteristics; however, the field of literary comparativism is international in nature. It is based on a shared/general theoretical and methodological paradigm, as a result of which each national school is subject to common patterns of development. Contemporary scholars describe these as “national invariants of an international discipline”. The periods and phases characteristic of the historical genesis of comparativism reflect elements of both local and international experience. Accordingly, the aim of this paper is to undertake a structural study of the history of Georgian literary scholarship and to examine its relationship to the general theoretical paradigm of the development of literary comparativism.

The paper will identify the evolutionary stages of comparative literary criticism in Georgia and, through the analysis of its main regularities and methodological elements, will also attempt to propose a periodization. Taking Georgian experience into account, the first stage – referred to internationally as the positivist stage – is defined as spanning from the second half of the nineteenth century to the 1930s. In order to analyze the specificity of the Georgian history of comparativism, the paper will highlight the “peculiarities of national cognitive models and mentalities of history and culture” (D. Nalyvaiko).

On this issue, Georgian scholars have produced individual studies and publications; however, these works are characterized by a certain specificity and either reflect the methodological elements of particular fields (folklore studies, the history of Georgian literary criticism, the history of Georgian-foreign literary relations, etc.) or focus on the methodological approaches of individual authors. These works constitute the foundation of the present research.

A comprehensive paradigm that would demonstrate the relationship of Georgian literary scholarship of the given period to the universal experience of the evolution of literary comparativism has not yet been adequately explored. From this perspective, the paper introduces a new contribution to the history of research on Georgian-foreign literary relations, with the Georgian-Slavic vector selected as its general focus.

**ქეთევან ნიჟარაძე**  
**Ketevan Nizharadze**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ)  
Georgian National University (SEU)  
(საქართველო, Georgia)

**სახელის მოხვეჭის ფენომენი რუსთველის  
„ვეფხისტყაოსანში“ და მისი მიმართება სახელისა და  
დიდების ანტიკურ კონცეფციასთან**

**The Phenomenon of Fame in Rustaveli's "The Knight of the  
Panther's Skin" and its Relation to the Ancient Concept of  
Name and Glory**

**საკვანძო სიტყვები:** სახელი, სახელოვანი, გიღება, ჩუსთაველი, ანტიკურობა  
**Keywords:** name, glorious, glory, Rustaveli, antiquity

კაცობრიობის ისტორიამ აჩვენა, რომ ადამიანს ყველა ეპოქაში აშინებდა სიკვდილი, როგორც შეუცნობელი ფენომენი და ამასთან, სურდა, ეპოვა სიცოცხლის უმთავრესი მიზანი. ანტიკურმა სამყარომ, კერძოდ კი ჰომეროსმა კაცობრიობას შესთავაზა სახელისა და დიდების მოპოვების კონცეფცია, რომელმაც განსაზღვრა, რისთვის შეიძლებოდა ეცოცხლა ადამიანს დარაგზით შენინააღმდეგებოდა სიკვდილს. სახელის მოხვეჭის, როგორც სიკვდილისა და დავიწყების ოპოზიციის კონცეფცია მთელი ანტიკურობის მანძილზე დარჩა როგორც თეორიულ აზროვნებაში, ისე მხატვრულ ლიტერატურაშიც.

ბუნებრივია, სახელის საკითხს არ დაუკარგავს აქტუალობა პოსტანტიკურ ეპოქაში. მან რენესანსამდე ტრანფორმაციების საინტერესო გზა გაიარა. ანტიკური იდეოლოგიის აღნიშნულმა ასპექტმა საინტერესო გამოვლინება ჰპოვა ქართულ სინამდვილეშიც. ამის თვალსაჩინო მაგალითია რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

რუსთველი კარგად იცნობდა ანტიკური აზროვნების მიმართულებებს, მათ შორის ჰომეროსის ეპოსსაც. „ვეფხისტყაოსანში“, სადაც საგმირო ეპოსის სული ტრიალებს, ხშირად არის ნახსენები სახედი თავისი ორი მნიშვნელობით. საყურადღებოა, რომ ტექსტში გვხვდება ამ ფორმიდან ნაწარმოები დე-რივატიც, რომელიც დიდების აღმატებულ ხარისხს შეიცავს - სახელოვანი.

ტერმინი - სახედი და მისგან ნაწარმოები დერივატები ქართული ენის განვითარების საკმაოდ ადრეულ ეტაპზე უნდა ჩამოყალიბებულიყო, რადგან მისი მაწარმოებელი ფუძე - სახ - აღდგება საერთო-ქართველურ დონეზე.

იგი განვითარებული უნდა იყოს საერთო-ქრისტიანური ფუძიდან - ძახ და დასტურდება სამივე ქართველურ ენაში. შესაძლოა, მისმა სემანტიკამ დიდების მნიშვნელობა ჰქონ კიდევ რუსთაველამდე შეიძინა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ბერძნული კლეიცისა და ლათინური gloria-ს მნიშვნელობით იგი პირველად რუსთაველმა გამოიყენა.

რუსთველის პერსონაჟებისთვის საგმირო საქმეებით შეძენილი სახედი მათი არსებობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია.

სახედი, დიდების მნიშვნელობით, „ვეფხისტყაოსანში“ ოთხერ გვხვდება, სადაც კარგად ჩანს ავტორის დამოკიდებულება სახელის მოპოვებისადმი. კონტექსტის შესაბამისად, ნაშრომში განვიხილავ თითოეულ მათგანს. თუ-მცა, ყველაზე საინტერესო მონაკვეთი, სადაც რუსთველი პირდაპირ საუბრობს სახელისა და დიდების მნიშვნელობაზე, არის ავთანდილის ანდერძი. ნაშრო-მში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ იმ პასაჟს, სადაც რუსთველი აფო-რიზმების სახით ავლენს დამოკიდებულებას სახელისა და დიდებისადმი და გვაჩვენებს, რისკენ უნდა ისწრაფოდეს ადამიანი. ავთანდილის მიერ ნაწარმოთ-ქმული ეს აფორიზმები, თავიანთი კონტექსტით, ღრმად არის ჩაბეჭდილი ქა-რთველთა მეხსიერებაში: „სჭობს სახედისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ და „სჭობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.“

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყოსნის“ ყველაზე უფრო ფილოსოფიურად მოაზროვნე პერსონაჟის ეს სიტყვები მოკვდავთა ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად სახელის მოხვეჭას მიიჩნევს. სწორედ მას შეუძლია, გაგათავისუფლოს სიკვდილის წინაშე შიშისგან.

ამგვარად, ვასკვნი, რომ რუსთველი, ერთი მხრივ, ანგარიშს უწევს ტერმინ სახელის გამოყენების მასშტაბებს და ფუნქციებს ქართულ ტრადიციაში, ხოლო მეორე მხრივ, ინარჩუნებს ჰომეროსიდან მომდინარე თვალსაზრისს სახელის მნიშვნელობის შესახებ.

The history of humanity shows us that in every era people have been frightened by death as an unknowable phenomenon; and, at the same time, they have wished to find the ultimate purpose of life. The ancient world – particularly Homer – offered humanity the concept of attaining *name* and *glory*, which defined what a person could live for and by what means s/he might oppose death. Throughout antiquity, the concept of acquiring a name as an opposition to death and oblivion remained present both in theoretical thought and in artistic literature.

Naturally, the issue of name did not lose its relevance in the post-antique era. It underwent an interesting path of transformation up until the Renaissance. This aspect of ancient ideology found an intriguing expression in Georgian reality as well. A clear example of this is Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin*.

Rustaveli was well familiar with the movements of ancient thought, including Homer's epics. In *The Knight in the Panther's Skin*, where the spirit of heroic epic permeates the work, the word *name* appears frequently in both of its meanings. It is noteworthy that the text also includes a derivative formed from this root which expresses an even higher degree of glory – *named* or *renowned*.

The term *name* and its derivatives must have taken shape at a very early stage in the development of the Georgian language, because its root *sakh-* can be reconstructed to the Proto-Kartvelian level. It is believed to have developed from the Proto-Kartvelian root *dzakh*, and it is attested in all three Kartvelian languages. It is possible that the meaning of *glory* was acquired even before Rustaveli, though it is not impossible that Rustaveli was the first to use it in the sense carried by the Greek *κλέος* and the Latin *gloria*.

For Rustaveli's characters, the *name* gained through heroic deeds is an important determinant of their very existence.

The word *name*, meaning “glory”, appears four times in *The Knight in the Panther's Skin*, and each instance clearly reveals the author's attitude toward the acquisition of fame. In this work, I examine each occurrence in accordance with its context. However, the most interesting passage – where Rustaveli speaks directly about the meaning of name and glory – is Avtandil's testament. In the study, I pay special attention to the passage in which Rustaveli, in the form of aphorisms, re-

veals his attitude toward name and glory and shows what a person should strive for. These aphorisms, spoken by Avtandil, are deeply engraved in the memory of Georgians: “Better is the gaining of a name than the gaining of all things,” and “Better than a long, inglorious life is a glorious death.”

Accordingly, it can be said that the words of the most philosophically minded character in *The Knight in the Panther’s Skin* regard the acquisition of *name* as one of the principal aims of mortal life. Precisely this can free a person from the fear of death.

Thus, I conclude that Rustaveli, on the one hand, takes into account the scope and functions of the term *name* within the Georgian tradition, while, on the other hand, he preserves the perspective on the significance of *name* that originates from Homer.

**თამარ ოთხმეზური  
Thamar Otkhmezuri**

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts  
(საქართველო, Georgia)

**ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავლის  
ფიგურალურ გამოთქმათა ინტერპრეტაციისათვის  
Interpreting Figurative Expressions in Ephrem Mtsire's  
Preface to the Georgian Translation of the Commentaries  
on the Psalms**

**საკვანძო სიტყვები:** ეფრემ მცირე, ფსალმუნთა თარგმანება, შესავარი,  
ფიგურალური გამოთქმა

**Keywords:** Ephrem Mtsire, Commentaries on the Psalms, preface, figurative expression

XI საუკუნის II ნახევრის ელინოფილი მნიგნობრის, ეფრემ მცირის, თარგმანებზე დართული ეფრემისეული შესავლები და ანდერძები მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერტურული წყაროებია, რომლებიც ხშირად მხატვრულ პასაჟებსაც შეიცავენ ან მთლიანობაში მხატვრულ ტექსტებს წარმოადგენენ. მხატვრულ ტექსტს წარმოადგენს, მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტერგიკულ საკითხავებზე დართული ეფრემისეული შესავალი – ბექსა კვხიკეს მცირე ეფხემ – შეა საუკუნეების ეპისტოლური ქანრის საუკეთესო ნიმუში. რამდენიმე საყურადღებო მხატვრული სახე დასტურდება ეფრემ მცირის შესავალში, რომელიც ერთვის მის მიერ ნათარგმნ „ფსალმუნთა თარგმანებას“: უწყებად მიზეზსა და ვითაქებასა, და თხმობად წესსა და საჯმაჟებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, ხომევ ასე „თაჩმანებად ფსაღმუნთაა“.

მოხსენების მიზანია „ფსალმუნთა თარგმანების“ ეფრემისეულ შესავალში წარმოდგენილი ფიგურალური გამოთქმების – „კნინოდენითა გემოღს-ხილვითა გიჩუენოთ გემოდ მდინარისა დიდისად, და მცირისა მიერ ფესვსა განგიცხადოთ ყოველი ქსოვილებად სამოსლისად“ – ანალიზი და მათი სავარაუდო წყაროს დადგენა.

The prefaces and colophons appended to the translations of Ephrem Mtsire, a Hellenophile scholar of the second half of the 11th century, represent significant historical and literary sources, frequently incorporating artistic passages and, in some instances, functioning as fully independent literary texts. An example of such a literary text is Ephrem's preface to his translation of Gregory the Theologian's liturgical homilies – *Ephrem Mtsire to the monk Kviri*ke – which stands as one of the finest specimens of the medieval epistolary genre. Several notable artistic features are attested in the preface which accompanies Ephrem's translation of the *Commentaries on the Psalms*.

The purpose of this paper is to analyze two figurative expressions found in Ephrem's preface to his translation of the *Commentaries on the Psalms*: “A sip is sufficient to know the taste of water in a great river”, and “One can judge the whole cloth by its small hem”. The study also aims to trace their probable sources.

**სალომე ომიაძე**  
**Salome Omiadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**„მიმართვის ჩვენებური წესი“ – მზექალა შანიძის  
სოციოლინგვისტური ნარკვევის შესახებ**  
**“Our Native Form of Address” – On Mzekala Shanidze’s  
Sociolinguistic Essay**

**საკვანძო სიტყვები:** თავაზიანი მიმართვა, გჩადიციური ფორმები, ქართული ენა

**Keywords:** polite address, traditional forms, Georgian language

„მიმართვის ჩვენებურ წესში“ იგულისხმება თავაზიანი მიმართვის ფორმები „ბატონი“ და „ქალბატონი“, რომელთა შესახებ მეცნიერული მსჯელობა გასული საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო. საკითხისადმი ინტერესი ოთხმოციან წლებამდე არ განელებულა, რასაც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული არაერთი წერილი მოწმობს. მათ შორისაა 1985 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი მზექალა შანიძის სტატია, რომელიც პასუხია საზოგადოების ერთი ნაწილის შენიშვნისა – „ბატონისა კაი ხანია გადავარდა და ბატონის ხელი რადად გვინდაო“.

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ „ბატონი“ ქართულ ენაში არასოდეს არ ყოფილა მხოლოდ სოციალურად მაღლა მდგომი პირის წოდება. თუმცა, „ბატონი“ მხოლოდ ეს მნიშვნელობა რომც ჰქონოდა, მისი, როგორც „წარსულის გადმონაშთის“, სიტყვათხმარებიდან ამოღება არ იქნებოდა გამართლებული, რადგან, ავტორის თქმით, „ახალ დროსა და ახალ ურთიერთობებს ძველ სიტყვაში ხშირად შეაქვთ ახალი შინაარსი“.

იმის საილუსტრაციოდ, რომ საქართველოში შვილები „ბატონით“ მიმართავდნენ მამას და ზოგჯერ დედასაც, მ. შანიძე აკავი წერილებს იმოწმებს. მოხმობილ წერილებში, გარდა ადრესატისადმი პირდაპირი მიმართვისა – „უსაყვარლესო ( / უძვირფასესო) ბატონ დედა!“, გვხვდება სხვა ახლობლების „ბატონით“ ხსნება: „ბებო ბატონი და ბიძა ბატონი მომიკითხეთ“, „მამა ბატონს მოწყალეს ხელებს დავუკოცნი“ და მისთ. სათანადოდ შერჩეულ ამ და სხვა მაგალითებზე დაყრდნობით, მ. შანიძე ადასტურებს, რომ განხილულ მიმართვათა „მიღმა სოციალური უთანასწორობის აჩრდილიც კი არ ჩანს“ და რომ „ბატონი / ქალბატონი“ პატივისცემისა და მოკრძალების გამომხატველი თავაზიანი მიმართვის ფორმებია.

წერილში განხილულია, აგრეთვე, რუსული ენის გავლენით დამკვიდრებული სახელითა და მამის სახელით მიმართვის ფორმა, მისი შეუსაბამობა ქართული ენის ბუნებასთან; გაანალიზებულია საკომუნიკაციო სიტუაციები, რომლებშიც მიმართვები „მოქალაქევ“ და „ამხანაგო“ ტრადიციული „ბატონითი“ ან „ქალბატონითი“ უნდა ჩანაცვლდეს; დასაბუთებულია ამ უკანასკნელ ფორმათა აღდგენისა და საყოველთაო გავრცელების აუცილებლობა.

სწორედ ამგვარი სოციოლინგვისტური კვლევის შედეგად შეგვიძლია ავხსნათ ის ფაქტი, რომ საზოგადო სახელები ბატონი და ქალბატონი საკუთარ სახელებთან ერთად ბრუნებისას, ხელობა-წოდების სხვა სახელებისაგან განსხვავებით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში -ი ნიშანს ინარჩუნებენ.

In “Our Native Form of Address” *batono* (“sir/lord/mister”) and *kalbatono* (“madam/lady/Mrs.”) are understood as polite forms of address, about which scholarly discussion began in the middle of the 20th century. Interest in the topic did not diminish until the 1980s, as evidenced by numerous articles published in the press of that period. Among them is Mzekala Shanidze’s 1985 article printed in “Literaturuli Sakartvelo” (*Literary Georgia*), which responds to a remark made by a certain part of the public: “The era of ‘lords’ has long been abolished. So, why should we mention them?”

The publication notes that in the Georgian language *batoni* (“sir/lord/mister”) has never been solely a title for a person of higher social rank. However, even if *batoni* had possessed only that meaning, removing it from usage as a “relic of the past” would still be unjustified, because, as the author states, “new times and new social relations often bring new meaning to an old word”.

In order to illustrate that in Georgia children addressed their father, and, sometimes, also their mother, using *batono*/*kalbatono* forms (sir/lord/mister and madam/lady/Mrs.), Mzekala Shanidze cites letters by Akaki Tsereteli. In the quoted letters, in addition to direct forms of address to the recipient – “Dearest (/Most precious) Lady Mother!” – we also find mentions of other relatives with the same honorific: “Give my regards to Lady Grandma and Lord Uncle”, “I kiss the merciful hands of Lord Father” and so on. Relying on these and other similar examples, M. Shanidze confirms that “not even the shadow of social inequality is visible behind these forms of address”, and that *batono*/*kalbatono* are polite forms expressing respect and deference.

The letter also discusses the form of address consisting of a first name and patronymic, established under the influence of the Russian language, and its incompatibility with the nature of Georgian. The author analyzes communicative situations in which the forms *mokalakev* (“citizen”) and *amkhanago* (“comrade”) should be replaced with the traditional *batono* or *kalbatono*. It further substantiates the necessity of restoring the latter forms and ensuring their widespread use.

As a result of this kind of sociolinguistic research, we can explain the fact that unlike other nouns denoting occupation or title, when used with personal names, the common nouns *batoni* and *kalbatoni* retain the suffix *-i* in the genitive and instrumental cases.

**მარიამ ორკოდაშვილი  
Mariam Orkodashvili**

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი  
Georgian-American University  
(საქართველო, Georgia)

**ევიდენციალობის მრავალმოდალურობით გამოხატვა  
Expressing Evidentiality through Multimodality**

**საკვანძო სიტყვები:** ინფერენციური ევიდენციალობა, საოქმოფო ევიდენციალობა,  
მხავარმოდალურობა, ინფორმაციის წყარო, განწმუნობულობის გრადაცია

**Keywords:** *inferential evidentiality, dubitative evidentiality, multimodality, information source, certainty gradation*

ინგლისურში, ნათქვამში, დარწმუნებულობის ხარისხი უმეტესად მოდალური ზმნებით გადმოიცემა.

He must have made a mistake (I am sure he made a mistake based on the evidence).

ნამდვილად შეცდომა დაუშვა (დასკვნა გამოვიტანე შედეგებზე დაყრდნობით).

He could have misunderstood me (physical possibility).

შეიძლება, სწორად ვერ გაიგო (დასკვნა გამოვიტანე ფიზიკური შესაძლებლობაზე დაყრდნობით).

შესაძლებელია (ალბათ, სავარაუდოდ), სწორად ვერ გაიგო (ვარაუდი გამოვთქვი).

He may / might have misunderstood me (it is likely that he misunderstood me, but I am not sure).

ფაქტის თვითმხილველის პოზიციიდან დაფიქსირების დროს, ევიდენციალობა არამარკირებულია, ე.ი. მის გამოსახატავად დამატებითი გრამატიკული ფორმა არ გამოიყენება, მაგ.: მან ქვეყანა გუშინ დატოვა (ჩემი თვალით დავინახე).

He left the country yesterday.

სხვისი ნათქვამიდან გამომდინარე ფაქტის დაფიქსირებისას, ევიდენციალობა მარკირებულ ფორმას იძენს, თურმეობითი ფორმის საშუალებით, მაგ.: (თურმე) ქვეყანა დაუტოვებია (როგორც მითხრეს, როგორც გავიგე).

It appears, he left the country (as I was told).

აღსანიშნავია, რომ დასკვნის გამოტანის შედეგად ფაქტის დაფიქსირების დროსაც ევიდენციალობა მარკირებულია, მაგ.: ეტყობა, ქვეყანა დაუტოვებია (დასკვნა გამოვიტანე სიტუაციიდან).

He seems to have left the country.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის პირველწყაროს (თვითმხილველის) პოზიციიდან ევიდენციალობის გამოხატვა ყველაზე არამარკირებულია, და ყველაზე მარკირებულად კი ინფერენციული ევიდენციალობა გადმოიცემა.

გარდა ამისა, ინფერენციულ და სხვის მიერ გადმოცემული ევიდენციალობის ფორმებს ხშირად მეტი ემფატურობის მისანიჭებლად ნაწილაკებიც ახლავთ, რაც უფრო მეტად მარკირებულს ხდის ამ ფორმებს.

In English, the degree of certainty in one's statement is mostly expressed through modal verbs.

He must have made a mistake (I am sure he made a mistake based on the evidence).

He could have misunderstood me (physical possibility).

He may/might have misunderstood me (it is likely that he misunderstood me, but I am not sure).

The paper identifies the following types of evidentiality: the firsthand visual (eyewitness) evidentiality, when the speaker sees the fact with his own eyes; the reported evidentiality, when the speaker quotes others' words; the inferential evidentiality, when the speaker draws a logical conclusion from the result, even though he might not have witnessed the action himself; and dubitative evidentiality, when the speaker doubts whether the fact is true.

The firsthand visual evidentiality is the least marked category, whereas inferential evidentiality is the most marked grammatical form. Furthermore, reported and inferential evidentiality are often accompanied by a particle to add a more emphatic connotation to the expression. Such structures become even more marked linguistic units.

It is noteworthy that while English uses syntactic structures and phrases for expressing evidentiality, Georgian implements the verbal forms that pertain to morphological conjugation system of screeves and series.

**ლალი ოსეფაშვილი**  
**Lali Osepashvili**

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი  
Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University  
(საქართველო, Georgia)

**ზოდიაქოს ნიშან-სიმბოლოები შუა საუკუნეების  
ქართულ მხატვრობაში**  
**Zodiac Signs and Symbols in Medieval Georgian Art**

**საკვანძო სიტყვები:** სვეტიცხოვდის საკათედრო ტაძარი, ქახთური ხედოვნება,

ასტროლაბი იკონოგრაფია, ქახთური ხედნაწერები, ზოდიაქოთა გამოსახულებანი

**Keywords:** Svetitskhoveli Cathedral, Georgian art, astral iconography, Georgian

manuscripts, zodiacal representations

შუა საუკუნეებში მოძღვრება ცის შესახებ და ციური სხეულების მოძრაობა ფართოდ იყო გავრცელებული და გაიგებოდა, ვითარცა ღმერთის ქვრეტისკენ მიმართული ხედვა. როგორც აღნიშნავენ, ბიზანტიელები ერთმანეთს არ აშორებდნენ ვარსკვლავებით მოქედილი ცის აღქმის ორ გზას - ასტრონომიასა და ასტროლოგიას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ ერთს, ან მეორეს. ასევე იყო დასავლეთ ევროპაშიც. საქართველოშიც ასევე დამკვიდრდა ასტრალური იკონოგრაფია, ზოდიაქალური ნიშნების გამოსახვა, ისინი შემორჩენილია, როგორც მონუმენტურ, ისე სამინიატიურო მხატვრობაში. მათში უადრესია 1188 წლით დათარიღებული ასტრონომიული ტრაქტატი (საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-65), ქართულ-ბერძნული კრებული, XV საუკუნე (რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, (разнояц. О. I. 58), XVII საუკუნით დათარიღებული სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის სამხრეთ კედელზე განთავსებული მასშტაბური კომპოზიცია, სადაც ქრისტე პანტოკრატორის მედალიონის გარეთა წრეზე, ღია სადაფისფერ ფონზე განთავსებულია თორმეტი ზოდიაქოს გამოსახულებით. XVIII საუკუნის – 1746 წ. ხელნაწერი კრებული (საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1454), ქაშვეთის ტაძარში, რომლის მოხატულობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდებოდა - 1753 წ. გუმბათის ყელზე ყოფილა აღბეჭდილი თორმეტი ზოდიაქოს ნიშანი. (ამ მხატვრობის შესახებ ცნობილი ხდება კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის ნაშრომში აღნერილობით). ასევე არსებობს ქვაზე კვეთილობის ნიმუშებში ცალკეულ ცხოველთა შესახებ, მეცნიერთა მიერ მათი ზოდიაქოს ნიშნებთან ასოცირება. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის მიერ ზოდიაქოს ყურადღების გამახვილება ცრუ მოძღვრებებთან ზიარად ითვლებოდა, როგორც ნიმუშთა ჩამოთვლითაც ვნახეთ, საკმაოდ შემორჩა ისინი. ვფიქრობ, პოსტბიზანტიურ ხანაში უფრო აქტუალური ხდება, მიუხედავად იმისა, რომ 1188 წლის ასტრონომიული ტრაქტატი უფრო ადრეულია.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებ ზოდიაქოს ნიშან-სიმბოლოების მახასიათებლებზე როგორც ბიზანტიურ, ისე დასავლეთ ევროპულ ნიმუშებში. თუმცა, შევეცდები, რომ ძირითადად ქართული ნიმუშები ვიკვლიონ და დავაკავშირო ერთმანეთთან აზრობრივად. ამასთან, ასევე აღვნიშნავ, რომ A-65, ანუ ასტრონომიული ტრაქტატი შესწავლილია, მისი ყველა მინიატიურა გამოქვეყნებულია (გ. ალიბეგაშვილი, შ. ამირანაშვილი), უნდა ითქვას, რომ დღესაც კი, ნაკლები ინერება ამ თემატიკაზე. სვეტიცხოვლის მოხატულობაში ზოდიაქოების შესახებ კი, უფრო ფართოდაა ცნობილი. სვეტიცხოვლის კომპოზიციის ანალიზების მოძიება, ქრისტე პანტოკრატორთან ანგელოზები და ზოდიაქოს ნიშნები გვხვდება: პრობოტაში და მანის ორ ეკლესიაში - დეკულუში და კასტანიის წმიდა ნიკოლოზში. ამდენად, მათი შესწავლით, მნიშვნელოვანი შტრიხები იკვეთება.

In the Middle Ages, the teaching concerning the heavens and the movement of celestial bodies was widely disseminated and was understood as a vision directed toward the contemplation of God. As noted by scholars, the Byzantines did not separate the two ways of perceiving the star-studded sky – astronomy and astrology – even though at times they preferred one over the other. The same was true in Western Europe. In Georgia as well, astral iconography and the depiction of zodiacal signs became established; they have survived both in monumental and in miniature art. Among the earliest preserved examples are the *Astronomical Treatise* of 1188 (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, A-65), a 15th-century Georgian-Greek miscellany (Russian National Library, *разнояз.* О. I. 58), and the monumental 17th-century composition on the southern wall of Svetitskhoveli Cathedral, in which twelve zodiac signs are arranged on a pale, mother-of-pearl background around the outer circle of the medallion of Christ Pantocrator.

From the 18th century we may mention the 1746 manuscript miscellany (Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, A-1454), and the decoration of the Kashveti Church, dated to the second half of the 18th century – in 1753 twelve zodiac signs were imprinted on the drum of the dome (This painting became known through the description in the work of Catholicos-Patriarch Kalistrate Tsintsadze). Examples are also found in stone-carving, where certain depictions of animals have been associated with zodiac signs by scholars. Although the Church regarded the emphasis on zodiacal signs as akin to sharing in false doctrines, as the enumeration of the above-mentioned examples shows, they nevertheless survived to a significant extent. I believe that in the post-Byzantine period they became more relevant, despite the fact that the *Astronomical Treatise* of 1188 is earlier.

In this paper I will focus on the characteristics of zodiac signs and symbols in both Byzantine and Western European examples. However, I will attempt primarily to examine Georgian examples and connect them conceptually. I will also note that manuscript A-65, that is, the *Astronomical Treatise*, has been studied and all its miniatures have been published (G. Alibegashvili, Sh. Amiranashvili). It must be stated that even today relatively little is written on this topic. The zodiacal motifs in the decoration of Svetitskhoveli are, however, more widely known. In seeking analogies to the Svetitskhoveli composition, depictions of Christ Pantocrator surrounded by angels and zodiac signs are found in Prokopta and in two churches of Mani – Dekouliou and St. Nicholas of Kastania. Thus, their study brings to light important details.

**ქეთევან რ. რამიშვილი, ელენე გიუნაშვილი**  
**Ketevan R. Ramishvili, Helen Giunashvili**

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი  
Simon Janashia Museum of Georgia  
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies  
(საქართველო, Georgia)

**გრიფონები ძველ ქართულ მატერიალურსა და  
სულიერ კულტურაში**  
**Griffins in the Material and Spiritual Culture  
of Ancient Georgia**

**საკვანძო სიტყვები:** გრიფონები, ანგიკუხი და ქიისგიანუღი საქართველოს კუდგუხა  
**Keywords:** Griffins, (pre)Christian Georgian material culture

ანტიკურ ეპოქაში ქართულ ხელოვნების ძეგლებზე და მათ შორის გლიპტიკურ ნიმუშებზე, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ირანული ელემენტების არსებობა (ცხოველური და მცენარეული მოტივები, ცხოველები, ფანტასტიკური არსებები და სხვა). ჩნდება მხატვრული და ტექნიკური ხერხების მთელი ტიპები, რომლებსაც ბევრი საერთო აქვთ აქემენიდური ირანის ხელოვნების ქმნილებებთან.

საქართველოს ს. ჭანაშიას სახელმწიფო მუზეუმის გლიპტიკის ფონდში ინახება აქემენიდური და პოსტაქემენიდური საბეჭდავი ბეჭდების, საბეჭდავებისა და ბულების საკმაოდ მოზრდილი ჩაგუფი, რომლებიც ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან მომდინარეობენ და რომლებზეც გამოსახულია ფანტასტიკური არსება - გრიფონი. ეს გლიპტიკური ძეგლები დამზადებულია ადგილობრივად და, როგორც ფორმით, ისე სიუჟეტით, განიცდიან აქემენიდური ხელოვნების მძლავრ გავლენას, თუმცა ეს ფანტასტიკური არსებები როგორც იკონოგრაფიულად, ასევე ტიპოლოგიურად არიან დაკავშირებული უფრო ადრეულ ადგილობრივ ტრადიციებთანაც. მოხსენებაში წარმოდგენილია გრიფონის გამოსახულებიანი რომაული ხანის მასალაც, რომელიც მოიცავს არა მარტო რომაული ხანის გემიან ბეჭდებს, რომელთა თვლებზე გრიფონია ამოკვეთილი, არამედ მომცრო გრიფონის ქანდაკებას ზღუდერიდან და გრიფონის თათებიან სარეცლის ფეხებს არმაზისხევიდან.

მოხსენებაში განხილულია ასევე საქართველოში აღმოჩენილი სასანური გემები, რომლებზეც გრიფონია გამოსახული. ისინი იმპორტს წარმოადგენს. ძალზე პოპულარულია სასანურ გემებზე გრიფონის გამოსახვა და ისინი ხშირად ინტალიონებზეა ამოკვეთილი.

საქართველოში აღმოჩენილ ქრისტიანულ გემებზე გრიფონი არ დასტურდება, თუმცა მისი სახე საკმაოდ მძლავრადაა წარმოდგენილი ქართული ტაძრების რელიეფებში. საერთოდ, საქართველოში ქრისტიანული გრიფონი გაიგივებულია ფასკუნჯათან (< საშ. ირ. \*pasku(η)č), რომლის ფორმა ყალიბდებოდა ერთი მხრივ, ანტიკური ტრადიციებისა და წარმართული პროტოპების მძლავრი ზეგავლენით, ხოლო მეორე მხრივ, ქრისტიანულ ბიზანტიისათან და, რაც მთავარია, სასანურ ირანთან ხანგრძლივი კულტურული კონტაქტების საფუძველზე.

ამრიგად, მოხსენებაში წარმოდგენილი რეტროსპექტივით, ნათელი ხდება გრიფონის გამოსახულებათა იკონოგრაფიული და შინაარსობრივი მოტივის მხატვრული ინტერპრეტაციები სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდში და განსხვავებულ კულტურათა არეალში. ქრისტიანულ ხანაში გრიფონი, თავისი ობიექტებოვანების გამო კარგად ეწერება ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და ესთეტიკაში და მისი მოტივი ინარჩუნებს თავის ინდივიდუალურ მხატვრულ-სიმბოლურ თუ შინაარსობრივ ღირებულებას, ამდენად, გრი-

ფონთა გამოსახულებებში უძველესი მხატვრული რემინისცენციები თვალსა-ჩინოდ არის გამოვლენილი.



In ancient times, the presence of Iranian elements (animal and plant motifs, beasts, fantastic creatures, etc.) is particularly evident on Georgian art monuments and glyptic artifacts. A range of artistic and technical skills appear that share many similarities with the artistic creations of Achaemenid Iran (the 6th-4th cc BC).

The Glyptic Fund of the Simon Janashia State Museum of Georgia preserves a fairly large group of Achaemenid and post-Achaemenid seal rings, seals and bullae, mainly from eastern Georgia, depicting a fantastic creature – the griffin. These glyptic monuments are made locally and are profoundly influenced by Achaemenid art in both form and plot, although iconographically and typologically these fantastic creatures appear to be equally related to earlier local traditions.

The article also presents material from the Roman Age in ancient Georgia depicting griffins, including not only the Roman period stone rings on which the griffin is engraved, but also the statue of the griffin from Zghuderi and the feet of the bed with the griffin with claws from Begineti.

The article also discusses the Sasanian gemstones discovered in Georgia, illustrating griffins, being so widespread in Sasanian glyptics. All of these intaglios are imported.

Griphs are not represented on Christian seals found in Georgia. However, their images are quite prominent in the reliefs of Christian Georgian temples. Generally, the Christian griffins in Georgia are identified with the fantastic creature *paskunj-i* (< Middle Iranian \**pasku(n)č* “griffin”), whose depictions were created, on the one hand, under the strong influence of ancient traditions and pagan prototypes and, on the other hand, on the basis of long-standing cultural contacts with Byzantium and especially with Sassanian Iran.

The artistic interpretations of the iconographic and contextual motif of the griffin images in different historical periods and cultural contexts are made clear by the retrospective presented in this paper. Due to its dual nature, the griffin is firmly anchored in the Christian worldview and aesthetics. Its motif also retains its individual creative-symbolic or substantive value, so that images of griffins clearly evoke memories of ancient artistic reminiscences.

**ნანა საგანელიძე**  
**Nana Saganelidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**მოქმედებითი გვარის ზმნური ფუძეების კუმშვისათვის  
ქართულში**

**On the Contraction of Verbal Roots in the Active Voice  
in Georgian**

**საკვანძო სიტყვები:** მოქმედებითი გვარი, ზმნური ფუძეები  
**Keywords:** Active Voice, verbal roots

ქართულში იკუმშება როგორც სახელური, ასევე --- ზმნური ფუძეები.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ზმნური ფუძეების კუმშვამ.

ამ საკითხს ფარნაოზ ერთელიშვილმა თავის მონოგრაფიაში „ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში“ მიუძღვნა სპეციალური თავი - „ხმოვანთმონაცვლეობა (კუმშვად და დრეკად ფუძეებში)“. ზმნური ფუძეების კუმშვას ასევე მიაქცია ყურადღება პანს ფოგტმა. მისი თქმით, „ნინასწარ ძნელია იმის გაგება, მოხდება თუ არა ფუძისეული ხმოვნის სინკოპე, ფუძის სტრუქტურა საამისო მოთხოვნილებებს კიდევაც რომ აკმაყოფილებდეს“.

ამ საკითხით ჩვენ დავინტერესდით, ჩვენი კვლევის მიხედვით, ქართულ ენაში იკუმშება როგორც სახელური, ასევე - ზმნური ფუძეები.

1. კუმშვადი სახელური ფუძეები ერთ და ერთზე მეტმარცვლიანებია, გან-სხვავებით ზმნური ფუძეებისაგან, რომლებიც მხოლოდ ერთმარცვლიანებია. ერთმარცვლიანი ფუძეების კუმშვაშიც არის განსხვავება. CVS სტრუქტურის ზმნური ფუძეები იკუმშება, სახელური კი არა. გამონაკლისებია: ბალი, ხანი და წელი ( დედამ ბლის მურაბა მოხარშა; რა ხნისაა თქვენი შვილი? წლის დროებია... წელი არ იკუმშება, თუ სხეულის ნაწილია: ბებია წელის ტკივილმა შეაწუხა).

2. იკუმშება -ი თემისნიშნიანი და რამდენიმე -ავ,-ებ და-ობ თემისნიშნიანი ზმნური ფუძეები.

3. კუმშვადი ზმნების სანყისის ფორმები შეკუმშულია ( და-გვ-ა, გა-ქრ-ა, შე-კვრ-ა, და-კვლ-ა, მი-გნ-ებ-ა, და-პყრ-ობ-ა ).

4. აორისტის მესამე პირში იკუმშება ის ფუძეები, რომლებსაც მწვრივის ნიშნად მოუდის ი. ასეთია -ი თემისნიშნიანების ნაწილი ( გა-ვ-ქერ-ი-- გაქე-რი--გა-ქრ-ა, გა-ვ-ცერ-ი -----გა-ვ-ცერ-ი --- გა-ცრ-ა, გა-ვხსენ-ი --- გა-ხსენ-ი --- გა-ხსნ-ა...); ის -ავ თემისნიშნიანი ზმნები, რომლებშიც (თემის ნიშანი შე-კუმშული ვ-ს სახით) არის ფუძეში, ფუძე არის უხმოვნო და ბოლოვდება სონა-ნტით (კ-ვ-ლა---მო-ვ-კალ-ი---მო-კალ-ი---მო-კლ-ა, შე-კ-ვ-რ-ა --- შე-ვ-კარ-ი --- შე-კარ-ი --- შე-კრ-ა, და- წ-ვ-ნ-ა --- და-ვ-წან-ი --- და-წან--- და-წნ-ა...); რამდენიმე -ებ თემისნიშნიანი ზმნა (მი-ვ- ა გენ-ი --- მი-ა-გენ-ი --- მი-ა-გნ-ო, და-ვ-ა-კელ-ი ---და-ა-კელ-ი --- და-ა-კლ-ო, მო- ვ-ა-სწარ-ი ---მო-ა-სწარ-ი --- მო-ა-სწრ-ო...); რამდენიმე -ობ თემისნიშნიანი ზმნა (და-ვ-ი-პყარ-ი --- და-ი-პყარ-ი --- და-ი-პყრ-ო, გა-ვ-ი-ცან-ი --- გა-ი-ცან-ი --- გა-ი-ცნ-ონ-ო).

5. აორისტის III პირში არ იკუმშება ის ფუძეები, რომლებსაც მწვრივის ნიშნად მოუდის ე (და-ვ-გავ-ე -- და-გავ-ა; გ-ა-ვ-თხარ-ე -- გა-თხარ-ა ).

6. აორისტში - ი მწვრივის ნიშნის მქონე ფუძეები იკუმშება ყველა მწვრივში, გარდა აორისტის I და II პირისა (გა- ვ-ქერ-ი---გა -- ქერ-ი, შე-ვ-კა-რ-ი -- შე-კარი, და-ვ-კალი -- და-კალ-ი, და-ვ-ი-პყარ-ი----და-ი-პყარ-ი, ).

7. აორისტში - ე მწვრივისნიშნიანი ფუძეები არ იკუმშება: აორისტში, II კავშირებითში, II და III თურმეობითში ( და-ვ-გავ-ე, და-ვ-გავ-ო, და-მ-ე-გავ-ა, და-მ-ე-გავ-ო-ს), სხვა შემთხვევებში იკუმშება.

In Georgian, both nominal and verbal roots can be subject to contraction.

The present study focuses specifically on the contraction of verbal roots.

Farnaoz Ertelishvili devoted a separate chapter to this phenomenon in his monograph “Issues of the Phonematic Structure and History of Verbal Roots in Georgian”, namely, the section “Vowel Alternation (in Contracted and Extended Roots)”. Hans Vogt also addressed the problem of contraction.

According to him, “It is difficult to predict in advance whether syncope of a root vowel will occur, even if the structure of the root seems to make it possible.”

Our research confirms that in Georgian both nominal and verbal roots can undergo contraction.

1. Contractible nominal roots may be either monosyllabic or polysyllabic, whereas verbal roots are exclusively monosyllabic. There are, moreover, differences within the contraction of monosyllabic roots. Verbal roots with a CVS structure contract, while nominal ones do not. Exceptions include “bali” – cherry”, “xani” – period/age, and “c’eli” – year (“deda-m blis muraba moxarša” – Mother cooked cherry jam. “ra xnisaa tq’veni švili?” – How old is your child? “c’lis drobia” – Seasons are af follows...). By contrast, c’eli does not contract when it denotes a body part (“bebia c’elis t’kilma šeac’uxa” – Grandmother was troubled by back pain.).

2. Verbal roots marked with the thematic suffix -i, as well as certain roots marked with -av, -eb, and -ob thematic suffixes undergo contraction.

3. The basic (non-derived) forms of contractible verbs appear already in contracted shape (da-gv-a, ga-ts’r-a, she-kvr-a, da-kvl-a, da-pqr-oba).

4. In the third person of the aorist, roots that take -i as the screeve marker contract. Such are a part of verbs -i thematic suffix (ga-v-čer-i-- gačeri--ga-čr-a, ga-v-čer-i ----ga-v-čer-i --- ga-č’r-a, ga-vxsen-i --- ga-xsen-i --- ga-xsn-a...); those verbs with -av thematic suffix that are included in the stem (the thematic suffix being in the form of contracted -v), the stem is vowelless and ends with sonant (k-v-la---mo-v-kal-i---mo-kal-i---mo-kl-a, še-k-v-r-a --- še v-kar-i --- še-kar-i --- še-kr-a, da- c-v-n-a --- da-v-can-i --- da-can--- da-cn-a...); several verbs with -eb thematic suffix (mi v- a gen-i --- mi-a-gen-i --- mi-a-gn-o, da-v-a-kel-i ---da-a-kel-i --- da-a-kl-o, mo- v-a-scar-i ---mo-a-scar-i --- mo-a-scr-o...); several verbs with -ob thematic suffix (da-v-i-pqar-i --- da-i-pqar-i --- da-i-pqr-o, ga-v-i-c’an-i --- ga-i-c’an-i --- ga-i-c’n-on-o).

5. In the third person of the aorist, roots that take -e as the screeve marker do not contract (da-v-gav-e → da-gav-a; ga-v-tkhar-e → ga-tkhar-a).

6. Roots marked with -i in the aorist contract across all screeves, except in the first and second persons of the aorist (ga-v-tser-i → ga-ts’er-i; shev-kar-i → she-kar-i; da-v-kal-i → da-kal-i; da-v-ipqar-i → da-ipqar-i).

7. Roots marked with -e in the aorist do not contract in the aorist itself, in the second conjunctive, in the second resultative and third subjunctive (da-v-gav-e, da-v-gav-o, da-me-gav-a, da-me-gav-o-s) screeves. In other contexts, however, contraction does occur.

**სოფიო სარჯველაძე**  
**Sophio Sarjveladze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი წმინდა  
მენას სამი სასწაული**

**Three Miracles of Saint Menas, Translated by Euthymius  
the Athonite**

**საკვანძო სიტყვები:** ფილოლოგია, ხედნაწერთა კვლევა, ტექსტოლოგია, წმინდანები  
**Keywords:** *philology, manuscript studies, textology, Saints*

წმინდა მენას სამი სასწაული, თარგმნილი ექვთიმე მთაწმინდელის მიერ, დართულია ფსევდო-ათანასე ალექსანდრიელის „წამებაზ წმიდისა მენასი, ერმოგინესი და ევლრაფოვსის“ კიმენური რედაქციის (BHG 1270, CPG 2212) თარგმანის ბოლოს. ეს თხზულება ექვთიმეს მიერ ითარგმნა მისი მამის, იოანე ათონელის სიცოცხლეში, X ს.-ის ბოლო წლებიდან 1005 წლამდე. თხზულება მე-15 ნომრით შესულია იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანების“ ექვთიმესეული თარგმანის იოანე ათონელის ანდერძში, სადაც იოანე ჩამოთვლის მისი შვილის მიერ ბერძნული ენიდან თარგმნილ თხზულებებს. წამება დაცულია ხეც. H-341 (XI ს.); A-70 (XIII ს.); Q-112a (1801 წ.) ხელნაწერებში. წამების ბერძნულ კიმენური და მეტაფრასული რედაქციების ტექსტებს არ ერთვის წმინდა მენას სასწაულები. ისინი ცალკე კრებულების სახით მოიპოვება ბერძნულ, კოპტურ, ეთიოპურ, ძველ ნუბიურ, არაბულ, სომხურ და ძველ სლავურ ენებზე. სავარაუდოდ, ექვთიმე მთაწმინდელმა მოიძია წმინდა მენას სასწაულების ტექსტი და ცამეტი სასწაულიდან სამი (BHG 1257; BHG 1258; BHG 1260) დაურთო წამების ტექსტს. ბერძნული ხელნაწერის არსებობა, რომელშიც წამებას ეს სამი სასწაული ჰქონდა დართული, ნაკლებად შესაძლებელია, რადგან ფსევდო-ათანასეს თხზულებაში „წამებაზ წმიდისა მენასი, ერმოგინესი და ევლრაფოვსი“ თხრობა შეეხება ტკბილმოუბარ მენას (καλλικέλαδος Μηνᾶς), რომელიც იმპერატორმა მაქსიმიანემ გაგზავნა ალექსანდრიაში ქრისტიანების დასასკელად. იქ მენამ თავი განაცხადა და მოწამეობრივი სიკვდილი მიიღო. მის შემდეგ აწამეს ერმოგენე და ევლრაფოვსიც. წმინდა მენა ეგვიპტელი (ფრიგიელი) წმინდანი იყო და მისი წამების სამი ვარიანტი (BHG 1250-1254) არსებობს, საიდანაც ირკვევა, რომ ის ეგვიპტელი მეომარი იყო, ტრიბუნ ფირმილიანს თან ახლდა ფრიგიაში ლაშრობისას, სადაც მან თავი ქრისტიანად გამოაცხადა, შემდეგ სიკვდილით დაისაკა. წმინდა მენას სასწაულები (BHG 1156-1269) შეეხება სწორედ ამ უკანასკნელ წმინდა მენას. როგორც ირკვევა, არსებობდა მხოლოდ ერთი წმინდა მენა, ხოლო ექვთიმე ათონელმა მართებულად განსაზღვრა განსხვავებულ წამებებში, ერთი შეხედვით, ორი სხვადასხვა წმინდა მენას იგივეობა და ფსევდო-ათანასეს თხზულების თარგმანს დაურთო წმინდა მენას სამი სასწაული.

Three miracles of Saint Menas, translated by Euthymius the Athonite, are appended at the end of the *keinema* recension of the translation of the *Passion of Saint Menas, Hermogenes, and Euphrasius* (BHG 1270, CPG 2212) attributed to Pseudo-Athanasius of Alexandria. The *Passion* translated by Euthymius between the late tenth century and 1005, survives in manuscripts H-341 (11th c.), A-70 (13th c.), and Q-112a (1801). The Greek *keinema* and *metaphrastic* recensions do not include these

miracles. The miracles themselves are attested independently in Greek, Coptic, and several other Eastern Christian languages.

It is probable that Euthymius located a text of the miracles and appended three (BHG 1257; 1258; 1260) of the thirteen known miracles to the *Passion*. The existence of a Greek manuscript in which these three miracles were originally appended is unlikely, since in the Pseudo-Athanasius text the narrative concerns Menas καλλικέλαδος Μηνᾶς, sent by Emperor Maximian to Alexandria to punish Christians. There, Menas professed his faith openly and was martyred, followed by Hermogenes and Euphratius. Three surviving versions of his *Passion* (BHG 1250–1254) indicate he was an Egyptian soldier accompanying tribune Firmilianus on campaign in Phrygia, where he declared himself a Christian and was executed. The miracles (BHG 1156–1269) concern this same saint. As it appears, there was only one Saint Menas, and Euthymius correctly recognized the identity of what seemed to be two different saints in divergent *Passions*, appending three miracles to his translation. The text of the *Passion* and miracles survives in two recensions.

**მარი სიმონიშვილი**

**Mari Simonishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

(საქართველო, Georgia)

**გივი მარგველაშვილის „კოლხი მედეა კოლხოზში“ –  
„ხელოვნური მკითხველის“ გააზრებისთვის**  
**Givi Margvelashvili's “Colchian Medea on the Collective Farm” – For Understanding the “Artistic Reader”**

**საკვანძო სიტყვები:** გივი მარგველაშვილი, კოლხი მედეა კოლხოზში, ხელოვნური  
მკითხველი, წაუკითხველობის სენი

**Keywords:** Givi Margvelashvili, Colchian Medea on the Collective Farm, artificial reader,  
illiteracy

რომანი „კოლხი მედეა კოლხოზში“ ბერლინში 2017 წელს გამოიცა. მისი მთავარი პერსონაჟია „ხელოვნური მკითხველი.“ ტექსტში მოქმედება ბიჭვინთის სანაპიროზე ვითარდება. წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობას წარმოადგენს იმის ჩვენება, თუ რა მისია აქვს „ხელოვნურ მკითხველს“ ნაწარმოებში და როგორ უნდა ებრძოლოს „ნაუკითხველობის სენს.“

ლიტერატური, გერმანისტი რეზო ყარალაშვილი წერილში „მხატვრული ნაწარმოების აღქმა“ საუბრობს მკითხველის ფენომენზე. „ცნობილი ჭეშამრიტებაა, რომ კარგი მკითხველი ისეთივე იშვიათი მოვლენა, როგორც კარგი მწერალი. მაგრამ ალბათ იშვიათად შეხვდებით ადამიანს, თავის თავზე რომ თქვას, ვერაფერი მკითხველი ვარო... ლიტერატურული ნაწარმოების მიმართ რატომღაც იგულისხმება, რომ იგი ყველასთვისაა მისაწვდომი, განურჩევლად იმისა, გააჩნია თუ არა ადამიანს წიგნის კითხვისთვის საჭირო თვისებები. თუ-მცა ყველა ადამიანი, რა თქმა უნდა, ერთნაირად ვერ გამოავლენს ფანტაზიას, ემოციურ მგრძნობელობას, ინტერპრეტაციის უნარს და სხვა სამკითხველო ჩვევებს, რის გამოც მხატვრული ნაწარმოების აღქმის ხარისხი სხვადასხვა მკითხველისთვის განსხვავებული იქნება“ (ყარალაშვილი 2008:32). და, აი, გივი მარგველაშვილის რომანებისა თუ მინიატურების უკიდეგანო სამყაროდან ლირიკული გმირები საშველად უხმობენ მკითხველს, რომელმაც მხოლოდ კითხვა არ იცის. ამ უკანასკნელს უნდა ესმოდეს ის სასოწარკვეთილი ხმა, რომლის მიწვდენასაც ლამობენ ორ ყდას შორის, ორგვარ რეალობას შორის მყოფი გმირები.

გივი მარგველაშვილის პროზის ქვეტექსტი დაკარგული მკითხველის ძიებაა. ერთგვარი პალიმფსესტური პრინციპი, რომლის საშუალებითაც იქმნება ამ ავტორის სამყარო, გულისხმობს ორი დიქტატურის წნევების დაწრეტილი შემოქმედების დღის სინათლეზე გამოტანას სპეციფიკური, მომზადებული, უშიშარი მკითხველის მიერ. ლიტერატურათმცოდნე კლაუს პეტელვალტერი „მუცალის“ შესახებ წერდა, რომ იგი გვევლინება როგორც კანტის კრიტიკული ნაშრომების, ალენის სასიამოვნო ლიტერატურული ხუმრობების ვირტუალურ შერწყმად (<https://youtu.be/5DgkIENNpKM>). მისი პერსონაჟი ხომ ორ ყდას შორის ცხოვრობს და მხოლოდ ერთ რამეს ნატრობს, რამენაირად გაიჭრას გარეთ, მხოლოდ წიგნის გმირი კი არ იყოს, არამედ რეალურ ადამიანად გადაიქცეს. ჩვენ წინ ხომ არსებითად სხვა სამყარო იშლება, ეს დაშიფრული ავტობიოგრაფიაა, ყოფიერებისა და შემეცნების ახლებური გააზრება, ჭიდილი ისტორიულ პარადიგმასთან, წიგნის ორი ყდის მსგავსად ორგვარ რეალობასთან - ტოტალიტარულ ფაშიზმსა და ტოტალიტარულ კომუნიზმთან, ყოფის აუტანელ სიმძიმესთან და, რაც მთავარია, გამათავისუფლებელ, მხსნელ ადამიანთა შესახებ. „მე მთლიანად შემიპყრო იდეამ, რომ წიგნი ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და, რომ ამის მხატვრულ-ფილოსოფიური გამოხატვა იყო საჭირო. მე ვიგრძენი, რომ აქ ყამირთან

მქონდა საქმე, თუმცა არა ტერრა ინკოგნიტოსთან. შემდეგ კი შევუდექი პრო-ბლემის პედანტურად დამუშავებას, რაც მხატვრულად განხორციელებული ხშირად გიჟმაჟობად აღიქმება,- თავისი მიზანდასახულობის მიხედვით კი აღ-ბათ ფანტასტიკურ რელიზმს უნდა განეკუთვნოს” (მარგველაშვილი 2018:221).

ეს ფანტასტიკური რეალიზმი კი წიგნის გმირების სხვა, ახალი, „უცხო“ რეალობაა, „სხვა“ მკითხველის თვალით დანახული და ამდენად „ყველა გან-საცდელი და უბედურება, რაც წიგნის მიხედვით გვიწერია, არც ისეთ საშინე-ლებად გვეჩვენება და ჩვენი თემატური სიკვდილითაც გაცილებით ადვილად ვკვდებით. ამდენად, უდიდესი განცდა მაშინ გვეუფლება, თავს რეალურ პი-რთა (მკითხველთა) თვალებში რომ ვხედავთ და ჩვენსკენ მომართული მათი მზერის წყალობით შევიცნობთ, რომ ჩვენ ვართ.“

The novel “Colchian Medea on the Collective Farm” was published in Berlin in 2017. Its main character is the “artificial reader”. The action in the text takes place on the shores of Bichvinta. The purpose of this work is to show what mission the “artificial reader” has in the work and how he should fight the “illness of reading”.

The writer and German scholar Rezo Karalashvili, in his article “Perception of a Work of Art,” speaks about the phenomenon of the reader. “It is a well-known adage that a good reader is as rare as a good writer. But you will probably rarely meet a person who would say about himself, ‘I am not a reader at all..’ For some reason, it is implied that a literary work is accessible to everyone, regardless of whether a person has the qualities necessary for reading a book or not. However, not all people, of course, can equally demonstrate imagination, emotional sensitivity, the ability to interpret, and other reading habits, which is why the quality of perception of a work of art will be different for different readers” (Karalashvili 2008:32). And, here, from the vast world of Givi Margvelashvili’s novels and miniatures, lyrical heroes call for help to the reader who only does not know how to read. The latter must understand the desperate voice that the heroes between two covers, between two realities, are trying to reach.

The subtext of Givi Margvelashvili’s prose is the search for the lost reader. A kind of palimpsest principle, through which this author’s world is created, implies bringing to light the work that has been crushed under the pressure of two dictatorships by a specific, prepared, fearless reader. Literary critic Klaus Hettelwalter wrote about “Mutsali” that it appears to us as a virtual fusion of Kant’s critical works and Allen’s pleasant literary jokes (<https://youtu.be/5DgkIENNpKM>). His character lives between two covers and only wants one thing, to somehow break out, to not just be a book hero, but to turn into a real person.

After all, an essentially different world is unfolding before us, this is a cod-ed autobiography, a new understanding of being and cognition, a struggle with a

historical paradigm, like the two covers of a book with two realities – totalitarian fascism and totalitarian communism, with the unbearable severity of existence and, most importantly, about liberating, saviors. “I was completely captivated by the idea that a book played a very important role in a person’s life and that this Artistic-philosophical expression was needed. I felt that I was dealing with Kamir here, but not with Terra Incognito. Then I began to pedantically work out the problem, which, when implemented artistically, is often perceived as madness, but according to its purposefulness, it should probably be attributed to fantastic realism” (Margvelashvili 2018:221).

This fantastic realism is a different, new, “alien” reality of the book’s heroes, seen through the eyes of a “different” reader, and thus “all the trials and tribulations that are written to us according to the book do not seem so terrible to us, and we die much more easily with our thematic death. Thus, the greatest feeling comes to us when we see ourselves in the eyes of real people (readers) and, thanks to their gaze directed at us, we realize that we are.”

ქეთევან სირაძე

Ketevan Siradze

კავკასიის უნივერსიტეტი

Caucasus University

(საქართველო, Georgia)

„მიბრძანეს მათად საქებრად...“ – „ვეფხისტყაოსნის“  
პროლოგის ერთი სტროფის ახლებური  
გააზრებისათვის

**Toward a New Reading of a Stanza from the Prologue of  
“The Knight in the Panther’s Skin”**

**საკვანძო სიტყვები:** ვეფხისტყაოსანი, პეტროვი, თამაზი, ეკვესია, ქისისგიანობა

**Keywords:** *The Knight in the Panther’s Skin, prologue, Queen Tamar, church, Christianity*

„მიბრძანეს მათად საქებრად...“ - „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ამ სტრუქტურული ტექსტის მათაბრძანების სიდამაზის ხოგბას ხედავენ, ხოდო ზოგი მეცნიერის აზრით, სიტყვა „მათად“ - მხავრობითში - გმიჩებს უნდა ასხამდეს ქება-დიდებასთ. გონისე ახეოპაგერი თხზუდებაში „ზეციუჲი იეჲაჲეია“ ეკვესის შემამკობელმა ატჲიბუგებმა შემდეგი ჩამ დაგვანახა: *ხოგონი ქარს ამკობს წაჲბ-წამუამი, თმა და ბაგე-კბიღი, ასევე ეს მხაგვერი „შესამკობერნი“ სიმბოდუჲად განასახიერებს ღმერთის ძაღმოსიღებას. გონისე ახეოპაგერი წესს, ხომ სხეულის ნაწილები ციუჲ ძაღთა შესაგვესი ხაგებს წაჲმოაგენერნ. მათ შორის: „ქუთუთოები და წაჲბები - ღვთისმხიდვერობითი ცნობიერების დამცვერობას... კბიღები - შთანებიდი მასაზემოებერი სისავსის დამნაწილებრობას...“ ხოდო პავლეს სამოციქულოს გიოგორ ნოსერისული განმაჲებით, თმა შემამკობერია და ძაღა სხადისა, ხოდო სძაღი ქისსგესი ეკვესია. სოღომონის „ქებათა ქებაშიც“ სიძე აღიდებს ჩასძაღს, ამაში განმმაჲებელის ეკვესის ხოგბას ხედავენ. ამასთან, ვფიქრობთ, საინტერესო ინტერესულიას მივაგენით წმინდა წერილის განმმაჲებელთან ამავე სტრუქტურის აფორიზმისა: „გასაგებს ქვასაცა მაგაჲსა გჩერები ტყვიისა გბიღისა“. ხომერსაც ასე განმაჲგვენება: ქაღის სიღამაზე მამაკაცის მტკიცე გუდს გატეხსო, ახადა ამ მეტაფორაშიც იმგვარი სუღიერი შინაახსი უნდა დავინახოთ, ჩაზეც წესს მე-5 საუკუნის რიღი მოღვაწე კიჩიღები აღექსანდრეილი: უნდა ვიცოდეთ, ხომ აღამანგის ქვა, ხოგონი ამბობენ, ტყვიით აღვიდად იმსხვევა, თუმცა იგივე მას სხვა ნივთიერებათაგან ასე ემუქერდა. ამას ჰგავს ქისსგე: თუმცა სახიერია, მაგაჲამ ასევე ყოველისშემძღვა. ღმერთს ასე აქვს სისასტიკე, მაგაჲამ ის ანაგუჲებს საგანას ყოველადსახიერებით. ყოველგვარი ძაღა აღამიანს ღმერთისგან აქვს. ბორგების ასეთივე დამთხვევები უნაჲის მქონე იყო თამაჲი: უკეთუები თავად კნინდებოდა და განიღეოდა მისი ღმობიერებისა და სახიერების ფონზე. იგი იმაჩვებდა ბორგებაზე სიმღაბითა და თმენითა, სოღომონის მსგავსი სიბერინით. ამასვე წესს ბასიღი ეზოსმოძღვანი: თამაჲს გამოაჲევდათ „სიმღაბე უზომო, სიმაღლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმქისე ფერვანი, ღმობიერება მოწყადე, მოწყადება თანაღმობიღი, უმანკოება უზაკუები, სიწერება უსიცხუო, სახიერება ზოგადი, სიუხუე აღუზუავებელი...“ ასეთი წმინდა ადამიანები თავიანთი სითბოთი და სიმშვიდით არა მარტო ცუდი ადამიანების გულებს აღღობენ, არამედ საშიშ მხეცებსაც კი ათვინიერებენ. ძალა არ არის ძალადობასა და ზენოლაში. მოწყალებას, სიკეთეს და სიყვარულს საოცარი თვისება აქვს. სიყვარულს შეუძლია ყველაზე ცივ და ბოროტ გულშიც კი ცვლილება შეიტანოს. თამაჲს პქონდათ უმანკო, ყოველად მოწყადე და განუჲისხებელი გუდი, - ასე ახასიათებს მის ბუნებას ივანე ჭავახიშვილი. ეს აფორიზმი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია სიკეთეს დაამარცხოს ბოროტება.*

In the verse “They ordered me to praise them...” from the prologue of *The Knight in the Panther’s Skin*, it is traditionally believed that the poet is praising Queen Tamar’s beauty; some scholars, however, argue that the plural form “them” refers to the heroes who ought to be glorified. Yet the laudatory elements of this passage can also be viewed in a deeper, spiritual sense, as shown by Dionysius the Areopagite in his work *The Celestial Hierarchy*. Just as a woman’s beauty is adorned by her eyebrows and eyelashes, her hair, lips, and teeth, so do such poetic expressions symbolically represent the power of God. Dionysius writes that parts of the human body serve as symbolic equivalents of heavenly powers. Among them: “the eyelids and eyebrows signify the guarding of divine vision... the teeth signify the distribution of nourishing fullness...”

According to St. Gregory of Nyssa’s interpretation of the Apostle Paul, hair is an adornment and a symbol of strength for the bride, while the bride herself is the Church of Christ. Likewise, in Solomon’s *Song of Songs*, when the bridegroom praises his bride, the commentators interpret this as praise directed toward the Church.

With this in mind, we believe we have found an interesting interpretation – based on the commentary of the Holy Fathers – of another aphorism from the same stanza: “Even the hardest stone will be shattered by the soft lead hammer.”

It is often explained to mean that a woman’s beauty can break even the firmest of men’s hearts. Yet this metaphor, too, should be understood in a spiritual sense. As the great fifth-century theologian Cyril of Alexandria writes: we must know that the adamant stone, though thought to be unbreakable, is nonetheless easily shattered by lead, whereas it is unaffected by any other substance. So is Christ: infinitely kind, yet also omnipotent. God has no cruelty, yet He destroys Satan through boundless goodness. Every form of strength possessed by human beings comes from God.

Queen Tamar possessed this same power to overcome evil: wicked nobles were defeated and faded away in the light of her gentleness and goodness. She triumphed over evil through humility and patience, with a wisdom akin to that of Solomon. Basil the Steward likewise wrote that Tamar was distinguished by “immeasurable humility, incomparable exaltedness, and praiseworthy serenity...” Such holy people can soften not only the hearts of evil men, but even tame ferocious beasts with their warmth and calm. True strength is not found in violence or oppression. Mercy, goodness, and love have a wondrous power: love can bring transformation even into the coldest and most wicked heart. As Ivane Javakhishvili described her, Tamar possessed a pure, utterly merciful, and never wrathful heart.

This aphorism thus serves as a vivid example of how goodness can overcome evil.

**ნესტან სულავა  
Nestan Sulava**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**სვეტიცხოვლის „გულანის“ სტრუქტურული  
შედგენილობის შესახებ**  
**On the Structural Composition of the Svetitskhoveli  
“Gulani”**

**საკვანძო სიტყვები:** კებული-ანთოღოვია, „გულანი“, სვეტიცხოველი, სტრუქტურა,  
ღიგუჟიგული დანიშნულება

**Keywords:** collection-anthology, “Gulani”, Svetitskhoveli, structure, liturgical purpose

კვლევის საგანია „გულანის“, ძველი ქართული კრებულის, ხელნაწერთა კლასიფიკაციისა და კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხები. მოხსენებაში განიხილება სვეტიცხოვლის „გულანის“ სტრუქტურის საკითხები. ჩვენამდე მოაღწია საკმაოდ დიდი რაოდენობის „გულანმა“ და მისმა რედაქციულმა სახესხვაობამ „შამნ-გულანმა“, ერთ ხელნაწერს „ძლისპირ-გულანიც“ ეწოდება. ხელნაწერთა გამოქვეყნებული აღნერილობების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა 74-ს აღნევს. იგი XII-XIII საუკუნეებიდან გვხვდება და მისი უძველესი ნიმუში არის თავ-ბოლო ნაკლული 267-ფურცლიანი ეტრატის ხელნაწერი A-304, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში მცირე გულანი უწოდეს. „გულანის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა მწირია, რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომშია დასმული საკითხი მისი ლიტერატურული დანიშნულების შესახებ (თედო უორდანია, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე და სხვ.). „გულანის“ ყოველი ხელნაწერი ერთმანეთისაგან განსხვავდება სტრუქტურული თვალსაზრისით, რაც შესწავლელია და რის გამოც „გულანის“ ხელნაწერთა შესწავლისა და კლასიფიკაციის აუცილებლობა გამოიკვეთა.

კვლევის აქტუალობის საფუძველია: 1. „გულანის“ სტრუქტურული სხვადასხვაობა, 2. კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური და შედგენილობის თვალსაზრისით არ არის შესწავლილი. „გულანის“ ხელნაწერები მოცულობით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. კრებულში თავმოყრილია ყველა საღვთისმსახურო წიგნი, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში გამოიყენებდნენ ლიტერატივის აღსრულებისას.

მცხეთის//სვეტიცხოვლის „გულანი“ ერთ-ერთი უდიდესი კრებულია, რომელიც 1681 წელსაა გადაწერილი და მოიცავს 889 ფურცელს, იგი სამ ნაწილადაა დაცული (I-345 ფურც.; II- 321 ფურც.; III-223 ფურც.). ხელნაწერის პირველ-მეორე ნაწილებში თვენის ტექსტია განთავსებული; მესამე ნაწილში შეტანილია მარხვანი. ხელნაწერს ახლავს მდიდარი ანდერძ-მინაწერები, რომელთაც აქვთ კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, საღვთისმეტყველო-ლიტურგიული და ისტორიულ-ფილოლოგიური მნიშვნელობა. საზოგადოდ, „გულანის“ შემადგენელი ნაწილებია: სახარება-ოთხთავი, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლეები, დავითი, თვენი, მარხვანი, ჟამნი, ძლისპირი, აღდგომის საგალობლები, პარაკლიტონი, ზატიკნი, ჭრელების წუსხა, საწინა-სწარმეტყველო, სვინაქსარი, ტიპიკონი//წესდება, დღესასწაულებზე წასაკითხი ცხოვრებანი და სიტყვები//ქადაგებები, კვინკლოსი//ქორონიკონი, კურთხევანი, ძეგლისწერა სარწმუნოებისა და სხვ. „გულანის“ ხელნაწერთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქვის, ხოტევის, გელათის, შემოქმედის, ბედიის, ცაიშის, მცხეთის//სვეტიცხოვლის, მარტვილის, ჭალის, ხობის, დავით გარეჯისა და სხვა მონასტერთა გულანები, ყანჩაეთის, რუისის ჟამგულანები, რომლებიც განსხვავებული შედგენილობისაა და შესწავლელია; დასადგენია, ერთი სახელწოდების მქონე კრებულის შემცველი ხელნაწერები სტრუქტურულად რატომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მოხსენებაში განვიხილავთ: 1. „გულანის“ როგორც კრებულის დანიშნულებას, რადგან ერთ წიგნში იყო მოქცეული მთელი საღვთისმეტყველო-ლიტურგიული მასალა, რაც, ვფიქრობთ, სოციალურ და პოლიტიკურ-სახელმწიფო-ებრივ მოვლენებს უკავშირდებოდა, ძნელებედობისას ერთი წიგნის გადატანა-გადამალვა უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე მთელი ბიბლიოთეკისა; 2. „გულანის“ გავრცელების არეალს, რადგან „გულანების“ ანდერძ-მინანერები მოწმობენ, რომ ხელნაწერი წიგნის დამკვეთი მხოლოდ ეკლესია-მონასტერი არ იყო, კერძო პირებიც იყვნენ, მეტნილად მეფე-ფეოდალები; 3. მოხსენება, ძირითადად, შეეხება სვეტიცხოვლის „გულანს“, რომლის სტრუქტურული შედგენილობის შესწავლასა და მნიშვნელობის განსაზღვრას ვისახავთ მიზნად. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხელნაწერის გადაწერიდან მოგვიანებით ჩართული ნიკოლოზ გულაბერის ძის ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული და ჰომილეტიკური მასალა წმ. ნინოს მოღვაწეობის, მის მიერ ქართლის გაქრისტიანების, სვეტიცხოვლის როგორც ცხოველი სვეტის აღმართვის, სვეტიცხოვლის ტაძრის აღშენების შესახებ. კვლევის საგანია ისიც, თუ რამ გამოიწვია ამ თხზულებათა ჩართვა კრებულში.

„გულანის“ კვლევის პრობლემა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. ესენია: 1. ხელნაწერთა სიმრავლე, რაც დადებით მოვლენად უნდა აღვიქვათ, რადგან ეს მის პოპულარობასთან ერთად საღვთისმსახურო-ლიტურგიკულ ღირებულებასაც განსაზღვრავს. 2. შესაბამისად, მისი კვლევა აუცილებელია კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით. რედაქტორ-გადამწერები მიზნად ისახავდნენ, რაც შეიძლება მეტი საღვთისმეტყველო-ლიტურგიკული მასალისათვის მოეყარათ თავი და შეექმნათ უნაკლო კრებული. 3. ხელნაწერებში განთავსებული მასალა ყველგან ერთნაირი თანმიმდევრობით არა განლაგებული, გადამწერებს ერთნაირი ღირსებისა და რედაქციის დედნები არ ჰქონდათ, რაც, ძირითადად, სხვადასხვა ლიტერატურული წრის შესაძლებლობებს ასახავს; მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი ერთი საღვთისმეტყველო-ლიტურგიკული ტრადიციების მიმდევარი იყო, რადგან ლიტურგიკულ-კანონიკური მასალა განსხვავებული ვერ იქნებოდა და არც იყო. 4. ყოველ ხელნაწერს ახლავს უმნიშვნელოვანესი კოლოფონები, რომელთა მიხედვით დგინდება გადაწერის ადგილი და თარიღი, დანიშნულება, დამკვეთი, გადამწერის ვინაობა, დედანი და მისი რაობა/ხარისხი, პირობები, შეწირულობები, გადამწერის სოციალური მდგომარეობა, რაც მოითხოვს ტრადიციულ ისტორიულ-ფილოლოგიურ, ინტერტექსტუალურ, ჰერმენევტიკულ კვლევებს; 5. „გულანის“ ხელნაწერთა უმრავლესობას ახლავს ერთმანეთისაგან განსხვავებული მორთულობა, ზოგ მათგანს მდიდარი ორნამენტები და მინიატურები ამკობს, რაც დამკვეთის ეკონომიურ შესაძლებლობებს მოწმობს და მოითხოვს მულტიდისციპლინურ კვლევას; 6. „გულანის“ როგორც საღვთისმეტყველო-ლიტურგიკული კრებულის წინასახეებად ძველი

ქართული ხელნაწერი კრებულები უნდა მივიჩნიოთ, კერძოდ, ლექციონარები, მრავალთავები, შატბერდის კრებული, სადღესასწაულოები; 7. „გულანს“ მივიჩნევთ ქართულ საღვთისმეტყველო-ლიტურგიკულ მოვლენად, რომელიც გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლაში შემუშავდა XII საუკუნეში. იგი განსხვავდება ბიზანტიურ საღვთისმეტყველო-ლიტურგიკულ პრაქტიკაში დამკვიდრებული კრებულებისაგან, რომელთაგან კორნელი კეცელიძემ სავარაუდოდ პანდექტები დაასახელა, მაგრამ საკითხის გარკვევა სამომავლო საქმედ მიიჩნია; ამიტომ ამ მიმართულებით კვლევა აუცილებელია. თითოეული საკითხის განხილვა სიახლე და ახალი სიტყვა „გულანის“ შესწავლის საქმეში. საკითხი ასე სიღრმისეულად აქამდე განხილული არ ყოფილა და, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული საკითხების დამუშავება ჩვენი შრომის ორიგინალობას მოწმობს.

კვლევისას ვეყრდნობით აღწერილობით, ანალიტიკურ, ტრადიციულ ისტორიულ-ფილოლოგიურ, ინტერტექსტუალურ, მულტიდისციპლინურ, ჰერმენევტიკულ მეთოდებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ხელნაწერული მემკვიდრეობის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლა.

დასკვნაში აღნიშნულია კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით „გულანის“ ხელნაწერთა ისტორია იწყება XII საუკუნიდან, რა დროიდანაც შეიქმნა ჩვენამდე მოღწეულ „გულანის“ ხელნაწერთაგან უძველესი, ხოლო აქტიური ქრონოლოგიური გავრცელების არეალია XV-XVIII საუკუნეები. „გულანი“ არის საღვთისმეტყველო-საღვთისმსახურო და ლიტურგიკული ლიტერატურის კრებული-ანთოლოგია, რომელშიც დაუნაცებულია მთელი ის მასალა, რაც ეკლესიამონასტრებს სქირდებოდათ უამისინოვის აღსასრულდებლად მთელი წლის განმავლობაში. ყოველი ეკლესია-მონასტერი „გულანით“ განძის მფლობელის სტატუსით სარგებლობდა და ახალი ხელნაწერის გადანუსხვისას საჭიროების შემთხვევაში სწორედ მას იყენებდნენ ახალი ხელნაწერის დედნად.

The subject of the research is the classification of manuscripts and codicological-textological issues of “Gulani”, the ancient Georgian collection. The report discusses the issues of the structure of the Svetitskhoveli “Gulani”. It also explains the meaning of the name “Gulani”, its place among ancient Georgian manuscript collections, and the issues of its structure in the Georgian theological space. A fairly large number of manuscripts of “Gulani” and their editorial variant “Zhamn-gulani” have reached us. According to the published descriptions of the manuscripts, their total number reaches 74, one manuscript is even called “Dzlispir-gulani”. It dates back to the 12th-13th centuries, and its oldest example is the 267-page manuscript A-304, which lacks the beginning and the end, and which was called the Small “Gulani” in scientific literature, which is rather scarce. Several scientific works have raised the

issue of its liturgical purpose (Tedo Zhordania, Ekvtime Takaishvili, Korneli Kekelidze, etc.). Each manuscript of "Gulani" differs from one another in terms of structure, which is unstudied and which is why the necessity of examining and classifying "Gulani" manuscripts has been identified.

The relevance of the research is based on 1. The structural diversity of "Gulani", 2. It has not been studied in terms of codicological-textological and compositional aspects. In the Middle Ages, foreign travelers in Georgia, upon seeing the collection, assessed it as a huge collection kept in all monasteries, which is an exaggeration, since the manuscripts of "Gulani" also differ in size from one another. It contains all the liturgical books that were used during the liturgy throughout the year. These are: the Gospel-Quartet, the Acts of the Apostles, the Epistles of the Apostles, Psalms, the Books of the Week, the Times, the Powers, the Easter Hymns, the Paraclitike, the Fast, the Zatik, the List of the Varieties, the Prophecies, the Svinaksari, the Typicon//Regulations, the Lives and Words to be Read on Feasts//Sermons, the Quinclos//Chronicle, the Benediction, the Monumental Writing of the Creed, and others. Of "Gulani" manuscripts, the most important are the Gulani of Mokvi, Khotevi, Gelati, Bedia, Tsaishi, Mtskheta//Svetitskhoveli, Martvili, Chali, Khobi, Davit Gareji and other monasteries, the Zhamn-gulani of Kanchaeti, Ruisi, which are of different composition and have not been studied; it is also necessary to determine why the manuscripts containing the same collection of names structurally differ from each other.

In the report, we will discuss: 1. Purpose, because all theological and liturgical material was contained in one book, which, we believe, was also related to social and political-state events, and in times of need, it was more convenient to move or hide one book than the entire library; 2. The area of distribution, because the wills and notes of the "Gulani" testify that the customers of the manuscript book were not only the church-monasteries, but also private individuals, mostly feudal lords. 3. The report mainly concerns the Svetitskhoveli "Gulani", the structural composition of which we aim to study and determine the meaning. Special attention is paid to the hagiographic, hymnographic and homiletic material of Nikoloz Gulaberis Dze, included later after the manuscript was copied, about the activities of St. Nino, her Christianization of Kartli, the erection of Svetitskhoveli as a living pillar, and the construction of Svetitskhoveli Cathedral. The subject of the research is also what led to the inclusion of these works in the collection.

The Mtskheta//Svetitskhoveli "Gulani" is one of the largest collections, copied in 1681 and consisting of 889 leaves, preserved in three parts (I-345 leaves; II-321 leaves; III-223 leaves). The first and second parts of the manuscript contain the text of the Menologion; the third part contains the Fast. The manuscript is accompanied by rich testaments and notes, which have codicological-textological, theological-liturgical and historical-philological significance.

The problem of researching “Gulanis” includes several important issues. These are: 1. The abundance of manuscripts, which should be perceived as a positive phenomenon, because this, along with its popularity, also determines its ecclesiastical and liturgical value. 2. Accordingly, its research is necessary from a codicological and textual point of view. The editors-copyists aimed to collect as much theological-liturgical material as possible and create a flawless collection. 3. The material in the manuscripts is not arranged in the same order everywhere, the copyists did not have originals of the same value and redaction, which mainly reflects the capabilities of different literary circles; nevertheless, each of them was a follower of the same theological-liturgical traditions, because the liturgical-canonical material could not and did not differ. 4. Each manuscript is accompanied by the most important colophons, according to which the place and date of copying, purpose, customer, identity of the copyist, original and its nature/quality, conditions, donations, social status of the copyist are determined, which requires traditional historical-philological, intertextual, hermeneutical studies; 5. The majority of the manuscripts of “Gulani” are decorated differently from one another, some of them are adorned with rich ornaments and miniatures, which testifies to the economical capabilities of the customer and requires multidisciplinary research; 6. We should consider the prototypes of “Gulani” as a theological-liturgical collection to be ancient Georgian manuscript collections, namely, lectionaries, multi-chapters, the Shatberdi collection, and feasts; 7. We consider “Gulani” to be a Georgian theological-liturgical collection, which was developed in Gelati Theological and Literary School in the 12th century. It differs from the collections established in Byzantine theological and liturgical practice, of which Korneli Kekelidze presumably named the pandects, but considered the clarification of the issue a future task; therefore, research in this direction is necessary. The discussion of each issue is a novelty and a new word in the study of “Gulani”. The issue has not been discussed in such depth before, and, we believe, the elaboration of the above-mentioned issues testifies to the originality of our work.

In the research, we rely on descriptive, analytical, traditional historical-philological, intertextual, multidisciplinary, hermeneutic methods, without which the codicological-textological study of the manuscript heritage is impossible.

The conclusion states the results of the research, according to which the history of the “Gulani” manuscripts begins in the 12th century, when the oldest of the “Gulani” manuscripts that have survived to our time was created, and the area of active chronological distribution is the 15th-18th centuries. “Gulani” is a collection-anthology of theological and liturgical literature, which contains all the material that churches and monasteries needed to perform the liturgy throughout the year. Each church and monastery enjoyed the status of the owner of the “Gulani” treasure, and when copying a new manuscript, if necessary, it was used as the original for the new manuscript.

**მარინე ფუთურიძე**  
**Marine Puturidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ინკრუსტირებული ორნამენტაციის რეპრეზენტირების  
თავისებურება თრიალეთის კულტურის ოქროს  
ყელსაბამზე**

**The Peculiarity of Representing Inlaid Ornamentation  
on a Gold Necklace from the Trialeti Culture**

საკვანძო სიტყვები: შუა ძინჯაოს ხანა, ოქროს ყელსაბამი, აქატის კუდონი,  
ინკრუსტაცია

**Keywords:** *Middle Bronze Age, gold necklace, agate pendant, incrustation*

მოხსენება ეძღვნება სამხრეთ კავკასიის რეგიონში ოქრომჭედლობის განსაკუთრებული დაწინაურების პერიოდის ერთ კონკრეტულ ნიმუშს, რომელიც თრიალეთის კულტურის გამორჩეული მნიშვნელობის არტეფაქტია. ეს არის თრიალეთის სამარხეეულ ძეგლებში მოპოვებული დიდი რაოდენობით სამკაულს შორის დადასტურებული თოთხმეტმივიანი და აქატისკულონიანი ყელსაბამი, რომელიც მხატვრულ-სტილისტური და ტექნიკური მოდელირების თვალსაზრისით ძველი სამყაროს ოქრომჭედლობის გამორჩეულ ნიმუშადაა აღიარებული.

მრავალფეროვანი ტექნიკური ხერხების: ცვარას, გავარსის, ფილიგრანის, ინკრუსტაციისა და ჭვირვის გამოყენებით ორნამენტირებული ყელსაბამის კომპოზიციური გაფორმების ცენტრს ქმნის აქატის მომრგვალებული ფორმის კულონი, რომელიც ამ ნიმუშს ჰარმონიულ მხატვრულ მთლიანობას სძენს. ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტირება გვაქვს გაკეთებული მის რამოდენიმე ინკრუსტირებულ კომპონენტზე, რომელთა მრავალსახოვანი სტილისტური გადმოცემა განსაკუთრებულ მდიდრულ იერს აძლევს ამ არტეფაქტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკუსტაციის ხერხი სრულ სიახლეს წარმოადგენს, რომლის გამოჩენაც სამხრეთ კავკასიის რეალობაში სწორედ თრიალეთის კულტურას უკავშირდება. ოქროს ჩარჩოში სხვადასხვა ფერის ნახევრადძირფასი ქვების ინკრუსტაციით შესრულებული დეკორი უპირველესად ფერთა გამის კონტრასტირებაზე ხაზგასმას წარმოგვიდგენს, რაც გაცილებით მეტ შთამბეჭდაობას სძენს ნაწარმს. მრავალსახოვანი გეომეტრიული მოტივები და მასთან კომბინაციაში ინკრუსტირებული ფერადი ქვებით შეხამება განსაკუთრებით ეფექტურსა და ფერადოვანს ხდის ყელსაბამს, ხოლო პოლიქრომია შუმერული ოქრომჭედლობის ერთ-ერთი სიმპტომატური თავისებურებაა. თეთრძარღვიანი, აშკარად იმპორტირებული აქტის ფირფიტების გამოყენებით გაფორმებული თრიალეთური კულონი მხატვრული ხელოსნობის შედევრადაა მიჩნეული სპეციალისტთა მიერ, რომელსაც ანალოგია ეძებნება შუმერული ოქრომჭედლობის ცნობილ ურუქის ყელსაბამთან.

ამასთან, აქცენტს ვაკეთებთ ყელსაბამის სხვადასხვა ტიპის ინკრუსტირებულ მძივებზეც, რომლებიც საკმაოდ განსხვავებული მხატვრული ხერხითაა გადმოცემული ვიდრე ოქროს სქელ ჩარჩოში მოდელირებული აქატის კულონი, რომლის ანალიზსაც ვიძლევით. ეს უკანასკნელი კი მხატვრული ღირებულებით თოთხმეტმივიანი ყელსაბამის გამორჩეული და წამყვანი მნიშვნელობის მქონე დეტალია, რომელიც ჰარმონიულ მთლიანობას აძლევს აღნიშნულ ნაწარმს. თითქოს სწორედ აქატის კულონია ის ღერძი, რაც ერთგვარად კრავს არტეფაქტის მთელს კომპოზიციას.

ვფიქრობთ, რომ აქატის კულონი ერთ-ერთია, რომლის მიხედვითაც იკვეთება ტენდენცია, როცა თრიალეთური ოქრომჭედლობა ითვისებს, გადახარშავს, ხშირად ტრანსფორმაციასაც უკეთებს ნინაზიური ხასიათის სტი-

ლისტური პროგრამის ინოვაციურ და ხაზგასმით არალოკალურ ტრადიციას. ამის შედეგად იქმნება ადგილობრივი, ტრადიციული ხაზის მქონე მხატვრული ნიმუშები, სადაც ცხადად ადაპტირებული და გამოყენებულია უცხო ელემენტები. უნდა აღვნიშნოთ, რომ, ზოგადად, არა მხოლოდ აქატისკულონიან ყელსაბამში, არამედ ტორევტიკის არაერთ ნიმუშშიც იკითხება ადგილობრივისა და უცხო, ინოვაციური მხატვრული ტრადიციების თანაარსებობა.

The paper is devoted to a specific specimen of goldwork from the South Caucasian Trialeti Culture: a jewelry piece of exceptional value and importance dating to the early second millennium BC. Featuring fourteen distinct types of beads and an agate pendant, this gold necklace represents a stylistic and technical masterwork of the period.

Various techniques were employed in the decoration of the necklace, including: granulation, filigree, openwork, and incrustation. Its compositional centre is a slightly curved agate pendant, which lends a harmonious unity to the piece. We focus special attention on several incrusted components of this ornate specimen. Its unique artistic-stylistic expressions provide the artefact with extraordinary richness.

It is necessary to emphasize that the incrustation method represents an absolute novelty in this period, appearing in the South Caucasus for the first time alongside the mature phase of the Middle Bronze Age Trialeti Culture. The economically prosperous Trialeti ruling elite sought to accumulate significant wealth, enabling them to acquire exotic prestige goods that further solidified their elevated social status. The unbelievable achievements of gold working craft was predicted by this conditions. These conditions directly fostered the unprecedented achievements observed in Trialeti goldwork.

The unique gold necklace features a distinctively designed agate pendant set within a gold frame and decorated with proportionally arranged carnelian inlays. The polychromatic effect created by these semi-precious stones is a characteristic feature of Trialeti goldsmithing, significantly enhancing the visual impact of the piece. Furthermore, the small incrusted details on the pendant were executed differently from both technical and artistic-stylistic perspective.

The agate pendant features intricate and aesthetically sophisticated imagery resulting from its unique decorative program. Beyond the central compositional core – the polished agate itself – the piece is accented by spherical inlays arranged vertically in the centre and symmetrically at the terminals.

Supposedly this pendant serves as a definitive example within the broader Trialeti goldwork assemblage, which proved that the Trialeti Culture accepted, assimilated and somehow transformed traditional Near Eastern stylistic programs.

## თეა ქართველიშვილი

Tea Kartvelishvili

კორნელი ქეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts  
(საქართველო, Georgia)

**საერო ხელისუფალთა მონაწილეობა და როლი  
საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეულების  
(საეპისკოპოსოების) დაარსებასა და საეკლესიო  
იერარქების დადგენის პროცესში  
(აფხაზეთის საკათალიკოსო, XV-XVIII სს.)**

**The Participation and Role of Secular Authorities in the  
Formation of Ecclesiastical Administrative Units (Bishoprics)  
and in the Establishment of Ecclesiastical Hierarchies  
(The Catholicate of Abkhazia, 15th–18th Centuries)**

**საკვანძო სიტყვები:** აფხაზეთის საკათაღიკოსო, კათაღიკოსის აჩჩევა, ეპისკოპოსის  
აჩჩევა, საეკლესიო აღმინისტრირება

**Keywords:** Catholicate of Abkhazia, election of the Catholicos, episcopal elections,  
ecclesiastical administration

საქართველოს ისტორიაში პოლიტიკური და საეკლესიო პროცესები მჭიდროდ იყო ერთმანეთზე გადაჭავული. ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ორი საკათალიკოსო არსებობდა: მცხეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) და აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს). ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ აფხაზთის საკათალიკოსოს გამიჯვნა მცხეთის საკათალიკოსოსგან პოლიტიკურ პროცესებს მიება.

შუა საუკუნეების საქართველოში ბიზანტიური სიმფონიზმის პრინციპი დამკვიდრდა, რაც სახელმწიფოსა და ეკლესიის პარმონიულ თანამშრომლობას გულისხმობდა. ეკლესიის ფეოდალიზაციამ მნიშვნელოვნად განაპირობა მისი დაკავშირება პოლიტიკურ პროცესებთან. ორგზის მირონცხებული მეფე ეკლესიის გარე ეპისკოპოსად ითვლებოდა, ხოლო პატრიარქი – მეორე მეფედ. ამდენად, მათ შორის ურთიერთობას ქრისტიანული მოძღვრება ედო საფუძვლად. ღვთივგვირგვინოსანი მეფე უფლებამოსილი იყო აერჩია პატრიარქი. გვიან შუა საუკუნეებში სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში ვითარება შეიცვალა. დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფოს გარდა რამდენიმე სამთავრო ჩამოყალიბდა, რომელთა ამბიციური მეთაურებიც მეფეს ტოლს არ უდებდნენ. თავისი ძლევამოსილებისა და გავლენის წყალობით მეფის ტიტულის მიღებასაც არ ერიდებოდნენ და შესაბამისად ცდილობდნენ ესარგებლათ კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის სამეფო პრივილეგიით.

სამეფო-სამთავროებად დანაწევრებულ დასავლეთ საქართველოში, ერთადერთი გამაერთიანებელი ძალა აფხაზთა საკათალიკოსო იყო. ამიტომ ყველა პოლიტიკური ლიდერი, მეფე იქნებოდა თუ მთავარი, რომელსაც მთელ დასავლეთ საქართველოზე ჰეგემონობის დამყარება სურდა, ცდილობდა ეკლესია და ეკლესიის მეთაური თავისი ერთგული ფეოდალური საგვარეულოდან დაედგინა. კათოლიკოს-პატრიარქების კანდიდატთა შერჩევის მაგალითზე რელიეფურად იკვეთება დასავლეთ საქართველოში რომელი ძალა ფლობდა პოლიტიკურ უპირატესობას.

საერო ხელისუფლების პრეროგატივა იყო ეპისკოპოსების დადგენა და საეკლესიო ადმინისტრირებაც. მეფეების თუ მთავრების მიერ ახალი ეპარქიების დაარსებას მხოლოდ პოლიტიკური მოტივები ედო საფუძვლად. მაგ.: გურიელებმა დაარსეს გურიის სამთავროში სამივე საეპისკოპოსო: შემოქმედის, ჯუმათის და ნინოწმინდის, რადგან ქუთათელის ეპარქიიდან გასულიყვნენ და მეფის გავლენისგან გაეთავისუფლებინათ თავი. თავად იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ დააარსა გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის ეპარქიები, რადგან ქუთათელის ძალაუფლება შეეზღუდა.

გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოში კათალიკოსის და ეპისკოპოსების არჩევა, ფაქტიურად, პოლიტიკურ აქტად იქცა. ამიტომ ეკლესია, თითქმის ყოველთვის, ცენტრალური ხელისუფლების პოზიციებზე იდგა.

Throughout the history of Georgia, political authority and ecclesiastical structures were inseparably linked, often shaping one another in fundamental ways. Within the unified Georgian polity, two major ecclesiastical centers exercised jurisdiction: the Catholicate of Mtskheta in eastern Georgia and the Catholicate of the Abkhazians in the west. Following the fragmentation of the United Kingdom, the institutional and jurisdictional separation of the Abkhazian Catholicate from Mtskheta became closely intertwined with broader political realignments.

In the medieval period, the principle of Byzantine *symphonia* – prescribing harmonious cooperation between the imperial (or royal) authority and the Church – took firm root in Georgia. The gradual feudalization of the Church considerably deepened its engagement in political affairs. The king, anointed twice with holy chrism, was regarded as the external bishop of the Church, while the Patriarch was often styled as “another king”. Thus, their reciprocal relationship rested upon shared Christian ideology and mutual legitimizing functions. The God-crowned monarch held the established prerogative of appointing the Catholicos-Patriarch.

In the late Medieval period, however, Georgia’s political landscape underwent substantial transformation as the country splintered into independent kingdoms and principalities. In western Georgia, in addition to the Kingdom of Imereti, several powerful principalities emerged, whose rulers rivaled the king in military and political authority. Their accumulated influence emboldened them not only to appropriate royal titles but also to claim the royal privilege of selecting the Catholicos-Patriarch.

Within this politically fragmented environment, the Catholicate of the Abkhazians stood as the principal unifying ecclesiastical institution. Consequently, every ambitious political figure, whether king or prince, who aspired to achieve hegemony over western Georgia sought to secure the Church’s allegiance by installing a Catholicos-Patriarch from within his own loyal noble house. The patterns observable in the selection of candidates for the Catholicate thus provide a valuable indicator of shifting political dominance in the region.

The appointment of bishops and the broader administration of ecclesiastical affairs fell within the customary prerogative of secular rulers. The founding of new bishoprics by kings or princes largely reflected strategic political objectives rather than exclusively religious considerations. For example, the Gurieli dynasty established all three bishoprics within the Principality of Guria – Shemoqmedi, Jumati, and Khino – with the explicit intention of withdrawing from the jurisdiction of the Bishop of Kutaisi and limiting the influence of the Imeretian monarchy. Similarly, King Bagrat III of Imereti founded the bishoprics of Gelati, Khoni, and Nikortsminda in order to restrict the authority of the Bishop of Kutaisi.

By the late medieval period, the election of the Catholicos and of bishops had effectively become a political act. As a result, the Church, in most instances, aligned itself with the positions and interests of the prevailing central secular authority.

**მიხეილ ქართველიშვილი  
Mikheil Kartvelishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**დიმიტრი კიპიანის ქართული საბჭოთა საისტორიო  
აზროვნებაში**

**Dimitri Kipiani in Georgian Soviet Historical Thought**

**საკვანძო სიგენები:** ღიმიღის ყიფიანი, ისტორიოგრაფია, საბჭოთა განაცვლებაცია  
**Keywords:** Dimitri Kipiani, historiography, Soviet, transformation

დიმიტრი ყიფიანი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღვაწეა. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალი მნიშვნელოვანი წამოწყება. ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა თავისი პერიოდის მრავალ მნიშვნელოვან მოვლენაში.

დიმიტრი ყიფიანის პიროვნებამ და მოღვაწეობამ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა, თავდაპირველად აქცენტი ხდებოდა მასზე როგორც თავად-აზნაურობის სოციალური კლასის წარმომადგენელზე, რის პარალელურადაც ხდებოდა მისი საქმიანობის ცალკეული მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვა. ბუნებრივია, საბჭოთა ისტორიოგრაფია ხელისუფლების მიერ მძლავრ იდეოლოგიზაციას განიცდიდა და ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების მხოლოდ ცალმხრივ, მარესისტულ-ლენინურ ინტერპრეტაციას ახდენდა. მიუხედავად აღნიშნულისა საქოთა პერიოდში შექმნილი ნაშრომების ღირებულება ფაქტოლოგიური ინფორმაციის წინ წამოწევა გახდავთ. გარდა ამისა მეცნიერებს მეტ-ნაკლებად შესაძლებლობა პქონდათ ემუშავათ რესეტის არქივებში და იქ დაცული დოკუმენტები შემოეტანათ სამეცნიერო მიმოქცევაში, ეს იმ პერიოდის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს, რომლის უგულებელყოფაც საკითხის მხოლოდ ცალმხრივი შეფასება იქნება.

საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვანი ცვლილებები უკავშირდება 1987 წელს მიხაილ გორბაჩოვის მიერ დაწყებულ „პერესტროიკის“ კურსს, რომელიც თავის თავში გულისხმობდა გარდაქმნას, საჭაროობას და დემოკრატიზაციას საჭარო ცხოვრების ყველა მიმართულებით. ბუნებრივია, გამონაკლისს არც საისტორიო მეცნიერება წარმოადგენს, ამ პერიოდში იწყება მანამდე ტაბუდადებული საკითხების და პიროვნებების შესწავლა და მთელი რიგი საკითხების ახლებურად გააზრება. გამონაკლისი არც ქართული ისტორიოგრაფია ყოფილა, ქართველმა ისტორიკოსებმა სწორედ აუღეს ალლო ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე ცვლილებებს და დაიწყეს ახალი საისტორიო ნარატივების შექმნა. დიმიტრი ყიფიანის პიროვნებასთან დაკავშირებით სწორედ ამ პერიოდში ჩნდება მისი ახალი სახით წარმოჩენა, კერძოდ ყურადღება ექცევა როგორც რესეტის იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ისტორიულ ფიგურას.

საინტერესოა ისიც, რომ სწორედ საბჭოთა პერიოდში იწყება დიმიტრი ყიფიანის ცალკეული მნიშვნელოვანი წანერის გამოქვეყნება, რაც შემდგომში უკვე წარმატებით განაგრძო და სრულიად ახალ, მაღალ პროფესიულ დონეზე განავითარა პროფესორმა თამაზ ჭოლოგუამ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანის სახით სახეზეა პიროვნება, რომლის შესწავლაც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში რამდენად საინტერესოდ წარიმართა. ამ პერიოდში არსებული ძირითადი მიმართულებებისა და ტენდენციების შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა რეალობის გასაანალიზებლად.

Dimitri Kipiani is one of the most significant figures in the history of nineteenth-century Georgia. Many important initiatives are associated with his name, and he directly led and participated in numerous crucial events of his time.

Dimitri Kipiani's personality and work underwent an interesting transformation within Georgian Soviet historiography. Initially, the emphasis was placed on him as a representative of the noble social class, while certain important aspects of his activity were examined in parallel. Naturally, Soviet historiography was heavily influenced by state-driven ideological pressures and provided a one-sided, Marxist-Leninist interpretation of historical figures and events. Despite this, the value of the works produced during the Soviet period lies in their prioritization of factual material. Moreover, scholars had, to some extent, the opportunity to work in Russian archives and introduce the documents preserved there into academic circulation. This constitutes a major achievement of that period, the neglect of which would result in a one-sided assessment of the issue.

Significant changes in the Soviet Union are linked to the course of *Perestroika*, launched in 1987 by Mikhail Gorbachev, which aimed at transformation, openness, and democratization across all spheres of public life. Naturally, historical science was no exception. During this period, previously taboo topics and figures began to be studied, and many issues were reinterpreted in new ways. Georgian historiography followed the same path: Georgian historians responded to nationwide changes and began shaping new historical narratives. It is precisely during this period that a new representation of Dimitri Kipiani appears – namely, an emphasis on him as a historical figure who opposed the Russification policies of the Russian Empire.

It is also noteworthy that the publication of some of Dimitri Kipiani's important writings began during the Soviet era, a process later successfully continued and developed to a completely new, highly professional level by Professor Tamaz Jologua.

In conclusion, Dimitri Kipiani represents a figure whose study within Soviet historiography unfolded in an intriguing way. Examining the main directions and tendencies of that period is crucial for understanding the post-Soviet reality.

**ლია ქაროსანიძე**  
**Lia Karosanidze**

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics  
(საქართველო, Georgia)

**მზექალა შანიძე – ძველი ქართული გრამატიკული  
აზრის მკვლევარი**

**Mzekala Shanidze as a Researcher of the Ancient Georgian  
Grammatical Thought**

**საკვანძო სიგუვები:** გხამატიკური აზროვნება, ძველი ქართული გეჰმინები, აზორნი,  
ძველი ქართული გხამატიკური ტერმინები, ადექსიანები, სკორა.

**Keywords:** grammatical thought, old Georgian terms, articles, An Old Georgian  
Grammatical Treatise, Alexandrian School

„ქართული გრამატიკული აზროვნების სათავეები ჯერჯერობით წყვდი-ადითაა მოცული. ჩვენამდე არ მოღწეულა მე-18 საუკუნეზე ადრინდელი არც ერთი შრომა, რომელშიც საგანგებოდ იყოს გაშუქებული გრამატიკის საკი-თხები“, – წერდა 1979 წელს გამოცემულ წიგნში ალექსანდრე ფოცხიშვილი. ამ მართლაცდა ბუნდოვანებით მოცულ ისტორიაში ასევე დასაფიქრებელი და დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა, რატომ არ მოხვდა მთელი რიგი ქა-რთული გრამატიკული ტერმინები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში, მაგალითად, ბრუნვათა ქართული სახელწოდებები: მიცემითი, ნათესაო-ბითი, აღვიღობითი, წოდებითი, მიზეზობითი და სხვ., როცა დადასტურებული ფაქტია, რომ სულხან-საბა ორბელიანი იცნობს ძველ ქართულ გრამატიკულ ტრაქტატს და ამონიოს ერმისის თბელებათა ქართულ თარგმანებს, მეტიც – ლექსიკონში ამავე ძეგლებიდან შეტანილი ბერძნული შესატყვისები. ეს და სხვა სადაც საკითხები, ცხადია, ქმნიდა საფუძველს ქართული გრამატიკული აზრის ისტორიის შესახებ მცდარი, არასწორი შეხედულებებისათვის.

შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1990 წელს მზექალა შა-ნიძის მონოგრაფიის, „სიტყუაი ართრონთათვის – ძველი ქართული გრამატი-კული ტრაქტატი“, გამოცემას. გამოკვლევას აკავი შანიძის შესავალი წერილი უძღვის, რომელშიც ავტორი ასე აფასებს ტრაქტატს: „სიტყუაი ართრონ-თათვის“ ჩინებული საენათმეცნიერო თხზულებაა; იგი მოწმობს, რომ ძველი მწიგნობრები კარგად ერკვეოდნენ ენის საკითხებში, იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და ამასთან ერთად ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული წესების შესწავლასაც. ამ ნაწარმოებში ნახმარ გრამატიკულ ტერმინთაგან ზოგიერთი დღესაც საყოველთაოდ არის ქართულში მიღებული (ნათესაობითი, მიცემითი). აშკარა ისიც, რომ პირველი ქართული გრამატი-კული თხზულებანი მეჩვიდმეტე საუკუნეში კი არ არის დაწერილი, როგორც აქამდე იყო ცნობილი, „სიტყუაი ართრონთათვის“ ადასტურებს, რომ ამგვარი შრომები რამდენიმე საუკუნით ადრეც გვქონია, როგორც ვარაუდობდა ივანე კავახიშვილი“.

მზექალა შანიძის გამოკვლევამ ძირეულად შეცვალა ქართული გრამა-ტიკული აზრის ისტორიის შესახებ არსებული მცდარი მოსაზრებები და უტყუ-არად დაასაბუთა მისი უშუალოდ პირველწყაროსთან, ალექსანდრიული სკო-ლის მიერ ჩამოყალიბებულ ენობრივ ნორმებთან, ტერმინებთან მიმართების საკითხი. მოხსენებაში კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ამ მნიშვნელოვან სამეც-ნიერო გამოკვლევასა და განვიხილავთ მზექალა შანიძის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისებს ტრაქტატის ავტორის ვინაობისა თუ ძველი ქართული ტერ-მინების (ბრუნვების, რიცხვის, სქესის) ნარმომავლობისა და ფუნქციების შე-სახებ.

“Origins of the Georgian grammatical thought so far have been covered with darkness. None of the oeuvres, dating back to earlier than the 18th century and dealing with grammar issues specifically, has reached our days,” wrote Alexandre Potskhishvili in his book published in 1979. In this truly obscured story, there is a problematic and still unanswered question about why a number of Georgian grammatical terms did not appear in Sulkhan-Saba Orbeliani’s dictionary, for instance, Georgian names of cases such as *micemiti*, *natesaobiti*, *advilobiti*, *c’odebiti*, *mizezobiti*, etc., while it has been verified that Sulkhan Saba Orbeliani was familiar with the ancient Georgian grammatical treatise and Georgian translations of Ammonius Hermiae’s writings; moreover, he cites Greek equivalents from those works. These and other controversial issues obviously created a basis for false, incorrect views about the history of the Georgian grammatical thought.

Therefore, it was of utmost significance that in 1990 Mzekala Shanidze published her monograph *Discourse on Articles: An Old Georgian Grammatical Treatise*. The study is prefaced with an introduction by Akaki Shanidze who assesses the treatise in the following way: “*Discourse on Articles* is an excellent linguistic composition; it certifies that ancient scholars knowledgeable about grammatical issues were familiar with Greek grammar, and, meanwhile, did their best to study the nature of Georgian and its grammar rules. Some of the grammatical terms, occurring in this work, are presently widely accepted into Georgian (*natesaobiti*, *micemiti*). It is also evident that the first Georgian grammatical treatise was written not in the 17th century, as it was previously known; *Discourse on Articles* makes it clear that such oeuvres existed in earlier centuries, as it was assumed by Ivane Javakhishvili.”

Mzekala Shanidze’s study made fundamental changes to inadequate views about the history of the Georgian grammatical thought providing true evidence that it was immediately associated with its original source, Alexandrian School and linguistic norms and terms established thereby. The paper will revisit this significant scientific study and discuss Mzekala Shanidze’s views about the identity of the author of the treatise and about the provenance and function of old Georgian terms pertaining to cases, number, and gender.

**თამარ ქაროსანიძე-ქირსაჩი  
Tamar Karosanidze-Kırsach**

რეცეპ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტი  
Recep Tayyip Erdogan University  
(თურქეთი, Turkey)

**პრედიკატული განსაზღვრების სემანტიკური ველი  
ქართულსა და თურქულში**

**The Semantic Field of the Predicative Definition in Georgian  
and Turkish**

**საკვანძო სიტყვები:** პრედიკატული განსაზღვრება, ქართული, თურქული  
**Keywords:** *predicative definition, Georgian, Turkish*

განსაზღვრება შინაარსის მიხედვით მეტად მრავალფეროვანია, ყველაზე ზოგადი და ძირითადი ნიშანი არის ის, რომ ყოველთვის მსაზღვრელის როლში გვევლინება. იგი განსაზღვრავს არსებითი სახელით გადმოცემულ წევრს რაიმე ნიშნით. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც განსაზღვრება გვხვდება ზმნა-შემასმენელთანაც. ამგვარი ფორმები სამეცნიერო ლიტერატურაში საცილობელ ფორმებად მიიჩნევა. ძნელია იმის გარკვევა, ამგვარი განსაზღვრება სინტაქსურად სახელთან უფრო ახლოს დგას თუ ზმნა-შემასმენელთან, თუმცა ცხადია, სემანტიკურად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნული, ზედსართავი სახელი ან მიმდეობა როდესაც სახელს განსაზღვრავს, მის ზოგად თვისებაზე მიგვანიშნებს, ხოლო როდესაც ზმნასთან გვხვდება, მაშინ საგანი განსაზღვრულია რაღაც გარკვეული დროის მონაკვეთში.

ამგვარი საცილობელი ფორმების კვლევას სპეციალური წერილები მიუძღვნეს ქართველმა ენათმეცნიერებმა. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მეცნიერთა ნაწილი ამგვარ ფორმებს ვითარების გარემოებად მიიჩნევს, ნაწილი შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად, სხვანი კი პრედიკა-ტულ განსაზღვრებად თვლიან.

მსგავსად ქართულისა, აღნიშნული საკითხი განხილვის საგანია თურქულშიც. ტრადიციულ თურქულ გრამატიკულ ლიტერატურაში ამგვარი ფორმები, უმეტესად, ვითარების გარემოებადა მიჩნეული. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ვითარების გარემოება, რომელიც ზმნიზედითაა ნარმოდგენილი და ვითარების გარემოება, რომელიც ნარმოდგენილია სახელითა და მიმღეობით. ამგვარი მიდგომა ფორმობრივ მხარესთან ერთად სემატიკურ თავისებურებებსაც ითვალისწინებს. შენიშნულია, რომ საცილობელი ფორმები, ძირითადად, ნარმოდგენილია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებით. საყურადღებოა ისიც, რომ ქართულისგან განსხვავებით, თურქულ სამეცნიერო ლიტერატურაში საცილო ფორმების სახელდებასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება პრედიკატული განსაზღვრების სემანტიკური ველის კვლევა როგორც ქართულში, ისე თურქულში, რადგანაც განსხვავებით ვითარების გარემოებისაგან, პრედიკატული განსაზღვრება არ შეეთავსება ყველა ტიპის ზმნას. აქ ყურადღებას იქვევს განსაკუთრებით ორი ფაქტორი: ყველანაირი შინაარსის ზედსართავი სახელი და მიმღეობა არ გვხვდება პრედიკატულ განსაზღვრებად. პრედიკატული განსაზღვრება არ გამოიყენება ყველა ტიპის ზმნასთან.

ნაშრომის მიზანია, ნარმოვადგინოთ პრედიკატული განსაზღვრების სემანტიკური ველი ქართულსა და თურქულში. ვფიქრობთ, ორი განსხვავებული სტრუქტურისა და, შესაბამისად, განსხვავებული სინტაქსური წყობის მქონე

ენის შედარება მნიშვნელოვანია, როგორც ენობრივი უნივერსალიების და-დგენის თვალსაზრისით, ისე გრამატიკულ ლიტერატურაში წარმოდგენილი ზოგიერთი სადაო საკითხის გადასაჭრელადაც.

კვლევისას გამოყენებულია ანალიზისა და შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი. ჩვენთვის საინტერესო ფორმები გაანალიზებულია როგორც ქართულში, ასევე თურქულში. წარმოდგენილია ის ფორმობრივი და სემანტიკური მსგავსება-განსხვავებები, რაც ორი ენის პრედიკატული განსაზღვრების შედარებისას გამოვლინდა.

The attribute is very diverse in terms of its content. The most general and fundamental feature is that it always serves as a qualifier. It defines a nominal element through a specific characteristic. However, there are cases where the qualifier is associated with a verbal predicate. Such forms are considered controversial in scientific literature, as it is difficult to determine whether they are syntactically closer to the noun or the verb. Yet, it clearly shows us a semantically different picture. As noted in specialized literature, when an adjective or a participle defines a noun, it indicates its general characteristic; but when it is found with a verb, the subject is qualified within a specific temporal frame.

Georgian linguists have dedicated special articles to the study of such controversial forms. In Georgian scientific literature, various opinions have been expressed regarding this issue. Some scholars consider these forms as adverbial modifiers of manner, others view them as the nominal part of a compound predicate, while still others define them as predicative qualifiers. Like Georgian, this issue is a subject of discussion in Turkish as well. In traditional Turkish grammar, such forms are generally considered adverbs of manner. However, there is also a different view, according to which a clear distinction should be made between an adverb of manner represented by an adverb and an adverb of manner represented by a noun and a participle. Along with the form, attention is also focused on the content. It has been noted that the debatable forms are mainly represented by adjectives denoting a person's physical and psychological state. It is noteworthy that, unlike in Georgian, there is no mention in Turkish scientific literature regarding the naming of these controversial forms.

We believe it is appropriate to research the semantic field of predicative determination in both Georgian and Turkish. This is because, unlike adverbs of manner, predicative determination does not combine with all types of verbs. Two factors, in particular, draw attention here: first, not all adjectives and participles are semantically compatible with the role of predicative determination. Second, this

construction is restricted to specific verb classes, indicating that predicative determination is not a universal syntactic possibility for all verbal predicates.

The aim of this paper is to present the semantic field of predicative determination in Georgian and Turkish. We believe that comparing two languages with different structures and, consequently, different syntactic orders is important both for establishing linguistic universals and for resolving some controversial issues presented in grammatical literature.

The methods of analysis, comparison, and contrast were used in the research. The forms that were of interest to us were analyzed in both Georgian and Turkish. The formal and semantic similarities and differences that were revealed by comparing the predicative determination of the two languages were identified.

ელისო ქორიძე

Eliso Koridze

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

(საქართველო, Georgia)

**კომპოზიტების თარგმნის სპეციფიკა თომას  
ბერნჰარდის რომანების მიხედვით**

**The Specifics of Translating Composites Based  
on the Novels of Thomas Bernhard**

**საკვანძო სიტყვები:** კომპოზიტი, სტილი, თახმანი, გერმანული ენა, ქართული ენა

**Keywords:** composite, style, translation, German language, Georgian language

კომპოზიტების კვლევას დიდი ტრადიცია აქვს, მაგრამ დღესაც მისი შესწავლა აქტუალური და საინტერესოა, რაც მათი მრავალფეროვანი ბუნებითაა განპირობებული. თანამედროვე ლინგვისტური ნაშრომები მოიცავს როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ განზომილებებს. ენის გამოყენებაზე ორიენტირებული კვლევები განსხვავებულად განიხილავს ლექსიკასთან დაკავშირებულ მოვლენებს და გულისხმობს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კომპოზიტების წარმოების მექანიზმები და ტენდენციები, კომპოზიტების ემპირიული აღნერის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, კომპოზიტების თეორიული მოდელირება, კომპოზიტები დარგობრივ ენებში, ლექსიკოგრაფიული საკითხები და სხვ. შესაბამისად, განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის კომპოზიტების თარგმნა, რადგან მთარგმნელის მიერ შენარჩუნებული უნდა იყოს მათი ფუნქციონირების და გამოყენების ყველა თავისებურება.

წარმოდგენილ ნაშრომში კომპოზიტები გამოკვლეულია, როგორც მხატვრული ნაწარმოების ენობრივ-სტილისტური პლასტის შემქმნელი და განმსაზღვრელი. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ავირჩით თანამედროვე გერმანულენვანი მწერლის თომას ბერნჰარდის ორი რომანის „ტყის ჩეხა“ და „დაღმამავალი“ ქართული თარგმანები. ნაწარმოებებში მოძიებული კომპოზიტები საინტერესოა როგორც ფორმით, ასევე შინაარსით და ქმნის განსაკუთრებულ, ხშირად მოულოდნელ სტრუქტურულ-სემანტიკურ განზომილებას.

თომას ბერნჰარდი მიეკუთვნება იმ მწერალთა რიცხვს, რომლის შემოქმედება თავისი განსაკუთრებულობით და წინააღმდეგობრიობით მუდმივი განხილვის საგანია. მისი ნაწარმოებების ენა და სტილი თანაბრად საინტერესოა როგორც ლიტერატურათმცოდნებისათვის, ასევე ლინგვისტებისათვის.

ბერნჰარდის რომანების უმეტესობა ძირითადად შედგება მთხრობელი მე-სა და გამოგონილი მსმენელის მონოლოგებისაგან, რომლებიც გროტესკული, ან სარკასტული მოდალობისაა. მისი პროზის გამორჩეული სტილისტური თავისებურებაა პიპებიღია, რომელიც ოსტატურადაა წარმოდგენილი რეკურენციით, სიტყვათა თამაშით, რაიმე მოვლენის ხაზგასმით და გაზვიადებით. აღნიშნულს კიდევ უფრო ამძაფრებს და აძლიერებს ორ და ზოგჯერ სამშემადგენლიანი კომპოზიტები, რომლებიც განსაკუთრებული შუქ-ჩრდილებით გადმოსცემენ მწერლის ირონიულ კრიტიკულ დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი.

ბერნჰარდის რომანებში წარმოდგენილი კომპოზიტები ერთი მხრივ, მძაფრი ან ცინიკური შეფასებებია, მეორე მხრივ - ავტობიოგრაფიული მინიშნებები. გამოვყოფთ თეატრთან დაკავშირებულ სიტყვათშემოქმედებას, რომელსაც მწერალი დიდი ოსტატობით, ირონიული კონტექსტითა და სიტყვათა თამაშით ქმნის. იგი ამგვარად ხაზს უსვამს თეატრალური ხელოვნებისადმი და კონკრეტულად ავსტრიული თეატრისადმი თავის ორაზროვან, უარყოფით დამოკიდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით რთულია ორ ტი-

პოლოგიურად განსხვავებულ ენაში, გერმანულსა და ქართულში, ექვივალენტის მოძებნა, მაგრამ მთარგმნელი პოულობს შინაარსით, მაგრამ ფორმით განსხვავებულ ენობრივ ერთეულებს, რომლებშიც შენარჩუნებულია როგორც სტილისტური შრე, ასევე პრაგმატულ-კულტურული მახასიათებლები.

While the study of composites has a long-standing tradition, it is still relevant and interesting due to their diverse nature. Modern linguistic works include both verbal and non-verbal dimensions, which is increasingly important in the case of composites. Studies focused on language use consider phenomena related to vocabulary differently and include issues such as: mechanisms and trends in the production of composites, quantitative and qualitative characteristics of the empirical description of composites, theoretical modeling of composites, composites in specialized languages, lexicographic issues, etc. Accordingly, the translation of composites poses a particular difficulty, since the translator must preserve all the features of their functioning and use.

In the presented work, composites are investigated as the creator and determinant of the linguistic-stylistic plastic of a work of art. To illustrate this, I chose the Georgian translations of two novels by the modern German-speaking writer Thomas Bernhard, "Holzfällen" and "Der Untergreher". The composites found in the works are interesting both in form and content and create a special, often unexpected structural-semantic dimension.

Thomas Bernhard is one of those writers whose work, with its uniqueness and contradictions, is the subject of constant discussion. The language and style of his works are equally interesting for both literary critics and linguists.

Most of Bernhard's novels consist mainly of monologues of the narrator and the fictional listener, which are of a grotesque or sarcastic modality. A distinctive stylistic feature of his prose is hyperbole, which is skillfully presented through recurrence, word play, emphasis and exaggeration of some event. This is further intensified and strengthened by two- and sometimes three-component composites, which convey the writer's ironic critical attitude to the expression with special light and shade.

The composites presented in Bernhard's novels are, on the one hand, sharp or cynical assessments, on the other hand – autobiographical references. We will single out the word creation related to the theater, which the writer creates with great skill, ironic context and word play. In this way, he emphasizes his ambiguous, negative attitude towards theatrical art and specifically towards the Austrian theater. It should be noted that it is especially difficult to find an equivalent in two typologically different languages, German and Georgian, but the translator finds linguistic units that are similar in content but different in form, in which both the stylistic layer and pragmatic-cultural characteristics are preserved.

**მარიამ ყამარაული**

**Mariam Kamarauli**

ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი

Goethe University Frankfurt

ხელნაწერთა კულტურების შემსწავლელი ცენტრი, ჰამბურგის უნივერსიტეტი

Centre for the Study of Manuscript Cultures (CSMC), University of Hamburg

(გერმანია, Germany)

**ქართული ფუნქციური სიტყვების კვლევა  
კორპუსლინგვისტური მეთოდებით**

**A Corpus-Based Exploration of Georgian Function Words  
with Computational Support**

**საკვანძო სიტყვები:** ფუნქციური გხამატიკა, კორპუსლინგვისტიკა,  
მონაცემთა გადამუშავება

**Keywords:** *functional grammar, corpus linguistics, computational tools, Java*

მოხსენებაში განხილულია ქართული ფუნქციური სიტყვების როლი და ფუნქცია კორპუსლინგვისტური პერსპექტივიდან და ფოკუსირებულია ფუნქციურ ელემენტთა მორფოსინტაქსურ, სინტაქსურ და ტიპოლოგიურ მახასიათებლებზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადპოზიციების, ნანილაკების, კავშირებისა და სხვა ელემენტების ფორმალურ და ფუნქციურ თავისებურებებს როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფრაზებში (ფომენებში). ფუნქციური სიტყვების კლასიფიკაციის დასადგენად მორფოლოგიურად ისეთ რთულ ენაში, როგორიცაა ქართული ენა, ვეყრდნობით სინსემანტიკური და ავტოსემანტიკური ერთეულების კლასიფიკაციის რამდენიმე თეორიულ მოდელს. ფუნქციური სიტყვები (სინსემანტიკური ელემენტები) არის სიტყვები, რომლებსაც დამოკიდებელი სემანტიკური შინაარსი მეტწილად შეზღუდულად გააჩნიათ და წინადადებაში სიტყვებს შორის გრამატიკული ურთიერთობების გამოხატვას ემსახურებიან. ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში ფუნქციური სიტყვები, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით არის გამოკვლეული, და ნაკლები ყურადღება ექცევა მათ ფუნქციურ და სემანტიკურ როლებს წინადადებაში. კვლევის ემპირიულ მასალად შევარჩიეთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC) თანამედროვე ქართული ენის ქვეკორპუსში ფიქსირებული 100 ყველაზე ხშირად გამოყენებული ფუნქციური სიტყვა, რომლებიც კლასიფიცირდება სამი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრის მიხედვით: (i) სემანტიკური ავტონომია (ლექსიკური vs. გრამატიკული), (ii) სინტაქსური როლი (სტრუქტურული პოზიცია და კომბინატორული ქცევა) და (iii) პრაგმატული ფუნქცია (დისკურსის მართვა, მეტყველის პოზიცია, ფოკუსი). ისეთი ერთეულების დეტალური ანალიზი, როგორიცაა მაგალითად „უფრო“, წარმოაჩენს ფუნქციური სიტყვების ბუნებას, სხვადასხვა კონსტრუქციაში შეითავსონ ფოკუსის, შედარების, რიტორიკის და სხვა ფუნქციები განსხვავებულ მორფოსინტაქსურ გარემოსა და დისკურსული კონტექსტის შესაბამისად. ქართული ფუნქციური სიტყვებისათვის შერჩევლი ეს სამგანზომილებიანი მოდელი მიზნად ისახავს ფუნქციური სიტყვების სემანტიკური ავტონომიის, სინტაქსური ფიქსირებულობისა და პრაგმატული დატვირთვის ურთიერთქმედების ვიზუალიზაციას, როგორც დინამიკური კონტინუუმისა და არა როგორც კატეგორიული დაყოფის კონტექსტში. ამ ანალიზის მხარდასაჭერად და შემდგომი ემპირიული კვლევის გასაადვილებლად ავტორების მიერ შექმნილია პროგრამული ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ქართული ენის მონაცემებში (ნებისმიერ შერჩეულ ტექსტში) გამოავლინოს და გაანალიზოს ფუნქციური სიტყვები - პროგრამა ავტომატურად ადგენს, რომელი ფუნქციური სიტყვები დასტურდება ტექსტში, ითვლის მათ სიხშირეს და, სურვილის შემთხვევაში, შედეგებს ვიზუალიზაციის სახით წარმოგვიდგენს.

This presentation explores the role and function of Georgian function words from a corpus-linguistic perspective, focusing on their morphosyntactic as well as syntactic and typological qualities. Particular attention is given to the formal and functional properties of adpositions, particles, conjunctions, and other elements and their usage in both the nominal and verbal domains.

In addressing the challenge of function word classification in a morphologically complex language such as Georgian, the study confronts several theoretical models of classification of synsemantics and autosemantics. Function words (also known as synsemantic elements) are words that are largely devoid of independent semantic content and serve to express grammatical relationships between words in a sentence. In Georgian linguistic literature, function words have typically been studied from a purely formal perspective, often neglecting their functional and semantic roles.

As the empirical material of the research, 100 most frequently used function words, belonging to the national corpus of the Georgian language (GNC) and found in the subcorpus of Modern Georgian, were chosen and classified along three interacting dimensions: (i) semantic autonomy (lexical vs. grammatical), (ii) syntactic role (structural position and combinatorial behaviour), and (iii) pragmatic function (discourse management, stance, focus).

Detailed case studies of items such as e.g. *upro* 'more' demonstrate how individual forms participate in multiple constructions and shift between comparative, focusing, rhetorical, and other uses, depending on morphosyntactic environment and discourse context. The chosen three-dimensional model of Georgian function words shall visualise the interplay between semantic autonomy, syntactic fixation, and pragmatic load as a dynamic continuum rather than a categorical split.

In order to support this analysis and enable further empirical exploration, a lightweight Java tool has been developed as part of the study. The tool allows users to supply a predefined list of Georgian function words and analyse their occurrence within any given input text; it automatically identifies which function words are present, counts their frequency, and optionally visualises the results.

**ნინო შარაშენიძე**  
**Nino Sharashenidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ქართული ენის სასწავლო ლექსიკონის აგების  
პრინციპები**

**The Principles of Compiling a Learner's Dictionary**

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენის სწავლება, სასწავლო დექსიკონი, ზმნური  
კონსტრუქციები

**Keywords:** *Georgian language teaching, learning dictionary, verbal constructions*



ვდება ქართული ენის შესასწავლი პორტალის <http://geofl.ge/> (<http://dictionary.geofl.ge/>) სასწავლო ლექსიკონი. ჩამოყალიბებული პრინციპებისა და სალექსიკონო ფორმაზე დართული ინფორმაციის განსაზღვრა ხელს შეუწყობს ენის შემსწავლელს რთული ლინგვისტური მახასიათებლების გაცნობიერებასა და ადვილად ათვისებაში. ლექსიკონი ზმნური ფორმის შესახებ ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობასაც იძლევა, რაც აქამდე შეუძლებელი იყო მსგავსი მონაცემების არარსებობის გამო. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება სასწავლო ლექსიკონის აგების პრინციპები და მისი მნიშვნელობა ქართული ენის სწავლების პროცესში.

The process of teaching Georgian as a second and foreign language has put forward important objectives. On the one hand, it implies the analysis and sharing of the international experience, and, based on this experience, creation of manuals embracing the entire system of language knowledge levels and adjusted to modern requirements. On the other hand, taking into account the peculiarities of the Georgian language, it is necessary to develop a completely new vision regarding numerous issues.

Beginning from the 2000s, this has been a permanent objective, because the number of people willing to study the Georgian language has increased, hence, there is a need for the creation of manuals of different types. Therefore, the issues related to the language teaching process have been thoroughly analyzed. We have accumulated certain experience, and, analysis of the implemented activities has proved that the process of Georgian language acquisition reflects contemporary attitudes. However, taking into account the peculiarities of the Georgian language and their integration in the teaching process still remains an important task. All the above-mentioned especially refers to the teaching of concrete grammatical phenomena, in particular, the verb and its categories.

Georgian is an agglutinative language. This means the existence of markers of grammatical categories in the word-forms and is related to certain semantic features. The system of the Georgian verb is peculiar in that it is based on morpho-syntactic features, due to which the verb-forms are grouped into three series and eleven screeves. Besides, the teaching process is complicated due to the non-existence of a unified pattern of formation of tenses. After the learner has mastered the verb-forms, he/she is faced with the difficulty of building correct constructions. This largely depends on the verb-forms, since the latter govern the members of the sentence, requiring concrete case-forms in each situation. The issue is even more complicated because, in the native languages of the learners of Georgian, there are no analogues supporting positive transfer.

In order to overcome these problems, it is necessary to compile learner's dictionaries (in printed and online versions) that will enable the learners to get acquainted with important issues related to language acquisition, including specific verb-forms and constructions. It should be mentioned that the existing dictionaries, both explanatory and bilingual, have been aimed at native language speakers and do not contain the specific information necessary for foreign learners of Georgian. We have worked out certain principles, based on which the dictionary on the portal of Georgian language learning (<http://dictionary.geofl.ge/>) will be reviewed.

Definition of principles and identification of the information appended to the dictionary forms will help the language learners to understand and master the complicated linguistic peculiarities of the Georgian language. The dictionary also enables to verify the information regarding the verb-forms. This has been impossible until now due to the absence of corresponding data. The paper focuses on the principles of compilation of the learner's dictionary and underlines its significance for the process of teaching of the Georgian language.

**ფატი შეკლაშვილი  
Pati Sheklashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ვაიმარის რესპუბლიკის პირველი რაინსკანცლერი  
(რაინის მინისტრ-პრეზიდენტი) ფილიპ შაიდემანი,  
როგორც პოლიტიკოსი  
(რაინის კანცელარიის მასალების მიხედვით)**  
**The First Reich Chancellor (Reich Minister-President) of  
the Weimar Republic, Philipp Scheidemann, as a Politician  
(According to the Materials of the Reich Chancellery)**

**საკვანძო სიტყვები:** გერმანია, რაინის მინისტრ-პრეზიდენტი, ფილიპ შაიდემანი,  
სოციალ-დემოკრატიული პარტია, ვაიმარი

**Keywords:** Germany, Reich Minister-President, Philipp Scheidemann, Social Democratic  
Party, Weimar

ნაშრომში განხილულია ვაიმარის პერიოდის გერმანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის ფილიპ შაიდემანის მოღვაწეობა გერმანიის ისტორიის ურთულეს პერიოდში. 1918-1919 წლების რევოლუციის შემდეგ, დემოკრატიული ლირებულებების აპრობაცია პირველად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) წარმომადგენლებს მოუწიათ, რომლებიც უამრავი გამოწვევის და გარემოებების გამო ხშირად ხდებოდნენ საზოგადოების კრიტიკის საგანი. დღემდე არსებობს ორაზროვანი ინტერპრეტაციები მათი საქმიანობის შესახებ. ამ ადამიანთა შორისაა ფილიპ შაიდემანი, ვაიმარის რესპუბლიკის პირველი კანცლერი, რომელსაც მაშინ რაიხის მინისტრ-პრეზიდენტს უწოდებდნენ.

მას უკავშირდება 1918 წლის 9 ნოემბერს გერმანიის რესპუბლიკად გამოცხადება, რამაც გერმანიის იმპერიის ხანგრძლივი არსებობის შემდეგ ბევრი გერმანელი გააოგნა. ხელმძღვანელობდა პირველ ლეგიტიმურად არჩეულ კაბინეტს 1919 წლის 13 თებერვლიდან 21 ივნისამდე. რაიხსტაგის წინაშე ეკისრებოდა პასუხისმგებლობა იმპერიული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე.

რაიხის კანცელარიის დოკუმენტებიდან „Akten der Reichskanzlei. Weimarer Republik“, სადაც თავმოყრილია შაიდემანის კაბინეტის სხდომების, შაიდემანის სიტყვით გამოსვლების, მათიას ერცბერგერის და სხვა პოლიტიკური ფიგურების შეფასებები, ნათლად ჩანს, რომ შაიდემანი ახერხებდა სხვადასხვა ინტერესების დაბალანსებას, კონტრარგუმენტებზე დამაჯერებელი გავლენის მოხდენას, გადამწყვეტ ზომებს იღებდა მწვავე კონფლიქტების მოსაგვარებლად, აწარმოებდა დისკუსიებს ეროვნულ ასამბლეაში, სადაც სამთავრობო პოლიტიკა თავდასხმის ქვეშ იყო. პრინციპულმა პოლიტიკოსმა, რომლისთვისაც მშვიდობის საკითხები გახდა უმთავრესი, კაბინეტის 450 სხდომის დღის წესრიგიდან 170 ომისშემდგომი შეთანხმების საკითხებს დაუთმო. ვერსალის ხელშეკრულების გარშემო არსებულ საკამათო დებატებში მხარს უჭერდა ვუდრით ვილსონის „თოთხმეტი პუნქტის“ პრინციპების დაცვას და „იძულებითი მშვიდობის“ უარყოფას.

ფ. შაიდემანის მთავარ გამოწვევად იქცა გერმანიისთვის შეთავაზებული ზავის მკაცრი პირობები, რაიხის მთავრობა რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა- ხელშეკრულების ხელმოწერა თუ ომის პოტენციურად განახლება. საარქივო დოკუმენტები ცხადყოფს შაიდემანის პრინციპულ პოზიციას ზავის პირობების მიუღებლობაზე. საგარეო პოლიტიკის ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ ე. ბერნშტაინს, რომელიც დათანხმდა საზავო პირობების მიღებას, „ეშმაკის ადვოკატიც“ კი უწოდა. როდესაც ეროვნულმა ასამბლეამ ხელშეკრულება მიიღო, შაიდემანი გადადგა. მან ვერ მიიღო „იძულებითი მშვიდობა, როგორც სამართლიანი მშვიდობა“.

ისტორიკოსებში სხვადასხვა შეფასებაა შაიდემანის პიროვნებისა: ნაწილის აზრით, ის დემოკრატიის წინააღმდეგ წავიდა, ნაწილი პატრიოტად

და პრინციპულ პოლიტიკოსად იხსენიებს. შაიდემანი კარგი პარლამენტარი და ორატორი იყო, გაიარა სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბების რთული გზა, თუმცა თანამედროვეებმა სათანადოდ ვერ დააფასეს. უფრო ეფექტურად მოქმედებაში კონსტიტუცია ზღუდავდა, როგორც ლიდერს. ურთულესი გამონვევების დროსაც შეძლო ყოფილიყო დემოკრატი „გაყოფილ საზოგადოებაში“.

The paper discusses the work of Philipp Scheidemann, a pivotal political figure in Germany during the Weimar era, amidst the most difficult period in German history. After the revolution of 1918–1919, representatives of the German Social Democratic Party (SPD) had to prove democratic values for the first time, which, due to numerous challenges and circumstances, often became the subject of public criticism. To this day, there are ambiguous interpretations of their activities. Among these people is Philipp Scheidemann, the first Chancellor of the Weimar Republic, who was then referred to as the Reich Minister-President.

He is associated with the proclamation of the German Republic on 9 November 1918, which surprised many Germans after the long existence of the German Empire. He headed the first legitimately elected cabinet from February 13 to June 21, 1919. He was responsible to the Reichstag for the main directions of imperial policy.

From the documents of the Reich Chancellery “Akten der Reichskanzlei. Weimarer Republik”, which comprises the meetings of Scheidemann’s cabinet, Scheidemann’s speeches, and the assessments of Matthias Erzberger and other political figures, it is clear that Scheidemann was able to balance various interests, exert a convincing influence on counterarguments, take decisive measures to resolve acute conflicts, and conduct discussions in the National Assembly, where government policy was under attack from the opposition.

A principled politician for whom peace issues became paramount, Scheidemann presided over 450 cabinet meetings, 170 of which were devoted to discussing post-war agreements. In the controversial debates surrounding the Treaty of Versailles, he supported the principles of Woodrow Wilson’s “Fourteen Points” and the rejection of “forced peace”. F. Scheidemann’s main challenge was the strict terms of the armistice offered to Germany; the Reich government was faced with a difficult choice – to sign the treaty or potentially resume the war. Archival records reveal Scheidemann’s firm opposition to the unacceptable terms of the armistice. E. Bernstein, responsible for preparing the foreign policy report, who agreed to accept the armistice terms, was even labeled the “devil’s advocate”. When the National Assembly adopted the treaty, Scheidemann resigned. He could not accept “forced peace as a just peace”.

Historians have contrasting assessments of Scheidemann's personality; some argue that he went against democracy, while others regard him as a patriot and a principled politician. Scheidemann was indeed a skilled parliamentarian and orator; his rise to statesmanship was marked by an arduous path. Nevertheless, his contemporaries did not properly appreciate him. The constitution limited his ability to act as an effective leader. Even in the most challenging times, he managed to be a democrat in a "divided society".

**ნანა შოშიაშვილი  
Nana Shoshiashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ანთროპონიმი, როგორც ნაცნობი გარემოს შექმნის  
ერთ-ერთი პირობა (ი. გოგებაშვილის  
„Русское Слово-Ь“ მიხედვით)**  
**Anthroponym as one of the Conditions for Creating  
a Familiar Environment**  
**(According to I. Gogebashvili's “Russkoye Slovo”)**

**საკვანძო სიტყვები:** ანთროპონიმი, იაკობ გოგებაშვილი, ანბანი  
**Keywords:** *anthroponym, Iakob Gogebashvili, alphabet*

იაკობ გოგებაშვილის აზრით, საანბანე სახელმძღვანელო უნდა ასახავდეს იმ გარემოს, რომელშიც იზრდება ბავშვი. ამგვარი პრინციპით უნდა იყოს შედგენილი არა მხოლოდ მშობლიური ენის საანბანე სახელმძღვანელო, არამედ უცხოური ენის შესასწავლად განვაუთვნილი წიგნიც. ბავშვისთვის ნაცნობი, ბუნებრივი გარემო ხელს უყობს იმას, რომ უკეთესი შედეგი მივიღოთ და მეტი ეფექტი პქონოდეს სწავლა-სწავლების პროცესს. ამ თვალსაზრისს ი. გოგებაშვილი გამოთქვამს თედო სახოკიასადმი გაგზავნილ წერილში.

ი. გოგებაშვილმა ამგვარ მიდგომაზე დამყარებით ქართველი ბავშვები-სათვის შეადგინა, ერთი მხრივ, „დედაენა“ (1876 წ.) და, მეორე მხრივ, რუსული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო „Русское Слово“ (1887 წ.).

ავტორის შეხედულებით, ბუნებრივი გარემო შეიძლება აისახოს არა მხოლოდ იმ გეოგრაფიული არეალის აღწერით, სადაც იზრდება ბავშვი, არამედ იმ ლექსიკის გაცნობითაც, რომელიც არის ბუნებრივი და დამახასიათებელი ამ გარემოსათვის. ამ მიზანს მივაღწევთ არა მხოლოდ ფართოდ გავრცელებული საზოგადო სახელების შემოტანით, არამედ მოსწავლისთვის ნაცნობი საკუთარი სახელების (ტოპონიმები, პიდრონიმები, ანთროპონიმები) მოხმობითაც. ჩვენი ანალიზის საგანი არის ანთროპონიმები — ერთ-ერთი კომპონენტი ბავშვისთვის ნაცნობი, რეალური სამყაროს შესაქმელად.

ამჯერად ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ ი. გოგებაშვილის „Русское Слово-ს“ სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა (1887 წლისა) და 1913 წლის XXII გამოცემა — რა სახის ცვლილებები შეიტანა და რატომ... ეს მონაცემები შევადარეთ ქართული საანბანე სახელმძღვანელოს „დედაენის“ (რომელიც ამ კუთხით ადრე გვეონდა შესწავლილი) შესაბამის მონაცემებს. საინტერესო მიდგომა შეინიშნება: ავტორი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტსაც, რომ ქართველი ბავშვისთვის მეტ-ნაკლებად ნაცნობი პიროვნული სახელები არ იყოს უცხო რუსული ენობრივი სიტუაციისათვისაც...

უცხო ენის საანბანე სახელმძღვანელოში ანთროპონიმების გამოყენების ი. გოგებაშვილისეული მეთოდი საგულისხმოა და მეტ ყურადღებას იმსახურებს.

According to Iakob Gogebashvili, an alphabet textbook should reflect the environment in which a child grows up. Not only a native language alphabet textbook, but also a book intended for learning a foreign language should be compiled according to this principle. A familiar, natural environment to a child helps to achieve better results and makes the learning process more effective. I. Gogebashvili expresses this standpoint in a letter to Tedo Sakhkoria.

Based on this approach, I. Gogebashvili compiled, on the one hand, “Dedae-na” – “Mother Tongue” (1876) and, on the other hand, a textbook for learning the

Russian language “Ruskoye Slovo” -“The Russian Word”(1887) for Georgian children.

In the author’s view, the natural environment can be reflected not only by describing the geographical area where a child grows up, but also by introducing the vocabulary that is natural and characteristic of this environment. One will achieve this goal not only by introducing widespread common names, but also by bringing proper names familiar to a pupil (toponyms, hydronyms, anthroponyms). The subject of the present paper is the anthroponyms – one of the components of creating a real world familiar to a child.

This time, from this perspective, the author of the present paper studied the first edition of I. Gogebashvili’s textbook “Ruskoye Slovo” (1887) and the 22<sup>nd</sup> edition of 1913 – what kind of changes were made and why... These data were compared with the corresponding data of the Georgian alphabet textbook “Dedaena” (which the author of the present paper had studied in this regard earlier). Noteworthy approach is observed: the author also pays attention to the fact that personal names that are more or less familiar to a Georgian child should not be foreign to the Russian language situation.

I. Gogebashvili’s method of using anthroponyms in a foreign language alphabet textbook is significant and deserves more attention.

**დალი ჩიტუნაშვილი**  
**Dali Chitunashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

(საქართველო, Georgia)

**უცნობი პალიმფსესტური რვეული**  
**კერძო კოლექციიდან**  
**An Unknown Palimpsestic Notebook from**  
**the Private Collection**

**საკვანძო სიტყვები:** ხელნაწერი, პალიმფსესტი, ხანმეტი

**Keywords:** manuscript, palimpsest, Khanmeti

თბილისში, კერძო კოლექციაში, ინახება საკმაოდ საინტერესო ხელნაწერები, რომელთა ერთი ნაწილი პალიმფსესტებს წარმოადგენს. 2022-2023 წლებში საშუალება მოგვეცა გვემუშავა კოლექციის პალიმფსესტურ ნაწილზე. პალიმფსესტების შესწავლამ აჩვენა, რომ ყველა პალიმფსესტი ასომთავრულით არის შესრულებული, მათი დიდი ნაწილი კი იერუსალიმური ლექციონარის ტექსტს შეიცავს.

ამჯერად კი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ რვა ფურცლისაგან შედგენილ რვეულზე, რომელიც მთლიანად პალიმფსესტია.

ხელნაწერის ზედა ფენა XIV საუკუნის ნუსხურით არის შესრულებული და ცნობილი მწიგნობარ თეოდორე დიღმელის მინაწერებს შეიცავს, რამაც გაგვიადვილა მიგვეგნო იმ ხელნაწერისათვის, რომელსაც ეკუთვნოდა პალიმფსესტური რვეული. კერძო კოლექციაში დაცული ეს პალიმფსესტი ვენის ნაციონალ ბიბლიოთეკაში დაცულ MS Vindob.georg.2 ხელნაწერის ნაწილია. რვეული ხელნაწერიდან ამოუღიათ იქამდე, სანამ ის ვენის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდებოდა.

ხელნაწერის შესწავლის შედეგად ქვედა ფენაში სამი სხვადასხვა ხელის ხელნაწერი გამოიყო. პირველი მოიცავს რვეულის 4 ფურცელს, დანარჩენი ორი კი ორ-ორ ფურცელს. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ სამივე პალიმფსესტური ტექსტი ხანმეტია.

მოხსენებაში საუბარი იქნება ამ ხანმეტ ტექსტებზე და მათ მიმართებაზე ვენური ხელნაწერის პალიმფსესტებში დაცულ სხვა ტექსტებთან.

In Tbilisi, a private collection preserves several noteworthy manuscripts, some of which are palimpsests. In 2022–2023, we had the opportunity to work on the palimpsest portion of this collection. The study of the palimpsests showed that all of them are written in *Asomtavruli*, and a large number contain texts of the Jerusalem Lectionary.

Here, however, we wish to focus on a quire consisting of eight folios, which is entirely a palimpsest.

The upper layer of the manuscript is written in 14th-century *Nuskhuri* and contains marginal notes by the well-known scribe Theodore Dighmeli, which made it easier to identify the manuscript to which the palimpsest quire originally belonged. The palimpsest preserved in this private collection is, in fact, part of the manuscript MS Vindob. georg. 2, kept in the Austrian National Library. The quire was removed from the manuscript before it reached the Vienna library.

Our examination revealed three different scribal hands in the lower layer. The first comprises four folios of the quire, while the remaining two hands are represented by two folios each. The research also confirmed that all three palimpsestic texts are written in the *Khanmeti* script.

The presentation will discuss these *Khanmeti* texts and their relationship to other texts preserved in the palimpsests of the Vienna manuscript.

**ნანა ცეცხლაძე, მზია ხახუტაიშვილი**  
**Nana Tsetskhadze, Mzia Khakhutaishvili**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Batumi Shota Rustaveli State University  
(საქართველო, Georgia)

**ზმნის რედუცირებულფუძიანი ფორმები**  
**ქართული ენის სამხრულ კილოებში**  
**Reduced-Stem Verb Forms in South Georgian Dialects**

**საკვანძო სიტყვები:** ჩეღუქცია, ზმნის უღღება, სამხეული კიდოები  
**Keywords:** reduction, verb conjugation, South Georgian dialects

ქართული ენის სამხრული კილოები ზმნური ფორმანარმოების მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ ქართული ენის კილოებსა და კილოკავებში: ქობულეთელ და ზემოაქარელ მუჰაკირთა შთამომავლების მეტყველებაში, კლარქულსა და შავშურში დასტურდება ზმნის რედუცირებულფუძიანი დაშვა' (დაშალა მან იგი, აქტივი) და გეიტ(h)და' ტიპის (გაიზარდა იგი, პასივი) ფორმები. საინტერესოა ამგვარ ფორმათა არსებობა ინგილოური დიალექტის კაკურ კილოკავშიც.

ეს მოვლენა სპორადულად გვხვდება ზემოაქარულსა და მესხურ-ტავახურშიც, თუმცა უცხოა ქვემოაქარული და ქობულეთელი მეტყველებისთვის, მაშინ როცა ქობულეთელ მუჰაკირთა მეტყველებაში ფართოდ არის გავრცელებული. ამას ადასტურებს 2023 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო საგრანტო პროექტის - „ქობულურ-აქარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერების ციფრული კორპუსის“ ფარგლებში მოწყობილი ექსპედიციის მასალებიც, რომლებიც სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა 2024 წელს.

არსებული მასალების მიხედვით რედუცირებულფუძიანი ზმნები ძირითადად გვხვდება წყვეტილისა და მეორე კავშირებითის მწვრივებში. პარადიგმატულმა ანალიზმა ცხადყო, რომ დაშვა ტიპის ზმნების უღლების პარადიგმა შერეულია და აერთიანებს მეორე და მესამე ყალიბების ნიშნებს; გეიტ(h)და' ტიპის ზმნების უღლება მიჰყვება უნიშნო ვნებითს, ანუ მეორე პარადიგმას. უკანასკნელის მსგავსია გამოვცდა' (გამოვცვალო) ტიპის აქტიური ფორმებიც.

რედუცირებულფუძიანი ზმნები საერთოქართველურიდან მომდინარეობს. აორისტის III პირის ფორმაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ფუძის ნულსაფეხურიანი ვარიანტი, რომელიც ისტორიულ მეგრულ-ქანურში აორისტის მთელ პარადიგმაზე გავრცელდა. ამას მოჰყვა გასრულებოვნება. საკითხი უკავშირდება დინამიკურ მახვილს, სონანტთა სისტემასა და აბლაუტს.

ამ ტიპის ზმნათა გამოვლენა ტერიტორიულად დაშორებულ კილოებში ადასტურებს ენის სისტემურობასა და იმანენტურ ბუნებას. მუჰაკირთა შთამომავლების მეტყველებაში ამ ფორმების შენარჩუნება მოწმობს ენობრივი სტრუქტურების მდგრადობას. უღლების პარადიგმის ჰიბრიდულობა გვარის კატეგორიის დინამიკურობაზე მიუთითებს.

საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ დიალექტთა მონაცემები მნიშვნელოვანია ქართული ენისა და სალიტერატურო ენის ისტორიისთვის. საინტერესოა საკითხის სოციოლინგვისტური ასპექტიც: გარემოს ცვლილების, მიგრაციისა და კულტურული იზოლაციის როლი გრამატიკული მოვლენების კონსერვაციაში.

კვლევის პერსპექტივა მოიცავს რედუცირებულფუძიანი ზმნების გავრცელების ზუსტი არეალისა და სიხშირის დადგენას; სხვა კილოებში მათი პოვნიერების განსაზღვრას კორპუსლინგვისტიკის მეთოდებით. მნიშვნელოვანია

შერეული უღლების ტიპოლოგიური ანალიზი, მისი შედარება სხვა ქართველური ენების (სვანური, მეგრულ-ლაზური) ზმნურ პარადიგმებთან; მათი სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი.

საკითხის დეტალური შესწავლა მოითხოვს მის დიდ მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით და ენობრივი მონაცემების თანამედროვე პროგრამული პაკეტებით დამუშავებას, რაც უღლების პარადიგმების ზუსტ აღწერსა და მეცნიერული ჰიპოთეზების ვერიფიკაციას უზრუნველყოფს. ეს საფუძვლად დაედება შემდგომ ინტენსიურ კვლევებს.

The South Georgian dialects are of particular interest with respect to verb morphology. In the Georgian dialects and subdialects spoken on the territory of Turkey – specifically in the speech of the descendants of Kobuletian and, in part, Upper Acharian muhajirs – as well as in the Klarjetian and Shavshetian dialects, evidence is found of reduced-stem verbs, particularly *dašla'* forms (“he broke it,” active) and *geiz(r)da'* forms (“it was grown,” passive). Of special interest is the presence of such forms in the Kakuri subdialect of the Ingiloy dialect.

This phenomenon appears sporadically in Upper Acharian and Meskhetian-Javakhetian dialects, yet it is absent from the speech of Lower Acharian and local Kobuletian speakers, while it is widely attested in the speech of Kobuletian *Muhajir* descendants. This distribution is further supported by data collected during the 2023 field expedition conducted as part of the targeted scientific grant project “Digital Corpus of Kobuletian-Acharian Dedabruhi Manuscripts” at Batumi Shota Rustaveli State University, the results of which entered scholarly circulation in 2024.

According to existing materials, reduced-stem verbs occur mainly in the *Aorist* (screeving) and second screeve constructions. Paradigmatic analysis shows that the conjugational paradigm of *dašla'*-type verbs is mixed, combining features of the second and third conjugational classes, whereas *geiz(r)da'*-type verbs follow the unmarked passive conjugation pattern, i.e., the second paradigm. A similar structure is found in active forms such as *gamovtsla'* (“I might change it”).

Reduced-stem verbs are inherited from Proto-Kartvelian. In the third-person aorist, a zero-grade stem variant must have existed and spread throughout the Aorist paradigm in historical Megrelian-Chan. This was followed by full vocalization. The phenomenon is connected with the dynamic accent system, the system of sonorants, and ablaut.

The occurrence of such verbs in geographically distant dialects confirms the systematic and inherent nature of the language. The preservation of these forms in the speech of Muhajir descendants attests to the stability of linguistic structures. The hybrid character of the conjugational paradigm points to the dynamism of the voice category.

Data from dialects spoken outside Georgia are important for understanding both the history of the Georgian language and the literary standard. The sociolinguistic dimension is also noteworthy: the role of environmental change, migration, and cultural isolation in the preservation of grammatical phenomena.

The present research includes determining the precise geographic distribution and frequency of reduced-stem verbs and their presence in other dialects using corpus-linguistic methods. Particularly important are the typological analysis of mixed conjugational paradigms and their comparison with the verbal systems of other Kartvelian languages (Svan, Megrelian-Laz) from both synchronic and diachronic perspectives. A detailed investigation will require large-scale databases and modern software tools for linguistic data analysis, ensuring precise paradigmatic description and hypothesis verification, thus providing a foundation for further intensive research.

**ლელა ციხელაშვილი**  
**Lela Tsikhelashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**კვლავ კაუზატივისა და შუალობითი კონტაქტის  
ურთიერთმიმართებისათვის**  
**Revisiting the Relationship Between Causative and  
Medial Contact**

**საკვანძო სიტყვები:** კაუზატივი, შუალობითი კონტაქტი, გხამატიკული კატეგორია  
**Keywords:** causative, medial contact, grammatical category

კაუზატივის ცნება ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: თუ, ერთი მოსაზრებით, კაუზატივი იგივე შუალობითი კონტაქტია (შანიძე, ჭორბენაძე, ქირია, ონიანი და სხვ.), მეორე მოსაზრებით, კაუზატივი უფრო ფართო ცნებაა (მაჭავარიანი, თაყაიშვილი და სხვ.). გარკვეული მოსაზრებით, ისინი სხვადასხვა გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენენ (ასათიანი, სარკველაძე). ჩვენთვის ეს უკანასკნელი მოსაზრებაა მისაღები. მოხსენებაში შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ, მიუხედავად მსგავსებისა, ამ ორ კატეგორიას შორის თვისებრივი სხვაობაა, კერძოდ:

1) თავისი არსით, დეფინიციით ეს კატეგორიები სხვადასხვაა. თუ კონტაქტისთვის არსებითია, სუბიექტი უშუალოდ მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, თუ სხვა პირის (აგენსური ირიბი ობიექტის) მეშვეობით; კაუზაციისთვის მნიშვნელოვანია, აგენსური აქტანტი თავისი ნებით მოქმედებს, თუ სუბიექტის მიზეზით.

2) განსხვავებულია უშუალო კონტაქტის ზმნებიდან შუალობითი კონტაქტის ზმნების წარმოების სინტაქსური მექანიზმიც. კაუზაცია ზმნის ვალენტობის მატების ოპერაციაა. თუ, ზოგადად, კაუზაციის ყოველ საფეხურზე კონსტრუქციაში შემოდის კაუზატორი სუბიექტი (კომრი, ჰარისი და სხვ. (1)), შუალობითი კონტაქტის წარმოებისას ასეთი დამატებითი აქტანტი აგენსური ირიბი ობიექტია (2):

(1) პეტრემ ( $S = A$ ) ქურდი ( $O^d$ ) დაიჭირა > პოლიციელმა ( $S = \text{causer}$ ) პეტრეს ( $O^{\text{ind.}} = A$ ) ქურდი ( $O^d$ ) დააჭერინა (ერთგზისი კაუზატივი).

(2) პეტრემ ( $S = A$ ) ქურდი ( $O^d$ ) დაიჭირა > პეტრემ ( $S = \text{causer}$ ) პავლეს ( $O^{\text{ind.}} = A$ ) ქურდი ( $O^d$ ) დააჭერინა (შუალობითი კონტაქტი).

3) განსხვავდება სუბიექტური აქტანტის სემანტიკური როლი და სინტაქსური ფუნქცია ბაზისურ და დერივაციულ სინტაქსურ კონსტრუქციებში. თუ ზმნის გაკაუზატივებისას დერივაციულ კონსტრუქციაში იცვლება ბაზისური ზმნის სუბიექტური აქტანტის სინტაქსური ფუნქცია ( $S > O^{\text{ind.}}$ ), ხოლო სემანტიკური როლი უცვლელი რჩება ( $A = A$ ); შუალობითი კონტაქტის ზმნის წარმოებისას, ა. შანიძის მიხედვით, იცვლება იმავე აქტანტის ( $S$ ) სემანტიკური როლი ( $A > \text{causer}$ ), ხოლო სინტაქსური ფუნქცია უცვლელი რჩება ( $S = S$ ). ცვლილება არ ეხება პირდაპირ ობიექტს.

მოცემული დებულებების გათვალისწინებით, მიუხედავად მსგავსებისა, კაუზატივი და კონტაქტი განსხვავებული გრამატიკული კატეგორიები გამოდის როგორც ფუნქციურ-სემანტიკური, ისე სინტაქსური კონსტრუქციების წარმოების თვალსაზრისით.

The concept of causative causes differences of opinion in Georgian linguistic literature: according to one viewpoint, causative is the same as medial contact (Shanidze, Jorbenadze, Kiria, Oniani, et.al.), whereas, according to another, causative is

a broader concept (Machavariani, Taqaishvili, et.al.). There is also an opinion that these two represent different grammatical categories (Asatiani, Sarjveladze). I agree with the latter one. The paper aims to demonstrate a qualitative distinction between these two categories. In particular:

i) These categories differ in essence and definition. In contact, it is essential to determine whether the subject directly affects the direct object or the action occurs through the agentive indirect object. In causation, it is important whether the agentive argument acts of its own will or by the subject's will.

ii) The syntactic mechanism of formation of predicates of medial contact from the predicates of direct contact is also different. If, in general, on each step of causation, the construction adds a causer subject (Comrie, Harris, et.al. (1)), when forming medial contact, this additional argument is an agentive indirect object (2):

(1) *p`etrem (S = A) kurdi (O<sup>d</sup>) daičira* ("Petre caught the thief") > *p`olicielma (S = causer) p`etres (O<sup>ind.</sup> = A) kurdi (O<sup>d</sup>) daačerina* ("the policeman made Petre catch the thief").

(2) *p`etrem (S = A) kurdi (O<sup>d</sup>) daičira* ("Petre caught the thief") > *p`etrem (S = causer) p`avles (O<sup>ind.</sup> = A) kurdi (O<sup>d</sup>) daačerina* ("Petre made Pavle catch the thief").

iii) The semantic role and syntactic function of the subjective argument differ in the basic and derived syntactic constructions. During the causation of the predicate, in the derivational construction, the syntactic function of the argument of the basic predicate changes (S > O<sup>ind.</sup>), whereas the semantic role remains unchanged (A = A); in case of formation of medial contact, according to Akaki Shanidze, the semantic role of the same argument (S) changes (A > causer), whereas the syntactic function remains unchanged (S = S). The change does not affect the direct object.

Taking into account the above mentioned, I argue that causative and contact are qualitatively different grammatical categories from the functional-semantic viewpoint, as well as from the viewpoint of syntactic constructions.

**ლელა წიფურია**  
**Lela Tsiphuria**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**ოცდამეერთე საუკუნის ბერძნული თეატრების  
მრავალგვარობა**

**The Diversity of Greek Theatre in the Twenty-first Century**

**საკვანძო სიტყვები:** დიონისე, თეატრი, დიმიტრიადისი, მარმარინოსი  
**Keywords:** *Dionysus, theatre, Dimitriadis, Marmarinos*

საბერძნეთის სათეატრო ხელოვნება, როგორც ევროპული თეატრის საწყისი, მუდმივად ვითარდება და ახალი სახელებით და გამომსახველობითი საშუალებებით მდიდრდება. ამის შესაბამისად მთელ მსოფლიოში მუდმივად დიდია ინტერესი ბერძნული თეატრის წარმოდგენების მიმართ. საქართველოს სათეატრო ფესტივალები სისტემატიურად იწვევენ ბერძნულ დასებს. საუკეთესო ბერძნული სპექტაკლები მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქრის“ თბილისის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამებშია. ჩემს მოხსენებაში ამ ორ საერთაშორისო ფესტივალზე წარმოდგენილი სპექტაკლების ანალიზს შემოგთავაზებთ. ეს უახლესი დადგმებია, თბილისის 2022-2025 წლების საფესტივალო პროგრამებიდან.

მოხსენებაში ასევე გაანალიზებული იქნება თანამედროვეობის დიდი პროზაიკოსის, დიმიტრი დიმიტრიადისის, თხზულების „ვკვდები როგორც ქვეყანა“ თათია მთვარელიძისეული თარგმანის წარდგენა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ქეთი დოლიძის დადგმით. დიმიტრი დიმიტრიადისთან შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც მოეწყო. 2022 წელს თსუ, ფაქტობრივად, „საჩუქრის“ ბერძნული ფოკუსის თანამონაწილე იყო. ბერძნული ფოკუსის ფარგლებში ნაჩვენები იყო დიმიტრიადისის რომანის, „ვკვდები როგორც ქვეყანა“, მარმარინოსისეული დადგმის ვიდეო ჩანაწერი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სპეციალისტები მიხეილ მარმარინოსის შემოქმედებას თეატრალური ავნგარდის წინკარს უწოდებენ. მარმარინოს „საჩუქრის“ დირექტორთა საბჭოს წევრია და მრავალწლიანი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს ფესტივალთან, სადაც მისი არაურთი სპექტაკლი იყო წარმოდგენილი.

ფესტივალებზე დიდი ყურადღება ეთმობა ვორკშოფებს, რომლებსაც სამსახიობო ხელოვნების სრულყოფის და ახალი მეთოდოლოგიების სწავლების მიზნით მსოფლიოს ცნობილი რეჟისორები ატარებენ. ბერძნული ფოკუსის ფარგლებში ახალგაზრდებისთვის ვორკშოფი სათეატრო ხელოვნების პატრიარქმა, თეოდორ ტერზობულოსმა, ჩაატარა. „დიონისეს დაბრუნება“ – ასე პქვია ტერზობულოსის სახელმძღვანელოს მსახიობის ოსტატობაში, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა და უმნიშვნლოვანეს ფაქტორად უნდა იქცეს მომავალი მსახიობების აღზრდისთვის.

მოხსნებაში თეოდორუს ტერზოპულოსის ტრილოგიის ორი დადგმა იქნება გაანალიზებული- „ალარმე“ და „Amor“. ორივე წარმოდგენა ორიგინალური კომპოზიციაა, რომლებიც უმაღლესი სადადგმო და სამსახიობო შესრულებით ხასიათდება. მოხსნებაში გაანალიზებული იქნება სპექტაკლების კონცეფციები და გამომსახველობითი საშუალებები.

ევროპიდის ლასკარიდასის „ლაპის ლაზული“ უდავოდ არის სიახლე ფორმითაც და კონცეფციითაც.

ბერძენი რეჟისორის, დიმიტრის კარანზასის სპექტაკლი „სახლი“ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე 2025 წელს აჩვენეს. რაც არ უნდა ვეცადოთ დისტანცირებას, როგორი კედლებითაც არ უნდა შემოვსაზღვროთ ჩვენი სამყოფელი, ჩვენ მაინც ამ სამყაროს ნაწილი ვიქებით და მსოფლიოში მიმდინარე პროცესები უცილობლად შემოიქრებიან ჩვენს ცხოვრებაში-რეჟისორის სათქმელი და პოზიცია მკვეთრად გამოხატულია წარმოდგენაში.

მოხსნებაში განვიხილავ ოცდამეერთე საუკუნის უახლეს ტენდენციებს ბერძნულ თეატრში.

Greek theatrical art, as the foundation of European theatre, is constantly developing and becoming enriched with new names and expressive means.

In my paper, I propose an analysis of the performances presented at these two international festivals in Tbilisi during the years 2022–2025.

The paper will also analyze the staging of the work “I Die as a Country” by the great contemporary prose writer Dimitris Dimitriadis, presented on the stage of the Marjanishvili Theatre in the translation by Tatia Mtvelidze and directed by Keti Dolidze. A meeting with Dimitris Dimitriadis was also organized at Ivane Javakhishvili Tbilisi State University. In 2022, TSU was effectively a co-participant in the Greek Focus of the “Gift” Festival.

Within the framework of the Greek Focus, a video recording of Michail Marmarinos’s production of Dimitriadis’ novel “I Die as a Country” was screened and made a strong impression. Specialists refer to Michail Marmarinos’s work as a forerunner of the theatrical avant-garde.

Within the Greek Focus, young participants attended a workshop led by the patriarch of theatrical art, Theodoros Terzopoulos. “The Return of Dionysus” is the title of Terzopoulos’s manual on acting technique.

The paper will analyze two productions from Theodoros Terzopoulos’s trilogy – “Alarme” and “Amor”. Both performances are original compositions characterized by the highest level of directing and acting.

Euripides Laskaridis’s “Lapis Lazuli” is undoubtedly innovative both in form and concept. The production “The House” by Greek director Dimitris Karantzas was presented at the Tbilisi International Theatre Festival in 2025. No matter how much we try to distance ourselves, no matter what walls we build around our living space, we remain part of this world, and global processes inevitably intrude into our lives – this is the director’s message and position, clearly expressed in the performance.

**ხათუნა ჭანიშვილი**  
**Khatuna Chanishvili**

კავკასიის უნივერსიტეტი  
Caucasus University  
(საქართველო, Georgia)

**ლოცვის დრო და ადგილი**  
(ავთანდილის ლოცვის, ილიას ლოცვისა და  
გალაკტიონის მზეთ თიბათვისას მიხედვით)  
**Time and Place of Prayer**  
**(Based on Avtandil's Prayer, Ilia's Prayer and Galaktioni's**  
***The Sun of June*)**

საკვანძო სიტყვები: ღოცვა, ღმო, აღვიდი, ღიგებაგუჩა  
**Keywords:** *prayer, time, place, literature*

ლოცვის დრო და ადგილი ჩნდება მაშინ, როდესაც ცასა და მიწას აე-რთიანებს ადამიანი შუაკაცობის უბრალოებით. შუაკაცობის უბრალოება კი იძადება იმ გზის გავლისას, რომელიც დიდ ქრისტიანულ კულტურულ ტრადი-ციაში საკუთარი თავის შემოქმედისებრ ძერწვასა და ამ ძერწვის მადლით ნა-ზიარებ საიდუმლოს გულისხმობს. საიდუმლოს, ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავს გაანდობს და განდობილობის შემდეგ საკუთარ თავშივე დაუტევლობის ტკივილნარევი ბედნიერებით გადაისხმება ლიტერატურაში, ლექსში.

მაინც რას ინახავს ის საიდუმლო, რომელიც მლოცველს ცარგვალით შე-მოფარგლულს, ყველაზე ცოცხალ, საკუთარი თავისთვისვე განსაცვიფრებელ ფენომენად გადააქცევს? განსაცვიფრებელ ფენომენად, რადგან ამ დროს ადამიანი თანაზიარობს დიდ დროსთან, დიდ სივრცესთან, მხოლოდ შინა-გან ცხოვრებად გამართულთან. ადამიანი ამ დროს თან წარმავალია, სუსტია, თან უხილავად, უეჭველად სულში შექრილი უსაზღვროებისა და განგებისგან პატივდებული ვერ რისკავს დიდი დროისა და სივრცის პირისპირ დგომას, რადგან ამ დროს ჩნდება ყველაზე ცოცხალი და ძლიერი განცდა ადამიანად მყოფობისა. სწორედ ამ დროს გამოსავლად, შვებად, საჩუქრად, მას ლოცვის საიდუმლო შეიფარებს. მლოცველმა იცის, გრძნობს საკუთარი წინსწრებული შინებდვით, რომ როგორლაც აღმოჩნდა წერტილში, რომლის არსებობას მე-ტყველება ვერ იტევს, ვერც თანაზიარობის სიკეთე და ვერც რაციონალური კეთილშობილება. მხოლოდ ლოცვა, ლოცვა, რომელიც ამყარებს და ზუსტად მოუნიშნავს საკუთარი გზის კონტურებს. და ამ მდგომარეობას თუკი დამსახუ-რება სტირდება, სწორედ ამ აღმოჩენით ყველაზე მეტად ხდება მოწინებული და მადლიერი. მადლიერი შუაკაცობის უბრალოებისა.

ავთანდილის გზა საკუთარი თავის ამგვარი აღმოჩენით იწყება. მისი ლოცვა სამყაროულიცაა და უკიდურესად ინდივიდუალურიც. ლოცვაშივე ცდილობს საკუთარი თავის ქმნასა და საკუთარ თავად დარჩენას. ცის ძალთა დასის მომენტებზე ზუსტად იცის, რომ ღვთაებრიობის შეგრძნება მიჯნურობის გზით მოიპოვა. ამიტომ ახსენებს ზენაარს მიჯნურობის წესიერებას, რომელიც გამორჩეულობით დაუმსახურებია.

ილიას ლოცვა მიჯნურობისგან დაცლილია (არავინ იცის, სულს ვისი სა-ხება ელანდებოდა), იგი დაღლილი და გაუმართავი დროის შვილია, მოსა-სწრებია სულის სიმრთელეც და ქვეყნის საქმეც. ილიას განცდაც დიდი დროის წინაშე მდგომი კაცის განცდაა. საიდანღაც მანაც იცის უკვე და გრძნობს სა-კუთარი მოვალეობისა და ადგილის მადლიმოსილებას. ამიტომ შეუკავებლად ითხოვს „ნამცნები სიყვარულის“ (ნააზროვნები სიყვარულის) საკუთარ თავ-შივე შენახვას.

გალაკტიონის დრო თიბათვის მზეში მავედრებელი კაცის ლოცვაა, აქ მლოცველი სიყვარულში განაპირდება და მასშივე რჩება.

Time and place for prayer appear where the heaven and land are unified by the human, with simplicity of a middleman. And middleman simplicity emerges upon passing of the way that, in great Christian tradition, implies formation of self like Creator and the sharing of the secret through bless of such formation. The secret that a human tells to self and that, through painful happiness of incapability of containing, pours into the literature, poetry. And what is the secret that transforms a prayer, limited by the heaven only, into a vivid phenomenon that is surprising to him? It is a surprising phenomenon as, at this time, the human is a sharer of the great time and the great space, which is the internal life alone. At this time, the human is mortal, weak and simultaneously, invisibly, undoubtedly, honored by the endlessness and fate that have invaded the soul; he cannot risk to face the great time and space, as at this time emerges the most vivid and powerful sense of being a human. And at this moment, the secret of prayer shelters him as the way out, release, as a gift. The prayer knows, feels with his internal foreseeing that in some way, he occurred in the point the existence of which cannot be contained by the speech, neither the good of sharing and nor rational nobles can do this. Only prayer, the prayer that strengthens and precisely points the contours of his way. And if this condition needs to be deserved, this discovery makes him most respectful and thankful. Thankful to simplicity of being middleman.

Avtandil's way commences by such discovery of himself. His prayer is both, universal and extremely individual. In it he attempts to form himself and maintain self. Trusting the heavenly powers, he knows exactly that he has acquired the feeling of divinity through the way of lover. Therefore, he reminds the heaven about decency of loving that he has deserved by his distinguished nature.

Ilia's prayer is free of tender sentiment (no one knows, whose image saw the spirit), he is tired, a child of a disordered time, he has to cure the soul and do the deeds of the country. Ilia's feeling is a feeling of a man facing the great time. From somewhere, he knows already and feels that his duty and place are blessed. Therefore, he demands, without abstaining, to keep "cognized love" for himself.

Galaktion's time in his "The Sun of June" is a prayer of a begging man, here the one who prays isolates himself in love and remains there.

ლადო ჭელიძე

Lado Chelidze

იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი

The Hebrew University in Jerusalem

(ისრაელი, Israel)

რუსთველი იერუსალიმში და ადრეული  
რენესანსის დასაწყისი

(„ამის დამხატავსა შეუნდვეს ღმერთმან, ამინ“)

Rustaveli in Jerusalem and the

Beginning of the Early Renaissance

(“May God Have Mercy Upon the One Who Painted This  
[image], Amen”)

საკვანძო სიტყვები: ჩუხთვერი, იერუსალიმი, ჩენესანსი, ფერსკა, წარწერა

Keywords: Rustaveli, Jerusalem, Renaissance, fresco, inscription

შოთა რუსთაველის მოღვაწეობის რეალიათა ნაკვალევი წმინდა მიწაზე, კერძოდ, იერუსალიმის ქართველთა ფრის მონასტრის აღაპთა წიგნის ჩანაწერებსა და ტაძრის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაშია შემორჩენილი. ამ ეპიგრაფიკული ძეგლის ტექსტსა და მის გრაფიკულ ფორმებზე უშუალო დაკვირვებით ირკვევა, რომ წარწერაში სახელი – „შოთა“ და წოდება – „რუსთაველი“ დანარჩენი ტექსტის ასო-ნიშნებისგან განსხვავებით გრაფიკულად შედარებით უფრო გამოკვეთილი და ურთიერთ მსგავსია, რაც შოთა რუსთაველის ფრესკის ფოტოსურათებზე ასე მკაფიოდ არ ჩანს. თავის მხრივ, სახელის ფორმა „შოთა“ გრამატიკულად სწორად ვერ ჯდება ტექსტის სინტაქსურ წყობაში, რისთვისაც მკვლევრებმა ბეჭდურ ვერსიებში სახელს დაამატეს ასო „ს“ – „შოთა(ს)“. ფრესკული წარწერის ხელახლი ლინგვისტური და პალეოგრაფიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა გარკვეულნილად განსხვავებული ვერსია („ამის დამხატავსა შეუნდვეს ღმერთმან, ამინ“ / „შოთა რუსთაველი“).

როგორც ჩანს, სწორედ ამგვარად პქონდა გააზრებული ფრის მონასტრის წერილობითი წყაროები იერუსალიმის ქართული კოლონიის პირველ ისტორიკოსს ტიმოთე გაბაშვილს, როცა თავის თხზულებაში „მიმოსვლა“ შოთა რუსთაველის მიერ განეულ ღვაწლზე მიუთითებს: „ჩვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეოთ უხუცესს!“. აქვე მინაწერში მკვლევარი დამატებით ურთავს განმარტებას, რომ ის სწორედ პოეტი შოთა რუსთაველია.

იერუსალიმში შოთა რუსთაველის სახელმწიფო მისიის პერიოდში სავარაუდოა მისი როგორც იბერიელი წარჩინებულისა და საქართველოს სამეფოს მაღალი რანგის წარმომადგენელის თანადროული საერთაშორისო პროცესებისადმი თავისი გარკვეული დამოკიდებულების გამოვლენა, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის ერთობ დრამატულ მოვლენებში ჩართულობა, უპირველესად კი ევროპელი სამყაროს წარმომადგენლებთან ისტორიულკულტურული ურთიერთობის დამყარება.

„ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი ვერსიით დაიწერა იერუსალიმში, კერძოდ, მეფეთა და წარჩინებულთა მდიდრულ იბერიულ რეზიდენციაში. უდავოდ ხაზგასასმელია ის, რომ პოემაში ბიბლიური სენტრუცია-აფორიზმების არსი რენესანსის ეპოქისათვის ნიშანდობლივი პუმანისტურ მისწრაფებებათა კონტექსტითა გააზრებული. ასევე, საგულისხმოა ამ ეპიკურ წარმოებაში იერუსალიმის განთავისუფლების საკრალური იდეის მინიშნება.

ევროქართულ ურთიერთგავლენათა რეალიებსა და ადრეული რენესანსის ხანის პირველი ქმნილების ბიბლიური დავით მეფის ქალაქში შექმნის სავარაუდო ვერსიას გარკვეულ საფუძველს სძენს აღმორძინების ეპოქის ისტორიული და ლიტერატურულ-კულტურული კონტექსტების იერუსალიმთან არაერთი მიმართება.

The trace of Shota Rustaveli's professional activity is preserved in the Holy Land, specifically in the records of the 'Book of Synodicon' and in one of the fresco inscriptions of the Monastery of the Cross in Jerusalem. Direct observation of the text and graphic forms of this epigraphic monument reveals that the name 'Shota' and the title 'Rustveli' in the inscription are graphically more distinct and similar compared to the letter-signs of the rest of the text, which is not as clearly visible in photographs of Shota Rustaveli's fresco. In turn, the name 'Shota' does not fit grammatically into the syntactic structure of the text, which is why researchers added the letter 's' in the printed versions – 'Shota(s)'. The letter 's' marks the dative case in Georgian. As a result of the recent linguistic and paleographic analysis of the fresco inscription, a somewhat different version has been revealed ('May God forgive the one who painted this, amen' / 'Shota Rustaveli').

Apparently, that this is precisely how the written sources of the Monastery of the Cross were understood by Timote Gabashvili, the first historian of the Georgian colony in Jerusalem. In his work *Mimosvla*, when referring to the contributions of Shota Rustaveli, he writes: 'The Monastery of the Cross had grown old, and Shota Rustaveli, the chief treasurer, renewed the columns beneath the dome and had it repainted.' Here, in a footnote, the scholar further clarifies that this refers specifically to the poet Shota Rustaveli.

During Shota Rustaveli's state mission in Jerusalem, it is plausible that – as an Iberian nobleman and a high-ranking representative of the Kingdom of Georgia – he expressed certain attitudes toward the international processes of that time, including involvement in the highly dramatic events unfolding in the Middle East and, above all, the establishment of historical and cultural relations with representatives of the European world.

According to one version, *The Knight in the Panther's Skin* was written in Jerusalem, specifically within the luxurious Iberian residence of kings and nobles. It is particularly noteworthy that the biblical aphorisms found in the poem are interpreted within the framework of humanistic aspirations characteristic of the Renaissance era. Equally significant is the poem's subtle allusion to the sacred idea of the liberation of Jerusalem.

The Euro-Georgian mutual influences, together with the possible version that this first creation of the early Renaissance period (*The Knight in the Panther's Skin*) was created in the city of biblical King David, gain some credibility from the numerous connections that the historical and literary-cultural contexts of the Renaissance era maintain with Jerusalem.

ანა ხარანაული

Anna Kharanauli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

(საქართველო, Georgia)

**თარგმანის სამეცნიერო გამოცემა და მასთან  
დაკავშირებული მეთოდოლოგიური პრობლემები**  
**Editing the Translation and Related Methodological  
Problems**

**საკვანძო სიტყვები:** ფსაღმუნი, ტექსტურული კრიტიკა, გამოცემის პრინციპები,  
თახვანი

**Keywords:** psalms, textual criticism, edition principles, translation

მზექალა შანიძის ‘ფსალმუნი’ საქართველოში განხორციელებული პირველი სამეცნიერო გამოცემა იყო, რომელიც ერთ ტექსტსა და მის აპარატში რამდენიმე ხელნაწერს უყრიდა თავს. ამიტომ, პირველად სწორედ ამ გამოცემამ გამოაჩინა ქართული თარგმანის ტექსტის კრიტიკის ამოცანები და მათ გადაწყვეტასთან დაკავშირებული პრობლემები. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ყველამ, ვინც ძველი ქართული ტექსტის და, კერძოდ, ბიბლიის გამოცემაზე მუშაობას იწყებს, კრიტიკულად უნდა შეისწავლოს და გაიაზროს ‘ფსალმუნის’ გამოცემის მეთოდური და პრაქტიკული გამოცდილება.

**წყაროები:** ბიბლიის ძველი ქართული ტექსტები ჩვენამდე სხვადასხვა დროის, სხვადასხვა შედგენილობისა და სხვადასხვა ფუნქციის ხელნაწერშია შემონახული. გამოცემელი წყვეტს და მკითხველს უსაბუთებს, თუ რომელ წყაროებს აყრდნობს იგი თავის გამოცემას. მზექალა შანიძე ფსალმუნის ძველი ტექსტის ტიპის გამოცემისთვის ეყრდნობა ფსალმუნთა შემცველ სრულ კრებულებს - არ ითვალისწინებს ფსალმუნის ხელნაწერთა ფრაგმენტებს, ასევე, ეგზეგებიკურ და ლიტურგიკულ კრებულებში შესულ ტექსტებს.

**ტექსტი:** მზექალა შანიძის გამოცემაში ერთი თარგმანის სამი ტექსტუალური ფორმა წარმოდგენილი ცალ-ცალკე სვეტებად – ეს მეთოდი ბიბლიის შემდგომ გამოცემებშიც იქნა გამოყენებული. ტექსტუალური ფორმების ცალ-ცალკე წარმოდგენა ხაზს უსვამს მათ განსაკუთრებულ სტატუსს (მით უმეტეს, თუ ამგვარ ფორმას თავისი ავტორი ჰყავს მაგ., გიორგი მთაწმინდელი, გელათელი ანონიმები, სულხან-საბა ორბელიანი) და საშუალებას იძლევა, ეს ტექსტი მთლიანობაში, როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი ერთეული წარმოადგინოს მკითხველის წინაშე. მაგრამ, ამავე დროს, ტექსტის ცალკე გამოყოფა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დავინახოთ ტექსტების ურთიერთ-მიმართება და, შესაბამისად, არ იძლევა ინფორმაციას მათ შორის არსებული განსხვავებების ხასიათის შესახებ. ‘ფსალმუნის’ გამოცემელი კარგად ხედავს ამ პრობლემას და მისი გადაწყვეტის ორ განსხვავებულ გზას გვთავაზობს. შემდეგი პრობლემა, რომელიც გამომცემლის წინაშე დგება, იმის გადაწყვეტაა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს გამოცემული ტექსტი – დიპლომატურ, ანუ ერთ ხელნაწერზე დაყრდნობით შექმნილ გამოცემას თუ კრიტიკულ გამოცემას, რომელიც თავდაპირველი, ანდა წყაროთა არქეტიპული ტექსტის დადგენას ისახავს მიზნად. მ. შანიძე დიპლომატური გამოცემის ტიპს ირჩევს – ძირითად ტექსტად გამოსცემს იმ ხელნაწერის ტექსტს, რომელიც, მისი აზრით, უფრო უკეთ ასახავს თავდაპირველ თუ გიორგისეულ ტექსტუალურ ფორმებს, ხოლო თავად ამ ხელნაწერის შეცდომები კრიტიკულ აპარატად თუ დანართში გააქვს.

**კრიტიკული აპარატი:** კრიტიკული აპარატის მიზანია წარმოადგინოს ტექსტის ისტორია, რომელიც იქმნება გადამწერისა თუ რეცენზირების შეცდომებისა და ნებისით და უნებლივ სწორებებისგან. ამიტომ ყოველი გამომცე-

მლის წინაშე დგება საკითხი: მოახდინოს თუ არა ხელნაწერების კითხვასხვა-ობების კვალიფიცირება და ასახოს თუ არა, ან როგორ ასახოს ისინი კრიტი-კულ აპარატში. მ. შანიძეს ორთოგრაფიული და რეცენზიული ელემენტები ერ-თმანეთისაგან გამოყოფილი აქვს. მეორე, რაც თარგმანების გამომცემელმა უნდა გადაწყვიტოს, არის ის, უნდა ასახოს თუ არა მან კრიტიკულ აპარატში თარგმანის ტექსტის მიმართება მის სავარაუდო დედნებთან. ‘ფსალმუნის’ გამოცემაში აპარატი ამ მიმართებებს არ ასახავს, თუმცა შესაბამისი მასალა ტექსტის გამოკვლევაშია განხილული.

**ტექსტის ისტორია:** ტექსტის გამომცემლისა და მკვლევრის გადასაწყვე-ტია ასევე ის, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს ტექსტის დახასიათება კრიტი-კულ აპარატსა და ტექსტის ისტორიის შესახებ არსებულ გამოკვლევას შორის. მისი გადასაწყვეტია ასევე, თუ რა საკითხებს გამოყოფს იგი გასანაალიზებ-ლად. მ. შანიძე წყაროთა დახასიათებასა და მათში დაცულ პარატექსტებს ტექსტის გამოცემას დაურთავს, ხოლო, საზოგადოდ, ფსალმუნთა წიგნისა და მისი ქართული თარგმანის ცალკეულ საკითხს ცალკე გამოცემულ გამოკვლე-ვაში ათავსებს.

მოხსენებაში განხილული იქნება ტექსტოლოგიის ის მეთოდოლოგიური პრობლემები, რომლებიც პრაქტიკულად გამოვლინდა ექვსი ათეული წლის წინ განხორციელებულ მზექალა შანიძის ფსალმუნთა გამოცემაში.

Mzekala Shanidze's *Psalms* was the first Bible edition prepared in Georgia which reflects several manuscripts in a single text and its apparatus. Therefore, this edition was the first to reveal the tasks of textual criticism of Georgian translations, as well as the problems associated with solving them. Consequently, it is natural that anyone starting work on the edition of an old Georgian text, and especially a biblical translation, should critically study and fully understand the methodological and practical experience represented in the edition of *Psalms*.

**Sources:** The old Georgian texts of the Bible have been preserved in manuscripts of different periods, collections, and functions. An editor determines and justifies to the reader the sources on which the edition is based. For her edition of the old textual type of *Psalms*, Mzekala Shanidze relies on complete *Psalter* manuscripts; she does not consider fragments or texts included in exegetical and liturgical collections.

**Text:** In Mzekala Shanidze's edition, three textual forms of the same translation are presented in separate columns – a method later adopted in subsequent editions of the Bible. Presenting the textual forms separately highlights their special status (more so, when a particular form has its author such as Giorgi Mtatsmeli, Gelati anonymous, Sulkhan-Saba Orbeliani) and allows each text to be shown to 230

the reader as a separate entity. At the same time, however, these separate columns do not reveal the nature of differences between the given textual forms. The editor of *Psalms* clearly recognizes this problem and offers two different approaches to address it. Another challenge faced by the editor concerns the choice of the type of edition: a diplomatic edition – based on a single manuscript, or a critical edition that aims to reconstruct the original translation or archetype text form of the sources. M. Shanidze opts for a diplomatic edition, selecting as the main text the manuscript that, in her opinion, best preserves the original or Giorgi's textual form, and records the errors of this manuscript in the critical apparatus or appendix.

**Critical apparatus:** The purpose of the critical apparatus is to present the text history created by scribal or editorial errors and corrections. Therefore, every editor addresses the question: whether to classify the manuscript variants, and whether and how to record them in the critical apparatus. M. Shanidze separates orthographic readings from those having the recensional character. A further decision for the editor of translations is whether the apparatus should reflect the relationship between the translated text and its probable *Vorlagen*. In *Psalms* edition, these relationships are not shown in the apparatus, although the relevant material is discussed in the accompanying study of the text.

**Text history:** It is the responsibility of the editor and researcher to determine how to distribute the description of the text between the critical apparatus and the text history. Likewise, the editor must choose issues essential for understanding of the text and its sources. M. Shanidze offers in her edition a description of the sources and provides the paratexts included, while addressing the broader questions concerning the *Psalms* and its Georgian translation in a study published separately.

The paper will examine the methodological problems of textual studies that became evident in the edition of *Psalms* prepared by Mzekala Shanidze six decades ago.

**ელგუჯა ხინთიბიძე**  
**Elguja Khintibidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**არეოპაგიტული კორპუსის ეფრემ მცირისეული  
თარგმანი – „ვეფხისტყაოსნის“ ერთი პასაჟის  
უცნობი ნებართ**

**Ephrem Mtsire's Translation of the "Areopagitian Corpus"  
– an Unknown Source of a Passage in "The Knight in a  
Panther-Skin"**

**საკვანძო სიტყვები:** ახეობაგიტული კორპუსი, ეფრემ მცირე, თახგმანი,  
„ვეფხისტყაოსნი“

**Keywords:** Areopagitian Corpus, Ephrem Mtsire, translation, 'The Man in the Panther's Skin'

ვეფხისტყაოსნის ამოუცნობ გამოთქმათა თუ ფრაზათა შორის ერთ-ერთია ავთანდილის შეგონება უიმედო სიყვარულის გამო დეპრესიაში ჩავარდნილი ტარიელისადმი: „უბოროტო ვის ასმია რაც-ა კარგი საეშმაკო“. სიყვარულის „ვეფხისტყაოსნისელი“ კონცეფციის ერთი უმთავრესი წყარო არის პლატონის ტრაქტატი „ნადიმი“, სადაც სიყვარული (ბერძნულად ეროსი) განმარტებულია როგორც ზეციური ბრძენი სული, გენია (ბერძნულად დემონი); იგი რაღაც საშუალოა კეთილსა და ბოროტს შორის. ანტიკური დემონი ქრისტიანულ აზროვნებაში მიჩნეულია ბოროტ სულად. ქართულ ბიბლიურ ტექსტებში იგი თარგმნილია როგორც „ეშმაკეული“. ჩემი აზრით, რუსთველის „კარგი საეშმაკო“ მიუთითებს სიყვარულზე. მაშასადამე, ავთანდილი ტარიელს ეუბნება: ვის გაუგია სიყვარული ბოროტების გარეშე. ეს დებულება კი სრულყოფილად ასახავს ვეფხისტყაოსანში როგორც ფრაზეოლოგიურად, ასევე სიუჟეტის მსვლელობით დადასტურებულ თვალსაზრისს. ეს გამონათქვამი სრულ შესაბამისობაშია პოემაში გამოვლენილ თეოლოგიურ პოზიციასთან – ნეოპლატონიზმთან. ეფრემ მცირის თარგმნილ დიონისე არეოპაგელის თხზულებაში „საღმრთოთა სახელთავის“ იკითხება: „ეშმაკთაცა, რომელ-იგი არიან, კეთილისაგან არიან და კეთილ არს არსებად მათი. ხოლო ბოროტებად მათი თვთ მათისა მისგან არს კეთილთაგან განვრდომილებისა“. ეფრემის თარგმანის ტერმინ „ეშმაკთას“ ბერძნული დენის შესატყვისია დემონი (δαιμόσιν), პარალელური ინგლისური თარგმანით *demons*. თარგმანის სამივე სიტყვა - ეშმაკთა, კეთილი, ბოროტება სრულ შესატყვისობაშია რუსთველის ფრაზასთან: „უბოროტო ვის ასმია რაც-ა კარგი საეშმაკო“.

Among the unrecognisable expressions or phrases from 'The Man in the Panther's Skin' are Avtandil's warning to Tariel, who fell into a depression due to hopeless love: „uboroto vis asmia rac-a kargi saeSmako“, which can be translated in this way: Who has heard devilry good without evil. One of the main sources for the conception of love in "The Man in the Panther's Skin" is Plato's treatise "The Symposium", where love (*Eros* in Greek) is explained as a heavenly wise spirit, a genius (*Daemon* in Greek); it is something intermediate between good and evil. The ancient demon is considered an evil spirit in Christian thought; therefore, in the Georgian Bible, it is translated as "eSmakeuli" (meaning: devilry). In my opinion, Rustaveli's "devilry good" refers to love. Therefore, Avtandil says to Tariel: Who has ever heard of love without evil? This provision perfectly reflects the point of view confirmed in "The Man in the Panther's Skin", both phraseologically and throughout the story. This statement is in full accordance with the theological position expressed in the poem – Neoplatonism. In the work by Dionysius the Areopagite, "The Divine Names",

it is written (4,34): "... And, as for the *demons*, what they are is both from the Good, and *good*. But their *evil* is from the declension from their own proper goods, and a change – the weakness." The Greek word "demons" (δαιμοσιν) is translated by Ephrem Mtsire as "eSmakTa" (devils). And the terms "good" and "evil" are translated as "kargi" and "boroteba"; which exactly corresponds to Rustaveli's "uboroto vis asmia rac-a kargi saeSmako."

**ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ჭელიძე**  
**Nana Khotcholava-Machavariani, Davit Chelidze**

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის  
ინსტიტუტი

Ilia State University Niko Ketskhoveli Institute of Botany  
(საქართველო, Georgia)

**მცენარეთა სახელები აკაკი შანიძის ხელნაწერ  
ბარათებში და მათი მნიშვნელობა ქართული  
ნომენკლატურის ისტორიისათვის**

**Plant Names in Akaki Shanidze's Manuscript Cards and  
their Significance for the History of Georgian Botanical  
Nomenclature**

**საკვანძო სიტყვები:** აკაკი შანიძე, ხელნაწერი ბარათები,

მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელები

**Keywords:** Akaki Shanidze, manuscript cards, Georgian scientific plant names

წარდგენილი მოხსენება შეეხება ქართულ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში მეტად მნიშვნელოვან, თუმცა დღემდე შეუსწავლელ წყაროს — აკადემიკოს აკავი შანიძის ხელნაწერ ბარათებს, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში (სეა, უცა, ფონდი 268, ანარერი 1, საქმე N59). აღნიშნული ბარათული კორპუსი (630 ბარათი) წარმოადგენს მცენარეთა რუსულ-ქართული სახელების წინასამუშაო კარტოთეკას და ასახავს შანიძის მცდელობას, ჩამოყალიბებინა მცენარეთა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის სქემა.

ბარათების ანალიზი განსაკუთრებულ შესაძლებლობას გვაძლევს:

1. დავინახოთ XX საუკუნის 30-იანი წლების ლექსიკოლოგიური მუშაობის პრინციპები და თავისებურებები;

2. გადავამოწმოთ დღეს დამკვიდრებული ქართული სამეცნიერო სახელების წარმომავლობა, შინაარსობრივი მოტივაცია და შესაბამისობა თანამედროვე ბოტანიკურ ტაქსონომიასთან;

3. გამოვავლინოთ ქართული სამეცნიერო სახელების შექმნის პროცესზე ლათინური და რუსული მოდელების გავლენა, ასევე, მათი თანხვედრა ან შეუსაბამობა ქართულ ხალხურ ფიტონიმებთან.

მოხსენებაში განხილულია სამი ძირითადი ასპექტი:

1. თარგმნითი სტრატეგიები — პირდაპირი კალკი, სემანტიკური პარალელი, აღწერითი/ადაპტირებული მოდელები;

2. მასალის მიმართება ცნობილ ქართველ ლექსიკოგრაფთა (რ. ერისთავი, ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი და სხვ.) და ბოტანიკოსთა (ზ. ყანჩაველი, ალ. მაყაშვილი) მიერ შემოთავაზებულ ტერმინებთან;

3. ბარათული მასალის გამოყენების მნიშვნელობა ჩვენ მიერ შედგენილი „მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონის“ (საგამომცემლო პროცესშია) შევსებისა და რიგი სახელების დაზუსტების თვალსაზრისით.

გამოკვეთილი აღმოჩენებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

• აქამდე დაუდასტურებელი ან მცირე გავრცელების ქართული ფიტონიმები:

• პირზებამბა (*Tussilago farfara* L.), პაიჭა (ლათინური სახელი უცნობია), ოქროთავა (*Solidago virgaurea* L.);

• ახალი ტაქსონიმები ახალი ქართული სამეცნიერო სახელებით, მაგ.: მდელოს ნემსინვერა (*Geranium pratense* L.), ისლა ბალახი (*Luzula campestris* (L.) DC.).

• ბარათებში მითითებული ლათინური ნომენკლატურული სახელების ჩვენეული ქართული შესაბამისობები: თანაბაზი მედაკუდა (*Alopecurus aequalis* Sobol.), დაწოდიდი ღილიღი (*Centaurea jacea* L.), მოღის ისღი (*Carex cespitosa* L.).

შედეგები ცხადყოფს, რომ აკავი შანიძის ბარათული კორპუსი მხოლოდ ისტორიული მასალა არ არის. იგი წარმოადგენს დიაგნოსტიკურ ინსტრუმე-

ნტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს უფრო მკაფიოდ დავინახოთ ქართული ბოტანიკური ნომენკლატურის ჩამოყალიბების ეტაპები, მისი შრეები და სხვა-დასხვა მოდელის ზეგავლენა, რაც თანამედროვე ტერმინოლოგიური სისტე-მის შეფასებისა და გადახალისებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

The present paper examines a highly significant yet hitherto unstudied source for Georgian botanical terminology: the manuscript cards compiled by Academician Akaki Shanidze, preserved in the Central Archive of Contemporary History of the National Archives of Georgia (SEA, UICA, Fonds 268, Inventory 1, File N559). This card-index (630 cards) constitutes a preliminary working corpus of Russian-Georgian plant names and reflects Shanidze's attempt to outline a conceptual framework for Georgian scientific plant nomenclature.

The analysis of this material offers several important perspectives:

1. It reveals the guiding principles and specific features of lexicological work carried out in the 1930s.
2. It enables the verification of the origins, semantic motivation, and taxonomic accuracy of a number of Georgian scientific plant names currently in use.
3. It highlights the degree of influence exerted by Latin and Russian nomenclatural models on the formation of Georgian scientific terms, as well as their correspondence or mismatch with traditional Georgian folk phytonyms.

The paper discusses three principal aspects:

1. Translation strategies employed by Shanidze – direct calques, semantic parallels, and descriptive/adapted models;
2. The relationship of the card material to the terminology proposed by prominent Georgian lexicographers (R. Eristavi, N. Chubinashvili, D. Chubinashvili, etc.) and botanists (Z. Kanchaveli, Al. Makashvili);
3. The relevance of this corpus for the enrichment and refinement of our forthcoming *Complete Lexicon of Plant Names* (in press), particularly with regard to the identification and clarification of attested names.

Among the noteworthy findings are:

- Previously undocumented or little-known Georgian phytonyms, such as პირზებამბა (pirzebamba) (*Tussilago farfara* L.), პაიჭა (paiča) – no Latin equivalent identified, ოქროთავა (okročava) (*Solidago virgaurea* L.);
- New taxonomic units with newly proposed Georgian scientific names, including მდელოს ნემსიწვერა (mdelos nemsicvera) (*Geranium pratense* L.), ისლა ბალახი (isla balaxi) (*Luzula campestris* (L.) DC.);

- Our proposed Georgian equivalents for Latin binomials attested in the cards, such as დაწოლილი ღიღილმ (daçolili ღiğilo) (*Centaurea jacea* L.), გოლის ისლი (molis isli) (*Carex cespitosa* L.).

The findings demonstrate that Shanidze's card corpus is not merely a historical artifact. Rather, it serves as a diagnostic tool that illuminates the developmental stages, structural layers, and external influences shaping Georgian botanical nomenclature. As such, it represents an invaluable resource for evaluating, reconstructing, and updating the contemporary system of Georgian scientific plant terminology.

**მარიამ ხუბუნაია**  
**Mariam Khubunaia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
(საქართველო, Georgia)

**დროის მიმდინარეობის ტემპის ენობრივი გამოხატვა  
ქართულ ხალხურ ზღაპრებში<sup>1</sup>**  
**Linguistic Expression of the Tempo of Time Flow  
in Georgian Folk Tales**

**საკვანძო სიტყვები:** ტემპის მიმდინარეობა, ჩქარი გემპი, ნერი ტემპი,  
ხაღაბური ზღაპარი

**Keywords:** *flow of time, fast tempo, slow tempo, folk tale*

---

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო  
ფონდის (SRNSFG) FR-24-1355 საგრანტო პროექტის ფარგლებში.  
The research has been implemented within grants project (SRNSFG) FR-24- 1355 financed by  
Shota Rustaveli National Science Foundation

ზღაპარი ზეპირსიტყვიერების სპეციფიკური უანრია; მისი სტრუქტურა და ენობრივი მონაცემები სხვა ფოლკლორული ჟანრებისგან განსხვავებულ, თავისებურ სურათს გვიჩვენებს. ენობრივი გამოხატვის თავისებურებები დაკავშირებულია ზღაპრის სიუჟეტის განვითარებასთან. ზღაპრისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დროის მიმდინარეობის ტემპის ენობრივ გამოხატვას; ცნობილია, რომ დროის მიმდინარეობის ტემპი შეიძლება იყოს ჩეარი ან ნელი; ნაშრომის მიზანიც სწორედ ამ საკითხის კვლევაა. ჩვენ მიერ დაკგუფებული და გაანალიზებულია ჩეარი და ნელი ტემპის გამომხატველი დროის ზმნისართები და მათი ლექსიკური ეკვივალენტები.

ნაშრომი აქტუალურია ორი თვალსაზრისით: საანალიზო ტექსტი – ქართული ხალხური ზღაპარი თაობებს დროთა განმავლობაში ზეპირი გზით გადაეცემოდა; ამიტომ იგი უძველეს კოდურ ინფორმაციას ინახავს; რაც შეეხება დროს, იგი უნივერსალური კატეგორიაა; დრო ერთიანია, თუმცა ადამიანი მას სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით ანაზევრებს, რათა უკეთ აღიქვას მის ირგვლივ არსებული სამყარო და ადვილად დაიმახსოვროს მნიშვნელოვანი მოვლენები. დროის ჩეარი და ნელი ტემპით გამოხატვა ხალხური ზღაპრის თხრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ენობრივი სტრატეგიაა. ნაშრომის ასაგებად გამოყენებულია აღწერით-სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი და დისტრიბუციული ანალიზის მეთოდები.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში დროის მიმდინარეობის ჩეარი თუ ნელი ტემპის გამოსახატავად მრავალფეროვანი მასალა გამოიყენება; ესენია ძირითადად ზმნისართები: მაღა, უცბად, მაშინვე, უმაღ, უცებ, იმწამსვე, უცაბედად, უმაღვე, წამსვე, ნეღა, ღინჯად, თანდათან/თანდათამობით და სხვ. ენობრივ მასალას ამდიდრებს დასახელებულ ზმნისართთა სემანტიკის მქონე ცალკეული ლექსიკური ერთეულები, ფრაზები თუ შესიტყვებები: კერძოდ, „ჰაეჩშივე“, „თვაღის ღახამხამების უმაღ“, „შევიდნენ თუ ახა“ და სხვ. ზემოაღნიშნულ ენობრივ საშუალებებს მთქმელი იყენებს დროის მიმდინარეობის ტემპის დასაზუსტებლად; მათი ფუნქცია ძირითადად ექსპრესიულობის გადმოცემაა, ამიტომ ზღაპარში მეტი სიხშირით სწრაფი ტემპის გამომხატველი ლექსემებია მოცემული; ზოგჯერ ფრაზაში გამოყენებულია სწრაფი ტემპის გამომხატველი ზმნისართული ლექსიკური ერთეული, მაგალითად: „ახც აცია, ახც აცხედა, იმწამსვე მივახება“.

ნაშრომი მნიშვნელოვანი და საინტერესოა ლინგვისტებისთვის, ფოლკლორისტებისა და თეორიული ენათმეცნიერების სპეციალისტებისთვის.

A fairy tale is a specific genre of oral literature; its structure and linguistic data present a unique picture that distinguishes it from other folklore genres. The peculiarities of linguistic expression are related to the development of the plot of 240

the fairy tale. Among the lexical-grammatical means peculiar of a fairy tale, special mention should be made of the linguistic expression of the tempo of time flow. The hero of the tale, around whom the main events unfold, goes through a long and difficult journey before achieving final victory, overcoming obstacles either independently or with the help of others. Accordingly, the structure of the fairy tale requires a tying of the narrative knot, followed by the linguistic expression of the development and climax of the action. This structure is conveyed through a variety of lexical and grammatical means available in the language, among which a special place is held by the linguistic expression of the tempo of time flow. It is known that the tempo of time flow can be either fast or slow; the aim of this paper is to study this very issue. We have grouped and analyzed adverbial modifiers of time that express fast and slow tempo, alongside their lexical equivalents.

The paper is topical from two perspectives: Firstly, the analyzed text – Georgian folk tale – has been passed down orally through generations; therefore, it preserves ancient coded information. Secondly, time is a universal category. Although time itself is continuous, humans segment it using various linguistic means in order to better perceive the world around them and remember important events more easily. Expressing time through fast and slow tempo is one of the key linguistic strategies in folk tale narration. To construct the paper, descriptive-statistical, historical-comparative and distributional analysis methods have been used.

In the Georgian folk tales, a wide range of linguistic material is used to express the fast or slow tempo of time flow. These are mainly adverbial modifiers such as: *male* “soon”, *ucbad* “suddenly”, *mašinve* “immediately”, *umal* “instantly”, *uceb* “at once”, *imc'amsve* “at that very moment”, *ucabedad* “abruptly”, *umalve* “right away”, *c'amsve* “in a moment”, *nela* “slowly”, *dinžad* “calmly”, *tandatan/tandatanobit* “gradually” and others. This linguistic material is enriched by certain lexical units, phrases, or individual expressions that share the semantics of the above-mentioned adverbs – for example: *haersive* “in mid-air”, *tvalis daxamxamebis umal* “in the blink of an eye”, *ševidnen tu ara* “the moment they entered” and others. These linguistic means are used by the narrator to specify the tempo of time flow. Their main function is to convey expressiveness; therefore, lexemes indicating fast tempo appear more frequently in folk tales. Sometimes, an adverbial phrase denoting fast movement is used alongside a phrase – for instance: *arc acia*, *arc acxela*, *imc'amsve mivarda* “without hesitation, in that very moment, he rushed in”.

The paper will be of interest to linguists, specialists of folklore, anthropologists and specialists in theoretical linguistics.

**გიორგი ჯღარგვავა, დავით მაისურაძე**  
**Giorgi Jgharkava, David Maisuradze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

Tinatin Tsereteli Institute of State and Law

(საქართველო, Georgia)

**დალოცვისა და წყევლის ენობრივი ფორმულები  
როგორც საგარანტიო კლაუზულები ქართული  
სამართლის ძეგლებში**

**Linguistic Formulas of Benediction and Malediction as  
Guarantee Clauses in Georgian Legal Monuments**

**საკვანძო სიტყვები:** ენობრივი ფორმულები, დაღოცვა, წყევლა, სამახთვის ძეგლები,  
კლაუზები

**Keywords:** *linguistic formulas, blessing; cursing, monuments of law, clause*

დალოცვისა და წყევლის ენობრივი ფორმულების გამოყენებას როგორც წერილობით, ისე ზეპირ ტექსტებში ხანგრძლივი ისტორია აქვს. განსაკუთრებით საინტერესოა მათი პოვნიერების ცალკეული შემთხვევები შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ქართულ საბუთებში, სადაც ეს ფორმულები საგარანტით კლაუზულების სახითაა მოცემული და, ჩვეულებრივ, დოკუმენტის დასკვნით ნაწილშია წარმოდგენილი. ამგვარ შემთხვევებში მათ ორმაგი იურიდიული დატვირთვა აქვთ:

1. ერთი მხრივ, ისინი დადებით (დალოცვა) ან უარყოფით (წყევლა) სანქციას განუწესებენ დოკუმენტის დამცველებსა და/ან დამრღვევებს, რაც, დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება სიმბოლურ სანქციად ჩანდეს, თუმცა შუა საუკუნეების პარადიგმაში ისინი რეალური იურიდიული ძალის პრევენციულ ნორმებად უნდა ჩაითვალოს;

2. მეორე მხრივ, მსგავსი კლაუზულები საბუთის სტრუქტურული გამართულობის აუცილებელი ნაწილია; თუ დოკუმენტის შემქმნელი არ იყენებს ან სწორ ადგილას, სწორი ფორმულირებით არ იყენებს ამგვარ კლაუზულებს, ეს შეიძლება დოკუმენტის ნაყალბევობაზეც მიუთითებდეს.

ქართული საბუთების აბსოლუტური უმრავლესობა დალოცვის/წყევლის კლაუზულების სისტემატურ ტრადიციას გვიჩვენებს. მაგალითისთვის, ჩვენთვის ცნობილი პირველივე სამართლებრივი დოკუმენტი – „სიგერი ბაგაზ /V-ისა ოპიზახთა და მიკნაძოხერთა სამამუღე დავის გამო“ (XI ს.) – შეიცავს წყევლის ამგვარ ფორმულას:

„და უკეთე ვინმე, ხასაცა უამსა, ხაიცა გუაჩი კაცი, ღიღი გინა მციჩე, აღგეს და ამას ნაქმახსა ჩუენსა აქცევდეს, გა-მცა-უჩისხედების მამაი, ძე და სუდი წმიდაი. და ესემცა წმიდანი მოციქული აჩიან მოსაფურნი სუღისა მისისანი ღლესა მას განკითხვისასა. და ჩემნი ბაგაზი მისგან იძიებ ღმეჩთმან!“

XI-XVIII საუკუნეების ქართულ საბუთებში წარმოდგენილი წყევლის ფორმულების უმრავლესობა რელიგიური ხასიათისაა, რაც მათ საეკლესიო-სამართლებრივ წარმოშობას ეფუძნება. წყევლის ფორმულები, ანალოგიური ფუნქციით, იურიდიულ დოკუმენტებში ფართოდ იყო გავრცელებული არა მხოლოდ ქართულ, არამედ შუა საუკუნეების ევროპულ სამართალში. ასეთ საგარანტიო წყევლის კლაუზულას მალედიქციო (გათ. *maledictio*) ენოდება და ცნობილია როგორც ბიზანტიური, ისე გერმანული და სხვა ევროპული სამართლის ძეგლებისთვის, რაც, თავის მხრივ, საინტერესოა სამომავლოდ ტიპოლოგიური კვლევების თვალსაზრისითაც.

The use of linguistic formulas of benediction (blessing) and malediction (cursing) in both written and oral texts has a long history in Georgian. Of particular interest are their occurrences in medieval and early modern Georgian documents,

where these formulas are presented as guarantee clauses and are typically found in the concluding part of the document. In such instances, they carry a dual legal significance:

1. Sanction: On the one hand, they impose positive (blessing) or negative (cursing) sanctions upon the protectors and/or violators of the document. While this may appear as a symbolic sanction from today's perspective, within the medieval paradigm, they can be considered preventive norms of real legal force;

2. Structural Integrity: On the other hand, similar clauses are an essential part of the structural integrity of the document; the failure of its creator to use them, or to use them with the correct formulation in the proper place, could even indicate the document is a forgery.

The absolute majority of Georgian documents demonstrate a systematic tradition of blessing/cursing clauses. For instance, the very first legal document known to us – *"The Charter of Bagrat IV Concerning the Opiza and Mijnadzori Land Dispute"* (11th c.) – contains the following cursing formula:

*"And if anyone, at any time, whatsoever manner of man, great or small, shall rise up and overturn this deed of ours, may the Father, the Son, and the Holy Spirit be wroth with him. And may these holy Apostles be the judges of his soul on that Day of Judgment. And may God demand my faults from him!"*

The majority of cursing formulas presented in Georgian documents from the 11th-18th centuries are religious in nature, which is rooted in their ecclesiastical-legal origin. Cursing formulas with an analogous function were widely circulated in legal documents not only in Georgian but also in medieval European law. This kind of security cursing clause is called malediction (*Latin: maledictio*) and is known to be present in Byzantine, Germanic, and other European legal monuments, which, in turn, is interesting for future typological studies.

იულიან ჰაშე  
Julian Hasche

ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი / Goethe University Frankfurt  
(გერმანია, Germany)

**დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის კონცეფციები  
ქართულ და გერმანულ პოლიტიკურ ენაში:  
კონტრასტული პოლიტიკური ლინგვისტიკური  
ანალიზი**

**The Concepts of Democracy and Democratization in  
Georgian and German Political Language: A Contrastive  
Political Linguistics Analysis**

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტოლინგვისტიკა, კონკურსის ღინგვისტიკა, დემოკრატიის  
პლეივ

**Keywords:** Politolinguistics, Corpus Linguistics, Democracy Research

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ჩემი სადოქტორო დისერტაციის კვლევის მიმდინარე ეტაპი, რომელიც ეძღვნება დემოკრატიული და დემოკრატიული მიზანის კონცეფციების კვლევას ქართულ და გერმანულ პოლიტიკურ ენაში პოლიტოლინგვისტიკის პერსპექტივიდან. პრეზენტაციის მიზანია, სადისკუსიოდ გამოიტანოს ჩემ მიერ დაგეგმილი კვლევის მეთოდი და ემპირიული კვლევის პირველადი შედეგები.

1991 წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო ხასიათდება პოლიტიკური დინამიზმის მაღალი ხარისხით, განსაკუთრებით დემოკრატიზაციის, ევროკავშირში ინტეგრაციის, კონსტიტუციური ცვლილებების, საკანონმდებლო ინიციატივებისა და მზარდი სოციალური პოლარიზაციის კონტექსტში. პოლიტიკური ლინგვისტიკის თანახმად, ენა გაგებულია, როგორც პოლიტიკური ქმედების ცენტრალური მედიუმი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება დისკუსიები, მოლაპარაკებები და ლეგიტიმაცია.

ანალიზი ფოკუსირებულია პოლიტიკური აქტორების მიერ დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის კონცეფციებთან დაკავშირებით გამოყენებულ სხვადასხვა ენობრივ გამოთქმასა და შეფასებაზე, ასევე მათ დისკურსულ ფუნქციებზე.

პროექტი აერთიანებს კორპუსლინგვისტურ მეთოდებს პოლიტიკური მეტყველების პრაქტიკის თვისებრივ ანალიზთან. ემპირიულ მასალად შერჩეულია საქართველოს პრეზიდენტების საინუგურაციო გამოსვლები და, შედარების მიზნით, როგორც ფუნქციური ეკვივალენტი, გერმანიის მთავრობის კანცლერების განცხადებები. გარდა ამისა, შესწავლილი იქნება პოლიტიკური დისკურსები ისეთ მოვლენაზე, როგორიცაა 2017 წლის საქართველოს კონსტიტუციური რეფორმა, რათა შეფასდეს კონსტიტუციური სახელმწიფოს განვითარება როგორც დიაქტორიულ ქრილში, ასევე სინქრონულად სხვადასხვა პოლიტიკური ბანაკის პერსპექტივებიდან.

ემპირიული კვლევა ეყრდნობა საქართველოს ეროვნული კორპუსის (ქეევ) და DWDS-პორტალზე ხელმისაწვდომი პოლიტიკური გამოსვლების კორპუსულ მონაცემებს, რომლებსაც დაემატება უახლესი პოლიტიკური ენის კორპუსი.

პროექტის მიზანია საქართველოში დემოკრატიზაციის კონცეფციების დისკურსული განვითარების ყოვლისმომცველი რეკონსტრუქცია, მათი შედარება გერმანულ პოლიტიკურ ენასთან და ამით ახალი ცოდნის მიღება პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესების, ევროპული ინტეგრაციის დინამიკისა და დემოკრატიული თვითგაების შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ამგვარად, კვლევითი პროექტი ინოვაციურ წვლილს შეიტანს პოლიტოლინგვისტიკაში, პოლიტიკურ მეცნიერებასა და თანამედროვე ისტორიულ კვლევაში.

In my presentation, I will introduce my doctoral project, which examines the concepts of *democracy* and *democratization* in Georgian and German political language from a political linguistics perspective. The presentation aims to provide insight into the research for discussion with the audience.

Since gaining independence on April 9, 1991, Georgia has been characterized by a high degree of political dynamism, particularly in the context of democratization, EU integration, constitutional amendments, legislative initiatives, and growing social polarization. According to political linguistics, language is understood as the central medium of political action, in which discussions, negotiations, and legitimations are negotiated. The analysis focuses on the different linguistic expressions and assessments used by political actors in relation to the concepts of democracy and democratization, as well as their discursive functions.

Methodologically, the project combines corpus linguistic methods with qualitative analyses of political speech practices. A central source of data will be the inaugural speeches of Georgian presidents and, as a functional equivalent, the German government statements of federal chancellors. In addition, political discourses on selected events, such as the Georgian constitutional reform of 2017, will be examined to map both diachronic developments and synchronic perspectives of different political camps.

The empirical basis will draw on data from the Georgian National Corpus (GNC) and the Political Speeches corpus available on the DWDS portal, which will be supplemented by a separate corpus of the latest political language.

The aim of the project is to comprehensively reconstruct the discursive development of the concepts of *democracy* and *democratization* in Georgia, compare them with German political language, and thereby gain new insights into political transformation processes, European integration dynamics, and democratic self-understanding in the post-Soviet space.

The research project thus makes an innovative contribution to political linguistics, political science, and contemporary historical research.

## სარჩევი / Contents

### ლელა ალექსიძე / Lela Alexidze

ხედვის თეორია იოანე პეტრიშვილის კომენტარში პროკლეს თეოლოგიის საფუძვლებზე .....	3
The Theory of Vision in Ioane Petritsi's Commentary on Proclus' Elements of Theology.....	3

### გიორგი ალიბეგაშვილი, იასუჰირო კოჯიმა, მამუკა ჭანტურაია /

Giorgi Alibegashvili, Yasuhiro Kojima, Mamuka Chanturiaia

ქართულ-იაპონური ლიტერატურული პარალელი.....	6
A Georgian-Japanese Literary Parallel .....	6

### მარინა ანდრაზაშვილი / Marina Andrazashvili

ნინადადების მოდუსი, იმპლიციტური უარყოფა და ტექსტი.....	9
Sentence Mode, Implicit Negation and the Text.....	9

### ფატმან ანთაძე-მალაშვილი / Patman Antadze-Malashkhia

ფერის ცნებისათვის სპარსულში.....	13
On the Concept of Colour in Persian .....	13

### რუსუდან ასათიანი / Rusudan Asatiani

მორფემათა „ფუნქციური კლასტერები“ ქართულში .....	17
“Functional Clusters” of Morphemes in Georgian .....	17

### ნარგიზ ახვლედიანი / Nargiz Akhvlediani

მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმების ერთი რიგის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი .....	20
Structural-Semantic Analysis of a Set of Toponyms Derived from Plant Names .....	20

### ციური ახვლედიანი, მარია ბურჩაკ-აბრამოვიჩი / Tsiuri Akhvlediani,

Maria Burchak-Abramovich

სანარმოთქმო ნორმის ევოლუცია თანამედროვე ფრანგული ენის ვოკალურ სისტემაში .....	23
The Evolution of the Pronunciation Standard in the Vocal System of Contemporary French.....	23

### ლევან ბებურიშვილი / Levan Beburishvili

კიტა აბაშიძე – ქართული რომანტიზმის თეორეტიკოსი .....	26
Kita Abashidze as a Theorist of Georgian Romanticism.....	26

**მარინა ბერიძე/Marina Beridze**

ზმნური ფორმაწარმოების თავისებურებისათვის ინგილოურში (აქვს ზმნა და მისი რეფლექსები) .....	28
For the Peculiarities of Verb Formation in Ingilo Georgian (Verb “akvs” (she/he/it has) and its Reflexes).....	28

**თინათინ ბოლქვაძე/Tinatin Bolkvadze**

აკაკი შანიძის ენათმეცნიერული სკოლა და მზექალა შანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა.....	31
The Linguistic School of Akaki Shanidze and the Scientific Legacy of Mzekala Shanidze .....	31

**ალექსანდრე ბოშიშვილი/Aleksandre Boshishvili**

ლუარსაბ I (1527-1556), ბაგრატ III (1510-1565) და ლევანი (1518-1574) – საქართველოს საერთო ინტერესებისთვის მებრძოლი სამი მევე .....	33
Luarsab I (1527-1556), Bagrat III (1510-1565), and Levan (1518-1574) – Three Kings in a Struggle for Georgia's Common Interests.....	33

**იამზე გაგუა, ლელა ჩოტალიშვილი, ნინო ჯორბენაძე**

Iamze Gagua, Lela Chotalishvili, Nino Jorbenadze	
მას: ჰომეროსის ფადოსნური მცენარე და მისი შესაძლო ქართველური პარალელები.....	36
მას: Homer's Magical Plant and Its Possible Kartvelian Parallels .....	36

**ქეთევან გიგაშვილი/Ketevan Gigashvili**

ლექსიკური ტრანსფორმაციები და მათი ფუნქცია ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში („ევსტათის ცხოვრება და წამება“, ..... 40 „ბასილი კესარიელის ცხოვრება“).....	40
Lexical Transformations and their Function in the Hagiographical Translations by Euthymius the Athonite (“The Life and Martyrdom of Eustathius”, “The Life of Basil the Great of Caesarea”).....	40

**იოსტ გიპერტი/Jost Gippert**

დაუთარიღებელი ხელნაწერების დათარიღება: პირველი ათასწლეულის ქართული კოდექსები.....	43
Dating Undated Manuscripts: Georgian Codices of the First Millennium .....	43

**ქეთევან გოჩიტაშვილი, თამარ გითოლენდია/Ketevan Gochitashvili, Tamar Gitolendia**

მმართველის კულტის ფორმირების ენობრივი განზომილება ქართულში.....	46
The Linguistic Dimension of the Formation of the Cult of the Ruler in Georgian .....	46

**ნინო გურჩიანი/Nino Gurchiani**

რელიგიური პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში (XX საუკუნის 20-40-იანი წლები).....	50
Religious Policy in Soviet Georgia (1920s-1940s).....	50

**ირინე დემეტრაძე/Irine Demetradze**

კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენების რამდენიმე საინტერესო შემთხვევა ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე .....	53
Several Interesting Cases of the Use of Possessive Pronouns in English and Georgian.....	53

**თამარ დოლიძე/Tamar Dolidze**

უძველეს კულტურათა პარალელები ქრისტიანული და არქეტიპული პლასტების მიხედვით .....	56
Parallels of Ancient Cultures According to Christian and Archetypal Layers .....	56

**ნათია დუნდუა/Natia Dundua**

ქართული ხელნაწერების ინტეგრირება გოტინგენის ბერძნული ფსალმუნის კრიტიკულ გამოცემაში .....	58
Integration of the Georgian Manuscripts in the Göttingen Editio Critica Maior of the Greek Psalter .....	58

**ეკა დუღაშვილი/Eka Dugashvili**

ქართული-ბერძნული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან: ტექსტოლოგიური და კოდიკოლოგიური ანალიზი: ქართული და ბერძნული ტექსტების მნიშვნელობა	
The Georgian-Greek Manuscript from the Saint Petersburg Collection: Textological and Codicological Analysis and the Significance of the Georgian and Greek Texts .....	61

**ლალი ეზუგბაია, მანანა ბუკია/Lali Ezugbaia, Manana Bukia**

ლაზები და ლაზური აფხაზეთში (ენობრივი ინტერფერენცია და თვითგამიჯვნა მეგრულთან მიმართებით) .....	64
Laz People and the Laz Language in Abkhazia (Linguistic Interference and Self-Distinction in Relation to the Megrelian language).....	64

**ეკა ვარდოშვილი/Eka Vardoshvili**

ლიტერატურული პარადიგმები ვაჟა-ფშაველას პოეზიაში .....	67
Literary Paradigms in the Poetry of Vazha-Pshavela.....	67

**რუსუდან ზექალაშვილი/Rusudan Zekalashvili**

მზექალა შანიძის ნაშრომი ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ .....	70
Mzekala Shanidze's Study on the Language of Vazha-Pshavela .....	70

**ლერი თავაძე/Leri Tavadze**

სამი ჰეგემონი და საქართველო: ბიზანტიის იმპერია, სასანური ირანი და დასავლეთ თურქთა ხაკანატი სამხრეთ კავკასიაში.....	73
Three Hegemons and Georgia: The Byzantine Empire, Sasanian Iran and the Western Türk Khaganate in the South Caucasus.....	73

**მანანა თანდაშვილი, მარიამ გობიანიძე/Manana Tandashvili,****Mariam Gobianidze**

აფორიზმების შეფასების მრავალდონიანი მოდელი დიგიტალურ რუსთველოლოგიაში.....	76
A Multilevel Model for the Evaluation of Aphorisms in Digital Rustvelology .....	76

**დარეკან თვალთვაძე/Darejan Tvaltvadze**

„საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის ეფრემ მცირისეული რედაქციის ისტორიისათვის.....	80
Towards the History of Ephrem the Minor's Redaction of the Old Georgian Translation of “The Acts of the Apostles” .....	80

**მარინე ივანიშვილი/Marine Ivanishvili**

მეფესალმუნე ქართული ენისა.....	85
Psalmist of the Georgian Language .....	85

**დალი კანდელაკი/Dali Kandelaki**

ქეთევან დედოფლის მონამეობა ევროპულ პრესაში: 1731 წლის გერმანული უურნალის ნარატივი.....	88
The Martyrdom of Queen Ketevan in the European Press: The Narrative in a 1731 German Journal.....	88

**ნათია კენჭიაშვილი/Natia Kentchiashvili**

ქართულ რიტორიკაში ქალ ორატორთა საკარო გამოსვლების ლექსიკური და სინტაქსური მახასიათებლების კორპუსლინგვისტური ანალიზი.....	91
A Corpus Linguistic Analysis of the Lexical and Syntactic Features of Public Speeches by Women Orators in Georgian Rhetoric.....	91

**მანანა კვაჭაძე/Manana Kvachadze**

„შაჰნამეს“ ქართული ვერსიებისა და თარგმანების შესახებ .....	94
The Georgian Versions and Translations of “Shah-Nameh“.....	94

**ეკა კვირკველია/Eka Kvirkvelia**

ჰაემეტი ლექციონარი და მისი ადგილი იერუსალიმური ლექციონარის ქართულ ტრადიციაში .....	98
The Haemeti Lectionary within the Georgian Tradition of the Jerusalem Rite.....	98

<b>ეკატერინე კობახიძე/Ekaterine Kobakhidze</b>	
„ფროტათოს“, „ფროტათოსელნი“: „ქართლის ცხოვრების“ ერთი პასაჟის განმარტებისათვის.....	100
“Phrotathos”, “Phrotathosians”: On the Interpretation of a Passage from The Georgian Chronicles .....	100
<b>ჩია-ვეი ლინ, დიეგო ლუინეტტი/Chia-Wei Lin, Diego Luinetti</b>	
ქართული ოშკის ბიბლია: ეზრა როგორც სომხურიდან თარგმანი.....	103
Georgian Oshki Bible Ezra as a Translation from Armenian.....	103
<b>თამარ ლომთაძე, გიორგი გოგოლაშვილი/Tamar Lomtadze, Giorgi Gogolashvili</b>	
ებრაელთა ქართული, როგორც ეთნოდიალექტი და მისი ტერიტორიული ქვედიალექტები.....	106
Judeo-Georgian as an Ethnodialect and its Territorial Subdialects .....	106
<b>მაია ლომია, რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგარიტა, ნინო ჭუმბურიძე/</b> <b>Maia Lomia, Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani, Nino Tchumburidze</b>	
დასაწყისის მზა ფორმულები ქართველურ ხალხურ ზღაპრებში: ენობრივი და ფუნქციური ანალიზი.....	109
Ready-made Opening Formulas in Kartvelian Folk Tales: Linguistic and Functional Analysis .....	109
<b>ქეთევან მამასახლისი/Ketevan Mamasakhli</b>	
ღმრთისმსახურების ისტორია და ქტიტორული ტიპიკონები საქართველოს ეკლესია-მონასტრებში .....	113
The History of Worship and the Founders' Typicon in the Churches and Monasteries of Georgia.....	113
<b>ხვთისო მამისიმედიშვილი/Khvtiso Mamisimedishvili</b>	
„ომის ციკლის“ ლექსები აკაკი შანიძის „ხევსურულ პოეზიაში“ და მათი თავისებურება .....	117
Poems from the “War Cycle” in Akaki Shanidze's “Khevsurian Poetry” and Their Peculiarities.....	117
<b>მარიამ მანჯალაძე/Mariam Manjgaladze</b>	
ენობრივი პოლიტიკის დისკურსი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ გამოცემებში .....	121
The Discourse of Language Policy in the Periodical Press of the First Democratic Republic of Georgia .....	121

<b>სოფიო მახატაშვილი/Sopio Makhatchashvili</b>	
ოსმალელი ქართველების არქეტიპები გაზეთ „დროებაში“დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილების მიხედვით (1908-1910 წ.წ.) .....	124
Archetypes of Ottoman Georgians According to Journalistic Letters Printed in the Newspaper “Droeba” (1908-1910) .....	124
<b>დამანა მელიქიშვილი, ნათია ფუტკარაძე/Damana Melikishvili, Natia Putkaradze</b>	
ქართული ზმნის Nom-Erg-Dat-იური კონსტრუქციის კიდევ ერთი ქვეპუნქტის გამოყოფისათვის .....	127
For the Separation of Another Subgroup of the Nom-Erg-Dat Construction of the Georgian Verb .....	127
<b>ნათია მიროტაძე/Natia Mirotadze</b>	
სინოპტიკური გამოცემა – კარგად დავიწყებული ძველი (ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიების მაგალითზე).....	133
Synoptic Edition – A Proven Tool to Represent Complicated Textual Traditions (On the Example of the Old Georgian Versions of the Book of Esther).....	133
<b>ივანე მჭედელაძე/Ivane Mtchedeladze</b>	
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პირველი ეტაპი საქართველოში: პოზიტივისტური ფაზა .....	136
The First Stage of Comparative Literary Criticism in Georgia: the Positivist Phase ....	136
<b>ქეთევან ნიჟარაძე/Ketevan Nizharadze</b>	
სახელის მოხვეჭის ფენომენი რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ და მისი მიმართება სახელისა და დიდების ანტიკურ კონცეფციასთან .....	139
The Phenomenon of Fame in Rustaveli’s “The Knight of the Panther’s Skin” and its Relation to the Ancient Concept of Name and Glory.....	139
<b>თამარ ოთხმეზური/Thamar Otkhmezuri</b>	
ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავლის ფიგურალურ გამოთქმათა ინტერპრეტაციისათვის .....	143
Interpreting Figurative Expressions in Ephrem Mtsire’s Preface to the Georgian Translation of the Commentaries on the Psalms .....	143
<b>სალომე ომიაძე/Salome Omiadze</b>	
„მიმართვის ჩვენებური წესი“ – მზექალა შანიძის სოციოლინგვისტური ნარკვევის შესახებ.....	145
“Our Native Form of Address” – On Mzekala Shanidze’s Sociolinguistic Essay.....	145

<b>მარიამ ორკოდაშვილი/Mariam Orkodashvili</b>	
ევიდენციალობის მრავალმოდალურობით გამოხატვა.....	148
Expressing Evidentiality through Multimodality.....	148
<b>ლალი ოსეფაშვილი/Lali Osepashvili</b>	
ზოდიაქოს ნიშან-სიმბოლოები შეა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში .....	151
Zodiac Signs and Symbols in Medieval Georgian Art .....	151
<b>ქეთევან რ. რამიშვილი, ელენე გოუნაშვილი/Ketevan R. Ramishvili, Helen Giunashvili</b>	
გრიფონები ძველ ქართულ მატერიალურსა და სულიერ კულტურაში.....	154
Griffins in the Material and Spiritual Culture of Ancient Georgia.....	154
<b>ნანა საგანელიძე/Nana Saganelidze</b>	
მოქმედებითი გვარის ზმნური ფუძეების კუმშვისათვის ქართულში .....	158
On the Contraction of Verbal Roots in the Active Voice in Georgian.....	158
<b>სოფიო სარჯველაძე/Sophio Sarjveladze</b>	
ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი წმინდა მენას სამი სასწაული ....	161
Three Miracles of Saint Menas, Translated by Euthymius the Athonite .....	161
<b>მარი სიმონიშვილი/Mari Simonishvili</b>	
გივი მარგველაშვილის „კოლხი მედეა კოლხოზში“ – „ხელოვნური	
მკითხველის“ გააზრებისთვის.....	164
Givi Margvelashvili's "Colchian Medea on the Collective Farm" –	
For Understanding the "Artistic Reader" .....	164
<b>ქეთევან სირაძე/Ketevan Siradze</b>	
„მიბრძანეს მათად საქებრად...“ – „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი	
სტროფის ახლებელი გააზრებისათვის .....	168
Toward a New Reading of a Stanza from the Prologue of "The Knight	
in the Panther's Skin" .....	168
<b>ნესტან სულავა/Nestan Sulava</b>	
სვეტიცხოვლის „გულანის“ სტრუქტურული შედგენილობის შესახებ .....	171
On the Structural Composition of the Svetitskhoveli "Gulani" .....	171
<b>მარინე ფუთურიძე/Marine Puturidze</b>	
ინკრუსტირებული ორნამენტაციის რეპრეზენტირების თავისებურება	
თრიალეთის კულტურის ოქროს ყელსაბამზე .....	177
The Peculiarity of Representing Inlaid Ornamentation on a Gold Necklace from	
the Trialeti Culture .....	177

**თეა ქართველიშვილი/Tea Kartvelishvili**

საერო ხელისუფალთა მონაწილეობა და როლი საეკლესიო  
ადმინისტრაციული ერთეულების (საეპისკოპოსოების) დაარსებასა და  
საეკლესიო იერარქების დადგენის პროცესში  
(აფხაზეთის საკათალიკოსო, XV-XVIII სს.) ..... 180  
The Participation and Role of Secular Authorities in the Formation  
of Ecclesiastical Administrative Units (Bishoprics) and in the Establishment  
of Ecclesiastical Hierarchies (The Catholicate of Abkhazia, 15th–18th Centuries)..... 180

**მიხეილ ქართველიშვილი/Mikheil Kartvelishvili**

დიმიტრი ყიფიანი ქართულ საბჭოთა საისტორიო აზროვნებაში..... 183  
Dimitri Kipiani in Georgian Soviet Historical Thought ..... 183

**ლია ქაროსანიძე/Lia Karosanidze**

მზექალა შანიძე – ძველი ქართული გრამატიკული აზრის მკვლევარი ..... 186  
Mzekala Shanidze as a Researcher of the Ancient Georgian Grammatical  
Thought..... 186

**თამარ ქაროსანიძე-ქირსაჩი/Tamar Karosanidze-Kirsach**

პრედიკატული განსაზღვრების სემანტიკური ველი ქართულსა და  
თურქულში ..... 189  
The Semantic Field of the Predicative Definition in Georgian and Turkish..... 189

**ელისო ქორიძე/Eliso Koridze**

კომპოზიტების თარგმნის სპეციფიკა თომას ბერნჰარდის რომანების  
მიხედვით ..... 193  
The Specifics of Translating Composites Based on the Novels of Thomas Bernhard ..... 193

**მარიამ ყამარაული/Mariam Kamarauli**

ქართული ფუნქციური სიტყვების კვლევა კორპუსლინგვისტური  
მეთოდებით ..... 196  
A Corpus-Based Exploration of Georgian Function Words with Computational  
Support..... 196

**ნინო შარაშენიძე/Nino Sharashenidze**

ქართული ენის სასწავლო ლექსიკონის აგების პრინციპები ..... 199  
The Principles of Compiling a Learner's Dictionary ..... 199

**ფატი შეკლაშვილი/Pati Sheklashvili**

ვაიმარის რესპუბლიკის პირველი რაიხსკანცლერი (რაიხის  
მინისტრ-პრეზიდენტი) ფილიპ შაიდემანი, როგორც პოლიტიკოსი  
(რაიხის კანცელარიის მასალების მიხედვით)..... 203

The First Reich Chancellor (Reich Minister-President) of the Weimar Republic, Philipp Scheidemann, as a Politician (According to the Materials of the Reich Chancellery) .....	203
<b>ნანა შოშიაშვილი/Nana Shoshiashvili</b>	
ანთროპონიმი, როგორც ნაცნობი გარემოს შექმნის ერთ-ერთი პირობა (ი. გოგებაშვილის „Русское Слово-Ь“ მიხედვით).....	207
Anthroponym as one of the Conditions for Creating a Familiar Environment (According to I. Gogebashvili's "Russkoye Slovo").....	207
<b>დალი ჩიტუნაშვილი/Dali Chitunashvili</b>	
უცნობი პალიმპსესტური რეგული კერძო კოლექციიდან.....	210
An Unknown Palimpsestic Notebook from the Private Collection .....	210
<b>ნანა ცეცხლაძე, მზია ხახუტაიშვილი/Nana Tsetskhadze, Mzia Khakhutaisvili</b>	
ზმინის რედუცირებულფუძიანი ფორმები ქართული ენის სამხრულ კილოებში .....	212
Reduced-Stem Verb Forms in South Georgian Dialects.....	212
<b>ლელა ციხელაშვილი/Lela Tsikhelashvili</b>	
კვლავ კაუზატივისა და შეალობითი კონტაქტის ურთიერთმიმართებისათვის .....	216
Revisiting the Relationship Between Causative and Medial Contact.....	216
<b>ლელა წიფურია/Lela Tsiphuria</b>	
ოცდამეერთე საუკუნის ბერძნული თეატრების მრავალგვარობა.....	219
The Diversity of Greek Theatre in the Twenty-first Century .....	219
<b>ხათუნა ჭანიშვილი/Khatuna Chanishvili</b>	
ლოცვის დრო და ადგილი (ავთანდილის ლოცვის, ილიას ლოცვისა და გალაკტიონის მზე თიბათვისას მიხედვით).....	222
Time and Place of Prayer (Based on Avtandil's Prayer, Ilia's Prayer and Galaktioni's The Sun of June).....	222
<b>ლადო ჭელიძე/Lado Chelidze</b>	
რუსთველი იერუსალიმში და ადრეული რენესანსის დასაწყისი („ამის დამხატავსა შეუნდვეს ღმერთმან, ამინ“) .....	225
Rustaveli in Jerusalem and the Beginning of the Early Renaissance ("May God Have Mercy Upon the One Who Painted This [image], Amen") .....	225

**ანა ხარანაული/Anna Kharanauli**

თარგმანის სამეცნიერო გამოცემა და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური პრობლემები .....	228
Editing the Translation and Related Methodological Problems .....	228

**ელგუჯა ხინთიბიძე/Elguja Khintibidze**

არეოპაგიტული კორპუსის ეფრემ მცირისეული თარგმანი – „ვეფხისტყაოსნის“ ერთი პასაჟის უცნობი წყარო.....	232
Ephrem Mtsire's Translation of the "Areopagitian Corpus" – an Unknown Source of a Passage in "The Knight in a Panther-Skin".....	232

**ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დავით ჭელიძე/ Nana Khotcholava-  
Machavariani, Davit Chelidze**

მცენარეთა სახელები აკაკი შანიძის ხელნაწერ ბარათებში და მათი მნიშვნელობა ქართული ნომენკლატურის ისტორიისათვის .....	235
Plant Names in Akaki Shanidze's Manuscript Cards and their Significance for the History of Georgian Botanical Nomenclature .....	235

**მარიამ ხუბუნაია/Mariam Khubunaia**

დროის მიმდინარეობის ტემპის ენობრივი გამოხატვა ქართულ ხალხურ ზღაპრებში .....	239
Linguistic Expression of the Tempo of Time Flow in Georgian Folk Tales.....	239

**გიორგი ჯლარკავა, დავით მაისურაძე/Giorgi Jgharkava, David Maisuradze**

დალოცვისა და წყევლის ენობრივი ფორმულები როგორც საგარანტიო კლაუზები ქართული სამართლის ძეგლებში.....	242
Linguistic Formulas of Benediction and Malediction as Guarantee Clauses in Georgian Legal Monuments.....	242

**იულიან ჰაშე/Julian Hasche**

დემოკრატიისა და დემოკრატიზაციის კონცეფციები ქართულ და გერმანულ პოლიტიკურ ენაში: კონტრასტული პოლიტიკური ლინგვისტიკური ანალიზი..	245
The Concepts of Democracy and Democratization in Georgian and German Political Language: A Contrastive Political Linguistics Analysis.....	245

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და მარიამ ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა

---

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1  
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128  
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279  
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>



